საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№23 (114)
29 ივნისი – 5 ივლისი, 2011
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## დემოკრატიის შუქური ავღანური პანაშვიდი 3



## «ურჩ ჯარისკაცებს კუნთმაგარი ბიჭები მიუგზავნეს და სხვა ჯარისკაცების თვალწინ ფიზიკურად გაუსწორდნენ, რათა ყველას დაენახა, თუ რა ელით ავღანეთში წასვლაზე უარის თქმის შემთხვევაში»

«ბევრი ჯარისკაცია დაჭრილი, მაგრამ, მათივე უსაფრთხოების გამო, გვარებს ვერ გავამხელ» 2



# შუქი გამორთე, ნაგავს წერს!

...პირველი ადამიანი, რომელიც დასუფთავების გადასახადს გადაჰყვა, ლეგენდარული მეფე ავგიუსი იყო. ზოგადად, ის ფრიად პროგრესული კაცი გახლდათ, არგონავტი და ოლიმპიური თამაშების სპონსორი, მაგრამ სერიოზული პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც ჰერაკლეს ცნობილი თავლების დასუფთავებისთვის წინასწარ შეთანხმებული თანხა არ გადაუხადა. იმ თვითგამოცხადებულმა მენაგვემ ჯერ ომი აუტეხა, შემდეგ კი მოკლა კიდეც...

4

## ცრუ ფილანთროპია 8





ნოდარ ხადური:
### 2008 წლიდან ინვესტიციები ოთხჯერ შემცირდა
6

ვახტანგ კომახიძე:
### საქართველომ ოსებს უსაფრთხოების არანაირი განცდა არ შეუქმნა
10

თემურ ჩხეიძე:
### 14 ურთიერთ-დაპირისპირებულ აზრთა გარეშე წინ არაფერი წაიწევს

### ლევან ღვინჯილია ხელისუფლების მოტაცე ჟურნალისტების შესახებ
16



**მეუფე ეფრემი (ბოლნელი ეპისკოპოსი):**

ნებისმიერ მღვდელს შეუძლია თავის უბანში, თავის ქალაქში თავისი მართალი სიტყვა ამბიონიდან გააგონოს მრევლს! რატომ ვერ ამბობენ, შიში აქვთ ვინმესი? უფლის გვეშინოდეს, უფლის, ჩვენი არასწორი საქციელის, ჩვენი ცოდვების გამო! დიახ, ვისაც სურვილი აქვს, ყველას შეუძლია სიმართლე თქვას, რომ 26 მაისის ღამე იყო დანაშაული! ამ შემთხვევაში, ვინც უნდა იყოს ხელისუფლებაში, უნდა ამხილო... რადგან უფალი მეფობს ამ ქვეყანაზე და არა ვიღაც ხელისუფალი!

## «ძალიან რთულია ჩვენი უწმინდესის მდგომარეობა!»

### როგორი საქართველო გვინდა — დავით აღმაშენებლისა და თამარის თუ როსტომ-ხანისა? 12

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ხელისუფლება ხელოვნურად ქმნის აჟიოტაჟს. შეიძლება თეორიულად გარკვეული რისკები იზრდება, მაგრამ იდიოტია პოლიტიკოსი, რომელიც გამოდის და საქვეყნოდ აცხადებს, რომ რუსეთისგან აგრესიის ალბათობა მაღალიაო. ერთი, რომ ამის კონკრეტული მაგალითები არ არსებობს და მეორე, თუ ინფორმაცია გაქვს, ამაზე ტელევიზიიდან კი არ უნდა იყვირო, უნდა ჩართო საერთაშორისო საზოგადოება და შეეცადო ეს საფრთხეები შეამცირო. ამასთან, ხელისუფლება აცხადებს, რომ ყველაზე მშვიდობიანი ქვეყანა ვართ, მილიონობით ტურისტსა და ინვესტორს ეპატიჟება და პარალელურად ამგვარი განცხადებებით გამოდის. შეიძლება ერთი ხელით ანგრევდე და მეორით აშენებდე?



## ირაკლი სესიაშვილი:

# ბევრი ჯარისკაცია დაჭრილი, მაგრამ, მათივე უსაფრთხოების გამო, გვარებს ვერ გავამხელ

**პარადოქსია, მაგრამ მაშინ, როცა ნატოს წევრი ქვეყნები ავლანეთში ჯარის შემცირებას ან მის სულაც გამოყვანას გეგმავენ, საქართველოს ხელისუფლება ავლანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტის გაზრდას აპირებს. რას ფიქრობს აღნიშნული ინიციატივის თაობაზე, რატომ მალავს ხელისუფლება ავლანეთში ნატოს სამხედრო ოპერაციების დროს დაჭრილი და გარდაცვლილი ქართველი ჯარისკაცების შესახებ ინფორმაციას და რამდენად დაცულია ქვეყანა გარე საფრთხეებისგან, უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტი, ასოციაცია „სამართალი და თავისუფლების“ ხელმძღვანელი ირაკლი სესიაშვილი გვესაუბრება.**

## «ურჩ ჯარისკაცებს კუნთმაგარი ბიჭები მიუგზავნეს და სხვა ჯარისკაცების თვალწინ ფიზიკურად გაუსწორდნენ, რათა ყველას დაენახა, თუ რა ელით ავლანეთში წასვლაზე უარის თქმის შემთხვევაში»

**— ცოტა ხნის წინათ, ავლანეთში მომხდარ ინციდენტს კიდევ ერთი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა. თქვენ განაცხადეთ, რომ დაჭრილი ჯარისკაცების შესახებ ხელისუფლება სიმართლეს მალავს. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსხვერპლი გაცილებით მეტია?**

— ავლანეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციის დროს, როდესაც ქართველი სამხედრო გია გოგუაძე გარდაიცვალა, სამი ჯარისკაცი ნაღმზე აფეთქდა და მათ კიდურების ამპუტაცია ჩაუტარდათ. ორი მათგანი გერმანიაში მკურნალობს. დანამდვილებით ვიცი, რომ ჰელმანდში ბევრი ქართველი ჯარისკაცია დაჭრილი, მაგრამ, მათივე უსაფრთხოების გამო, გვარებს ვერ გავამხელ, არ მინდა, მათ პრობლემები შეექმნათ. ხელისუფლება ინფორმაციას არ ახმაურებს, რადგან ქართული ჯარის „გადაჭარბებული მისია“ ავლანეთში ხელისუფლების ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება. **გარდაცვლილი და დაჭრილი ჯარისკაცების შესახებ ინფორმაცია გაცილებით ადრე მქონდა, ვიდრე საზოგადოებამ შეიტყო. თუმცა შეიძლება გარდაცვლილის ოჯახის წევრებსაც არ სცოდნოდათ და მივიჩნიე, რომ არ უნდა გამეხმაურებინა. თავდაცვის სამინისტრომ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაავრცელა ინფორმაცია, როცა გარდაცვლილი ჯარისკაცი უკვე საქართველოში ჩამოასვენეს.**

არა მგონია, გარდაცვლილთა რაოდენობას მალავდეს ხელისუფლება, მსგავსი ამორალური საქციელი, ხელისუფლებისგან გასაკვირი არ იქნებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 25 მაისს გარდაცვლილი აქციის მონაწილეების შესახებ ხელისუფლება ინფორმაციის დამალვას შეეცადა, მაგრამ, რადგან ამ შემთხვევაში ნატოს იმიჯს სერიოზული ზიანი მიადგება, საქართველოს ხელისუფლება ამას, უბრალოდ, ვერ გაბედავს.

**— დაზარალებულების ოჯახის წევრები რატომ არ ამხელენ სიმართლეს?**

— ასეთ ვითარებაში ოჯახი დაზარალებულის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზეა კონცენტრირებული. ამას გარდა, კარგად მოგეხსენებათ, როგორ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. სახელმწიფო ტერორის მანქანა აქტიურად მუშაობს და ადამიანებს ეშინიათ, მათ მიერ ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში საკუთარ ოჯახის წევრს ზიანი რომ მიაყენონ.

**ჩემი ინფორმაციით, სხვა ქვეყნების სამხედროებისგან განსხვავებით, ქართველ ჯარისკაცებს ინტერნეტით სარგებლობის საშუალება შეზღუდული აქვთ. ქართული მხარე ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელებას მკაცრად აკონტროლებს, რაც ჯარისკაცებზე ზეწოლის ერთგვარი მექანიზმია.**

**— თქვენ ასევე აცხადებთ, რომ ავლანეთში ქართველ სამხედროებს წასვლას აიძულებენ.**

— ამ შემთხვევაში მოქმედებს პირდაპირი და არაპირდაპირი იძულების წესი. არაპირდაპირი გულისხმობს შემდეგს: **მაგალითად, ბევრმა ჯარისკაცმა აიღო კრედიტი, რომელსაც ველარ ისტუმრებს, ავლანეთის მისია კი, მათთვის ფინანსური თვალსაზრისით, გარკვეულწილად მიმზიდველია. ასევე არაპირდაპირი იძულების ფორმაა მენტალიტეტი. ჯარს აქვს თავისი ცხოვრების წესი, როცა წლების განმავლობაში მსახურობ ადამიანებთან ერთად, სულ რომ არ გინდოდეს ავლანეთში წასვლა, შენი თანამებრძოლების გამო შენც მიდიხარ. ეს არის ერთგვარი მორალური პასუხისმგებლობა, რასაც მე უდიდეს პატივს ვცემ.**

ამას გარდა, როდესაც ირჩევ ჯარისკაცის პროფესიას, ერთგვარად დამოკიდებული ხარ სახელმწიფოს პოლიტიკაზე, მოგწონს ეს თუ არა. შენი მეთაური რასაც გიბრძანებს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასადაც კი უნდა გააკეთო.

რაც შეეხება პირდაპირი ზეწოლის შემთხვევებს: არიან ჯარისკაცები რომლებიც პირდაპირ უარს აცხადებენ ავლანეთში წასვლაზე, მათ სურთ საქართველოში ყოფნა და საკუთარი ქვეყნის სამსახური. მაგრამ ერთი რომ იტყვის უარს, მეორემ და მესამემაც შეიძლება მიბაძოს, რაც ჩვენი ხელისუფლებისა და სააკაშვილის ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს დააზარალებს. ჩემი ინფორმაციით, ამ ე.წ. ურჩ ჯარისკაცებს კუნთმაგარი ბიჭები მიუგზავნეს და სხვა ჯარისკაცების თვალწინ ფიზიკურად გაუსწორდნენ, რათა ყველას დაენახა, თუ რა ელით ავლანეთში წასვლაზე უარის თქმის შემთხვევაში.

**— მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ქვეყნები ავლანეთიდან ჯარის გამოყვანაზე ფიქრობენ, საქართველოს ხელისუფლება პირიქით, — კონტინგენტს ზრდის. რას ემსახურება ხელისუფლების გადაწყვეტილება?**

— ხელისუფლებას, საკუთარი ინტერესებისა და ძალაუფლების შენარჩუნების გარდა, არაფერი აინტერესებს. ხელისუფლებას მომავალ არჩევნებში დასავლეთის მხრიდან „გაპრავება“ სჭირდება, რასაც ამ გზით მიაღწევს კიდეც. ტყუილად კი არ გადააქვთ ქუთაისში პარლამენტი! არჩევნების გაყალბების გამო თუ თბილისში ხალხი ქუჩაში გამოვა, ხელისუფლება ქუთაისში გაიქცევა, გადაკეტავს გზას, შეკრებს პარლამენტს და საკუთარ ძალაუფლებას აღიარებს.

ხელისუფლებას ადამიანის სიცოცხლე რომ აინტერესებდეს, 26 მაისს არავის დახოცავდა და მეორე დღეს იმ ადგილას ზეიმს არ მოაწყობდა.

**— მაგრამ არ მოახდენს გავლენას ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე დასავლეთის ინიციატივა?**

— **ხელისუფლების ეს გადამეტებული თავგამოდება გამიზნულია იმისთვის, საერთაშორისო საზოგადოებას აჩვენოს, რომ აი, თქვენ, ყველას ავღანეთიდან გამოგყავთ ჯარი, მაგრამ მე მაინც გვერდში გიდგავართო. ამას მომავალში აუცილებლად დააფასებს ამერიკის შეერთებული შტატები და სააკაშვილის არჩევნებსაც აღიარებს.**

**— საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად სამხედრო კონფლიქტების ესკალაციაზე საუბრობენ, ამ ეტაპზე არსებობს რეალურად ასეთი საფრთხე?**

— ხელისუფლება რუსეთისგან მტრის ხატს ქმნის და ამას, როგორც წესი, შიდა პოლიტიკური პროცესების მანიპულირებისთვის იყენებს. ვფიქრობ, რომ დღესდღეობით კონფლიქტის განახლების ნიშნები არ არსებობს.

ხელისუფლება ხელოვნურად ქმნის აჟიოტაჟს. შეიძლება თეორიულად გარკვეული რისკები იზრდება, მაგრამ იდიოტია პოლიტიკოსი, რომელიც გამოდის და საქვეყნოდ აცხადებს, რომ რუსეთისგან აგრესიის ალბათობა მაღალიაო. ერთი, რომ ამის კონკრეტული მაგალითები არ არსებობს და მეორე, თუ ინფორმაცია გაქვს, ამაზე ტელევიზიიდან კი არ უნდა იყვირო, უნდა ჩართო საერთაშორისო საზოგადოება და შეეცადო ეს საფრთხეები შეამცირო. ამასთან, **ხელისუფლება აცხადებს, რომ ყველაზე მშვიდობიანი ქვეყანა ვართ, მილიონობით ტურისტსა და ინვესტორს ეპატიჟება და პარალელურად ამგვარი განცხადებებით გამოდის. შეიძლება ერთი ხელით ანგრევდე და მეორით აშენებდე? ან როცა გამუდმებით იმას აჩვენებ, რამდენი ტერორისტული აქტი აღკვეთე, ამის შემდეგ ქვეყანაში რომელი ინვესტორი ჩამოვა?**

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**«სხვა ქვეყნების სამხედროებისგან განსხვავებით, ქართველ ჯარისკაცებს ინტერნეტით სარგებლობის საშუალება შეზღუდული აქვთ»**



**«იდიოტია პოლიტიკოსი, რომელიც გამოდის და საქვეყნოდ აცხადებს, რომ რუსეთისგან აგრესიის ალბათობა მაღალია»**

## ევროპა საქართველოსთვის «წითელ ბარათს» ამზადებს

**ამის შესახებ ევროსაბჭოს წარმომადგენელმა, ვოიცეხ ვისოცკიმ „ეხო კავკაზას“ ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. 2011 წლის 20-24 ივნისს სტრასბურგსა და ბრიუსელში ევროსტრუქტურებისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მიმდინარე დიალოგის ფარგლებში ვოიცეხ ვისოცკი საქართველოში ადამიანის უფლებების თემაზე მთავარი მომხსენებელი იყო.**

ევროსაბჭოში საქართველოდან მიწვეული იყვნენ ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები. დახურული დიალოგის მესამე რაუნდის ფარგლებში ევროსაბჭო პირველად წავიდა ასეთ ნაბიჯზე. როგორც ვოიცეხ ვიცოსკიმ განაცხადა, მათი სურვილი იყო საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებული აზრი და არგუმენტები მოესმინათ. მისივე განმარტებით, ადამიანის უფლებათა დამცველებთან („ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ ლიდერი ნანა კაკაბაძე, საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი, მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი) შეხვედრისას მთავარი აქცენტი 26 მაისის მშვიდობიანი აქციის სასტიკ დარბევაზე და იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე გაკეთდა, რაც საბოლოოდ ზღუდავს საქართველოში აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

ვისოცკის განცხადებით, ეს საკითხები მწვავედ დაისვა საქართველოს ხელისუფლებისა და ევროკავშირის წარმომადგენლებს შორის გამართული დიალოგის დროს. მისივე თქმით, „საქართველოსთვის წითელი ბარათი უკვე მზადდება“.

**დღესაც კი, კონტინგენტის გაზრდამდე, კოალიციის „ყულაბაში“ საქართველოს შენატანი არაპროპორციულად დიდი ჩანს. ავღანეთში 937 სამხედრო გვყავს, მაშინ, როდესაც ნატოს წევრ დანიას — 750, ბულგარეთს — 606, ჩეხეთს — 519, ბელგიას — 507, ნორვეგიას — 406, უნგრეთს — 383, ხორვატიას — 320, ლიტვას — 237, ესტონეთს — 163, საბერძნეთს — 162, ლატვიას — 139, პორტუგალიას — 133. რაც შეეხება ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს, აქ ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ავსტრალია „გვისწრებს“, სხვა კონტინგენტები კი უფრო მცირეა: შვედეთი — 500, სამხრეთ კორეა — 426, ახალი ზელანდია — 191, ფინეთი — 156 და ა.შ.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დემოკრატიის შუქურის ავღანური პანაშვიდი

„სულელი მექამდე რომც მივიდეს, მაინც სულელად დარჩება,“ — ამ ავღანურმა ანდაზამ ჩვენთვის, ალბათ, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, რადგან ძნელია, სხვა შეფასება მოუძებნო შემდეგ ფაქტს: ვაშინგტონს და მის ძირითად მოკავშირეებს ავღანეთიდან ჯარები ეტაპობრივად გაჰყავთ, მიხეილ სააკაშვილი კი იქ დამატებითი კონტინგენტის გაგზავნას აპირებს.



ამის შესახებ პირველად ივნისის დასაწყისში შევიტყვეთ. რელიზში, რომელიც თეთრმა სახლმა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის — ჯოზეფ ბაიდენისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ გაავრცელა, ნათქვამი იყო, რომ **„საქართველო ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს შორის ISAF-ის ყველაზე დიდი კონტრიბუტორი გახდება“** (დღეს, ამ მხრივ, პირველ ადგილზეა ავსტრალია 1550-კაციანი კონტინგენტით). 9 ივნისს ბრიუსელში ISAF-ის ძალების სარდლის — დევიდ პეტრეუსისა და თავდაცვის მინისტრის — ბაჩო ახალაიას შეხვედრის შემდეგ საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ ავღანეთში დამატებით ძალებს გავაგზავნით.

გასულ კვირას აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ წლის ბოლომდე ავღანეთს 10 ათასი ამერიკელი სამხედრო დატოვებს, მომავალი წლის პირველ ნახევარში — კიდევ 23 ათასი. ამასთანავე, იგულისხმება, რომ ჯარების გაყვანა გაგრძელდება და 2014 წლიდან უსაფრთხოებას ავღანეთში მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს. იცვლება ამერიკელი სამხედროების მოქმედების ხასიათიც: **„ჩვენი ამოცანა შეიცვალა — ბრძოლის წარმოებიდან მხარდაჭერის აღმოჩენაზე გადავდივართ,“** — თქვა ობამამ. ამ განცხადების შემდეგ თავიანთი კონტინგენტების ეტაპობრივი შემცირების შესახებ განცხადებები დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთისა და ბელგიის მთავრობებმა გააკეთეს. **ჰილარი კლინტონმა კი დაადასტურა, რომ შტატებმა თალიბებთან კონტაქტის დამყარება დაიწყო: „მოლაპარაკებები მათთან უსიამოვნოა, მაგრამ აუცილებელი,“** — თქვა სახელმწიფო მდივანმა.

დროებით თავი დავანებოთ სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებს; ნებისმიერ ომს ადამიანური განზომილება აქვს. ათასობით ამერიკელი და ევროპელი დედა წელს შობას განსაკუთრებული სიხარულით შეხვდება, რადგან მათ გვერდით ომიდან დაბრუნებული შვილები იქნებიან. სხვა ოჯახებს კი იმედი მიეცემათ, რომ მალე მათი დაძაბული მოლოდინიც დასრულდება. საქართველოში საპირისპირო განწყობა იქნება, რადგან, როდესაც ისინი თავიანთ ბიჭებს დახვდებიან, ჩვენ ჩვენიანებს ავღანეთში გავაცილებთ.

**დღესაც კი, კონტინგენტის გაზრდამდე, კოალიციის „ყულაბაში“ საქართველოს შენატანი არაპროპორციულად დიდი ჩანს. ავღანეთში 937 სამხედრო გვყავს,** მაშინ, როდესაც ნატოს წევრ დანიას — 750, ბულგარეთს — 606, ჩეხეთს — 519, ბელგიას — 507, ნორვეგიას — 406, უნგრეთს — 383, ხორვატიას — 320, ლიტვას — 237, ესტონეთს — 163, საბერძნეთს — 162, ლატვიას — 139, პორტუგალიას — 133. რაც შეეხება ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს, აქ ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ავსტრალია „გვისწრებს“, სხვა კონტინგენტები კი უფრო მცირეა: შვედეთი — 500, სამხრეთ კორეა — 426, ახალი ზელანდია — 191, ფინეთი — 156 და ა.შ. **ჩამოთვლილი ქვეყნების უმრავლესობას საქართველოზე გაცილებით დიდი სამხედრო პოტენციალი აქვს და თეორიულად ბევრად მეტი სამხედროს გაგზავნა შეეძლოთ, მაგრამ ეს არ მომხდარა. მეტიც, ამ ქვეყნების მთავრობები ზრუნავენ იმაზე, რომ მათმა ჯარისკაცებმა შედარებით უსაფრთხო ზონებში იმსახურონ.**

ვაშინგტონი პარტნიორებს გამუდმებით ურჩევს, თავიანთი კონტინგენტი გაზარდონ, ან, როგორც მინიმუმი, არ შეამცირონ. ამ ზეწოლას ყველა როდი უძლებს, მაგრამ, თუ (მაგალითად) სლოვენიელებთან საუბარი ერთი დამატებითი ოცეულის, ხოლო ჩეხებთან ერთი ასეულის გაგზავნაზე მიმდინარეობს, სააკაშვილი ავღანეთში, **„ოჰგკმს ლვმდენმეს პუკმ“** ბატალიონებს აგზავნის და მალე, ალბათ, ბრიგადებზე გადავა. მმართველ პარტიას კოლექტიური ჭკუა დაუშლის, გონება თუ საზოგადოებრივი აზრი?

**„— ბიჭებო, თქვენ აქ, ტყვიამფრქვევთან, დარჩით, ჩვენ კი წავედით!**

**— სად წახვედით?!**

**— სახლში!“**

ოფიცერს, რომელიც ჯარისკაცებს ასე დაელაპარაკება, ნორმალური სარდლობა, ალბათ, სამხრეებს ჩამოახევს და შეაჭმევს კიდეც, თუმცა საერთაშორისო პოლიტიკაში უარესიც მოსულა. ფაქტია, ისინი ნელ-ნელა მიდიან, ჩვენ კი **„ტყვიამფრქვევთან ვრჩებით“**, მეტიც, პოზიციებს ვამაგრებთ.

ისინი მიდიან... ახალი, პრინციპში, არაფერი ხდება, მორიგი უცხოური არმია ტოვებს ავღანეთს, ისე, რომ გამარჯვებას ვერ აღწევს. ფორმალურად, ამერიკელი სამხედროები ბრძოლის ველზე არ დამარცხებულან, თუმცა ვიეტნამშიც ასე იყო: **კომუნისტებმა აშშ-ის მოკავშირე საიგონის რეჟიმი მას შემდეგ გაანადგურეს, რაც ამერიკელებმა ჯარები გაიყვანეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეს არავინ უარყოფს იმას, რომ შტატებმა ვიეტნამში უმძიმესი მარცხი იწვნიეს. ჯერჯერობით შემოვიფარგლოთ ნეიტრალური ფორმულირებით „ვერ გაიმარჯვეს“ და იმ ფაქტის კონსტატაციით, რომ თავიდანვე (და ოდითგანვე) გაუგებარი იყო, რას ნიშნავს „გამარჯვება ავღანეთში“ საერთოდ.**

არადა, ცოტა ხნის წინათ ძალთა თანაფარდობა უპრეცედენტო გახდა: 35 ათასი თალიბის პირისპირ (ეს ISAF-ის ძალების ყოფილი სარდლის, გენერალ სტენლი მაკკრისტალის შეფასებაა; არის სხვა შეფასებები, მაქსიმალური დასახელებული რიცხვი 93 ათასია) კოალიციის 130 ათასი სამხედრო და ავღანური სამთავრობო ძალების 250 ათასამდე მებრძოლი იდგა (140 ათასი — არმიაში, 110 ათასი — პოლიციაში); ამას უნდა მივამატოთ აბსოლუტური უპირატესობა ავიაციასა და ტექნიკაში. **შედარებისთვის: ვიეტნამში ამერიკელებისთვის ყველაზე წარმატებულ პერიოდში 1 მოწინააღმდეგეზე 5 ამერიკელი და სამხრეთვიეტნამელი მოდიოდა. თუმცა ზომას ხანდახან მნიშვნელობა არ აქვს.**

სხვათა შორის, საბჭოთა კონტინგენტი ავღანეთში უფრო მცირერიცხოვანი იყო (106 ათასი სამხედრო 1985 წელს; ეს მაქსიმალური მაჩვენებელია), მას უფრო ნაკლები ავღანელი ძალოვანი ეხმარებოდა. მაგრამ ეს ძალა ავღანეთის ტერიტორიის 70%-ს ასე თუ ისე მყარად აკონტროლებდა; ISAF-ის მიღწევების მაქსიმუმი ამის ნახევარია. საქმეში ჩახედული ამერიკული უწყებების შეფასებით (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და სხვა), **საბჭოელებს გაცილებით მეტი, 150-დან 250 ათასამდე მოჯაჰედი ებრძოდა. მხოლოდ CIA-ს ბანაკებში 13 ათასი მომზადდა, გაცილებით მეტი პაკისტანელმა ინსტრუქტორებმა გაწვრთნეს** (იყო ბანაკები ირანშიც). **დღეს თალიბები მსგავს მომზადებაზე ვერც იოცნებებენ. აშშ ყოველწლიურად აწვდიდა მოჯაჰედებს 65 ათას ტონა მაღალტექნოლოგიურ შეიარაღებასა და აღჭურვილობას** („სტინგერები“, პლასტიკური ნაღმები, კავშირგაბმულობის საშუალებები და ა.შ.). **შტატების გარდა, მათ მხარს უჭერდნენ საუდის არაბეთი, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ირანი; ჯამში დახმარება 20 მილიარდ დოლარს აღწევდა. დღეს თალიბებს წელიწადში მხოლოდ 150 მილიონის ღირებულების** (თანაც 80-იანებიდან მოყოლებული დოლარი ძლიერ გაუფასურდა) **50 ათას ტონამდე დაბალტექნოლოგიური შეიარაღებისა და აღჭურვილობის შეძენა შეუძლიათ. თუმცა პარალელების გავლებას აზრი, ალბათ, არ აქვს, რადგან ეს მაინც სხვა ომი და სულ სხვა არმია იყო.**

ყოველივე თქმული სულაც არ ნიშნავს, რომ ამერიკელმა სამხედროებმა ცუდად იომეს. მაგალითად, შარშან ყანდაგართან (ოპერაცია „Dragon Strike“) 101-ე დივიზიის მებრძოლებმა თავი მართლაც არ დაზოგეს. გაიმართა ბევრი დრამატული ბრძოლა, დაიღუპა კოალიციის ათეულობით მებრძოლი, დაუდგენელი რაოდენობის თალიბი და ასეულობით მშვიდობიანი მოქალაქე. ყანდაგარის გარშემო შეიკრა 16 საყრდენი პუნქტისგან შემდგარი უსაფრთხოების რკალი, ქალაქის ცენტრში 2000-ზე მეტი პოლიციელი შეიყვანეს. საინტერესოა, რა ვითარებაა ყანდაგარში დღეს.

როდესაც პოლიციელები ქალაქში გადიან, სახეს მალავენ, რათა თალიბებმა არ იცნონ. საქმე ისაა, რომ ღამით კონტროლი ქალაქზე, ფაქტობრივად, თალიბების ხელში გადადის. მათი მობილური რაზმები მოტოციკლებით მთელ ქალაქში დადიან და პოლიციელებს ან იმ ადამიანებს ეძებენ, ვინც ხელისუფლებასთან თანამშრომლობს. როგორც წესი, მსხვერპლს გაფრთხილებას უგზავნიან, ხოლო, თუ ის ყანდაგარიდან გასწრებას ვერ მოახერხებს, კლავენ. გასულ წელს თალიბების „სიკვდილის ესკადრონებმა“ ყანდაგარში სიცოცხლეს 600-მდე ადამიანი გამოასალმეს. **თითქმის ყოველდღე ხდება თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების აფეთქება მძიმე შედეგებით. კაცმა რომ თქვას, ცეცხლმოკიდებულ ბორდელში უფრო მეტი წესრიგია, ვიდრე ქალაქ ყანდაგარში. თუმცა რა პრეტენზიები გვაქვს ავღანელ პოლიციელებთან? მაგალითად, ჰელმანდის პროვინციაში, სადაც ჩვენი სამხედროები მსახურობენ, BBC-ის ცნობით, პოლიციელების 60% ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელია.**

ისე, ამერიკელებისა და მათი ავღანელი მოკავშირეების თავგადასავლების კვლევის ნაცვლად, აჯობებს, ისევ ჩვენს პრობლემებს მივუბრუნდეთ. იქნებ, ჩამოვყალიბდეთ, **რას ვიცავთ ავღანეთში? ჰამიდ კარზაის ძირგამომპალ რეჟიმს, რომლის უკიდეგანო კორუმპირებულობაში ეჭვი არც ერთ ამერიკელ კომენტატორს არ შეაქვს, თუ „ავღანურ დემოკრატიას“** (ბოდიში უხერხული გამონათქვამისთვის)? **მართალია, ზოგიერთი ქართველი ექსპერტი გოროზად საუბრობს „ომზე ტერორიზმთან“, მაგრამ მათ, სავარაუდოდ, არ იციან, რომ ეს ტერმინი, ორი წელია, არაკორექტულად ითვლება და პენტაგონის დოკუმენტებში ფიგურირებს, უბრალოდ, „საგანგებო ოპერაცია უცხოეთში“.**

სხვა, უფრო მარტივი ფორმულირება ხომ არ მოგვეძებნა? მაგალითად, ასეთი: **სააკაშვილს ძია სემის ვალი მართებს** (აქ, ცხადია, არა მხოლოდ ფინანსები იგულისხმება) **და ჩვენ სამხედროებს ავღანეთში სწორედ ამიტომ აგზავნის. 9 მათგანი უკვე დაიღუპა. რისკი იზრდება; ამერიკელების გასვლის პროცესში შეიძლება უამრავი საშიში, უსაფრთხოების მზარდ დეფიციტთან დაკავშირებული სიტუაცია შეიქმნას.**

პროპაგანდის ზღაპრები იმასთან დაკავშირებით, რომ მთელი ეს პროცესი ნატოსთან გვაახლოებს და ქართველ სამხედროებს სამშობლოს დაცვისთვის აუცილებელ, განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს სძენს, ყურადღების ღირსი, ალბათ, არ არის. აგვისტოს ომმა ნათლად აჩვენა, რომ **„ამერიკულ ყაიდაზე“ გაწვრთნილი ქართული ქვედანაყოფები, ძირითადად, კოლონიური ტიპის ომებში ნახევრადსაპოლიციო ფუნქციების შესრულებისთვის მოამზადეს.** თვალი შევავლოთ პოტენციური მოწინააღმდეგეების არმიებს: რომელი მათგანი ჩამოჰგავს თალიბებს (თუნდაც წვერით) ან მათ ტაქტიკას რომელი იყენებს?

**წიგნში „ეს ჩვენი სამშობლო იწვის“** გენერალი გია ყარყარაშვილი დაწვრილებით აღწერს 43-ე ბატალიონის მოქმედებას აგვისტოს ომის დროს. ეს ბატალიონი ზნაურის მიმართულებით მოქმედებდა და მსხვილ რუსულ ქვედანაყოფებს მისთვის გზა არ გადაუღობავს, წინააღმდეგობას მხოლოდ მცირე ოსური ჯგუფები უწევდნენ. აშკარად ჩანს, რომ ბატალიონი „ბუქსაობდა“ მაშინაც კი, როდესაც შეტაკება საკმაოდ სუსტ ჯგუფებთან უწევდა. **„43-ე ბატალიონის მოქმედება დეტალურად აღვწერე, რათა მეჩვენებინა, ქართული ბატალიონები შეტევისას რა ტაქტიკით მოქმედებდნენ და რა ამოცანები ჰქონდათ დასახული,** — წერს ყარყარაშვილი, — **ასე იყვნენ მომზადებულები და გაწვრთნილები. მათ მოქმედებაში ვერ ვნახულობთ შეტევისთვის დამახასიათებელ მოთხოვნებს, ისეთს, როგორიც არის შეუჩერებლად დღისა და ღამის განმავლობაში სწრაფი ტემპით სვლა, ძალების სრული დაძაბვით გადამწყვეტი დარტყმების განხორციელება, მანევრირება, მოწინააღმდეგის თავდაცვითი პოზიციების გარღვევა და სიღრმეში გასვლა“.**

აგვისტოს კატასტროფის კვალობაზე მაიკლ ჩეჩირემ „Eurasia Review-ში დაწერა: **„ქართული არმია ტერიტორიის დაცვისთვის დღემდე არ მოუმზადებიათ“**. ეს, ალბათ, უნიკალური შემთხვევაა ისტორიაში, როდესაც არმია არა საკუთარი ქვეყნის, არამედ უცხოელი პარტნიორის (თუ პატრონის?) ინტერესებიდან გამომდინარე იწვრთნება. რაც შეეხება მომზადებას „ტერიტორიის დაცვისთვის“, ამ მხრივ, ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი, ალბათ, ამერიკელების მიერ საგულდაგულოდ შეიარაღებული და გაწვრთნილი სამხრეთ ვიეტნამის არმიაა, უფრო სწორად კი, სევდიანი მოგონებები მასზე. თუმცა ასე შორს ნუ წავალთ, აგერ ახალი ავღანური არმია, რომელსაც ამერიკელები დაუცხრომლად ამზადებენ.

იმავე ყანდაგართან ბრძოლების დროს, იმავე 101-ე დივიზიის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაურმა პეტერ ბენჰოფმა თავის მებრძოლებს ავღანელ მოკავშირეებთან ერთად საბრძოლველად წასვლა აუკრძალა. **„ისინი არა მხოლოდ უსარგებლონი, არამედ საშიშნიც არიან**,“ — ამბობდნენ ამერიკელი ჯარისკაცები. ჟურნალისტებმა კი მაშინ ასეთი სცენა იხილეს: **„როდესაც თალიბებმა ცეცხლი გახსნეს, ავღანელი ჯარისკაცების ნაწილი ახლომდებარე ვენახში გაიქცა, ხოლო ნაწილმა არაფერი მოიმოქმედა. მეტყვიამფრქვევემ სცადა, შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მას შუა ბრძოლაში ჩაეძინა, ხოლო ოფიცერს ჯარისკაცებისთვის ქვების სროლა მოუხდა, რათა ცოტათი მაინც დაემორჩილონ“**. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ უარვყოფთ ავღანური სამთავრობო ძალების მთელი რიგი მებრძოლების სიმამაცეს, თუმცა მათი არმია დღეს, რბილად რომ ვთქვათ, არადამაჯერებლად გამოიყურება.

ადრე თუ გვიან, ალბათ, ყველაფერს ეშველება, გარდა ერთისა: ქართული საზოგადოება (მცირე გამონაკლისის გარდა) ავღანეთში დამატებითი ძალების გაგზავნას გულგრილად ხვდება. კითხვები: „რატომ?“ „რატომ ამდენი?“ და ა.შ. პრაქტიკულად არ ისმის, თითქოს საქმე სხვის შვილებს ან უცხო ქვეყნის არმიას ეხება. ეს საკმაოდ მძიმე, სახასიათო სიმპტომია, რაც ერთი გვარიანი დიაგნოზის გაშლას მოითხოვს. მაგრამ, ვინაიდან პაციენტს განკურნება, როგორც ჩანს, არ სურს, ამის გაკეთებას აზრი, ალბათ, არც აქვს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**17 ოჯახის ქვითარს გადავხედე; გადასახადი საგრძნობლად მხოლოდ ორ მრავალსულიან ოჯახს შეუმცირდა, ექვსის მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა, დანარჩენი 9 კი სერიოზულად დაზარალდა. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი იმ ორი ოჯახიდან, რომელმაც ამ ცვლილებებით მოიგო, საკმაოდ მდიდარია, ხოლო დაზარალებულების უმრავლესობა, პირიქით, — ხელმოკლე. თუ საქმე მაინცდამაინც სოციალურ სამართლიანობაზე მიდგა, ალბათ, უფრო ლოგიკური იქნებოდა, დასუფთავება საშემოსავლო გადასახადზე მიებათ (ესეც ძალიან საეჭვო ვარიანტია), მაგრამ ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, ძლიერ დაზარალდებოდნენ თავად „ნაციონალები“ და მათ სამსახურში მყოფი პირები, რასაც ხელისუფლება, ცხადია, ვერ დაუშვებდა.**



**ვახტანგ ხმალაძე,** ექსპერტი:

საარჩევნო ინიციატივები, რომლებიც ხელისუფლებამ ოპოზიციურ „რვიანს“ წარუდგინა, რეალურად პოლიტიკურ კორუფციას წარმოადგენს.

*„პირველი“*



**კახა შარტავა,** „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი:

რამდენი ცალკეული ჯგუფი უაზრო და უგუნური ქმედების ჩადენას მოინდომებს, ეს ჩვენ ხომ არ გვავალდებულებს, მათ ღონისძიებებში წინ და უკან ვირბინოთ?!

*„ვერსია“*



**სოზარ სუბარი,** „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე:

ხელისუფლებამ არაფერი დათმო. მის შეთავაზებებში ერთი წინადადებაც კი არ არის, რომელიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას შეეხება. ეს დაემსგავსა პოლიტიკურ დიალოგში მონაწილე პარტიების იაფფასიან მოსყიდვას.

*„საქინფორმი“*



**დავით დარჩიაშვილი,** საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი:

ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებულ შეთანხმებებს არ უერთდებიან, თავს პოლიტიკური პროცესებიდან ამოვარდნის რისკის ქვეშ აყენებენ.

*„პირველი“*



**სოსო ჯაჭვლიანი,** მსახიობი:

თავისუფლებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებ. მეცოდებიან ესენი. არ ვიცი, ვინ არიან, საიდან მოვიდნენ, ან რა ჯიშის არიან?! მე მგონი, გველზე დამყნობილი მორიელები არიან. თუ მალე არ წავლენ, ხალხის რისხვას ველარ გაასწრებენ!

*„კვირის პალიტრა“*

# შუქი გამორთე, ნაგავს წერს!



**გასულ კვირას ეს ფრაზა თბილისში სინათლის სიჩქარით გავრცელდა. დასუფთავების ძველი, ფიქსირებული მოსაკრებელი (2,5 ლარი ერთ სულ მოსახლეზე) გაუქმდა. ამიერიდან ნაგვის გატანისთვის თითოეული ოჯახი იმის მიხედვით გადაიხდის, თუ რამდენ ელექტროენერგიას მოიხმარს (5 თეთრი — თითო დახარჯულ კილოვატზე). შუქსა და ნაგავს შორის რაიმე ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მოძებნა ცხონებული არისტოტელეს შესაძლებლობებსაც აღემატება, თუმცა რიგი ფილოსოფიური საკითხების განხილვის შესაძლებლობას ახალი რეალობა მაინც იძლევა. მაგალითად, ასეთის: გაუმაძღრობა შობს შიზოფრენიას თუ პირიქით? ან, იქნებ, ორივეს შეუზღუდავი ძალაუფლება შობს? ფაქტია, მრიცხველი ტრიალებს და ნაგავს წერს; ალბათ, უნდა ვეცადოთ, ამას რაიმე ახსნა მოვუძებნოთ.**

### ბინძური ფულის მოკრძალებული არომატი

**პირველი ადამიანი, რომელიც დასუფთავების გადასახადს გადაჰყვა, ლეგენდარული მეფე ავგიუსი იყო. ზოგადად, ის ფრიად პროგრესული კაცი გახლდათ, არგონავტი და ოლიმპიური თამაშების სპონსორი, მაგრამ სერიოზული პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც ჰერაკლეს ცნობილი თავლების დასუფთავებისთვის წინასწარ შეთანხმებული თანხა არ გადაუხადა. იმ თვითგამოცხადებულმა მენაგვემ ჯერ ომი აუტეხა, შემდეგ კი მოკლა კიდეც.**

**მოგვიანებით მთელ ამ დებოშს „ჰერაკლეს მეექვსე გმირობა“ ეწოდა. არადა, პროცესების უშუალო მონაწილეებმა ჰერაკლეს ეს თავგადასავალი გმირობად არ ჩაუთვალეს, რადგან ტერიტორიას „ფულის გულიზა“ ასუფთავებდა.**

ამ ინციდენტის შემდეგ, კაცობრიობა ერთობ დამშვიდდა და დასუფთავების საფასურის პირდაპირი კავშირი სულის ამოხდასთან მითოლოგიას ჩაბარდა. თუმცა გასული თვის დენის ქვითარს ავიღებთ და დახარჯულ კილოვატებს 5 თეთრზე გავამრავლებთ, დიდი ალბათობით, ვნახავთ, რომ საოჯახო ბიუჯეტს ავგიუსზე უარესად მოეხაზა. მართალია, ხელისუფლების წარმომადგენლები მონოტონურად გვიმტკიცებენ, რომ ახალი წესი სამართლიანია და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მომგებიანი იქნება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ისინი მოსახლეობისგან გაცილებით მეტი თანხის ამოღებას გეგმავენ, ვიდრე ადრე.

**17 ოჯახის ქვითარს გადავხედე; გადასახადი საგრძნობლად მხოლოდ ორ მრავალსულიან ოჯახს შეუმცირდა, ექვსის მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა, დანარჩენი 9 კი სერიოზულად დაზარალდა. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი იმ ორი ოჯახიდან, რომელმაც ამ ცვლილებებით მოიგო, საკმაოდ მდიდარია, ხოლო დაზარალებულების უმრავლესობა, პირიქით, — ხელმოკლე. თუ საქმე მაინცდამაინც სოციალურ სამართლიანობაზე მიდგა, ალბათ, უფრო ლოგიკური იქნებოდა, დასუფთავება საშემოსავლო გადასახადზე მიებათ (ესეც ძალიან საეჭვო ვარიანტია), მაგრამ ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, ძლიერ დაზარალდებოდნენ თავად „ნაციონალები“ და მათ სამსახურში მყოფი პირები, რასაც ხელისუფლება, ცხადია, ვერ დაუშვებდა.**

კაცმა რომ თქვას, საქართველოს მოსახლეობა იმკის მხოლოდ იმას, რაც დათესა. როდესაც სულ რაღაც ექვსი თვის წინათ ერთ სულ მოსახლეზე დასუფთავების მოსაკრებელი 1,2 ლარიდან 2,5 ლარამდე გაზარდეს, ამას სათანადო პროტესტი არ მოჰყოლია, ისევე, როგორც ე.წ. ერთიანი ქვითრის შემოღებას. შემდეგ ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ საქმე აქვს ცხვრებთან, რომლებიც, ძველად რომ იტყოდნენ, უნდა გაიპარსოს, და მოსახლეობიდან უფრო დიდი თანხის ამოღება გადაწყვიტა; ადეკვატური პროტესტი არც ამ ბოლო ნაბიჯს მოჰყოლია. ამასობაში კი „საქსტატის“ მონაცემებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 30,7%-ით გაიზარდა.

**მიუხედავად იმისა, რომ საქმე ოფიციალურ სტატისტიკასთან გვაქვს, ამ ზრდის ამსახველი ციფრები მაინც ფრიად შთამბეჭდავად გამოიყურება: ხილის ქვეჯგუფი — 93,7%, ბოსტნეული და ბაღჩეული — 41,3%, ზეთი და ცხიმი — 34,5%, ხორცი და ხორცის პროდუქტი — 23,3%, საწვავი — 21,4%. გასაგებია, რომ საზოგადოების ნაწილი, დიდი ხანია, აღარ გამოთქვამს პროტესტს ისეთ მაღალ მატერიებთან დაკავშირებით, როგორიცაა ზოგადი უსამართლობა და ზოოპარკისთვის შესაფერისი საარჩევნო გარემო, მაგრამ, როდესაც ადამიანი იმასაც კი არ აპროტესტებს, რომ დღისით, მზისით მას და მის შვილებს ლუკმაპურს ართმევენ, ვითარება, ალბათ, გაცილებით მძიმეა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.**

საკრებულოს გადაწყვეტილება „ენერგეტიკულ ნაგავთან“ დაკავშირებით წინააღმდეგობაში შევიდა კანონთან „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“, რომლის მე-12 პრიმა მუხლის მე-4 პუნქტი ამაყად გვამცნობს: „მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში“, თუმცა ექვსიოდე თვის წინათ იმავე ადგილას ეწერა: „არ უნდა აღემატებოდეს... 1,5 ლარს თვეში“. ასე რომ, ამ წინაღობის გადალახვა ხელისუფლებისთვის განსაკუთრებული პრობლემა, სავარაუდოდ, არ გახდება.

**„მას შემდეგ, რაც ჰაერის გადასახადი შემოვიღეთ, თქვენ ნაკლებს სუნთქავთ. ეს შეუწყნარებელია!“ —** იტყოდა „ჩიპოლინოს“ ერთ-ერთი გმირი და ჩვენს მსგავს აბსურდულ მდგომარეობას, როგორც ჩანს, სულ უფრო ვუახლოვდებით. საინტერესოა, როგორი იქნება შემდეგი ნაბიჯი? **„მზის გადასახადის“** შემოღება ხომ არა? **(ბალეარის კუნძულებზე არსებობს, იქაური ხელისუფლება მიღებულ თანხას პლაჟებიდან სწორედ რომ ნაგავის გატანაზე ხარჯავს, თუმცა სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 1 ევროს დღეში მზით სარგებლობისთვის არა იქაური მოსახლეობა, არამედ ტურისტები იხდიან).**

თუ სააკაშვილი ვესპასიანეს გზას გაუყვება და თითოეულ პისუართან საგადასახადო ინსპექტორს დააყენებს? (ჩვენში დარჩეს და, ის ხალხი, ვინც იქ დადგება, ნამდვილად მოიძებნება). თუმცა ნუ წარმოვიდგენთ ვესპასიანეს გაუმაძღარ იდიოტად, მოქალაქეებს შარდვის საფასურს რომ ართმევდა (ცნობილი რეპლიკა „ფულს სუნი არ აქვს“ და მასთან დაკავშირებული ამბები); იმპერატორის მოქმედებაში გარკვეული ლოგიკა იყო. საქმე ისაა, რომ ტყავის დამუშავებისთვის მაშინ შარდს იყენებდნენ; ისინი, ვისაც ტყავის ბიზნესი ჰქონდა, რაღაც მომენტში მიხვდნენ, რომ ქალაქგარეთ, ფერმებში ხეტიალი და იქ შინაური ცხოველების შარდის ▶

## «საქსტატის» მონაცემებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 30,7%-ით გაიზარდა

## «საქართველოს რკინიგზა» — ახალი «ნაციონალური» ექსპროპრიატორი

**შპს „საქართველოს რკინიგზას“ თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის პროექტით განსაზღვრული სამუშაოების ზოლში მოხვედრილი, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა.** აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის, — ასეა განმარტებული ექსპროპრიაციის უფლების მინიჭება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებაში. ცალკეული პირებს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, მრავალწლიანი ნარგავები და სხვა უძრავი ქონება ჩამოერთმევათ.



## აზიას ევროპაზე მეტი მილიონერი ჰყავს

**მილიონერების რაოდენობით აზიამ ევროპას გაუსწრო. ამის შესახებ საინვესტიციო ბანკ „მერილ ლინჩისა“ და საკონსალტინგო კომპანია „კაპგემინის“ ყოველწლიურ რეიტინგშია ნათქვამი.** კვლევის მიხედვით, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მილიონერთა რაოდენობა 2010 წელთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა და 3,3 მილიონი ადამიანი შეადგინა. შედარებისთვის: აშშ-ში 3,4 მილიონი მილიონერი ცხოვრობს და მათი საერთო ქონება მილიარდ დოლარს აჭარბებს, ევროპაში კი 3,1 მილიონი მილიონერია.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გზებსა და შენობებზე ნახატებისა და წარწერების გაკეთებაში შემჩნეულ საჯარო მოხელეებსა და პოლიტიკური თანამდებობის პირებს იარაღის ტარების უფლება დროებით ჩამოერთმევათ. ნეტავ, სად პოულობენ პაპუასური მენტალობის ასეთ თვალსაჩინო მატარებლებს, რომლებიც კედლებზე წერენ და ხატავენ, ან რისთვის მოჰყავთ ხელისუფლებაში, ან რატომ აძლევენ იარაღს? იმისთვის ხომ არა, რომ აღზრდის მარწუხებისგან თავისუფალმა ორანგუტანგებმა, ზედმეტი დაფიქრების გარეშე, ეს იარაღი საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას მიუშვირონ?**

# როდესაც ხელისუფლების თვითკმაყოფილება და თავდაჯერებულობა პიკს მიაღწევს, კადრში შავი გედი შემოფრინდება



საგანგებო შეგროვება ძვირია, ხოლო რომის ხალხმრავალ ადგილებში დიდი ქოთნების დაყენება — გაცილებით იაფი. როდესაც ვესპასიანემ შეიტყო, რომ ეს მოხერხებული ტიპები ინგრედიენტებს მუქთად შოულობდნენ, მათ საგანგებო გადასახადი დაუწესა. მოგვიანებით ისტორიკოსების ნაწილმა ეს ამბები ისე აღწერა, თითქოს იმპერატორი საზოგადოებრივ ტუალეტებს და მთელ მოსახლეობას დაერია.

**მაგრამ ეს ისე, სიტყვამ მოიტანა, თორემ ყოველგვარი პარალელების გავლება სააკაშვილსა და ვესპასიანეს შორის უადგილო და სასაცილოა; რომის ჭკვიანმა და მამაცმა იმპერატორმა შვილს დალაგებული და გაფართოებული ქვეყანა დაუტოვა, მიხეილ სააკაშვილი კი, დღევანდელი ტენდენციებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში ქვას ქვაზე არ დატოვებს.**

## ქვის ხანა, კედლის ნახატები

**ბოლო დროს კანონპროექტების შეგროვება დავიწყე, რადგან ფრიად სახალისოა იმაზე დაკვირვება, თუ როგორ გადადის კანონშემოქმედება გაქანებულ ფსიქიატრიაში; აგერ ერთ-ერთი ბოლო მაგალითი, რომელიც საკმაოდ მკაფიო წარმოდგენას ქმნის იმაზე, თუ ვინ მართავს დღეს საქართველოს: „გზებსა და შენობებზე ნახატებისა და წარწერების გაკეთებაში შემჩნეულ საჯარო მოხელეებსა და პოლიტიკური თანამდებობის პირებს იარაღის ტარების უფლება დროებით ჩამოერთმევათ. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის.**

კანონპროექტის თანახმად, ადმინისტრაციული შენობის ფასადებზე, მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებათა სავალ ნაწილზე სხვადასხვა წარწერების, ნახატების სიმბოლოების თვითნებურად შესრულებაში ხელმეორედ შემჩნეულ მოხელეს სამი წლით საშტატო-სამსახურებრივი იარაღის ტარების უფლებას ჩამოართმევენ“ („ინტერპრესნიუსი“). **კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები პავლე კუბლაშვილი („Если не он, то кто?!“), გიორგი ჩივიაშვილი და ზვიად კუკავა არიან.**

**წარმოვიდგინოთ ეს სიტუაცია: ქუჩაში შეიარაღებული მოხელე მოდის, ასე ვთქვათ, სახელმწიფოებრიობის ბურჯი, ჩაგრულთა დამცველი და სასოწარკვეთილთა იმედი (იდეაში, რეალობაში კი არა). უცებ, ეს ადამიანი იღებს ლურსმანს (ცარცს, საღებავს, რა მნიშვნელობა აქვს) და კედლებზე სიტყვებისა და სიმბოლოების (ხომ წარმოგიდგენიათ როგორის?) ამოტვიფრას იწყებს. ეს მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს: ან მას ფსიქიკასთან იმდენად სერიოზული პრობლემები აქვს, რომ, იარაღი კი არა, დალეჭილი ჰალსტუხი არ უნდა ანდო, ან კიდევ ხსენებული მოხელე თავისი ცივილიზაციურ-კულტურული განვითარების დონით სადღაც ნეანდერტალელების სიახლოვეს იმყოფება (ერთი ვარიანტი მეორეს არ გამორიცხავს).**

როგორც ჩანს, საქმე ძალიან ცუდადაა, იმისთვის, რომ ესა თუ ის კანონპროექტი მომზადდეს, ადგილი ხომ არა მხოლოდ ერთ პრეცედენტს, არამედ ზოგად ტენდენციას უნდა ჰქონდეს. ჩვენ აზრადაც ვერ გავივლებთ ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ისეთ გამოცდილ იურისტს, როგორიცაა პავლე კუბლაშვილი, ბანალური ხილვები დაეწყო და მათ საფუძველზე პრევენციული კანონპროექტი შექმნა. ნეტავ, სად პოულობენ პაპუასური მენტალობის ასეთ თვალსაჩინო მატარებლებს, რომლებიც კედლებზე წერენ და ხატავენ, ან რისთვის მოჰყავთ ხელისუფლებაში, ან რატომ აძლევენ იარაღს? იმისთვის ხომ არა, რომ აღზრდის მარწუხებისგან თავისუფალმა ორანგუტანგებმა, ზედმეტი დაფიქრების გარეშე, ეს იარაღი საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას მიუშვირონ?

**დეპუტატ კუბლაშვილის ნამდვილად არ უნდა შეგვშურდეს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ტიპების გარემოცვაში უწევს მუშაობა: ისინი კედლებზე წერენ, პავლე დასდევს და მორალს უკითხავს, ისინი მაინც წერენ, პავლე მაინც დასდევს... ბოლოს, როგორც ჩანს, ყელში ამოუვიდა და კანონპროექტი დაწერა, პარლამენტის შესაბამის დადგენილებას კი, ალბათ, კედლებზე ამოტვიფრავს (მიზნობრივ აუდიტორიას ხმა ხომ უნდა მიაწვდინოს).**

სხვა მხრივ კი პავლე კუბლაშვილსა და მის თანამეინახეებს თავი, ერთი შეხედვით, ქუდში აქვთ. საქმე ნელ-ნელა „არჩევნებისკენ“ (ორმაგი ბრჭყალები მოუხდებოდა) მიდის. საინფორმაციო სივრცეში სხვადასხვა „რეიტინგის“ (სამმაგი ბრჭყალები) შემოგდებით, მმართველი პარტია, როგორც ჩანს, ცდილობს, დაამკვიდროს აზრი, რომ მას მხარს მოსახლეობის 70%-ზე მეტი უჭერს და, სავარაუდოდ, გვთავაზობს, თანდათან შევეგუოთ იმას, რომ მომავალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ეყოლება. **ხელისუფლებას თითქოსდა არაფერი ემუქრება (სინამდვილეში ის ფრიად არასახარბიელო მდგომარეობაშია, თუმცა ამჯერად ოფიციალური მითოლოგიის ჩარჩოებში დავრჩეთ). მაგრამ ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ იმ მომენტში, როდესაც მისი თვითკმაყოფილება და თავდაჯერებულობა მომავალთან დაკავშირებით პიკს მიაღწევს, კადრში შავი გედი არ შემოფრინდება.**

## მოულოდნელის მოლოდინში

**ამ შემთხვევაში „შავ გედს“ არც მისტიკასთან, არც პეტრე ჩაიკოვსკის შემოქმედებასთან არანაირი კავშირი არ აქვს. საუბარია ლიბანელი მათემატიკოსის, ნასიმ თალების თეორიაზე, რომლის ზოგად სიჯანსაღეში დარწმუნების შესაძლებლობა შეიძლება ახლო მომავალში მოგვეცეს. თალები თავის წიგნს შემდეგი ისტორიით იწყებს: ავსტრალიის აღმოჩენამდე ყველა თვლიდა, რომ დედამიწაზე მხოლოდ თეთრი გედები არსებობენ. ამ აზრს ბუნების დაკვირვება ამყარებდა. შავი გედის აღმოჩენა მეცნიერებისთვის დიდი სიურპრიზი გახდა, მთავარი კი ისაა, რომ ჩვენი ცოდნა და მასზე დაფუძნებული ვარაუდები უაღრესად მყიფე რამ არის და ერთ წამში შეიძლება განადგურდეს.**

თალები გვთავაზობს, „შავი გედი“ ისეთ მოვლენას ვუწოდოთ, რომელსაც შემდეგი სამი ატრიბუტი გააჩნია: **ა) ის უჩვეულოა და მოლოდინის ზღვარს მიღმა მდებარეობს; ბ) მის მიერ გამოწვეული შედეგები ძალზე მასშტაბურია; გ) მსგავსი მოულოდნელი მოვლენებისთვის „უკანა რიცხვით“ ისეთ ახსნას ვეძებთ (და ვპოულობთ), რომელიც მას სავსებით ბუნებრივად და ლოგიკურად წარმოაჩენს.** ამასთანავე, თალების „შავი გედი“ არის არა უბრალოდ ნაკლებად სავარაუდო მოვლენა, არამედ ის, რაც ადრე ვერ წარმოგვედგინა. ბევრი ომი, რევოლუცია, ფინანსური კატასტროფა თუ ტექნოლოგიური გარღვევა, რომელიც დღეს, მთელი რიგი მიზეზებით განპირობებული გვგონია, იმ დროს როდესაც ის მოხდა, სწორედ ასეთ, მოულოდნელად შემოფრენილ „შავ გედს“ წარმოადგენდა.

ცხადია, ნასიმ თალების მთელ თეორიას აქ სრულყოფილად ვერ გადმოვცემთ (მისი წიგნი წაკითხვად ნამდვილად ღირს), თუმცა, ალბათ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ უცნაურ ფენომენს: ქართული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში, სავარაუდოდ, ჩამოყალიბდა უპრეცედენტო განწყობა, რომელსაც პირობითად შეიძლება „შავი გედის მოლოდინი“ ან სულაც „მოულოდნელის მოლოდინი“ ვუწოდოთ. ძველი იმედები, პოლიტიკური გათვლები გაცვეთილ სტერეოტიპებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანწილად წარსულს ჩაბარდა, თუმცა იმის განცდა, რომ შექმნილი არანორმალური (თითქოსდა გამოუვალი) სიტუაცია არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, დარჩა. ბევრი ადამიანი ელოდება იმას, რომ „მოხდება რაღაც“, რაც სიტუციას საქართველოში ძირფესვიანად შეცვლის, თუმცა ვერ აყალიბებს, რა ფორმა ექნება ამ „რაღაცას“. გამორიცხული არაა, ამ მშფოთვარე მოლოდინმა ახლო მომავალში მართლაც შვას „შავი გედი“, რომელიც ძველ დოგმებზე დაფუძნებულ პროგნოზებსა და გათვლებს ნაცარტუტად აქცევს.

ნებისმიერ შემთხვევაში, გამოცდილება, რომელიც ახლო წარსულში დავაგროვეთ, მომავალთან დაკავშირებით უნივერსალური დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას (და უფლებას) არ გვაძლევს. **ხოლო ის, რომ დღეს სააკაშვილის ხელისუფლება საკუთარ მომავალს ოპტიმისტურად უყურებს, სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ ხსენებულ მომავალს ერთი მოზრდილი შავი გედი ძალიან სწრაფად უახლოვდება.**

**დიმიტრი მონიავა**

**სხვადასხვა «რეიტინგის» შემოგდებით, მმართველი პარტია, როგორც ჩანს, ცდილობს, დაამკვიდროს აზრი, რომ მას მხარს მოსახლეობის 70%-ზე მეტი უჭერს და, სავარაუდოდ, გვთავაზობს, თანდათან შევეგუოთ იმას, რომ მომავალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ეყოლება**

## გაფრაზებული

**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**



მომიხდა იმ რთული გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ჩემამდე არავის მიუღია — გამეზარდა ოფიცერთა ანაზღაურება, რათა ის ნატოს ქვეყნების ოფიცრების ანაზღაურების შესაბამისი გამხდარიყო. სხვაგვარად შეუძლებელია, რუსეთი დაცული ქვეყანა იყოს.

*rian.ru*

**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**



აუცილებელია, სირიის ხელისუფლებაზე ზეწოლა განხორციელდეს, ოღონდ მხოლოდ დიპლომატიური საშუალებებით. ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებისგან უნდა მივაღწიოთ იმ ზომების გამოყენებას, რომლებიც არ განაპირობებს ადამიანთა მსხვერპლს.

*km.ru*

**სილვიო ბერლუსკონი,**
**იტალიის პრემიერ-მინისტრი:**



იტალია ნეხვია და არა ქვეყანა! მე იტალიის დატოვების სურვილიც კი გამიჩნდა. აქ რომ ჩემი შვილები არ ცხოვრობდნენ, ყველაფერს გავყიდდი და წავიდოდი.

*La Stampa*

**პან გი მუნი,**
**გაეროს გენერალური მდივანი:**



სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ყოველგვარი ნდობა დაკარგა, ამიტომ გაეროს უშიშროების საბჭოს მოვუწოდებ, სირიის კრიზისთან დაკავშირებით ყოველგვარი წინააღმდეგობა დაძლიოს.

*rosbalt.ru*

**მოამარ კადაფი,**
**ლიბიის ლიდერი:**



თქვენ განაცხადეთ, რომ გაანადგურეთ მიზანი. თქვენ ხართ მკვლელები! ჩვენი ჯარი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებს უცხოელი ბარბაროსებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ, შემდეგ კი ბრძოლა გაგრძელდება საიქიოში მანამდე, ვიდრე არ განადგურდებით.

*newsru.com*

ამბები

## იტალია ომის შეწყვეტას მოითხოვს



**იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკო ფრატინიმ განაცხადა, რომ იტალია ლიბიაში ომის შეწყვეტას მოითხოვს. მისი თქმით, ომის შეჩერება განადგურებულ ქვეყანაში ჰუმანიტარული დახმარების შეშვებისთვის უნდა მოხდეს.** ასევე უნდა განიხილონ ყველა ის შეცდომა, რომლებიც ნატომ საჰაერო დაბომბვების დროს დაუშვა. ცეცხლის შეწყვეტის მოწოდებით არაბთა ლიგის თავმჯდომარე ამრ მუსაც გამოვიდა. აღნიშნული მოწოდებები 19 ივნისს ნატოს მიერ საცხოვრებელი ადგილების დაბომბვამ გამოიწვია.

## რუსეთ-საფრანგეთის «უნიკალური ურთიერთობები»

**რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ „მისტრალის“ ტიპის ხომალდების შესყიდვის შესახებ შეთანხმება რუსეთ-საფრანგეთის მეგობრობის დამადასტურებელია.** „მისტრალი“ ჩვენთვის განსაკუთრებული საკითხია. ის ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის უნიკალურობას უსვამს ხაზს. მრეწველობის სფეროში ჩვენ აქამდეც ვცდილობდით და მომავალშიც შევეცდებით, რომ ადგილობრივი წარმოება გავზარდოთ, რაც სამხედრო ტექნოლოგიების გადაცემის კვალდაკვალ, პროდუქციის რუსეთის ტერიტორიაზე წარმოებას გულისხმობს“, — განაცხადა პუტინმა.

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საააკაშვილი საქართველოს დემოკრატიულს უწოდებს და თან იმას გაიძახის, ჩვენ ზანგები არ ვართო, რაც მიანიშნებს იმას, რომ სააკაშვილი ძველი, ჩამორჩენილი ცნობიერების ადამიანია. მისი ქვეცნობიერი ზანგებს კვლავ შეზღუდული უფლებების მქონე რასად მიიჩნევს. მისთვის საერთოდ უცნობია, რა არის პოლიტიკური კორექტულობა.

# ნოდარ ხადური: 2008 წლიდან ინვესტიციების ოდენობა ოთხჯერ შემცირდა

**საქართველოს ეკონომიკა ხელისუფლების მიერ გატარებული არასწორი პოლიტიკის შედეგებს იმკის. მძიმე ეკონომიკური ვითარება ქვეყნისთვის არა თუ დასასრული, შესაძლოა, პირიქით, დასაწყისიც აღმოჩნდეს, თუკი ხელისუფლებამ არსებული პოლიტიკური კურსი და ეკონომიკისადმი მიდგომა არ შეცვალა. აღნიშნული პრობლემის ანალიზს ჩვენი მკითხველისთვის საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის ექსპერტი ნოდარ ხადური აკეთებს.**



— ქვეყანა ინვესტიციების შიმშილს განიცდის. ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში 2007 წელს 2 მილიარდ დოლარზე მეტი იყო ინვესტირებული, 2008 წლის პირველ ნახევარში ეს ციფრი მილიარდ-ნახევრამდე შემცირდა, 2009 წელს — 660 მილიონზე ჩამოვიდა, ხოლო შარშან ინვესტირებულმა თანხამ მხოლოდ 550 მილიონი დოლარი შეადგინა. როგორც ხედავთ, 2008 წლიდან ინვესტიციების ოდენობა ოთხჯერ შემცირდა.

პირველი, რაც ინვესტორებს აფერხებს, გაყინული კონფლიქტების ხელახლა „გაცხელებისა" და ომის განახლების საშიშროებაა.

ინვესტიციის ნაკლებობას, ასევე, განაპირობებს გასაღების ბაზარი — რისთვის შემოიტანოს ინვესტორმა პროდუქცია, თუ არ გაყიდა?! ჩვენს ქვეყანაში მსყიდველობითუნარიანობა ძალიან დაბალია. საქართველოში სულ 4 მილიონი მოსახლეა, რომლებიც წელიწადში მხოლოდ 15 მილიარდი ლარის პროდუქციას მოიხმარენ. მაშინ, როცა ბროდვეი და მანჰეტენი იმაზე მეტ შიდა პროდუქციას მოიხმარს, ვიდრე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ერთად.

**ჩვენთან ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2 ათას 600 დოლარია, სომხეთში — დაახლოებით 2 ათას 800 დოლარი, ხოლო აზერბაიჯანში 4-ჯერ აღემატება ჩვენი შიდა პროდუქტის მოცულობას. დასახელებაც კი უხერხულობას ქმნის.**

ამ სამარცხვინო და საგანგაშო მდგომარეობიდან გამოსვლა მხოლოდ ბაზრებზე გასვლითაა შესაძლებელი, რასაც ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობის გამო ვერ ვახერხებთ. პრობლემები არამარტო რუსეთის ბაზარი, არამედ ევროპის ბაზარიცაა, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ აყენებს საკუთარ მოთხოვნებს.

**მიუხედავად მსოფლიო რეიტინგებისა და ხელისუფლების ბაქიაობისა, წარმატებული ქვეყანა ვართო, რეალობა სრულიად საპირისპიროს გვიჩვენებს.**

**— კონტროლის პალატის განცხადებით, საქართველოში მაღალი ინფლაცია ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ გამოიწვია. რაკი სახელმწიფო სტრუქტურამ ეს აღიარა, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე წარმოგვიდგენია?**

— ხელისუფლება ინფლაციის მიზეზად მხოლოდ გარე ფაქტორებს ასახელებდა. არადა, ინფლაციის მაჩვენებლის გამოსავლენად წლიური შედეგების დათვლისას 184 ქვეყნიდან საქართველო 165-ე ადგილზე იყო. ჩვენთან 12%-იანი ინფლაცია დაფიქსირდა, რაც ნამდვილად კატასტროფაა. ნავთობი, ხორბალი და ა.შ. მსოფლიო ბაზარზე მართლაც გაძვირდა, მაგრამ დანარჩენ 164 ქვეყანაზე რატომ არ აისახა ასეთი დიდი ინფლაცია, მათზე რატომ არ იქონია გავლენა ამ გარე ფაქტორებმა?! იმიტომ, რომ ისინი, ჩვენი ხელისუფლებისგან განსხვავებით, სწორ პოლიტიკას აწარმოებენ.

**საქართველოში ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის არსებობაში გადამწყვეტი როლი შიდა ფაქტორებმა ითამაშა, რაც სამ ნაწილად იყოფა: მონეტარული პოლიტიკა (ანუ მოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის ზრდა), ბიუჯეტის დეფიციტი (რომელიც ფინანსთა სამინისტროსა და მთავრობის კომპეტენციაა) და მონოპოლიების (საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების) არსებობა.**

## საქართველოში 2 მილიონ 200 ათასი ადამიანია შრომისუნარიანი, მაგრამ ხელფასს მხოლოდ 600 ათასი იღებს

ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალურია ხორცის თემაც. თბილისში რეალურად აიკრძალა ხორცის გაყიდვა, თუ ის ნატახტარის ან თელეთის სასაკლაოებზე არ არის დაკლული. მაგალითად: თუ სვანეთიდან ჩამოსულ გლეხს საკუთარი საქონლის ხორცის გაყიდვა თბილისში უნდა (რადგან თბილისში, ავად თუ კარგად, ცხოვრების დონე შედარებით მაღალია), საქონელი ჯერ ნატახტარის სასაკლაოზე უნდა მიიყვანოს, გადაიხადოს ტრასპორტირების საფასური, შემდეგ მისი დაკვლისას სასაკლაოს გადაუხადოს კილოგრამში ლარი, ბოლოს უნდა შემოიტანოს დედაქალაქში და კვლავ ტრასპორტირების თანხა გაიღოს. გამოდის, რომ გლეხს ტყუილად გაუზრდია საქონელი, რადგან მისი დაკვლით ზარალი გაცილებით მეტია, ვიდრე სარგებელი.

საბოლოოდ, თბილისის ბაზრებზე გაჩნდება ხორცის ნაკლებობა, რაც კიდევ ახალი მონოპოლისტური კომპანიის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

**— რას გვეტყვით ქვეყნის საპენსიო და სახელფასო ფონდთან დაკავშირებით?**

**— დღეს ჩვენს ქვეყანას 800 ათასი პენსიონერი ჰყავს, მაშინ, როცა ხელფასს მხოლოდ 600 ათასი ადამიანი იღებს. გამოდის, რომ 600 ათასმა ადამიანმა იმდენი გადასახადი უნდა გადაიხადოს, რომ 800 ათასი ადამიანი შეინახოს, რაც წარმოუდგენელია.** მინიმალური პენსია 55 ლარია, მაშინ, როცა საარსებო მინიმუმი 160 ლარს უტოლდება. პენ- ▶

# ზაზა შათირიშვილი: ახლო მომავალში ადამიანებს დაიჭერენ არა მათი საქმეების, არამედ მათი აზროვნების მიხედვით...

**რა ძირითადი საშინაო და საგარეო მწვავე პრობლემების წინაშე დგას ქვეყანა, რამდენად ღირებულია საქართველო დასავლეთისთვის, რეალურად რამდენად ანტირუსულ პილიტიკას აწარმოებს საქართველოს ხელისუფლება — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი ესაუბრა.**



— საქართველოს ფულიანი ადამიანები განაგებენ. ასეთ მმართველობას პლატონი ოლიგარქიულს უწოდებს, თუმცა მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველო ისეთია, როგორიც მას კონკრეტულ მომენტში აწყობს. მაგალითად, გურიაში როცა ჩადის, გურულები არიან ყველაზე კარგები; კახეთში — კახელები; აჭარაში — აჭარლები და ა.შ.

არ გეგონოთ, რომ თავად სჯეროდეს, რასაც ხმამაღლა გაიძახის. ეს, უბრალოდ, პიარის ნაწილია. რეალური საქართველო მკვეთრად განსხვავდება „სააკაშვილის საქართველოსაგან". რეალურ საქართველოში არის ძალაუფლება ბიზნესში, რომელსაც პოლიცია იცავს. ეს არის ძალიან მარტივი რეჟიმი.

**— თუმცა ამ მარტივ რეჟიმს ადამიანები ეწირებიან...**

**— სამწუხაროდ ასეა, სააკაშვილი საქართველოს დემოკრატიულს უწოდებს და თან იმას გაიძახის, ჩვენ ზანგები არ ვართო, რაც მიანიშნებს იმას, რომ სააკაშვილი ძველი, ჩამორჩენილი ცნობიერების ადამიანია. მისი ქვეცნობიერი ზანგებს კვლავ შეზღუდული უფლებების მქონე რასად მიიჩნევს. მისთვის საერთოდ უცნობია, რა არის პოლიტიკური კორექტულობა.**

ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში პროფესორმა თქვა, ვენესუელას შექსპირის დონის ფიგურა არ მოეძებნებაო. ამ პოლიტიკური არაკორექტულობისთვის მას სტუდენტები აუჯანყდნენ და უჩივლეს. იმდენად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტკორექტულობა...

**— ახალი ქართველის შექმნის მცდელობაზე რა აზრის ხართ?**

— სხვათა შორის, ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. „სააკაშვილისეული" გაგებით, ზარმაცი, კორუმპირებული, კრიმინალური მენტალობის „ძველი ქართველისგან" ახალი, შრომისმოყვარე ქართველის შექმნა ძნელია. ასე რომ, ახლო მომავალში ადამიანებს არა მათი საქმეების, არამედ მათი აზროვნების მიხედვით დაიჭერენ. რაც უკვე გვხვდება კიდეც დღევანდელ რეალობაში. მაგალითად, დემეტრაძე კრიმინალური აზროვნების გამოა დაჭერილი; რა დანაშაული ჩაიდინა, ყოველ შემთხვევაში, დღემდე უცნობია ჩვენთვის. ალბათ, არგენტინელი შემოქმედი ხორხე ლუის ბორხესი საქართველოში რომ ყოფილიყო, მასაც აუცილებლად დაიჭერდნენ, მისი ნაწარმოების გამო.

პირადად მე ამ ხელისუფლების ამბიციას — „ახალი ქართველის" შექმნას არ მივესალმები.

— **რამ გამოიწვია ხელისუფლების, ერთი შეხედვით, გამოკვეთილად პროამერიკული კურსი და ტირანული რეჟიმის აშკარა ნიშნების არსებობა?**

— საუდის არაბეთიც პროამერიკულია, მისი სტრატეგიული პარტნიორი შეერთებული შტატებია, მაგრამ იგი დემოკრატიულ-ლიბერალური მმართველობის ნამდვილად არ არის. იქ რომ ბიბლია შეიტანო, ხელს მოგაჭრიან.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს საქართველოშიც. ხელისუფლების განწყობა პროდასავლურია, რეჟიმი — ოლიგარქიული. ხელისუფლების წარმომადგენლები პირად საუბარში იმასაც კი აღნიშნავენ — ჩვენ რომ არა, საქართველო აზიური ტიპის იქნებოდა, ჩვენ ვართ ერთადერთი გარანტი ლიბერალიზმისო, მაგრამ მინდა, მათ ვუთხრა, ამერიკის პარტნიორობა და პირადი განწყობები დემოკრატ-ლიბერალობას სულაც არ ნიშნავს.

**პოლიტოლოგმა ლინკოლ მიტჩელმა აღნიშნა, საქართველოსა და ამერიკას შორის პარტნიორული ურთიერთობა კი არ არის, არამედ — ურთიერთობა პატრონსა და კლიეტს შორისო.** ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაგისკდება გული, აბა, რა დაგემართება, როდესაც ვიცე-პრემიერის, გიორგი ბარამიძის განცხადებას მოუსმენ, რომელიც ხორცზე ფასის 80%-იანი გაძვირების არგუმენტირებას აკეთებს: „ჩვენ არ ვწუწუნებთ, მაგრამ უმჯობესია, მსგავსი ცვლილებები ეტაპობრივად განხორციელდეს. ჩვენ დაგვაძალეს და გავაკეთეთ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ ეს ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად განხორციელდებოდა“ (იგულისხმება ევროკავშირის მხრიდან დაძალება)! შესაძლოა, საქართველომ და ევროკავშირმა უვიზო მიმოსვლის შესახებ მოლაპარაკებები დაიწყონ. საამისოდ კი ღმერთმა უწყის, კიდევ რა პირობების შესრულებას მოგვთხოვენ.**

სია დღეს თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ ასრულებს. წარმოუდგენელია აქ ადამიანის უსაფრთხო სიბერე, რომ ელემენტარული ლუკმაპურის ფული საწვალებელი არ ჰქონდეს. წარმოუდგენელად რთული მდგომარეობაა ქვეყანაში. ეს პრობლემები რომ დაბალანსდეს, ეკონომიკური ზრდა უნდა მოხდეს.

**საქართველოში 2 მილიონ 200 ათასი ადამიანია შრომისუნარიანი, მაგრამ ხელფასს მხოლოდ 600 ათასი იღებს, ანუ 27%. დანარჩენი 73% თვითდასაქმებულია (მაგალითად: რეპეტიტორები, გლეხები, თუ შეიძლება გლეხებს დასაქმებული ვუწოდოთ, იმდენად მწირია მათი შრომის ანაზღაურება). დაახლოებით 330 ათასი შრომისუნარიანი კი საერთოდ დაუსაქმებელია.**

საქართველოს მთავრობა იმაზე მეტ ფულს ხარჯავს, ვიდრე გადასახადებიდან იღებს. არ არის აუცილებელი, ყველა მინისტრი ბოლო გამოშვების ჯიპით დადიოდეს, სამინისტროებში რემონტები ხშირად ტარდებოდეს, ავეჯს ცვლიდნენ ან ყოველ თვეში შენობებს იცვლიდნენ და ა.შ. ფაქტია ამ ფულს ხელისუფლება შოულობს, მაგრამ სად იშოვის, თუ არა პრივატიზებითა და სესხით? დახარჯული თანხის ძირითადი ნაწილი კი სწორედ სესხს წარმოადგენს. თუ ასე გაგრძელდა, არ მინდა პესიმისტები ვიყოთ, მაგრამ საქართველოს ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება.

**2013 წელს 800-900 მილიონი დოლარის გადახდა გვიწევდა, დღეს ამის პრობლემა, როგორც მოგეხსენებათ, აღარ გვაქვს, რადგან მის მოსახსნელად ახალი ვალი ავიღეთ, მაგრამ 2021 წელს ხომ მაინც ჩვენი გადასახდელი იქნება?! ხელისუფლებამ ამით ქვეყანას კი არ შეუმსუბუქა მდგომარეობა, საკუთარ თავს მოაშორა ამ ვალის პასუხისმგებლობა და 2021 წლის მთავრობას გადაულოცა ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობით, რადგან 2008 წელს აღებულ 500 მილიონ დოლარს 2021 წლისთვის კიდევ ერთი 500 მილიონი დოლარი დაემატება პროცენტის სახით.** როცა საქართველომ ევროობლიგაციების სახით 500 მილიონი დოლარი ისესხა, მერე დასხდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები დასაფიქრებლად, თუ რაში დახარჯულიყო ეს თანხა. ზოგმა წყალსაცავის გაკეთება მოინდომა, ზოგმა ელექტროგადამცემი ხაზების, ზოგმაც მომავლისა და განვითარების ფონდების შექმნა, ანუ სესხის აღების კონკრეტული მოტივი ქვეყანას არ ჰქონდა. აბსოლუტურად არალოგიკური და არასერიოზული მიდგომაა საკითხისადმი. არა მგონია, მსგავსი პრეცედენტი მოეძებნოს ამ ფაქტს. ჩემი აზრით, ამ ვალის აკიდება ქვეყნისთვის აუცილებლობა ნამდვილად არ იყო.

უბედურება ისაა, რომ, ამდენი ვალის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება ისევ კრედიტორებზე მიმართავს და ვალის დამატებას აპირებს. ეს კი ჩვენნაირი გადახდისუნარიანი ქვეყნისთვის კატასტროფაა.

ესაუბრა
**ეკა რობაქიძე**

**ამერიკისთვის მთავარია, მის მიერ დაფინანსებულმა სააკაშვილმა ის შედეგები დადოს, რაც მათთვისაა ხელსაყრელი, იმის იქით იგი რა პოლიტიკას გაატარებს და ვის დაემსგავსება, ამერიკას არ აინტერესებს. სააკაშვილიც, თავის მხრივ, ამერიკის კარგი კლიენტია.**

საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისთვის აუცილებელი იყო ბალანსის პოლიტიკის გატარება. სწორედ დაუბალანსებელი პოლიტიკის შედეგია ტერიტორიების დაკარგვა, რაც სააკაშვილისთვის აბსოლუტურად სულერთია, ის ხომ დარჩენილ ტერიტორიებზეც სერიოზული ძალაუფლების მქონეა. დღეს წარმოებული პოლიტიკის შედეგია, ასევე, ოლიგარქიული რეჟიმი, ჩაკეტილი, ჩაძირული ეკონომიკა, ინვესტორების გაქცევა, ევროპის ბაზრის კარის მოხურვა და ა.შ. სააკაშვილისთვის არც ესაა ტრაგედია, რადგან ამერიკის გადმოგდებული მწირი ფინანსებითაც მშვენივრად იკვებება, ქვეყნის ბედი კი როდის ადარდებდა?!

**— საქართველო რამდენად მნიშვნელოვანი ქვეყანაა ამერიკისთვის?**

— საქართველო ამერიკისთვის რაღაც მომენტში მართლა იყო მნიშვნელოვანი, გაქრა კიდეც კარტი და ახლა ვაშინგტონის ყულაბაშია, მაგრამ აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მყარი, მუდმივი თანამშრომლობა არ არის. წარმოდგენა, რომ ამერიკისთვის რაღაც მნიშვნელოვანი ქვეყანა ვართ, მხოლოდ საქართველოშია. რეალურად ჩვენ მათთვის მეათემეთერთმეტე ხარისხოვანი ქვეყანა ვართ. საქართველო, ისევე, როგორც კავკასია, მათთვის ღირებული არაა, პაიკია. ასე რომ, მეათეხარისხოვანს იმ მწირი თანხებით აფინანსებს, რამდენადაც ის, სტრატეგიული თვალსაზრისით, ულირს. მისთვის სხვა, გაცილებით უფრო მთავარი, საკითხები არსებობს, მაგალითად ერაყი, ავღანეთი, რუსეთი და ა.შ.

**— რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ყოველივემ?**

— შედეგები უკვე ძალიან მძიმეა, პოლიტიკური, ეკონომიკური და თუნდაც ტერიტორიების თვალსაზრისით. ამჟამად საქართველოში სტანდარტიზაციის პროცესები მიმდინარეობს, აგვარებენ ისეთ ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა საგადასახადო კოდექსის გამარტივება, პასპორტის იოლად აღება და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებას ეს საკითხები უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიდრე თუნდაც ტერიტორიები. ასე რომ, ქვეყანაში შედეგები კიდევ უფრო დამძიმდება.

ესაუბრა
**ეკა რობაქიძე**

# საქართველო რეგიონში ყველაზე არასტაბილური ქვეყანაა!



**ქვეყნის ეკონომიკა, რეალობიდან გამომდინარე (და არა კლასიკური გაგებით), პოლიტიკაზეა მიბმული, ამიტომაც თქვენს ყურადღებას, უპირველესად, პოლიტიკურ არასტაბილურობაზე და მშვიდობის საერთაშორისო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ რეიტინგს მივაპყრობ: The Failed States Index 2011 (სახელმწიფოების წარუმატებლობის ინდექსი 2011) — საქართველო რეგიონის ქვეყნებს შორის ყველაზე არასტაბილური ქვეყანაა!**

მსოფლიოს 177 ქვეყანას შორის 47-ე ადგილზე ვართ (ამ რეიტინგში ათვლა უკნიდან იწყება) და — უფრო არასტაბილურები, ვიდრე 63-ე ადგილზე მყოფი აზერბაიჯანი და 101-ე ადგილზე მყოფი სომხეთი. აღნიშნულ რეიტინგში ქვეყნის წარუმატებლობა 12 მაჩვენებლის მიხედვით განისაზღვრება, რომელთა შორისაა ეკონომიკური და სამოქალაქო თავისუფლება, დემოგრაფია, ხელისუფლების ლეგიტიმურობა, სტიქიური უბედურებები და სხვ.

**საქართველო ჯერაც არშემდგარ ქვეყნად განიხილება, სადაც მკვეთრად გაიზარდა დემოკრატიის დეფიციტი, რომლის შესახებაც ევროპული ინსტიტუტები უკვე საკმაო პრეტენზიებს გამოთქვამენ.**

დღემდე არ არის განსაზღვრული რა მიმართულებით მიდის ქვეყნის ეკონომიკა. დღემდე ვერ ჩამოვყალიბდით — ევროკავშირი გვინდა თუ სინგაპურიზაცია; რეგულირებული, მომხმარებელზე ორიენტირებული ბაზარი თუ ქაოტურად განვითარებადი ეკონომიკა.

საქსტატს თუ დავუჯერებთ, ქვეყანაში შემოსული ინვესტიციებიდან ყველაზე მცირე მოცულობა 2% სასტუმროებსა და რესტორნებში ჩაიდო, რაც ნათლად მოწმობს, რომ ტურიზმით „აყვავებისგან“ ჯერ კიდევ შორს ვართ!

მარად ოპტიმისტი პრემიერი ნიკა გილაური ქვეყანაში მილიარდიან ინვესტიციას ელოდება, მაგრამ კვარტალური მონაცემები რატომღაც პროგნოზის გამართლების შანსს ნაკლებად იძლევა. ამას გარდა, ძალიან საინტერესოა ის გარემოება, რომ წელს ინვესტორებს შორის ლიდერობს კვიპროსი (41,4 მილიონი დოლარი). ამავე ინფორმაციით, პირველ სამეულში, კვიპროსის გარდა, გაერთიანებული სამეფო და ნიდერლანდები შედიან.

**საქართველოში ინვესტიციების მოცულობა იზრდება რუსეთიდანაც, ის რეიტინგში მეოთხე ადგილს იკავებს (თითქმის 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია). გასული წლის იმავე პერიოდში საქართველოში რუსულმა კომპანიებმა 5 მილიონზე ცოტა მეტი ინვესტიცია ჩადეს. მთლიანად 2010 წელს რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა 50 მილიონს აღემატებოდა.**

სულ მალე „შვებით ამოვისუნთქებთ“ და დასუფთავების გადასახადი ელექტროენერგიის გადასახადს მიებმება — ნაგვის ფულს გადავიხდით შუქის ფულთან ერთად, ოღონდ არა ოჯახის წევრების რაოდენობის, არამედ გახარჯული კილოვატსაათების მიხედვით!

ასე რომ, თურმე ვინც ბევრ ელექტროენერგიას ხარჯავთ, მეტად ანაგვიანებთ ქალაქს! საოცარი ლოგიკაა, პირდაპირ უგულავასეული!

გასული კვირის კიდევ ერთი ახალი და საინტერესო ეკონომმოვლენა კვლავ მერიას უკავშირდება: **ცნობილი ხდება, რომ თბილისი აზიის განვითარების ბანკისგან მასშტაბურ კრედიტს — 300 მილიონ დოლარს აიღებს.**

ამ კრედიტით გათვალისწინებულია თბილისში გორგასლის ქუჩაზე საგზაო გვირაბისა და რეკრეაციული ზონის მოწყობა, მტკვარზე ხიდის მშენებლობა, ვაჟა-ფშაველას გამზირი-უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით მეტროპოლიტენის ხაზის მშენებლობა, თბილისი-რუსთავის ავტობანის 19-კილომეტრიანი გზის დაგება.

არ ჰყოფნით, ბატონო, ქალაქის დასუფთავებისთვის, გამშვენიერებისთვის და ხალხზე ზრუნვისთვის ბიუჯეტის ფული!

ან როგორ ეყოფათ, როდესაც ხელისუფალთა ფანტაზიებს აღარც საზღვარი აქვს და აღარც „ნაპირსამაგრები“?! **მოგეხსენებათ, იგეგმება პარლამენტის ქუთაისში გადატანა, რომლის განხორციელების ხარჯებსაც (ზუსტი ციფრი ჯერაც დაუდგენელია) პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა „დემოკრატიის ხარჯიანობა“ დაარქვა. აქვე მან, ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, ოპოზიციას პარლამენტის ან სხვა სახელმწიფო უწყებების საერთოდ გაუქმებაც შესთავაზა! საინტერესო ვერსიაა, ვერაფერს ვიტყვით!**

ვიდრე ხელისუფლება „დემოკრატიის ხარჯიანობითა“ და ქვეყნის ტერიტორიაზე სამთავრობო შენობების გადანაწილებით თამაშობს, გაეროს ექსპერტები საინტერესო დასკვნებს აკეთებენ: მსოფლიოში მოსახლეობის სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი არაგადამდებ დაავადებებს შორის არის კიბო, გულისა და ფილტვების დაავადებები და დიაბეტი. ისინი საერთო სიკვდილიანობის 2/3-ს შეადგენს და 2030 წლისთვის ეს ოთხი დაავადება 52 მილიონი ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავს.

რა კავშირშია ეს თემა ესოდენ „მყარად ეკონომიკურებული“ და უხვად „ინვესტირებული“ ქვეყნის მცხოვრებლებთან?! ახლავე მოგახსენებთ!

# გულ-სისხლძარღვთა დაავადებით ევროპაში ყველას გავასწარით

ევროპის რეგიონში ქრონიკული დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა 86%-ია. ესენია: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, ინსულტი, შაქრიანი დიაბეტი, კიბო, რესპირატორული დაავადებები, თირკმლისა და ღვიძლის დაავადებები. საქართველოში 2009 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, სიკვდილიანობის 96%-ის მიზეზი არაგადამდები დაავადებები და ტრავმებია, მათ შორის, 75% მოდის გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებზე. განსაკუთრებულ რისკს შეიცავს მაღალი არტერიული წნევა.

**2008–2009 წლების „ევროპრევიუს“ კვლევის მონაცემებით, ევროპის 22 ქვეყანას შორის გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების გავრცელება საქართველოში უმაღლეს ნიშნულს აღწევს და 47,9%-ს შეადგენს! ასე რომ, ამ შემთხვევაში, ევროპაში პირველობა არავის დავუთმეთ! გიხაროდეთ, ხელისუფალნო! როგორც იქნა, რომელიღაც რეიტინგში პირველები ვართ!**

გაგისკდება გული, აბა, რა დაგემართება, როდესაც ვიცე-პრემიერის, გიორგი ბარამიძის განცხადებას მოუსმენ, რომელიც ხორცზე ფასის 80%-იანი გაძვირების არგუმენტირებას აკეთებს: **„ჩვენ არ ვწუწუნებთ, მაგრამ უმჯობესია, მსგავსი ცვლილებები ეტაპობრივად განხორციელდეს. ჩვენ დაგვაძალეს და გავაკეთეთ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ ეს ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად განხორციელდებოდა“** (იგულისხმება ევროკავშირის მხრიდან დაძალება)!

შესაძლოა, საქართველომ და ევროკავშირმა უვიზო მიმოსვლის შესახებ მოლაპარაკებები დაიწყონ. საამისოდ კი ღმერთმა უწყის, კიდევ რა პირობების შესრულებას მოგვთხოვენ.

**როგორც საქართველოს ელჩი ბენელუქსის ქვეყნებში, სალომე სამადაშვილი აცხადებს, ევროკომისარმა შეხვედრაზე დააფიქსირა, რომ საქართველო ძალიან პოზიტიურ შედეგებს აჩვენებს რეადმისიისა და გამარტივებული სავიზო რეჟიმის განხორციელების საკითხში. აქედან გამომდინარე, ქართულ მხარეს იმედი აქვს, რომ შტეფან ფულე მხარს დაუჭერს გადაწყვეტილებას, რაც შეიძლება მალე დაიწყოს მოლაპარაკებები უვიზო რეჟიმზე.**

ვიდრე გაურკვეველ (ვისთვის სასიამოვნო და ვისთვის თავზარდამცემ) ეკონომ-პოლიტიკურ მიმოხილვებს დავასრულებ, კიდევ ერთი სიახლე მინდა გაგაცნოთ. თუმცა ეს ინფორმაცია ქართველებს არ გვეხება, მაგრამ მაინც საინტერესოდ მომეჩვენა: **ლონდონში ავტომანქანების მფლობელებს ავტოპარკინგის საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას სთავაზობენ, მაგრამ მათ ამისთვის საკმაოდ სოლიდური თანხის — 324,5 ათასი დოლარის გადახდა მოუწევთ, რის შემდეგაც მათ პარკინგის ადგილი 90 წლის ვადით გადაეცემათ, ოღონდ ქირით და არა შესყიდვის უფლებით.**

ლონდონელების ასეთი ინიციატივა მედალიონივით ორივე მხრიდან დავათვალიეროთ: ერთი – რა ბედნიერები ვართ, რომ წელიწადში მხოლოდ 50 ლარს ვიხდით ამ სიამოვნებისთვის და მეორე – **ვაი და, ასეთი ინიციატივა „ნაბიჯ-ნაბიჯ და ეტაპობრივად“ განგვიხორციელოს ქვეყნის ბედზე „ტვინშემატკივარმა“ ხელისუფლებამ?!**

**ანი შონია**

## ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მმართველმა პარტიამ კიდევ ერთხელ გათელა ფეხქვეშ კონსტიტუციაც და საერთაშორისო სამართლის ნორმებიც, რადგან საარჩევნო სუბიექტები არათანაბარ პირობებში ჩააყენა. იგივე გააკეთეს იმ ოპოზიციურმა პარტიებმაც, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ამ წინადადებებზე.**

# ცრუ ფეხმძიმობა*







*ცრუ ფეხმძიმობას ზუსტად ისეთი გარეგნული ნიშნები ახასიათებს, როგორც ნამდვილს. ამ მოვლენას ვერ ხსნიან, ხოლო ქალის დარწმუნება, რომ მის ორგანიზმში ნაყოფი არ არის, პრაქტიკულად შეუძლებელია.

**მმართველმა პარტიამ, რომელიც ცხრა თვის განმავლობაში თითის ქნევით აფრთხილებდა ოპოზიციას, ულტიმატუმის ენაზე ლაპარაკს არ დავუშვებთო, გასულ პარასკევს ერთ გვერდზე ჩამოყალიბებულ საპასუხო წინადადებებს ულტიმატუმიც მოაყოლა. თუ ორშაბათის 18 საათამდე „რვიანი" პასუხს არ გასცემდა, ყოველგვარი მოლაპარაკება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების შესახებ დასრულებულად (ანუ უშედეგოდ) ჩაითვლებოდა.**

ორშაბათს დილით, (ალბათ, რომ არავის დაესწრო) „ახალმა მემარჯვენეებმა" მამუკა კაციტაძის სახით სასწრაფო ბრიფინგი გამართეს და განაცხადეს, რომ ისინი თანხმდებიან ამ წინადადებებს და ეს არის სოლიდური გამარჯვება.

პოლიტიკურ პროცესებსა და პოლიტიკოსებზე დაკვირვების მრავალწლიანი პრაქტიკის მიუხედავად, შაბათს მიცემულ ინტერვიუში მეც კი ვერ ვივარაუდე, რომ „ახლები" ამ წინადადებებს დათანხმდებოდნენ. ჩემი პროგნოზით, ეს „ქრისტიან-დემოკრატებსა" და „ეროვნულ-დემოკრატებს" უნდა გაეკეთებინათ. რა თქმა უნდა, ესენიც დათანხმდნენ და სხვებიც (მოლაპარაკების მაგიდასთან ხომ, რვა კი არა, ჩვიდმეტი პარტია იჯდა), მაგრამ „რვიანის" დაშლის შესახებ პირველი განცხადება სწორედ „მემარჯვენეებმა" გააკეთეს.

**ერთმა ჟურნალისტმა 2004 წელს რესპუბლიკელებს ჰკითხა, როგორ აღმოჩნდით სააკაშვილის გვერდითო და მათმა ერთ-ერთმა სახემ მიუგო: — მოგვბეზრდა ოპოზიციაში ყოფნაო! როგორც ჩანს, „მემარჯვენეებსაც" მობეზრდათ.**

შეთანხმებაზე ხელის მოწერა საზოგადოებაშიც და პარტიებშიც აღქმულია როგორც გარანტია, რომ „ნაციონალები" პარლამენტში მათ უთუოდ შეუშვებენ. მაგრამ, ჯერ ერთი, არავინ იცის, რა მოხდება 2012 წლის არჩევნებამდე და მეორეც — 1999 წელს „მოქალაქეთა კავშირმა" ისე მხურვალედ გაიზიარა „ედპ-ს" წინადადება საარჩევნო ბარიერის 7%-მდე გაზრდის შესახებ, რომ მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ამ ინიციატივის ავტორებს პარლამენტს გარეთ დატოვებდნენ. მართლაც, რა სამაგალითო ცინიზმია: მხარი დაუჭირო ოპოზიციურ პარტიას და შემდეგ მისივე მოთხოვნილი 7%-იანი ბარიერი არ აალებინო!

ახლა თავად წინადადებებს მივუბრუნდეთ.

**1.საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 190-ით. აქედან 83 დეპუტატი აირჩევა მაჟორიტარული სისტემით ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქებიდან, ხოლო 107 — პროპორციული სისტემით.**

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ რამდენი პარტიაც უნდა დაეთანხმოს ამ წინადადებას, დეპუტატთა რაოდენობის გაზრდა, რომლის 150-მდე შემცირება 2003 წლის რეფერენდუმით (მოსახლეობის 90%-ის მხარდაჭერით) გადაწყდა, მხოლოდ ახალი რეფერენდუმით შეიძლება. რა მოხდა მერე, ჩაატარებენო, — იტყვის მკითხველი. კი, ბატონო, მაგრამ ამ „შეთანხმებულმა" პარტიებმა წინასწარ იციან, რომ 2003 წელთან შედარებით ერთიათად გალატაკებული ხალხი მუქთამჭამელების რაოდენობის გაზრდას დაუჭერს მხარს? „ნაცმოძრაობამ" რომ წინასწარ იცის, გავიგეთ, მაგრამ, თუ ოპოზიციაც ასეთივე „ნათელმხილველია", რა განსხვავებაა მაშინ მათ შორის?

თუმცა არის მეორე სცენარიც: სულსწრაფობით შეპყრობილ ოპოზიციას იგივე გაუმეორონ, რაც თავის დროზე „ედპ-ს". რა ვქნათ, ბატონო, არ დაუჭირა მხარი ამომრჩეველმა ამ წინადადებას, ვეღარ ვზრდით დეპუტატთა რაოდენობას და ვეღარც თქვენ მოგცემთ შეპირებულ მანდატებსო!

**2. ამომრჩეველთა სიების დაზუსტებისთვის შეიქმნება სპეცკომისია, რომელშიც ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეიყვანენ. ხელისუფლებასთან პარიტეტი დაცული იქნება. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ივლისამდე კომისიამ უნდა უზრუნველყოს ამომრჩეველთა სიების გადამოწმება. მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივად დასაბუთებული წინადადების საფუძველზე ცესკომ უნდა უზრუნველყოს ცვლილებების შეტანა ამომრჩეველთა სიებში. კომისიისა და მისი აპარატის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელდება.**

საარჩევნო კომისიებში „უჩავების" სიმრავლე მხოლოდ საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს უკვირთ. პრაქტიკა კი ისეთია, რომ ოპოზიციური პარტიის სახელით ხშირად სწორედ ხელისუფლების საქმე კეთდება. ასეც რომ არ იყოს, რამდენჯერ უნდა დაზუსტდეს ამომრჩეველთა სია? გასაგებია, რომ ცხრა თვით ხელფასის მიღების გარანტია დღევანდელ საქართველოში ერთობ მნიშვნელოვანი მოტივაციაა, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ცესკო კომისიის მხოლოდ **სამართლებრივად დასაბუთებული წინადადების საფუძველზე** შეიტანს ცვლილებებს სიაში? ვინმეს მოუხერხებია, ამ ხელისუფლებისთვის თუნდაც ერთხელ, სამართლებრივად დაესაბუთებინა რაიმე?

**3.1. საარჩევნო სუბიექტის შემოწირულობათა ზღვარი განისაზღვრება 60 ათასი ლარის ოდენობით ფიზიკური პირებისათვის და 200 ათასი ლარის ოდენობით — იურიდიული პირებისთვის.**

რა პროგრესია! თუ ადრე ოპოზიციისთვის ნაკლები თანხის გადარიცხვა ეშინოდათ, ახლა გაზრდილ თანხაზე გაუსკდებათ გული ჩვენს „თავისუფალ" ბიზნესმენებს. სამაგიეროდ, მმართველი პარტია, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა მრავალმილიონიანი შემოწირულობების ლეგალიზაციის თავის ტკივილი, ამ პრობლემასაც უკიდურესად გაიმარტივებს.

**3.2. საარჩევნო სუბიექტი, რომელიც გადალახავს საარჩევნო ბარიერს, მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად 1 მილიონ ლარს საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარად, მათ შორის, — 300 ათას ლარს მიზნობრივად სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დასაფარად. აღნიშნულის შესახებ საარჩევნო სუბიექტმა ცესკოს წინასწარ წერილობით უნდა აცნობოს.**

თავი დავანებოთ იმას, რომ ამ 300 ათასის მიზნობრივად სატელევიზიო რეკლამაზე მიმართვა პირდაპირ ნაციონალური არხების დაფინანსებას ნიშნავს (საპარლამენტო არჩევნები ხომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იმართება და ცხადია, რომ რეკლამაც მთელი საქართველოს მასშტაბით არის საჭირო). ნურც იმაზე ვიტყვით რამეს, რომ თავად „ნაციონალებს" საარჩევნო კამპანიისთვის 1 მილიონი მაშინაც კი არ ჰყოფნიდათ, როცა ოპოზიციაში იყვნენ. ამ მუხლში ყველაზე მომხიბლავად ბოლო წინადადება გამოიყურება: **აღნიშნულის შესახებ საარჩევნო სუბიექტმა ცესკოს წინასწარ წერილობით უნდა აცნობოს.**

ერთი სიტყვით, მილიონს სუბიექტი მხოლოდ მას შემდეგ მიიღებს, როცა 5%-იან ბარიერს გადალახავს, მაგრამ ნაციონალური არხებისთვის 300 ათასის გადარიცხვის შესახებ ცესკოს **წინასწარ** უნდა აცნობოს! ამათ მარტო ის კი არ სცოდნიათ, რას უპასუხებს ხალხი რეფერენდუმის შეკითხვაზე, არამედ ისიც, თუ ვინ გადალახავს 5%-იან ბარიერს.

**3.3. კანონის საფუძველზე შეიქმნება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომლის მიზნადაც განისაზღვრება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მონიტორინგი და რეაგირება საარჩევნო კამპანიის წარმართვის წესების დარღვევაზე.**

ამ მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული რესურსი თავის თავს თავადვე დააკვირდება და საკუთარ დარღვევებზე რეაგირებასაც თავადვე მოახდენს! მმართველმა პარტიამ იმაზეც კი არ შეიწუხა თავი, რომ ყასიდად ერთიორი „უჩავა" მაინც ჩაესვა ამ საკოორდინაციო საბჭოში.

**3.7. გადაიხედება დავების განხილვის დადგენილი ვადები, მაქსიმალურად გაიზრდება საარჩევნო სუბიექტებისათვის დადგენილი ვადა, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია სარჩელის შეტანა პირველი ინსტანციის სასამართლოში.**

ამას რა სჯობს, მაგრამ ვითომ დიდი განსხვავებაა, „დამოუკიდებელი" სასამართლო სამი დღის მერე გეტყვის უარს სარჩელის მიღება-დაკმაყოფილებაზე თუ ათი დღის შემდეგ?!

**არც ერთი ის პრობლემა, რომლებზეც მოლაპარაკებები მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ „რვიანს" შორის ცხრა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ხელისუფლების წინადადებებში ნახსენებიც კი არ არის. არადა, სასამართლოსა და მედიის დამოუკიდებლობის, პოლიციის დეპოლიტიზაციის, საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის გარეშე საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ლაპარაკი ფიქციაა.**

ამ შეურაცხმყოფელი დოკუმენტის გვირგვინი კი მაინც მინაწერია, რომლის თანახმადაც **ამ შეთანხმების 2, 3.2. და 3.5. პუნქტების პირობები ვრცელდება მხოლოდ შეთანხმების მონაწილე სუბიექტებზე.** გამოდის, რომ ყველა დანარჩენი საარჩევნო სუბიექტი, რომლებიც ამ შეთანხმებაზე ხელს არ აწერენ, ვერც ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაში მიიღებს მონაწილეობას, ვერც შემოწირულობების გაზრდილი ზღვარით ისარგებლებს და ვერც სანატრელ მილიონს მიიღებს.

ამ ერთი წინადადებით **მმართველმა პარტიამ კიდევ ერთხელ გათელა ფეხქვეშ კონსტიტუციაც და საერთაშორისო სამართლის ნორმებიც, რადგან საარჩევნო სუბიექტები არათანაბარ პირობებში ჩააყენა. იგივე გააკეთეს იმ ოპოზიციურმა პარტიებმაც, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ამ წინადადებებზე.** მხოლოდ ორშაბათს, საღამოს გაკეთდა განცხადება იმის თაობაზე, რომ შეთანხმების პირობები ყველა სუბიექტზე გავრცელდება.

მაშ, ღირდა ამ წინადადებებზე ნაჩქარევი თანხმობა, თუკი მილიონს და სხვა სიკეთეებს ისინიც მიიღებენ, ვინც შეთანხმებას ხელი არ მოაწერა?!

და ბოლოს: გასულ კვირაში „წარმომადგენლობითი სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ელიზბარ ჯაველიძემ არაერთხელ განაცხადა, რომ ხელისუფლებასა და „რვიანს" შორის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე კი არ მიმდინარეობს მოლაპარაკება, არამედ პირდაპირი ვაჭრობაა გაჩაღებული — ხელისუფლება მათ 20 მანდატს ჰპირდება, ოპოზიცია კი 40-ს ითხოვსო. წარმოდგენილ წინადადებებში პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150-დან 190-მდე არის გაზრდილი, ანუ — ზუსტად 40-ით.

**ერთმა ჟურნალისტმა 2004 წელს რესპუბლიკელებს ჰკითხა, როგორ აღმოჩნდით სააკაშვილის გვერდითო და მათმა ერთ-ერთმა სახემ მიუგო: — მოგვბეზრდა ოპოზიციაში ყოფნაო! როგორც ჩანს, «მემარჯვენეებსაც» მობეზრდათ**

მოკლედ

## ლატვია ნატოს კომპენსაციას მოსთხოვს

**თუკი რუსეთი „მისტრალის" ტიპის ხომალდებს ბალტიის ზღვაში განათავსებს, ლატვია ნატოს კომპენსაციას მოსთხოვს. ამის შესახებ ლატვიის თავდაცვის მინისტრმა არტის პაბრიკსმა განაცხადა.** „თუკი ეს გარიგება ბალტიის ზღვის რეგიონში უსაფრთხოების ბალანსს შეცვლის, ლატვია მოითხოვს კომპენსაციას, რათა ეს ბალანსი აღდგეს", — განაცხადა მინისტრმა. მინისტრის თქმით, ლატვია საფრანგეთსა და ნატოს სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერის მიზნით მიმართავს, თანაც ეს მხარდაჭერა ისეთი უნდა იყოს, რომ ძალთა ბალანსი აღდგეს. სავარაუდოდ, ვერტმფრენმზიდები წყნარი ოკეანის ფლოტის შეიარაღებაში შევა და ვლადივოსტოკში განთავსდება.



## «საქართველო და მსოფლიოს» მთავარ რედაქტორს

**ბატონო ირაკლი,** ულრმეს მადლობას მოგახსენებთ თქვენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ საჭიროდ მიიჩნიეთ, აღგენიშნათ ჩემი 75 წელი, რითაც დიდად დამაფასეთ, არამედ, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ პატივისმცემელი და ერთგული მკითხველი ვარ „საქართველო და მსოფლიოსი", ღირსეულად ხელმძღვანელობთ პროფესიონალ ჟურნალისტთა კოლექტივს და გამოსცემთ ჭეშმარიტად მამულიშვილურ გაზეთს, რომელიც სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება, იხვეჭს მკითხველების ნდობას, სახელსა და ავტორიტეტს.

პატივისცემით, **რეზო ამაშუკელი**

**451 გრადუსი ფარენგეიტით**

„დიახ, სახრჩობელაზე არიან დასასჯელები ნინო ბურჯანაძე, გია ბურჯანაძე, ელიზბარ ჯაველიძე, სოსო ჯაჭვლიანი, რეზო ესაძე, ნონა გაფრინდაშვილიც კი!“ — აცხადებს 87 წლის ოთარ კობერიძე. ილიასეული მოხუცი მეურმე პეტრე კი ვერ იჯერებს, რომ ადამიანის ჩამოხრჩობა მართლაც შეიძლება: „სწორედ ტყუილი რამ თვალთმაქცობა იქნება ჯამბაზისა, თორემ მართლა კაცის ჩამორჩობა, აბა, რა სანახავია? კატა ხომ არ არის, აიღო და ჩამოჰკიდო; რაც უნდა იყოს, ღვთის სული ადამიანია“.

პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლიბერალური «შპიცრუტენი»

**26 მაისის შემდეგ ერთი თვე გასრულდა. ქართული ლიბერალური ბომონდი, რომელსაც ერთმა ჩვენმა კოლეგამ „ექსკლუზიური ლიბერალები“ უწოდა, ერთმანეთს ასწრებს იმ აქციის მონაწილეთა გმობასა და დასჯის მოთხოვნას, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ იმ ღამეს უკვე დასაჯა სამაგალითოდ. საქართველოს კონსტიტუცია არ უშვებს ერთსა და იმავე დანაშაულზე ორჯერ სასჯელის დაკისრებას, თუმცა, ასეც რომ არ იყოს, რა დააშავეს იმ ადამიანებმა, რომელთაც სრულიად წარეკვეთათ სასო და ქუჩაში დგომით ლამობდნენ თავის გადარჩენას?**



**„გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი — ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისკენ, გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი. გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა. პატარა ვიყავით, ყველა ხედავდა – რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადავუხდი და, როცა აღარ ვიქნები, იქ, ღმერთს გაეცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ — მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდდება“.**

ილიამ „სარჩობელაზედ“ 1879 წელს დაწერა, მაგრამ როგორ ზუსტად ასახავს ეს გულიდან ამოხეთქილი სიტყვები იმას, რასაც 26 მაისის ღამეს აქციაზე მდგომი ადამიანები განიცდიდნენ! ქართველი შიმშილსაც აიტანს, სიცივესაც, საღარიბესაც, მაგრამ უსამართლობასა და ღირსების შელახვას — ვერა. ამიტომაც იყო გავეშებული „ზონდერების“ (თითქმის ისევე ჟღერს, როგორც ილიასდროინდელი „ჟანდარმები“!) მოქმედება არა უბრალოდ სასტიკი, არამედ — ღირსების შემლახავი. ქართველი წაქცეულს მტერსაც კი არ სცემდა, მით უფრო — ხელებგაკოჭილს. თუმცა მათთან ღირსებაზე ლაპარაკი ღორებისა და მარგალიტების იგავს ემსგავსება.

მართლაც, **ოფიცრის ღირსებას ვერც მოთხოვ მას, ვინც ფულის სანაცვლოდ მოხუცს თავს გაუტეხს, ბავშვს არ დაზოგავს, დაკავებულებს კი საჩვენებელ „შპიცრუტენს“ მოუწყობს, რომელიც მე-17 საუკუნეში შვედებმა გამოიგონეს და რომელზეც რუსულმა ცარიზმმა მე-19 საუკუნეში თქვა უარი მისი არაადამიანურობის გამო.** ჯარისკაცს, დასჯის მიზნით, მისივე თანაპოლკელების ორ მწკრივში გაატარებდნენ და ისინიც როზგებით უმასპინძლდებოდნენ დასასჯელს.

**„დაისაჯონ! დაისაჯონ!“ — ხმის ჩახლეჩამდე გაიძახიან ჩვენებური „ექსკლუზიური ლიბერალები“. ნოდიასა და მისთანა „ინტელექტუალებისა“ არ გამკვირვებია, მაგრამ უეცრად აღმოვაჩინე, რომ ჩემი ბავშვობის ბაშიაჩუკს ილიას „სარჩობელაზედ“ არ წაუკითხავს.**

„დიახ, სახრჩობელაზე არიან დასასჯელები ნინო ბურჯანაძე, გია ბურჯანაძე, ელიზბარ ჯაველიძე, სოსო ჯაჭვლიანი, რეზო ესაძე! ნონა გაფრინდაშვილიც კი!“ — **აცხადებს 87 წლის ოთარ კობერიძე.** ილიასეული მოხუცი მეურმე პეტრე კი ვერ იჯერებს, რომ ადამიანის ჩამოხრჩობა მართლაც შეიძლება: **„სწორედ ტყუილი რამ თვალთმაქცობა იქნება ჯამბაზისა, თორემ მართლა კაცის ჩამორჩობა, აბა, რა სანახავია? კატა ხომ არ არის, აიღო და ჩამოჰკიდო; რაც უნდა იყოს, ღვთის სული ადამიანია“.**

დანაშაულისა და სასჯელის შესახებ ჩვენებურ „ექსკლუზიურ ლიბერალებს“ ერთობ თავისებური წარმოდგენა აქვთ. ჯიხურის პატრონს 200 ათასს, ხოლო მობილურის ქურდს 100 ათას ლარს ისე დააკისრებენ, თვალსაც არ დაახამხამებენ. ვერგადამხდელს 15-20 წელს ისე მიუსჯიან, არც კი შერცხვებათ. სამაგიეროდ, **მკვლელებს სამ წელიწადს აკმარებენ კომფორტულ საკანში და ისევ გარეთ გამოუშვებენ. ადეკვატური სასჯელი, მათი აზრით, ნულოვანი ტოლერანტობაა სხვისიანებისთვის და უსაზომო ლმობიერება თავისიანებისთვის.** თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საკუთარი ვიწრო წრის გარდა ყველანი „სხვისიანებად“ მივაჩნივართ, მაშინ გასაგები გახდება, რატომ იხარჯება ციხეების მშენებლობაზე მეტი, ვიდრე მთლიანად სოფლის მეურნეობაზე, პრიორიტეტად რომ გამოგვიცხადეს.

თავისიანებად და სხვისიანებად დაყოფა არასოდეს იყო ქართული საქციელი. წესი და კანონი საერთო იყო ყველასთვის. მართლმადიდებელი პატივს სცემდა ყველა რჯულის ადამიანს და ამავე დროს მტკიცედ იცავდა საკუთარს. ინკვიზიცია უცხო იყო ჩვენი წინაპრებისთვის. არც რაიმე ნიშნით ვინმეს დაჩაგვრა ითვლებოდა ღირსეულ საქციელად. ამიტომაც არის, რომ **ინკვიზიტორის მანტიამოსხმული დამწყები ლიბერალები ასე არაპოპულარული არიან ხალხში. ამას არც მაღალი თანამდებობა შველის, არც ერთმანეთისთვის პროფესორების წოდების მინიჭება და არც ერთმანეთთან სატელევიზიო ეთერებში სტუმრობა. მარგინალი მარგინალია, რომელ სკამზეც უნდა წამოსკუპდეს.**

გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას „მეც ქართველი პრეზიდენტი მინდა!“ ინტერნეტში ვინმე „თბილისელი სომეხი“ გამოეხმაურა: **„მესმის თქვენი, ქ-ნო ნანაჯან, ქართველში, ალბათ, ქართლელს გულისხმობთ, ნამდვილ ქართველს, თორემ ყველანი ქართველები არა ვართ?! მერე რა, რომ სვანებს, მეგრელებს, ოსებს, აფხაზებს, სომხებსა და ბორჩალოებს ჩვენი ენებიც გვაქვს, ენა ეთნოსის ნიშანია, ეროვნულად კი ყველანი ქართველები ვართ. ქართველი ყველას სახელია და არა რომელიმე ეთნოსისა. ბოლო-ბოლო, საქართველოს მოქალაქეები ხომ მაინც ვართ და რაღა დარჩება ჩვენი მოქალაქეობისგან, პრეზიდენტობის უფლება რომ ჩამოგვართვან?! რაც შეეხება ქართლელის პრეზიდენტობას, სათხე მარილი სადაა?! იმიტომ არ მოკალით ილია ჭავჭავაძე, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ქართლელის ჭაჭანება არ ყოფილიყო“?**

> **ოფიცრის ღირსებას ვერც მოთხოვ მას, ვინც ფულის სანაცვლოდ მოხუცს თავს გაუტეხს, ბავშვს არ დაზოგავს, დაკავებულებს კი საჩვენებელ «შპიცრუტენს» მოუწყობს, რომელიც მე-17 საუკუნეში შვედებმა გამოიგონეს და რომელზეც რუსულმა ცარიზმმა მე-19 საუკუნეში თქვა უარი მისი არაადამიანურობის გამო**

ახპერ, ცავატანემ! კარგა ხანია, ინტერნეტში ასეთი კარგი ქართულით ნაწერი არ მინახავს (სასვენი ნიშნების ჩათვლით!). მიხარია. ქართველი ის არის, ვისთვისაც ძვირფასია ქართული მამული, ენა, სარწმუნოება (თუნდაც თავად სხვა აღმსარებლობისა იყოს). საიდუმლოდ გეტყვი: **ქართლის გამქრისტიანებელი მირიანიც კი არ იყო ეთნიკური ქართველი, მაგრამ საქართველოს წინაშე ღვაწლისთვის იგი წმინდანად არის შერაცხული, ისევე, როგორც ილია, რომლის მკვლელობასაც გვაბრალებ. ჩემი საზომით, სწორედ მისი მკვლელი არ არის ქართველი, მიუხედავად მისი წარმომავლობისა. აი, სათხე მარილი კი ნამდვილად არ გეკადრებოდა, მაგრამ შეგინდობ, როგორც მართლმადიდებელი — „თბილისელ სომეხს“.** თუმცა ლიბერალურ ინკვიზიციას მივუბრუნდეთ.

„წმიდა ნინოს ცხოვრებაში“ მოთხრობილია, რომ როდესაც მაცხოვრის დასასჯელად ემზადებოდნენ, მცხეთელ ებრაელებს წერილი მოსწერეს იერუსალიმიდან. ამ წერილში მათი წარმომადგენლის ჩასვლასა და იესოს დასჯაში მონაწილეობას სთხოვდნენ. გასაგზავნად ბრძენი და მეცნიერი მღვდელი ელიოზი შეარჩიეს მცხეთელმა ებრაელებმა. გამგზავრების წინ ღრმად მოხუცმა დედამ ელიოზს უთხრა: **„შვილო, აჰა ესერა, წარხვალ წოდებასა მას, რომელსა ზრახვენ მღვდელმთავარნი და ფარისეველნი კაცისა მისთვის მართლისა. ნუმცა შერთულ ხარ მათ თანა, რამეთუ იგი არს მოსწავებული წინასწარმეტყველთაი და იგი არს წარმართთა ცხორებაი საუკუნო“. ელიოზმა პირობა შეუსრულა დედას და იესოს ჯვარცმის შესახებ გადაწყვეტილებას „არ ეზიარა“.**

**თითქმის 19 საუკუნის შემდეგ ეს ისტორია მისტიკურად მეორდება. 1922 წელს სტალინი საქართველოში ჩამოვიდა. მას დედა მიუახლოვდა და ჰკითხა: „ხელებზე მეფის ოჯახის სისხლი ხომ არ გცხია?“, სტალინმა უპასუხა: „ჭეშმარიტად, არა! მათ სისხლში წილი არა მაქვს!“ და ყველას დასანახად პირჯვარი გადაიწერა.**

აქირქილდებიან ახლა ჩვენებური „ექსკლუზიური ლიბერალები“. ისინი ხომ 50 წლის წინათ გარდაცვლილ სტალინს ებრძვიან, დღევანდელ ავტორიტარიზმს კი ჯიუტად არ იმჩნევენ. მათ ომი სტალინის ქანდაკებას მოუგეს, ენგურჰესი კი აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან ერთად რუსებს ჩააბარეს. მათ იმდენი ილაპარაკეს კანონის უზენაესობაზე, რომ უკანონობასაც უზენაესი სტატუსი შესძინეს. ისინი უმცირესობაში არიან, მაგრამ ძალასა და ძალადობას სწორედ იმიტომ ამართლებენ, რომ უმრავლესობა საკუთარი შეხედულების მიხედვით აცხოვრონ.

ქვეყანაში, რომელშიც თავად თბილისის მერის აღიარებით, დედაქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტი „ცოტა ელექტროენერგიას მოიხმარს, რადგან უჭირს, მაგრამ გადასახადი მაღალი ჰქონდა“. ელექტროენერგიაზე ამ გადასახადის მიბმით, უგულავას რომ ვენდოთ, „მოსახლეობის ნახევარზე მეტს ეს გადასახადი შეუმცირდება“. ერთი სიტყვით, თბილისელების უმრავლესობა იმდენად გაჭირვებულია, რომ მინიმუმამდე აქვს შემცირებული ელექტროენერგიის მოხმარება. რაც შეეხება დასუფთავების გადასახადის მაღალ დონეს, არასრული ერთი წლის განმავლობაში მერიამ ნაციონალური საკრებულოს მდუმარე თანხმობით ორჯერ ისე გააორმაგა, რომ მოსახლეობა არ შესცოდებია! ერთი სიტყვით, ნაგვის გატანას აძვირებენ იმიტომ, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტს „გაუიაფონ“! არქიფო სეთურისა და ასინეთასი არ იყოს, იგივეა ეს, ოღონდ — პირიქით!

ვისაც აღარ ახსოვს, შევახსენებ: წლეულს დასუფთავების გადასახადი 1,20 ლარიდან 2,50-მდე გაიზარდა. 2007 წელს კი იმავე მომსახურებაში 40 თეთრს ვიხდიდით. ევროპაში 2%-ით გადასახადის გაზრდის გამო საპროტესტო გამოსვლები კარგა ხანს არ ცხრება ხოლმე, ჩვენ კი 500%-ით გვიზრდიან და მერე აქციებში „რუსულ კვალს“ ეძებენ!

**მერე რა, რომ ექვსი თვის წინათ პარლამენტმა „მოსაკრებლის შესახებ“ კანონში ცვლილება შეიტანა, რომლის თანახმადაც დასუფთავების გადასახადი 3 ლარზე მეტი არ უნდა იყოს?! შეიკრიბებიან და კვლავაც შეიტანენ ახალ ცვლილებას. მათ ხომ უკეთ იციან, როგორ უნდა ვიცხოვროთ!**

**მეორე მხრივ, იქნებ, არც იყოს ლოგიკას მოკლებული, რომ სწორედ დასუფთავების გადასახადი იზრდება; ქვეყანა პოლიტიკურმა ნაგავმა წალეკა, მისი გატანა კი სულ უფრო რთულდება.**

**ნანა დევდარიანი**

**P.S. ილიას მოთხრობას „სარჩობელაზედ“ მეტად საგულისხმო მინაწერი აქვს: „ურმის ქარავანი რომ წავა შორს მანძილზედ, ერთ-ერთს ურემზედ მამალს დასმენ ხოლმე, რომ მამლის ყივილმა გათენება შეატყობინოს ქარავანსა. უფრო ხშირად ვისაც პირველობა აქვს ქარავანში, მამალიც იმას უზის ხოლმე. ურმის ქარავანში პირველობა, ესე იგი წინა ურმის მეურმეობა, გლეხობაში სასახელოა, რადგანაც მარტო კარგს, გზის მცოდნეს, ფხიზელს, სანდო მეხრეს და კაი ხარ-კამეჩის პატრონს ანდობენ ხოლმე მაგ პირველობას“.**

**ჩვენ ვის ვანდობთ?**

**მათ, ვისაც სიტყვა „გლეხი“ ეთაკილება, შევახსენებ, რომ სამხრეთ აფრიკაში ბრიტანელ იმპერიალისტებთან საბრძოლველად ჩასულმა ნიკო ბაგრატიონმა ბური დაირქვა. ბური კი ჰოლანდიურად სწორედ გლეხს ნიშნავს.**

> **ქვეყანა პოლიტიკურმა ნაგავმა წალეკა, მისი გატანა კი სულ უფრო რთულდება**

საქართველო და მსოფლიო
ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყმები კი არა, საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები ცხოვრობდნენ, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ ამ ტერიტორიაზე, რომელთა უდიდესი ნაწილი თავისი თვითმყოფადობით ინტეგრირებული იყო ქართულ კულტურასა და ტრადიციებში. საქართველო მათი სამშობლო იყო და სრული უფლება ჰქონდათ, ჩამოეყალიბებინათ კანონიერი პოლიტიკური მოთხოვნები. ჩვენი ურთიერთობების უპირველესი მტერი სწორედ ქართველი პოლიტიკოსების მიერ დანერგილი სტერეოტიპები აღმოჩნდა, რასაც მოჰყვა ნაციონალისტური ალტკინებები ორივე მხრიდან“.**

ვახტანგ კომახიძე:



# აგვისტოს ომი ქართველი და ოსი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულია

**ვახტანგ კომახიძის მიერ გახმაურებულ საქმეებზე გადაღებულ ფილმებსა და ჟურნალისტურ გამოძიებებს საზოგადოება კარგად იცნობს. ასევე ცნობილია, რომ აგვისტოს მოვლენებზე გადაღებული ფილმის „ესეც ჩვენი მოგებული ომი“ გამო ჟურნალისტზე ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან სერიოზული ზეწოლა განხორციელდა და ბატონი კომახიძეც იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა. მან შვეიცარიის მთავრობისგან მალევე მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი. „საქართველო და მსოფლიო“ ვახტანგ კომახიძეს სწორედ შვეიცარიაში დაუკავშირდა.**

**— ბატონო ვახტანგ, მას შემდეგ, რაც ცხინვალის რეგიონში ჩახვედით და ადგილობრივ ოფიციოზს შეხვდით, თქვენ ლამის სამშობლოს მოღალატედ შეგრაცხეს...**

— სწორედ ასეთი შერაცხვების საშუალებით უპირისპირდება ავტორიტარული რეჟიმი საწინააღმდეგო აზრს. ასეთი იარლიყების გამოყენებით იშორებდა საზოგადოების ერთ ნაწილს და ატერორებდა დანარჩენს ბოლშევიკური, ნაცისტური თუ ფაშისტური რეჟიმები. თავისუფალ საზოგადოებებში ასეთ მეთოდებს ხელისუფლება ვერ მიმართავს.

**— რამ გაიძულათ და რატომ ჩათვალეთ საჭიროდ, რომ ჩასულიყავით ცხინვალში? პირადად ჩემთვის შოკისმომგვრელი იყო ფილმი „ესეც ჩვენი მოგებული ომი“... დღევანდელი გადასახედიდან (შესაძლოა, როდესაც ფილმზე მუშაობდით, ემოციები ჭარბობდა) არ ფიქრობთ, რომ ამ ფილმში მართლა არის ელემენტები, რითაც მტრის წისქვილზე ასხამთ წყალს?**

— გულწრფელობის სერთიფიკატი არ არსებობს და მიმაჩნია, რომ არაკორექტულია გულწრფელობის მოთხოვნა, მაშინ, როცა შესაბამისი ეჭვის საფუძველი არ ჩანს!

**საერთოდ, ქართულ-ოსური პრობლემის მიზეზი ისაა, რომ ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ საკითხს შუასაუკუნეობრივი პოლიტიკური ცნობიერებით უდგება. საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდში ქართულმა პოლიტიკურმა წრეებმა დაიწყეს სტერეოტიპის დანერგვა, რომ ოსები შიდა ქართლში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლდნენ, რომ ისინი ყმებად მიიღეს, რომ ცხინვალში XX საუკუნის დასაწყისში მხოლოდ რამდენიმე ოსური ოჯახი ცხოვრობდა და ა. შ. და რომ ამის გამო მათ მოკრძალებული პოლიტიკური მოთხოვნები უნდა ჰქონოდათ.**

**ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყმები კი არა, საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები ცხოვრობდნენ, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ ამ ტერიტორიაზე, რომელთა უდიდესი ნაწილი თავისი თვითმყოფადობით ინტეგრირებული იყო ქართულ კულტურასა და ტრადიციებში. საქართველო მათი სამშობლო იყო და სრული უფლება ჰქონდათ, ჩამოეყალიბებინათ კანონიერი პოლიტიკური მოთხოვნები.**

**ჩვენი ურთიერთობების უპირველესი მტერი სწორედ ქართველი პოლიტიკოსების მიერ დანერგილი სტერეოტიპები აღმოჩნდა, რასაც მოჰყვა ნაციონალისტური ალტკინებები ორივე მხრიდან.**



ვახტანგ კომახიძე:

## «სანაკოევის პროექტის» მსგავსი ავანტიურიზმის შემდეგ კონფლიქტის გაღვივება გაიოლდა

ცხადია, ამ პროცესში თავი იჩინა რუსეთის როლმა, რომელიც თავის მხრივ, ავტონომიების ხარჯზე სამხრეთ კავკასიაში გავლენის შენარჩუნებას ცდილობდა, რათა არ დაეშვა მის საზღვრებთან ჩრდილოატლანტიკური ბლოკის დაახლოება. **სრული რეალობა იყო ისიც, რომ, ვარშავის სამხედრო ბლოკი ავტონომიური ტერიტორიების მოსახლეობისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელ უსაფრთხოების სისტემას წარმოადგენდა, რადგან, ნატოსა და ვარშავის ბლოკის დაპირისპირების მიუხედავად, ფორმალური უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყო და მაშინდელი პროპაგანდის საშუალებების წყალობით დასავლური სამხედრო უსაფრთხოების სისტემა მხოლოდ და მხოლოდ მტრის სახეს წარმოადგენდა. იმის ნაცვლად, რომ ჩვენ გვქონოდა მათთან კომუნიკაცია, ქართულმა პოლიტიკამ ავტონომიურ ტერიტორიებზე არსებული საზოგადოებრივი აზრის უგულვებელყოფის გზით აიღო ისეთი პოლიტიკური კურსი, რომელშიც არ იყო გააზრებული რეგიონული და სამეზობლო უსაფრთხოების მომავალი რეგულირების საკითხები.**

ძნელი სათქმელია, როდის დადგება ის დღე, როცა რუსეთს საქართველოს ავტონომიური ტერიტორიებისადმი მიკერძოებული დამოკიდებულება არ ექნება. მაგრამ, ასეთი დღე რომ დადგეს კიდეც, ეს საკმარისი პირობა არ იქნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ქართულ-ოსური ურთიერთობების მოწესრიგების გარეშე. დღესაც აუცილებელია კომუნიკაცია, მაგრამ კომუნიკაცია არ შედგება საკითხების ობიექტური შეფასების გარეშე. აქედან გამომდინარე, მტრის წისქვილზე წყლის დასხმა პოლიტიკური ჩადრის მორგება და „უბიწოების“ ამ ფორმით წარმოჩენაა.

**— მოდით, დავივიწყოთ შეფასებები, რომ თქვენ ხართ აგენტი... როგორც ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძეს, რომელმაც საკმაოდ გაბედული ნაბიჯი გადადგით, გკითხავთ: როგორ დაგხვდნენ სეპარატისტული მთავრობის წევრები ქართველ ჟურნალისტს?**

— არ მესმის, რატომ უნდა დაივიწყოთ ასეთი მნიშვნელოვანი შეფასება აგენტობის შესახებ, თუ ის დამაჯერებელია, და არც ის მესმის, რატომ ახსენებთ მას, თუ მისი არ გჯერათ?! იქნებ, იმის მაგალითები გაქვთ, რომ შვეიცარია სხვა ქვეყნის აგენტებს იფარებს?

ცხინვალში კი, რა თქმა უნდა, დამხვდნენ როგორც ჟურნალისტს. რაც შეეხება ადგილობრივ ოფიციოზთან შეხვედრას, მათ ჩვენ შევხვდით დაკავებული ქართველი არასრულწლოვანების მონახულების მიზნით და ჩვენ ისინი მოვინახულეთ.

**— თუ სწორად მახსოვს, თქვენ გქონდათ შესაძლებლობა, შეხვედროდით და გასაუბრებოდით რიგით მოქალაქეებს, როგორია მათი დამოკიდებულება ქართველებისადმი? როგორ გგონიათ, ქართველ და ოს ხალხს შორის ერთმანეთთან მისასვლელი ხიდი სრულად დაიწვა 2008 წელს?**

— შეხვედრის დასაწყისში მათთან რუსულად ვლაპარაკობდით, შემდეგ — ქართულად და, ოსური რომ მცოდნოდა, რა თქმა უნდა, ოსურადაც ვილაპარაკებდით. საქმიანი საუბრის შემდეგ, რამდენიმე კითხვა იმასაც კი შეეხებოდა, როგორ გამოიყურებოდა თბილისი, იყო მოგონებებიც. **ისეთი განცდა მქონდა, რომ საქართველო მათი ცხოვრების ნაწილი იყო და ამ თანაცხოვრების კარი კი ჩვენივე ხელით მივუკეტეთ. რა თქმა უნდა, ვგრძნობდი, რომ მძიმე სათქმელიც ჰქონდათ, მაგრამ ზრდილობიანად მოგვექცნენ.**

**— ფილმში არის უმძიმესი კადრები, მართლა გჯერათ, რომ ქართველებმა ჩაიდინეს ეს ყველაფერი? იქნებ, ეს ყველაფერი დეზინფორმაციაა?**

— ფილმში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო რუსული და ოსური მხარის მიერ ქართველი ტყვეებისადმი არაადამიანური მოპყრობისა და წამების ფაქტებს. დეზინფორმაციის გავრცელების სურვილის შემთხვევაში, ასეთი კადრები ფილმში არ იქნებოდა.

**— ბატონო ვახტანგ, პირადად თქვენ რამ შეგძრათ ყველაზე მეტად, რაც ცხინვალში ნახეთ და მოისმინეთ?**

**— შემძრა ნგრევის მასშტაბმა და ყველაფერმა იმან, რაც ფილმშია. ამას გარდა, ოსებში იგრძნობა შიში, რომ რუსებმა არ მიატოვონ. ხალხი, რომელიც ტრადიციებით, ცხოვრების წესით უფრო ახლოსაა ქართველებთან; ხალხი, რომლის დიდი ნაწილი ნათესაურ კავშირშია ქართველ ერთან, რუსეთის ხელისშემყურედ იქცა, რადგან ქართული მხრიდან, ფაქტობრივად, არ ჩაცხრა აგრესია.**

მენშევიკების მთავრობის პერიოდში, როცა გარკვეული ოსური ჯგუფის მიერ მოწყობილ ამბოხებას ქართული გვარდიის სადამსჯელო ოპერაცია მოჰყვა, რუსები წაქეზებულ აჯანყებულებს აღარ დაეხმარნენ. სწორედ ამის გამო ოსებში არსებობს შიში, რომ, თუ რუსები მათ კვლავ მიატოვებენ, ისინი ისევ სასიცოცხლო საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან. ქა- ▶

მოკლედ

## ავღანეთიდან ჯარებს საფრანგეთიც გაიყვანს

**ავღანეთიდან ჯარების გაყვანას აშშ-თან ერთად საფრანგეთიც დაიწყებს. ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა.** ფრანგული არმიის გაყვანა შეთანხმებული იქნება ამერიკული ჯარების გაყვანის გრაფიკთან. ამასთან, საფრანგეთის ჯარების რაოდენობის შემცირება ავღანეთში შეთანხმებული იქნება კოალიციის სხვა მოკავშირეებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ამ დროისთვის ავღანეთში საფრანგეთის 4 ათასამდე ჯარისკაცია. 2001 წლიდან დღემდე ავღანეთში 62 ფრანგი ჯარისკაცი დაიღუპა.



## რასმუსენი კმაყოფილია

**ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი ავღანეთიდან ჯარების გაყვანის შესახებ აშშ-ის გადაწყვეტილებას მიესალმება.** „პრეზიდენტ ობამას გადაწყვეტილება ჩვენ მიერ მიღწეული პროგრესის შედეგია. ეს გადაწყვეტილება ნატოს მოკავშირეებსა და პარტნიორებთან მჭიდრო კონსულტაციების შემდეგ იქნა მიღებული“, — განაცხადა მან. კოალიციური ძალების მიერ ავღანეთის ხელისუფლებისთვის პასუხისმგებლობის გადაცემის პროცესი უკვე დაიწყო.

სააკაშვილი ქვეყნის გაერთიანების პოლიტიკური პასუხისმგებლობით მოვიდა ხელისუფლებაში და, საომარი მოქმედებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, იგი თავისი დანაპირების მნიშვნელოვან ნაწილს აასრულებდა — ჩამოირეცხავდა პასუხისმგებლობას დარბეული 7 ნოემბრის, კონტროლირებადი სასამართლოს, განადგურებული მედიისა და გაყალბებული არჩევნების გამო. დამარცხების შემთხვევაში კი, რაც კონფლიქტში რუსეთის ჩარევას აუცილებლად მოჰყვებოდა, საქართველოს ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის ვალდებულების ბუნდოვანი ვადით გადავადებას ახერხებდა. ამიტომ იყო ომის წამოწყება ავანტიურისტული გადაწყვეტილება.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართულმა სახელმწიფომ ოსებს უსაფრთხოების არანაირი განცდა არ შეუქმნა

ქართულმა სახელმწიფომ ოსებს უსაფრთხოების არანაირი განცდა არ შეუქმნა. ქართულმა პოლიტიკამ ექსტრემისტები, სეპარატისტები და ნეიტრალურად განწყობილი მოსახლეობა საქართველოსთან დაპირისპირებულ ერად აქცია.

**— თქვენ არაერთი სკანდალური ჟურნალისტური გამოძიების ავტორი ბრძანდებით, მათ შორის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას მკვლელობის შესახებ გადაიღეთ საკმაოდ რეზონანსული ფილმები, მაგრამ სწორედ ამ ფილმის გამო მოგიხდათ ქვეყნიდან გაქცევა, რატომ?**

— მუქარა იმ ფილმსაც მოჰყვა, მაგრამ არც კი გამიხმაურებია, რადგან არასერიოზულად მივიჩნიე. ზურაბ ჟვანიაზე გადაღებული ფილმის გამო მუქარის ავტორი კი, არც მეტი, არც ნაკლები, გიგა ბოკერია იყო. მან ღიად, საერთო მეგობრების წრეში განაცხადა, რომ ამ ფილმისთვის პასუხს მაშინ მომთხოვდა, როცა ის თანამდებობაზე აღარ იქნებოდა, რადგან იმ დროს დეპუტატი იყო და საქმის გარჩევა არ შეეფერებოდა. ცხადია, ასეთ მუქარაზე რეაგირება არ იქნებოდა სერიოზული, მაგრამ ხელისუფლებაში რომ გულგრილი არ იყვნენ ჩემი საქმიანობის მიმართ, ეს ამას ადასტურებს. მუქარის გამოვლინებას არაერთხელ ჰქონია ადგილი, მაგრამ მათ ვილებდი სიმძაფრის შესაბამისად. ცხინვალიდან დაბრუნების შემდეგ კი მუქარა რეალური იყო.

**— თქვენ არამარტო ჟურნალისტი, ამ ხელისუფლების ყოფილი ჩინოვნიკიც ხართ და არცთუ მცირე წვლილი მიგიძღვით ამ ადამიანების ხელისუფლებაში მოყვანაში... ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც აბაშიძის ხელისუფლებამ სასტიკად სცემა სააკაშვილ-მერაბიშვილის მხარდაჭერისთვის... თუმცა, თუ სწორად მახსოვს, საკმაოდ გვიან გაარკვიეთ, რომ ეს თავდასხმა მერაბიშვილისა და გივი თარგამაძის მიერ იყო ორგანიზებული... ეს ხომ არ გახდა თქვენი ამ ხელისუფლებასთან დაპირისპირების მიზეზი?**

— სხვათა შორის, თავდასხმის ეს ისტორიაც გამოუძიებელია. ვანო მერაბიშვილსა და გივი თარგამაძეს მაშინ არ შეეძლოთ აჭარის ტერიტორიაზე თავდასხმის ორგანიზება. უბრალოდ, მათთან დაახლოებულმა პირმა, რომელიც მაშინ ბათუმის პოლიციის მაღალჩინოსანი იყო, აჭარის უშიშროების მინისტრს მიაწოდა სარწმუნო ინფორმაცია, რომ მე საკმაოდ არასასურველ გადაცემას ვამზადებდი ასლან აბაშიძეზე. **ამის შემდეგ გადაწყდა ჩემზე თავდასხმა და ჩემთვის მასალების წართმევა, რაც წარმატებით გამოიყენა საქართველოს ხელისუფლებამ აბაშიძის დისკრედიტაციისთვის. ჩემი აჭარაში ყოფნისა და მუშაობის შესახებ კი იცოდნენ მერაბიშვილმა და თარგამაძემ, რომელთანაც ვმეგობრობდი და, აჭარაში არსებული დაძაბული მდგომარეობის გამო, გამგზავრებამდე ვთხოვე, რაიმე გართულების შემთხვევაში დახმარება აღმოეჩინათ.**

**თარგამაძის „მეგობრული დახმარების" შესახებ მე მოგვიანებით შევიტყვე, მაშინ, როცა უკვე არაერთი ფილმი მქონდა მომზადებული ხელისუფლებისთვის არასასურველ ფაქტებზე.** ამიტომ ამ ინციდენტის ხელისუფლებასთან დაპირისპირების საბაბად წარმოჩენა უადგილოა.

ხელისუფლების ჩინოვნიკობაც, ვფიქრობ, უსაფუძვლო ბრალდებაა. „ვარდების რევოლუციის" ავტორებს სურდათ „რუსთავი 2"-ის გამარჯვებული ხალხის ტელევიზიად გადაკეთება. ამიტომ მაშინ დაიხურა არაერთი გადაცემა, მათ შორის „60 წუთიც", სადაც მაშინ ვმუშაობდი. პარალელურად მთხოვეს, მემუშავა უშიშროების სამინისტროში. ვმუშაობდი სამი თვის განმავლობაში და უკანონო დავალებები არ შემისრულებია.

**— თქვენ უშიშროების სამინისტროში ერთ-ერთ სამმართველოს ხელმძღვანელობდით. რატომ დატოვეთ თანამდებობა?**

— ჩემ თვალწინ მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, შეიძლება ითქვას, დანაშაული მაღალჩინოსნების მხრიდან. შესაბამისი მტკიცებულებებით მივმართე სამინისტროს მაშინდელ ხელმძღვანელებს. რადგან ეს ფაქტები რეაგირების გარეშე დარჩა, სამინისტრო დავტოვე.

**— დავუბრუნდეთ ისევ აგვისტოს ომის თემას, ვისი ინიციატივითა და მითითებითაც მოხდა 2008 წლის 8 აგვისტოს საომარი მოქმედებების დაწყება. რა იყო ამის მოტივი?**

— ამის შესახებ გარკვევით წერია ჰეიდი ტალიავინის დასკვნაში და ვერავინ იტყვის, რომ იგი მიკერძოებულია. ამ დოკუმენტში გაანალიზებულია კონფლიქტის ისტორიული კონტექსტი, ჩართული მხარეების ინტერესები, მაგრამ 2008 წლის 8 აგვისტოს ომის დაწყებაში ბრალდებულია ქართული მხარე. დღეს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თვალს ხუჭავს დასკვნის ამ ნაწილზე, რადგან, პრიმიტიული პატრიოტული დოქტრინის მიხედვით, საკუთარი დანაშაულის აღიარება სამშობლოს ღალატად მიიჩნევა.

**რეალურად, ქართულმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ქართული მხარე 2008 წლის 8 აგვისტომდე ცეცხლზე ნავთს ასხამდა ცხინვალის მისადგომებთან განხორციელებული „ჰუმანიტარული აგრესიით", ალტერნატიული ადმინისტრაციით, სხვადასხვა სპეცოპერაციებით. ხუთდღიანი ომის სავალალო შედეგების გამო კი ქართულ საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ სააკაშვილი რუსეთის თამაშს თამაშობდა.**

ომის დაწყების მოტივს, ერთის მხრივ, რა თქმა უნდა, კონფლიქტური რეგიონის შემოერთება წარმოადგენდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს გადაწყვეტილება სრულიად ავანტიურისტული იყო. **სააკაშვილი ქვეყნის გაერთიანების პოლიტიკური პასუხისმგებლობით მოვიდა ხელისუფლებაში და, საომარი მოქმედებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, იგი თავისი დანაპირების მნიშვნელოვან ნაწილს აასრულებდა — ჩამოირეცხავდა პასუხისმგებლობას დარბეული 7 ნოემბრის, კონტროლირებადი სასამართლოს, განადგურებული მედიისა და გაყალბებული არჩევნების გამო. დამარცხების შემთხვევაში კი, რაც კონფლიქტში რუსეთის ჩარევას აუცილებლად მოჰყვებოდა, საქართველოს ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის ვალდებულების ბუნდოვანი ვადით გადავადებას ახერხებდა. ამიტომ იყო ომის წამოწყება ავანტიურისტული გადაწყვეტილება.**

**— შესაძლოა, ქართველმა პოლიტიკოსებმა და სამხედრო სპეციალისტებმა ვერ გათვალეს ამ ფატალური შეცდომის შედეგები, მაგრამ ნუთუ ეს ვერ გაითვალისწინეს იმ უცხოელმა მრჩევლებმა, რომლებიც, როგორც დღეისთვის ოფიციალურადაა ცნობილი, იმ დროს ასობით იყვნენ საქართველოში და თითქმის ყველა უწყებას კონსულტაციას უწევდნენ?**

— საქმეც ისაა, რომ დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტის დარეგულირების მშვიდობიანი ფორმებისკენ მოუწოდებდა. მაგრამ მშვიდობიანი დარეგულირების ვადები არ შეესაბამებოდა სააკაშვილის საარჩევნო დაპირებებსა და ხელისუფლების გახანგრძლივების გეგმებს. შესაბამისად, უცხოური რჩევები ყოველთვის არ იყო ხელსაყრელი სააკაშვილისთვის. მაგალითად, ცნობილია დასავლელი პარტნიორების რეკომენდაციები ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე. საქართველოს ენერგოსექტორის მართვაში კი რუსული კომპანიების წილი საკმაოდ მაღალია.

დასავლური რეკომენდაციები არ მუშაობს, რადგან ეგრეთ წოდებული სახელმწიფო კაპიტალიზმის პირობებში ხელისუფლებისთვის რუსულ კომპანიებთან ურთიერთობა უფრო კომფორტულია, ვიდრე თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებს მიჩვეულ კომპანიებთან. ამაში დარწმუნება სახელმწიფოსა და კომპანიების კონფლიქტების სტატისტიკის თვალის გადავლებითაც შეიძლება.

**—პროექტზე „კოკოითი ფანდარასტ", ისევე, როგორც სანაკოევზე, ათეულობით მილიონი დაიხარჯა, თქვენ იყავით ცხინვალში და იცით ადგილობრივების დამოკიდებულება ამ ყველაფრის მიმართ, რა შედეგი მოგვიტანა ამ პროექტმა და „სანაკოევებმა"?**

— იგორ გიორგაძე რას წარმოადგენს საქართველოსთვის? რატომ უნდა ყოფილიყო ცხინვალისთვის სანაკოევი მომხიბლავი? მით უმეტეს, რომ გიორგაძეს მსოფლმხედველობა არ გამოუცვლია, სანაკოევმა კი „შეიცვალა". საერთოდ, ჯერ კიდევ 2004 წელს სამშვიდობო პროცესი იმდენად იყო გაღრმავებული, რომ ცხინვალის მისადგომებთან ატეხილ სამხედრო აქტიურობას საომარი გაგრძელება არ მოჰყვა. სწორედ „სანაკოევის პროექტის" მსგავსი ავანტიურისტული ღონისძიებების შემდეგ გახდა იოლად შესაძლებელი კონფლიქტის გაღვივება.

**— თქვენ შვეიცარიას სთხოვეთ პოლიტიკური თავშესაფარი და არცთუ დიდხანს მოგიწიათ ლოდინი, მაშინ, როდესაც ზოგიერთი ყოფილი ჩინოვნიკი (მაგალითად, მიხეილ ქარელი) ამ „სიამოვნებას" დიდხანს ელოდა... ზოგადად, როგორი დამოკიდებულებაა ევროპაში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებისადმი? კვლავ „დემოკრატიის შუქურად" მიიჩნევა საქართველოს ხელისუფლება თუ ევროპამ ვარდისფერი სათვალე მოიხსნა?**

— არ მგონია, რომ ევროპას სათვალეების ფერის შერჩევა უჭირდეს. მას აქვს თავისი ენა და ამ ენით ყოველთვის საკმარისს ამბობს. სხვა საქმეა, როგორ ფუთავდა ქართული პროპაგანდა დასავლეთის ნათქვამს.

**— არ ნანობთ ცხინვალში ჩასვლას? ცხადია, აცნობიერებთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში თქვენ საქართველოში დაბრუნება არ გეღირსებათ. ღირდა კი ეს ყველაფერი ამად? რამე შეცვალა თქვენმა ფილმმა?**

— თქვენ ფიქრობთ, რომ კობა ნაყოფიას ფილმმა შეცვალა სამყარო? პროპაგანდას შეუძლია გარკვეული პერიოდით მოაპირკეთოს რეალობის ფასადი, მაგრამ ფაქტებს ვერ შეცვლის. **აგვისტოს ომი ქართველი და ოსი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია, რასაც რუსეთის აგრესიაც მოჰყვა და ეს ვერ მოხდებოდა ქართული სამხედრო მოქმედებების გარეშე. სანამ ამ დანაშაულის შესანიღბად პროპაგანდა იმოქმედებს, პრობლემის გადაწყვეტის გზას ვერ დავადგებით. რაც შეეხება ჩემს საქართველოში დაბრუნებას, ეს სააკაშვილის პერიოდში ბევრ ადამიანს ვერ ეღირსება, რაც ამ ხელისუფლების კიდევ ერთი პოლიტიკური დანაშაულია. ჩემი ფილმი ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოში აჩვენეს. ეს ბევრად ფასეულია, მოქალაქეობრივი და პროფესიული ვალდებულებების თვალსაზრისით, ვიდრე ქართველი და ოსი ხალხის ტრაგედიაზე აგებული ჰოლივუდური მასკარადი.**

ესაუბრა
**მანანა ჩხეიძე**





## ზურაბ ჟვანიაზე გადაღებული ფილმის გამო გიგა ბოკერია დაიმუქრა

## ავღანეთიდან ნარკოდერეფანი ევროპამდე საქართველოს გავლით მიდის

**გაეროს ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს ყოველწლიურ ანგარიშში ნათქვამია, რომ ევროპაში ავღანური ნარკოტიკების ტრანსპორტირების ერთ-ერთი უმთავრესი მარშრუტი ირანის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით თურქეთამდე მიდის, საიდანაც ნარკოტიკები ევროპის ქვეყნებში ვრცელდება.** შეგახსენებთ, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ავღანური ნარკოტიკების 35% აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით ვრცელდება, ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბრიდან ვრცელდება.



## იემენში ციხიდან ტერორისტები გაიქცნენ

**გამთენიისას იემენში ისლამისტი მეამბოხეებისთვის განკუთვნილი ციხიდან პატიმრებმა გაქცევა მას შემდეგ მოახერხეს, რაც პატიმრების მხარდამჭერებმა იერიში ციხის მცველებზე მიიტანეს.** სროლის დროს დაცვის 1 წევრი დაიღუპა, ხოლო 2 დაიჭრა. ციხეზე თავდასხმის დროს ბოროტმოქმედებმა მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები და ყუმბარმტყორცნები გამოიყენეს. სულ ციხეში 100 პატიმარი იმყოფებოდა.

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნებისმიერ მღვდელმთავარსაც ხომ შეუძლია, რომ სიმართლე უთხრას თავის სამწყსოს თავის ეპარქიაში? ნებისმიერ მღვდელს შეუძლია თავის უბანში, თავის ქალაქში თავისი მართალი სიტყვა ამბიონიდან გააგონოს მრევლს! რატომ ვერ ამბობენ, შიში აქვთ ვინმესი? უფლის გვეშინოდეს, უფლის, ჩვენი არასწორი საქციელის, ჩვენი ცოდვების გამო! დიახ, ვისაც სურვილი აქვს, ყველას შეუძლია სიმართლე თქვას, რომ 26 მაისის ღამე იყო დანაშაული! ამ შემთხვევაში, ვინც უნდა იყოს ხელისუფლებაში, უნდა ამხილო... რადგან უფალი მეფობს ამ ქვეყანაზე და არა ვილაც ხელისუფალი!**



## მეუფე ეფრემი (ბოლნელი ეპისკოპოსი):

# ძალიან რთულია ჩვენი უწმინდესის მდგომარეობა!

**„საქართველო და მსოფლიო“ აგრძელებს ბოლნელ ეპისკოპოსთან, მეუფე ეფრემთან (გამრეკელიძე) საუბრების ციკლს, რომელსაც უძღვება გაზეთის „მახვილი მესიისა“ მთავარი რედაქტორი შორენა სიხარულიძე.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №22

**— მეუფე ეფრემ, თქვენ ბრძანეთ, რომ ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც საზოგადოების ნდობას ჯერ კიდევ ინარჩუნებს, ეკლესიაა. ალბათ, ასე ძალუმად ამიტომაც ცდილობენ მისი ავტორიტეტის შელახვას. ხომ არ მიიჩნევთ, რომ საპატრიარქოს სიჩუმე, გნებავთ გაურკვეველი განცხადებები 26 მაისის ღამესთან დაკავშირებით, წმინდა სინოდის ავტორიტეტს ჩრდილს აყენებს, რაც, რა თქმა უნდა, ეკლესიის არაკეთილმოსურნეთა წისქვილზე ასხამს წყალს, რაც, არა მგონია, სიკეთის მომტანი იყოს...**

— ძალიან რთულია ჩვენი უწმინდესის მდგომარეობა. ხშირად, ასეთ რთულ ვითარებაში, ვცდილობ, ჩემი თავი მის ადგილას წარმოვიდგინო და ვფიქრობ, თავად როგორ ვიტყოდი, როგორ მოვიქცეოდი და მთელი სისავსით ვგრძნობ ენით აუწერელ სიმძიმეს... თვალწინ თითქმის ჯოჯოხეთური მდგომარეობა წარმომიდგება ხოლმე — ეს არის მისი ჯვარცმა! წარმოიდგინეთ, უწმინდესის ერთი სიტყვა რამდენად წონადია და როგორ ელოდება ერიც და ბერიც! რამდენად სწორად უნდა თქვას თითოეული სიტყვა, რომ იმ ერთმა სიტყვამ კი არ გათიშოს, არამედ გააერთიანოს ერი! და ღმერთმა ნუ ქნას, მისი ეს სიტყვა სწორად არ გაიგოს ან ერთმა, ან მეორე მხარემ. ამან შეიძლება ერის ტრაგედია გამოიწვიოს! ეკლესია ყოველთვის ცდილობს, ვინმეს მხარე კი არ დაიჭიროს, არამედ სიმართლის, ჭეშმარიტების მხარეს დადგეს, მაგრამ ხანდახან უჭირთ ამ ჭეშმარიტების სწორად დანახვა და დაუმსახურებლად „მიაწერენ“ რომელიმე მხარის — ან მთავრობის, ან ოპოზიციის მხარდაჭერას. უდიდესი სულიერება სწორედ ის არის, რომ ორივე მხარეს, როგორც უნდა აშავებდეს იგი, ისე შეხედო, როგორც შენს შვილს. და მესმის, როგორ სტკივა უწმინდესს ყველა ადამიანი, განურჩევლად იმისა, თუ სად დგას იგი.

**— კიდევ ერთხელ ჩაგეკითხებით: საპატრიარქოს მხრიდან იყო თუ არა ხმამაღლა დასაგმობი ხელისუფლების ქმედება 26 მაისის ღამეს? და მისმა სიჩუმემ მიაყენა თუ არა ჩრდილი ეკლესიის, საპატრიარქოს, წმინდა სინოდის ავტორიტეტს?**

— რა თქმა უნდა, 26 მაისის ღამე ერთმნიშვნელოვნად დასაგმობი იყო! უნდა დაგმობილიყო ცოდვა ძალადობისა, მკვლელობისა... ასეთი სისასტიკისა. რა მნიშვნელობა აქვს, რომელი მხარე ჩაიდენს ამ სისასტიკეს? ჩვენთვის ხომ ყველას სიცოცხლე ერთნაირად ძვირფასია?! მე მჯერა, მოსახლეობა ეკლესიიდან არ ელოდა პოლიტიკურ განცხადებებს (და ეს ასეც უნდა იყოს), მაგრამ როგორ შეიძლება, ადამიანი უყურებდე, როგორი სიძულვილითა და სისასტიკით ურტყამს და სასიკვდილოდ იმეტებს ათი სპეცრაზმელი ერთ ხელებშეკრულ კაცს (კიდევ გეუბნებით, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რომელ მხარეს დგას) და ეს არ დაგმო! რაც სათქმელია, უნდა ითქვას — თეთრზე თეთრი უნდა ვთქვათ და შავზე — შავი! როცა ასეთი საშინელი რამ ხდება, როცა ადამიანი ასე უმოწყალოდ, ასეთი სისატიკით ეპყრობა ადამიანს, ქართველი ქართველს, ამაზე დუმილი არ შეიძლება!

**— იცით, მეუფე ეფრემ, იმ პერიოდში, კარგად მახსოვს, ხალხი ხმამაღლა ამბობდა: „ბოლოს და ბოლოს რა უნდა მოხდეს, რომ ეკლესიამ ხმა ამოიღოს? როდემდე? სანამ ჩვენი სისხლის მდინარეებით არ წაილეკება საქართველო? რას ვერ თმობენ ეკლესიის მსახურნი — ჯიპებს, კეთილდღეობას, კომფორტს, მდიდრულ ცხოვრებას? ისინი ხომ იმისთვის არიან იქ, რომ სიმართლეს, ქრისტეს, ერს ემსახურონ? და როდესაც ხელისუფლებამ უკვე მერამდენედ მოუწყო ბართლომეს ღამე საკუთარ ხალხს, იყო თუ არა ეს ქრისტეს მცნებების წინააღმდეგ წასვლა?“. რა ვუთხრათ ამ ადამიანებს? რით ვანუგეშოთ ისინი, ვისაც უკვე მდიდრული ავტომანქანიდან გადმოსული სასულიერო პირი აღიზიანებს, რადგან ახსენდება, როცა შვილი ცემით მოუკლეს, მაშინ ეკლესია დუმდა.**

— ყოველ ადამიანში მეტ-ნაკლებად არის ეგოიზმი და ასეთ ვითარებაში მასში თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებს...და აღარ უნდა „აირიოს“ თავისი საკუთარი „დამშვიდებული“სიცოცხლე...

..და ასე, ველარ ელევა ამ კომფორტულ ცხოვრებას და ფიქრობს, რომ ოღონდ მას არაფერი ეტკინოს, მის ოჯახს არ დაემუქროს საფრთხე და დუმს! ამის საპირისპირო თვისება კი თავგანწირვაა, რასაც ადამიანს რწმენა, ღვთის სიყვარული აძლევს; სამწუხაროდ, ერშიც და ბერშიც თავგანწირვის მუხტი შემცირდა და „თვითგადარჩენის“ ინსტინქტმა წამოიწია წინა პლანზე... ამიტომაცაა, „სანამ მე და ჩემს ოჯახს არ შეგვეხება, მანამდე გავჩუმდები“-ს პრინციპით ცხოვრობს ერიც და ბერიც, სამწუხაროდ!.

**—ანუ, რაც ბერი, ის ერი? თუ პირიქით — რაც ერი, ის ბერი?**

— ეს ზიარჭურჭელივითაა და დასამალი არცაა. ჩვენი ერის არსებობის მანძილზე ყოველთვის ასე იყო — აიწევდა სულიერების დონე ბერ-მონაზვნობაში?ეს ავტომატურად ვრცელდებოდა ერზეც..სწორედ ამის გამო ჩატარდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება! დავით აღმაშენებელმა დაინახა, რომ როგორც კი დაეცა სულიერება და ზნეობრიობა ბერში, ეკლესიაში, ავტომატურად აირია, დეგრადაციისკენ წავიდა მთელი ქვეყანა, მთელი ერი! ასე რომ, **ეკლესია, სასულიერო დასი არის წამყვანი, ერის სულიერი ლოკომოტივი, ჩირაღდანი და თუ წინ მიმავალ გზაზე ის ჩაგიქრა, ყველა — ერიც და ბერიც, რა თქმა უნდა, სიბნელეში აღმოჩნდება,** დაიბნევა. ამიტომაც **ვალდებულნი ვართ, ერს ყოველთვის სიმართლე ვუთხრათ და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ! კიდევ ერთხელ ხმამაღლა და მკაფიოდ ვიტყვი — 26 მაისის ღამე იყო ბოროტება! ცოდვა!**

**— მაშინ, როდესაც ლუკა კურტანიძე, სოსო ჯაჭვლიანი დადააპატიმრეს, ადამიანები, რომლებმაც უამრავი სიხარული მიანიჭეს ქვეყანას (შეიძლება ზოგიერთს, იმ მიტინგზე მდგომს დასწამო რაღაც ანგარება, მაგრამ განა რა ჰქონდა გასაჭირი ამ ადამიანებს და მათნაირს კიდევ ბევრს, თუ არა ქვეყნის ტკივილი და ტრაგედია?), ხალხი მთავრობისგან და საერთოდ პოლიტიკოსებისგან პასუხს აღარ ელოდება, აღარ სჯერა მათი. ერთადერთი საყრდენი, რაზეც ეროვნული ცნობიერება დგას, ეს ეკლესიაა. და საკუთარი, აზრის მკაფიოდ არგამოხატვით მრევლის უდიდეს ნაწილში ეკლესიის ავტორიტეტს ჩრდილი თუ მიადგა?**

— ასეთ რთულ ვითარებაში ადამიანები ეკლესიას ყოველთვის ბოლო იმედის თვალით შეჰყურებენ, რადგან სხვაგან აღარსადაა შველა. ვითომ შეიცვალა მთავრობა, დადგა რომელიღაც პოლიტიკური ძალის გვერდით, მაგრამ ყველა შემთხვევაში მაინც მოტყუებული დარჩა! **ხალხი ერთადერთ ხსნას, შველას, სიმართლეს მხოლოდ ეკლესიისგან ელოდება, ამიტომ ეს ხმა ზარის რეკვასავით უნდა ისმოდეს ეკლესიიდან! რაც სამხილებელია, მკაფიოდ, დაუფარავად, შეულამაზებლად უნდა ვამხილოთ; რაც სათქმელია, უნდა ითქვას, ოღონდ ყოველგვარი სიყალბის გარეშე!!!** თუმცა, არც თუ იშვიათად, თუ ვინმემ სიმართლე თქვა, მის ნათქვამს ხანდახან ირონიით იღებენ ხოლმე ერშიც და ბერშიც!.. სამწუხაროდ!..

**...მერე სასწრაფოდ გამოჩნდებიან მავანნი ეკრანზე, აუცილებლად ტაძარში, სანთლით ხელში და რატომღაც ფიქრობენ, რომ ამით ჩამოირეცხენ თავიანთ დანაშაულადქცეულ ცოდვებს... რატომღაც ჰგონიათ, ასე ადვილად დაიჯერებს ხალხი, რომ ტაძარში შესვლით სულ სხვა პიროვნებად გარდაიქმნენ. ეს კატეგორია ადამიანებისა ცდილობს, რომ ეკლესია ნიღბად გამოიყენოს და ეს „ნიღაბი“ ეკლესიურობისა კარგად მოირგოს — ახლა სანთელი დაიჭირა და აანთო?! ამით ცდილობენ, რომ მასის თვალში მორწმუნეებ გამოჩნდნენ და ცოდვა ჩამოირეცხონ?! მაგრამ ამ სისხლს რა ჩამორეცხავს, მე არ ვიცი! არც აქ მოასვენებს მათ ეს ცოდვა და არც იქ. თუ ჭეშმარიტი, ცრემლიანი სინანული არ ექნებათ. საერთოდ, როგორ სძინავთ ღამე, არ მესმის!**

უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ეკლესია უშიშრად უნდა ამბობდეს თავის სათქმელს, ვისაც, როგორ ავტორიტეტსაც უნდა ეხებოდეს ეს. ერთი სიტყვით, შიში არ უნდა იყოს! დღეს კი რაღაცნაირად ეს შიში სინდრომია თითქოს.

**— ანუ ეკლესია დღეს დაშინებულია, მეუფე ეფრემ?**

— ეკლესია მთლიანად დიდი და ფართო ცნებაა, მე ვამბობ ცალკეულ პიროვნებებზე. ვინ ვის უკრავს დღეს პირს? გასაგებია, რომ პატრიარქის სიტყვას დიდი წონა აქვს და მას ანგარიშს ვუწევთ; ველოდებით, რომ რთულ ვითარებაში პირველი სიტყვა მაინცდამაინც მან უნდა თქვას. თუმცა **ნებისმიერ მღვდელმთავარსაც ხომ შეუძლია, რომ სიმართლე უთხრას თავის სამწყსოს თავის ეპარქიაში? ნებისმიერ მღვდელს შეუძლია თავის უბანში, თავის ქალაქში თავისი მართალი** ▶

**სახელმწიფო შეიძლება „აშენდეს“, მაგრამ რამდენად იქნება იგი ქართული, ან იქნება კი საერთოდ, საკითხავია... რად გვინდა აღმშენებლობა, თუ სული წაგვიხდება, შეირყვნება?**

„უთხრა უფალმა კაენს: ...ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან... დევნილი და მიუსაფარი შეიქნები ამ ქვეყანაზე“
(დაბ. 4:9,10,11)



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორი საქართველო გვინდა — დავით აღმაშენებლისა და თამარის თუ როსტომ-ხანისა?



**სიტყვა ამბიონიდან გააგონოს მრევლს! რატომ ვერ ამბობენ, შიში აქვთ ვინმესი? უფლის გვეშინოდეს, უფლის, ჩვენი არასწორი საქციელის, ჩვენი ცოდვების გამო!**

**დიახ, ვისაც სურვილი აქვს, ყველას შეუძლია სიმართლე თქვას, რომ 26 მაისის ღამე იყო დანაშაული! ამ შემთხვევაში, ვინც უნდა იყოს ხელისუფლებაში, უნდა ამხილო... რადგან უფალი მეფობს ამ ქვეყანაზე და არა ვიღაც ხელისუფალი! ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ყველას — ერსაც და ბერსაც, რომ მხოლოდ უფლის მეუფებაა მარადიული და უნდა ვეცადოთ, უფალთან ვიყოთ მართალნი და არა მიწიერ, წარმავალ ხელისუფლებასთან, რომელიც დღესაა და ხვალ აღარ იქნება!**

— იქნებ, ეს უბრალო მღვდელი, თუნდაც დიდი იერარქი, იმ პირველ სიტყვას ელოდება, რადგან ეკლესიისთვის ხომ უპირველესია მორჩილება და კურთხევა? იქნებ, თქვენ, ყველანი, იმას უწევთ ანგარიშს, რომ იმ პირველმა არ ან ვერ თქვა? ამიტომაც, იქნებ, თქვენ, ყველას — წმინდა სინოდის წევრებს უნდა გეთქვათ? იქნებ, იგი, თქვენი და ჩვენი მამა, თავისი შვილების სიტყვას ელოდა და არა მხოლოდ იგი, არამედ მთელი ერი?

**— ჩვენი უწმინდესი ეპოქალური მოვლენაა!.. საქართველოს შეწირული!.. იცით, მან შეიძლება პირდაპირ და მკაცრი ტონით არ თქვას სათქმელი და მაინც სწორი შეფასება მისცეს მოვლენებს ისე, რომ გამგებმა გაიგოს! მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ პატრიარქის ძალა არის თითოეული ჩვენთაგანი — დაწყებული სინოდის წევრებით, დამთავრებული უბრალო დიაკვნით. ამ შემთხვევაში ჩვენ ვართ მისი ძალა.**

გავიხსენებ — ეკუმენური საბჭოდან რომ გამოვდიოდით, მაშინ, როცა მთელს ეკლესიაში მომწიფდა ამის პირობა და ყველამ — მღვდელმთავრებმა და ზოგადად სამღვდელოებამ, ხმამაღლა, ერთად თქვას თავისი სიტყვა, სინოდმა, უწმინდესმაც ერთობლივი, ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო. ეს იყო უწმინდესის აზრიც და ქართულმა ეკლესიამ დატოვა ეკუმენური საბჭო!

**— ანუ დღეს პატრიარქს თითოეული თქვენგანის, ჩვენგანის თანადგომა სჭირდება?**

— თითოეულის თანადგომა სჭირდება და სჭირდება ჩვენი ერთიანი აზრი. იცით, ჩვენ ხშირად როგორ ვიქცევით? ერთ ადამიანს, ყველაზე ხშირად კი პატრიარქს, ავკიდებთ ხოლმე მთელს სიმძიმეს ეკლესიისას თუ ერისას. აბა, მიდი და ატარე შენ ერთმა, მარტოდ მარტო ეს ამხელა სიმძიმე... ერთი წამით წარმოიდგინეთ, როგორი სატარებელია, ეს რა მძიმე ჯვარია? მან უნდა გამოიყვანოს ერი ამ ურთულესი მდგომარეობიდან, პოლიტიკური იქნება ეს თუ სულიერი... და თუ რამე ისე არ მოხდა, როგორც ერი თუ ბერი ელოდა, მერე პატრიარქისკენ გაიშვერენ თითს — მხოლოდ მას დაადანაშაულებენ! **არავის უნდა თავისი წილი პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე. ჩვენ გავურბივართ პასუხისმგებლობას, თითქოს ვფრთხილობთ და ეს ზღვარგადასული სიფრთხილე მერე უკვე სიმხდალეში გადადის. ამ ადამიანმა განა რამდენი ტვირთი ატაროს? რომელი ერთის? ყველა, თავის ეპარქია იქნება თუ რეგიონი, ქალაქი, სოფელი — იქ დადგეს ჭეშმარიტების მხარეზე, იქ იქადაგოს სიმართლე და მერე უფრო გაადვილდება ერისთვის მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა; მერე, როცა ყველას ერთიანი აზრი გვექნება ერისთვის მნიშვნელოვან ჟამს, ეკლესია უნდა იყოს ერთსულოვანი და არა, როგორც დღესაა — ერთი სხვას ამბობს, მეორე — სხვას; ერთი ერთ მხარესაა, მეორე — მეორე მხარეს... მეგობრებად, ნათესავებად თუ დაჯგუფებებად არ უნდა იყოფოდნენ სასულიერო პირები... ჩვენ, ყველანი ერთ მხარეს — სიმართლის მხარეს უნდა დავდგეთ!**

ანტიკური სიბრძნეა — პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება ჩემი ყველაზე დიდი მეგობარიაო. **არის ჭეშმარიტება და არის სიყალბე. შეიძლება ჩემი საკუთარი ძმა ცდებოდეს — სიყალბის, სიცრუის მხარეს დადგეს, მაგრამ რადგან ძმაა, ამიტომ მას ტაში დავუკრა, ჭეშმარიტებას ზურგი ვაქციო და უფალს ვუღალატო? გამორიცხულია!!**

უფალთან ყველანი ცალ-ცალკე, მარტონი ვაგებთ პასუხს ჩვენს საქციელზე — სამართლიანზე თუ უსამართლოზე. ვერავინ, უწმინდესიც კი, ჩვენს მაგივრად ვერ აგებს პასუხს ჩვენს ცოდვებზე. ეს უნდა გვახსოვდეს ყველას!..

**— ანუ მაპატიეთ, მაგრამ სინოდს მართლმკვეთელობა აკლია?**

— მე ვერავის შევაფასებ. მინდა, პასუხი საკუთარ თავზე ვაგო. მოდით, ჩვენ ყველამ ჩვენი თავი შევაფასოთ და ჩვენს გულებში ჩავიხედოთ — რამდენად ვართ ჩვენ ჩვენი მოწოდების სიმაღლეზე. რაც მეტი მოგეცა, მით მეტი მოგეთხოვება და ყველას განგვსჯის თავის დროზე უფალი და მომავალი თაობა და არავინ და არაფერი ღირს იმად, რომ უფალს ვუღალატოთ! **ახლა თვალთმაქცობა და თამაში ყველაზე დიდი დანაშაულია, მე ასე ვიტყოდი! ერთთან ერთი თქვა, მეორესთან — მეორე, ერთთანაც კარგი გინდა იყო, მეორესთანაც, ამ დროს ყველას ღალატობ, პირველ რიგში კი — უფალს! თუ ამბობ, უნდა თქვა სიმართლე ყველასთან, ყველგან! სიმართლე არ შეიძლება ბევრნაირი იყოს! სიმართლე ერთია!**

შეიძლება პიროვნებას ან ხელისუფლებას აქვს კარგი გაკეთებული, უნდა ვთქვათ და არ დავმალოთ მისი სიკეთეც, სიძულვილმა არ უნდა დაგვაბრმავოს და ობიექტურობა არ უნდა დაგვაკარგვინოს. იმ სტერეოტიპიდან არ უნდა შევხედოთ ყველაფერს, რომ მის მიმართ ცუდი განწყობა გვაქვს, რახან დააშავა, ის ყველაფერში ცუდია და ამიტომ კარგი არ უნდა დავინახოთ! **პირიქით, თუ რამ კარგი გააკეთა — ასფალტი დააგო, გზები აღადგინა, წყალი თუ გაზი გაიყვანა სადღაც სოფელში, ახალი, ლამაზი შენობები ააშენა თუ ტაძარი და მონასტერი — ესეც ხმამაღლა ვუთხრათ მრევლს, მაგრამ ისიც უნდა ვუთხრათ, რომ ის, რაც 26 მაისის ღამეს ჩაიდინა — სისხლი დაღვარა, ხალხი გაწირა, ეს ცოდვაა, ბოროტებაა, დანაშაულია და ამაზე დადუმება უფლის ღალატია!**

**— მეუფე ეფრემ, როდესაც ხელისუფლება და მისი მხარდამჭერები ხშირად შეგვახსენებენ, რომ ამ მთავრობამ ბევრი გააკეთა, გზები დააგო, ქალაქები გაალამაზა, სკვერები, სათამაშო მოედნები ააშენა (თუმცა ამ გალამაზებულ ქალაქებში, იმ სკვერებსა და მოედნებზე მშიერი და ღირსებააყრილი ხალხი რა „სიხარულით“ ივლის, ეს მეორე, ყველაზე მტკივნეული საკითხია) და თითქოს ამით ცდილობენ, „გადაფარონ“ ის უზნეო საქციელი, რასაც ყოველდღიურად ვაწყდებით. მე მახსენდება საქართველოს ისტორიის ის პერიოდი, როცა გამაჰმადიანებული როსტომ ხანი მართავდა ქვეყანას — ცალი ხელით ეკლესიებს აშენებდა, მეორე ხელით კი — ჰარამხანებს, ქვეყანა გარედან „ლამაზდებოდა“, შიგნიდან კი მოყვარეს უბრმავებდა თვალს, რადგან უზნეობის მორევში ეფლობოდა.**

— **მე კიდევ უფრო ადრინდელ დროს გავიხსენებ — დავით აღმაშენებლის დროს, როცა საქართველო უძლიერესი სახელმწიფო იყო! და ეს ყველამ ვიცით, რატომაც — დავითი თავად იყო ზნეობისა და სულიერების მაგალითი, წელიწადში 24-ჯერ სამოციქულოს კითხულობდა, ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებს გიორგი ჭყონდიდელს უთანხმებდა. საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთად წყვეტდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. მეფე თავად იყო ზნეობის, რწმენის, ქართველობის მაგალითი! დავითს ძალიან რთული საქართველო ერგო მემკვიდრეობად. ქუთაისში იმიტომ იჯდა, რომ თბილისში ჯერ კიდევ მუსლიმანები ბატონობდნენ, და იმდენი იბრძოლა, გაათავისუფლა 4-საუკუნოვანი ტყვეობიდან საქართველოს დედაქალაქი და ისევ თბილისში გადმოიტანა სამეფო ტახტი! ეს არავის დაგვავიწყდეს!**

**თამარი, რომელიც ფეხშიშველი მიუძღოდა ბრძოლაში მიმავალ ლაშქარს, რომელიც დღედაღამ ლოცულობდა, მთლიანად ქვეყნის ტკივილითა და ცრემლით ცხოვრობდა! სწორედ თამარმა შექმნა დარბაზი, სადაც თავისუფალი აზრის გამოთქმა ყველას შეეძლო. დავითისა და თამარის დროს რომ იყო აღმშენებლობა, ისეთი უნდა, მაგრამ ისინი მხოლოდ მატერიალურ აღმშენებლობას არ ეწეოდნენ; ისინი უზნეოდ არც თვითონ ცხოვრობდნენ და, მათი წყალობითა და ღვაწლით, — არც ქვეყანა! სამშობლოს შესწირეს თავიანთი პირადი ცხოვრებაც. რად გვინდა აღმშენებლობა, თუ სული წაგვიხდება, შეირყვნება?..** ისინი ჯერ ზნეობრივად, სულიერად თვითონ ძლიერდებოდნენ და ქვეყანასაც აძლიერებდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ზნეობრივი საფუძვლის გარეშე სახელწიფო ქვიშაზე აგებულ სასახლეს ჰგავს! ამიტომაც იყო მათი დროის საქართველო ზესახელმწიფო!

**დღეს კი სახელმწიფო შეიძლება „აშენდეს“, მაგრამ რამდენად იქნება იგი ქართული, ან იქნება კი საერთოდ, საკითხავია.**

**როგორი საქართველო გვინდა — მატერიალურად „აყვავებული, გაბრწყინებული“, მაგრამ ამავე დროს სულიერად დეგრადირებული, სულიერად დაცემული და გახრწნილი, გადაგვარებული?!**

ამის გარჩევის უნარს ადამიანს აძლევს რწმენა და, როცა რწმენა არ გაქვს, ეკლესიაში არ დადიხარ ან დადიხარ „მოსაჩვენებლად“ და განიკითხავ ეკლესიას, განიკითხავ პატრიარქს, არ გინდა არაფერი ღვთიური და ასე ებმები „ცივილიზაციის ფერხულში“, მაშინ შენი დევიზია „ჩემი სამშობლო იქ არის, სადაც კომფორტი მექნება და ჩემი ღმერთი ჩემი საჭმელი და მუცელია“. ამ „გლობალიზაციას ფეხსაყოლილებს გვავიწყდება, რომ ქართველობა სულ სხვა ფენომენია, ქართველობა მხოლოდ ეროვნება არ არის, ეს ცხოვრების წესია, ეს ჯილდოა, ღვთისაგან ბოძებული და ამ ღვთისგან ნაბოძებ საჩუქარს თუ ვერ გავუფრთხილდებით, ამისთვის პასუხს ვაგებთ უფლის წინაშე!.. ცოცხალი რწმენა დავკარგეთ,...ვკარგავთ ქართველობას...

დაგვიდგა სულსა და ხორცს შორის არჩევანის გაკეთების დრო და ეს არჩევანი დღესვე გვაქვს გასაკეთებელი: როგორი საქართველო გვინდა — დავით აღმაშენებლისა და თამარის თუ როსტომ-ხანისა?

**დავითისა და თამარის დროს რომ იყო აღმშენებლობა, ისეთი უნდა, მაგრამ ისინი მხოლოდ მატერიალურ აღმშენებლობას არ ეწეოდნენ; ისინი უზნეოდ არც თვითონ ცხოვრობდნენ**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ისეთ ხალხში ვტრიალებ, ისეთი ხალხი მახვევია გარს და ისეთი ხალხის გვერდით ვდგავარ, სხვანაირად რომც ფიქრობდნენ, არც მაგრძნობინებენ. შეიძლება, მე არ მაქვს ასპროცენტიანი სუფთა და ნათელი სურათი, მაგრამ იმის მოწმე კი ვარ, რომ ისინი შეძლებისდაგვარად ცდილობენ, რაც შეიძლება ხშირად გამოხატონ თავიანთი პოზიცია — განა შეიძლებაო ჩვენი გახლეჩა საქართველოსთან? მის კულტურასთან ურთიერთობის გაწყვეტა? აი, ეს უნდათ, რომ გამაგონონ. ძალიან ხშირად“.



თემურ ჩხეიძე:

# ურთიერთდაპირისპირებულ აზრთა გარეშე წინ არაფერი წაიწევს

## თეატრის კართან პოლიტიკა ვერ დამთავრდება, იმიტომ, რომ პოლიტიკა ქვეყნის ბედია

**მოდით, პირდაპირ ვიტყვი, დღეს გთავაზობთ საუბარს დიდ ქართველ რეჟისორთან და უზადო პიროვნებასთან თემურ ჩხეიძესთან, რომლის შემოქმედებითი ბიოგრაფია ყველამ კარგად იცით.**
**ოც წელიწადზე მეტია, რაც ბატონი თემური სანკტ-პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში მოღვაწეობს — თავიდან რეჟისორად, შემდეგ — მთავარ რეჟისორად, კარგა ხანია, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია.**
**ადრე, ახალგაზრდობაში, ზუგდიდის თეატრში მუშაობდა, შემდეგ თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში, რუსთაველის, მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში.**
**დადგმული აქვს საოპერო სპექტაკლები პარიზში, მილანში (ლა სკალა), ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერაში, მოსკოვის დიდ თეატრში და ა.შ.**
**1978 წლიდან 12 წლის განმავლობაში საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტელეთეატრს ხელმძღვანელობდა.**
**თუ რამე გამომრჩა, შემინდეთ.**
**ორიოდ დღის წინათ პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდა.**

**— დაბრუნდით, ბატონო თემურ, თუ ჩამოხვედით?**

— ჩამოვედი. არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ჩემი ასე ყოფნა. ბოლო ხელშეკრულება შარშან დამიდეს — 2015 წლამდე. კი არის ხელშეკრულებაში პუნქტი, რომლის ძალით შემიძლია ნებისმიერ დროს გავწყვიტო კონტრაქტი, მაგრამ შემოქმედებითის გარდა ზნეობრივი მომენტი მაწუხებს. ამჟამად მიმდინარეობს ტოვსტონოგოვის სახელობის პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის რეკონსტრუქცია, რომლის შენობა ძალიან დაზიანებულია. 8 თვე გავიდა და ისევ საძირკველს უტრიალებენ, წყალია საძირკველში. მოგეხსენებათ, სად ააშენა პეტრე დიდმა დედაქალაქი. გვპირდებიან, ორ წელიწადში დავამთავრებთო, რისაც ნაკლებად მჯერა.

მოკლედ, იდეაფიქსი მაქვს, დავაბრუნო თეატრი თავის შენობაში. ახლა ხან გორკის სახელობის კულტურის სახლის სცენაზე ვთამაშობთ, ხან — სად. ვგეგმავ გასტროლებს, მაგრამ სანამ საკუთარ სახლში, თეატრი კი სახლია, არ დავაბრუნებ შემოქმედებით კოლექტივს, პეტერბურგში უნდა ვიყო. ქუჩაში ხომ არ დავტოვებ?

რომ დავაბრუნებ და შემდეგ... დავბერდები კიდეც (*ეღიმება*).

**— რა დროს სიბერეა?!**

— არა, ეგრეა... ჯერჯერობით ჩამოვედი, შვებულება მეკუთვნის (*ეღიმება*), ორთვიანი.

**— ზნეობა და შემოქმედება ახსენეთ. ალბათ, ეს ორი მომენტი დაგიდგათ 2008 წლის აგვისტოში, როცა პეტერბურგში ჩასვლა დააგვიანეთ?**

— კი, საფუძვლიანად დავაგვიანე. **მაშინ ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე, რომ თეატრი, რომელიც ოცი წლის მანძილზე ყველანაირად მიწყობდა ხელს, ოღონდ რაიმე გამეკეთებინა, თეატრი, რომელმაც კირილ ლავროვის ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ, არავინ არ მოინდომა ხელმძღვანელად ჩემ გარდა, თეატრი, რომელსაც, ჩემი იქით იყოს და, საქართველოს სიყვარულისა და პატივისცემის გარდა სხვა არაფერი დაუმტკიცებია, ღალატის ღირსი არ არის. ერთმა იქ მომუშავე მსახიობმა მითხრა, ჩვენ გენეტიკური სიყვარული გვაქვსო საქართველოს მიმართ — 28 წელიწადი ტოვსტონოგოვი ჩვენი ხელმძღვანელი იყოო. ტოვსტონოგოვს ქართველს უძახიან ისინი, ვინც მასთან ერთად მუშაობდა: НАШ ГРУЗИН. ახალგაზრდობისთვის ლეგენდაა. ჩვენთან ითვლება რუსად, ცხადია.**

**ქართული აქცენტი ჩვენთვის მშობლიური აქცენტიაო, — ამბობენ (ეღიმება), სხვანაირად ვერც წარმოუდგენიათ.**

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ხელოვნებას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია ცხოვრებაში. გამოვედი ამ ასაკიდან. რეალისტურად ვუყურებ. მაგრამ, თუ ხელოვნების ნაწარმოები ერთი დღით მაინც დააფიქრებს ადამიანს რაღაცაზე, უკვე ღირს, რომ ის არსებობდეს. თეატრალურ ხელოვნებაზე ვლაპარაკობ.

**მაშინაც დიდი ტანჯვის შედეგად და დიდი ფიქრის შემდეგ მაინც გადავწყვიტე, რომ ჩემი საპროტესტო კონკრეტულ თეატრს არაფერი დაუშავებია.**

**თავს უფლებას ვაძლევ, ვთქვა, რომ არ შევცდი, რაც შემდგომმა ორმა წელმა, იმ თეატრში გატარებულმა, ნათლად დამანახა.**

ადრეც მქონდა დაგვიანებით ჩასვლის შემთხვევა. მაშინ თეატრის ხელმძღვანელი ლავროვი იყო, მე კი — რიგითი, მაგრამ მის თეატრში მომუშავე რეჟისორი.

**— ამბობენ, რომ კირილ ლავროვთან ძალიან კარგი ურთიერთობა გქონდათ.**

— ლავროვთან იდეალური ურთიერთობა რომ არ მქონოდა, ეს ოცი წელიწადი არ იქნებოდა. ცოტა მერიდება, რომ ვამბობ, მაგრამ გაუთავებლად იდგა საკითხი ჩემი თეატრში ყოფნის: ლავროვი ყოველთვის მეუბნებოდა, მე დღესვე წავალ, ოღონდ შენ დარჩიო. ვუპასუხებდი, რომ არც თქვენ მიგატოვებთ, არც თეატრს, ოღონდ თქვენ უნდა იყოთ ხელმძღვანელი. ლავროვს ჰქონდა ფანტასტიკური წონა, სიყვარული და მოწიწება მთელი რუსეთის. უნიკალური თვისებების ადამიანი გახლდათ...

ხომ გახსოვთ, პანკისი რომ დაბომბეს რუსეთის თვითმფრინავებმა?

**— მახსოვს... შემდეგ ბოდიშიც მოიხადეს.**

— აი, მაშინ არ წავედი პეტერბურგში. სამ დღეში ჩამოფრინდა ლავროვი თბილისში.

**— მაშინ იყო პირდაპირი რეისები.**

— იყო. ჩამოფრინდა, წავედით ლიკანში, გავეცალეთ ყველაფერს.

**— ლიკანი მაშინ გაყიდული არ იყო.**

— არ იყო გაყიდული... (*პაუზა*). იქაურ სიმყუდროვეში გადავწყვიტეთ ყველაფერი. ჰოდა, ერთ ნისლიან დღეს, როცა ვსეირნობდით ამ სამოთხეში, მოსკოვიდან დარეკა ოლეგ ტაბაკოვმა, მოსკოვის სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელმა. მასთანაც ვდგამდი სპექტაკლს. იქაც არ ჩავედი, ცხადია. ვუთხარი, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ჩემი სახლიდან 70 კილომეტრში რუსეთის თვითმფრინავებმა დაბომბეს საქართველოს ტერიტორია და მე მოსკოვში ჩამოვიდე?! ის იქიდან მეუბნება — პეტერბურგში ხომ მიდიხარ? პეტერბურგი სხვა არის-მეთქი (*იცინის*). მოსკოვში ჩამოვიდე და სპექტაკლი დავდგა?! პეტერბურგში მართლა სხვაა, ასე მგონია.

**— ისე მოხდა, რომ აგვისტოს ომის დროს ინფარქტის გამო შუნტირების ოპერაცია გამიკეთეს სასწრაფოდ გულიკო ჩაფიძის კლინიკაში. მაშინ ქალბატონმა გულიკომ მითხრა, რომ ომი და პოლიტიკა საავადმყოფოს კართან მთავრდება.**

**თეატრის კარი თუ თამაშობს მსგავსი ბარიერის როლს?**

**აღწევს საქართველოს ამბები თქვენს თეატრამდე?**

— მე გამიჭირდება ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა იმ მიზეზის გამო, რომ, ეტყობა, ისეთ ხალხში ვტრიალებ, ისეთი ხალხი მახვევია გარს და ისეთი ხალხის გვერდით ვდგავარ, სხვანაირად რომც ფიქრობდნენ, არც მაგრძნობინებენ. შეიძლება, მე არ მაქვს ასპროცენტიანი სუფთა და ნათელი სურათი, მაგრამ იმის მოწმე კი ვარ, რომ ისინი შეძლებისდაგვარად ცდილობენ, რაც შეიძლება ხშირად გამოხატონ თავიანთი პოზიცია — განა შეიძლებაო ჩვენი გახლეჩა საქართველოსთან? მის კულტურასთან ურთიერთობის გაწყვეტა? აი, ეს უნდათ, რომ გამაგონონ. ძალიან ხშირად.

რუსებს აქვთ გამოთქმა — სხვისი სული ბნელეთიაო...

**— Чужая душа-потемки.**

— დიახ. მაგრამ მართლა აფასებენ ქართულ ხელოვნებას. რას ამბობთ: ქართულ კინოს რომ სახელი ჰქონდა, ქართულ თეატრს რომ სახელი ჰქონდა!

მინდა დავდგა კოროსტილიოვის პიესა ფიროსმანზე, გეგმაში მაქვს.

**— ჩვენთან ადრე რომ დაიდგა?..**

— ბატონმა გიგამ დადგა. ოთარ მეღვინეთუხუცესი თამაშობდა ფიროსმანს. რუსთაველში დაიდგა ჯერ, შემდეგ მარჯანიშვილში გადიოდა. ოთარის ერთ-ერთი საუკეთესო როლია, მის ბიოგრაფიაში გამორჩეული.

უნდა გენახათ, რა ინტერესი გამოიჩინეს მხატვრებმა! ისეთი საუკეთესო ანალიტიკურ-მხატვრული ნამუშევარი ფიროსმანზე, როგორიც ერიკ კუზნეცოვის წიგნია, იშვიათია. ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია, სულო ცოდვილო, თუ საუკეთესო არა.

პიესა, ხომ კოროსტილოვის დაწერილია. როგორ მოახერხა ამ რუსმა კაცმა ასე ქართული სულით გაეჟღინთა ეს ნაწარმოები, არ ვიცი...

შეიძლება, კულტურის ხალხს ნაკლებად აინტერესებს პოლიტიკური პრობლემები. მაგრამ თეატრის კართან პოლიტიკა ვერ დამთავრდება, იმიტომ, რომ პოლიტიკა ქვეყნის ბედია. ყველას ჩვენებურად გვესმის იგი, მაგრამ იმიტომ არა, რომ ერთმანეთის მტრები ვართ. ყველას ჩვენებურად გვინდა ქვეყნის გადარჩენა და უკეთესი ცხოვრება. არა? ჩვენი ქვეყნის გარეშე ვინ ვართ, უკაცრავად, ან თქვენ, ან მე? არ არის ეს მაღალფარდოვანი სიტყვები, მართლა ასეა.

**— არ უნდა მოგვექცნენ ჩვენ — ხალხს როგორც მტრებს.**

— კი, მაგრამ არც ხალხია ერთგვაროვანი მასა, თუმცა სამშობლო ერთი გვაქვს და ენაც.

ჩვენ უმდიდრესი ენის პატრონი ვართ, რომელიც რატომღაც თანდათან კნინდება და კნინდება დამოუკიდებელ საქართველოში. რატომ უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის დროს ქართული ენა გაცილებით მაღალ დონეზე, ვიდრე დღეს არის? პრესაში, ბოდიშს ვიხდი, ტელეეკრანიდან იქნება თუ რადიოეთერით გადმოცემული, ვერ ვიგებ, არ მესმის! თვალსა და ხელს შუა ენა იმდენად მახინჯდება, რომ ერთ-ერთ ყველაზე საგანგაშო პრობლემად ყალიბდება. მე, მაგალითად, საპროტესტო აქციას ამის გამო ჩავატარებდი. ეს არ არის უმუშევრობაზე ნაკლები პრობლემა, თუ მეტი არა!

**— მამული, ენა, სარწმუნოება.**

— დიახ. თუ კი ამ ცნებებს ვერ ვუპატრონეთ, ესე იგი, ძალიან ტყუილად მოვსულვართ ამქვეყნად. არა? და როგორ შეიძლება, აი ეს საკითხები თეატრის კართან დამთავრდეს?! პოლიტიკაც ამაზე უნდა მუშაობდეს — ამ ცნებების გადასარჩენად, რომლებიც შეადუღაბებს ერს. ალბათ.

იქნება საწინააღმდეგო აზრი? იყოს, ღმერთო ჩემო! ურთიერთდაპირისპირებულ აზრთა გარეშე წინ არაფერი წაიწევს, არა?

მე კი, იმედი მაქვს, იმ კრეტინებს არ განვეკუთვნები, რომლებიც თვლიან, რომ მარტო თვითონ არიან მართლები. მარტო თვითონ ▶

# «ЧУЖАЯ ДУША–ПОТЕМКИ»

„ერთ რამეში ვარ დარწმუნებული, თუ თეატრზე შევჩერდებით: ნებისმიერ შემთხვევაში თეატრს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არ უნდა დაეკარგოს — მაყურებელზე ემოციური ზემოქმედების უნარი. თუ ეს არ ხდება, მაშინ ჩვენ არაფერი გვაქვს სალაპარაკო. მაგრამ თუ ხდება, თუნდაც ჩვენთვის დაუშვებელი ფორმებითაც კი, უკვე ყურადღების ღირსია. მოულოდნელს რა სჯობია. მაგრამ იაფფასიანი და ფუჭე მიუღებელია“.

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# რატომ უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის დროს ქართული ენა გაცილებით მაღალ დონეზე, ვიდრე დღეს არის?

რასაც ფიქრობენ, ისაა ჭეშმარიტება, დანარჩენს დავასხითო თავს ლაფი.

**— ეს-ესაა თქვით, რომ ხელოვნება ვერ შეცვლის ცხოვრებას, მაგრამ ის იდიოტური შოუები, რომლებიც საქართველოში იმართება, ხომ რყვნის, აჩლუნგებს, აპრიმიტიულებს ახალ თაობას? ესე იგი, ცვლის...**

— აფუჭებს. გაფუჭება ადვილია. მე მეჩვენება... მეჩვენება ზრდილობის გამო გითხარით, თორემ დარწმუნებული ვარ, რომ ეს მსოფლიო ტენდენციაა.

მთელი რუსეთი, ხელოვანთა რუსეთი, ასე ვთქვათ, იმავეს ტირის. იმავე განგაშს ტეხს. ევროპასაც იგივე აწუხებს.

**— დეგრადაცია ხდება?**

— რაღაც იოლდება. გაცილებით ჭარბი ხდება პროდუქცია, რომელიც ერთნიშნა აღქმაზეა გათვლილი. და არა ჩაღრმავება-ჩაყურყუმალავებაზე; არა იმაზე, რომ იფიქროს ადამიანმა, არამედ ერთნიშნად აღიქვას.

**ხანდახან ვფიქრობ, რომ შეიძლება ჩვენ ვართ ბოლო თაობა, რომელმაც სიტყვით მივიღეთ განათლება. ესენი გამოსახულებით იღებენ. იმ გამოსახულებაზეც ხშირად სიტყვაა, აბა, სად წავლენ სიტყვის გარეშე, მაგრამ... არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი.**

ისინი, ჩვენი შვილების და, უფრო მეტად შვილიშვილების თაობა, რომ ბევრად უფრო ინფორმირებულია, ვიდრე მე და თქვენ მათ ასაკში ვიყავით, ფაქტია.

**შეიძლება, წიგნს ჩვენ უფრო მეტად ვუღრმავდებოდით და ვეფლობოდით, ქვეტექსტის ამოცნობა ჩვენ უკეთ ვიცოდით. ესენი ტექსტის ანაბარა არიან.**

**კი არ ვაკრიტიკებ, ვამბობ, როგორც მოცემულობას. ასე მგონია, ჩვენი ინტერესთა სფერო უფრო ფართო იყო. რა ვიცი. ეგებ, მეჩვენება?**

**— ხელოვნებაზე რომ გადავიდეთ, მაგალითად, მუსიკალურ ხელოვნებაზე, რომელი თბილისია თქვენთვის უფრო ახლობელი — იტალიური ოპერების მელოდიები რომ ისმოდა ქალაქის ქუჩებში თუ თანამედროვე როკი და რეპი?**

— მე მელოდიაზე და ჰარმონიაზე ვარ აღზრდილი. ნებისმიერი, ახლადწარმოშობილი მიმართულება, რომელიც თავიდან ჰგავს პროტესტს, რაღაცის ჯინაზე, ნგრევაზე წარმოშობილს, ან ძალიან მალე მოკვდება, ან რაღაც კვალს დაამჩნევს და მერე და მერე შეიძლება სახე იცვალოს. ენა შემოდის — ახალი ან ძალიან მივიწყებული და სახეშეცვლილი გვიბრუნდება.

ერთ რამეში ვარ დარწმუნებული, თუ თეატრზე შევჩერდებით: ნებისმიერ შემთხვევაში თეატრს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არ უნდა დაეკარგოს — მაყურებელზე ემოციური ზემოქმედების უნარი. თუ ეს არ ხდება, მაშინ ჩვენ აღარაფერი გვაქვს სალაპარაკო. მაგრამ თუ ხდება, თუნდაც ჩვენთვის დაუშვებელი ფორმებითაც კი, უკვე ყურადღების ღირსია.

მოულოდნელს რა სჯობია.

მაგრამ იაფფასიანი და ფუყე მიუღებელია.

**— თქვენ ერთგან გაქვთ ნათქვამი, რომ შექსპირსა და შილერს დღეს ისე არ დგამენ, როგორც მათ სიცოცხლეში.**

— ცხადია. ჩვენ წესიერად არც ვიცით, როგორ დგამდნენ მათ სიცოცხლეში.

მათ პიესებს, რა თქმა უნდა, დღეს სულ სხვა ჟღერადობა აქვს. შექსპირსა და შილერს ერთი წუთით თავი გავანებოთ, მეოცე საუკუნეში გადმოვინაცვლოთ. ჩვენ მოვესწარით იმას, რომ იყიდებოდა ფირფიტები, რომლებზეც ჩაწერილი იყო სტანისლავსკის მიერ სამხატვრო თეატრის დაარსების პირველ წლებში დადგმული ჩეხოვის „სამი და“. ამ თეატრმა, თქვენმა მკითხველებმა იციან, რევოლუცია მოახდინა თეატრალურ სამყაროში, როგორც უაღრესად ცხოვრებისეულმა და უდიდესი რეალიზმის მომტანმა თეატრმა. მისმა ესთეტიკამ მთელი ევროპის თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე იქონია უდიდესი გავლენა. ამას ევროპა არამც თუ უარყოფს, არამედ თამამად აცხადებს.

რომ მოისმინოთ ის ჩანაწერი, დარწმუნდებით, რომ რეჩიტატივით ლაპარაკობენ, მღერიან. ასე ადამიანები არ ლაპარაკობენ...

**— კონსერვატორი ხართ თუ რეფორმატორი?**

— კონსერვატორი ვარ იმაში, რა ფუნქციაც აკისრია თეატრს. ავანგარდში არასოდეს ვიყავი. საერთოდ არ ვარ რევოლუციის მომხრე — არც პოლიტიკაში, არც ხელოვნებაში. ევოლუციის მომხრე ვარ. რაში ვარ, იცით, კონსერვატორი? ჩემი სპექტაკლიდან რომ გახვალთ, არ უნდა თქვათ, რა იყო ეს? ვერაფერი გავიგე. რა უნდოდა საერთოდ და რატომ მიგვიწვია თეატრში?

მომხრე ვარ იმისა, რომ ყველაფერი იყოს ნათლად აღქმული. სხვაა, დამეთანხმებიან თუ არა. მაგრამ რებუსი რომ დაგახვედროთ, არ მინდა. არც ის მინდა, მთლად პრიმიტიულ სპექტაკლზე მოგიწვიოთ.

კონსერვატორი კი ვარ, მაგრამ ჩამორჩენილობაზე საშინელი არაფერი არსებობს.

ვცდილობ, ჩემო ბატონო, თორემ ვახერხებ-მეთქი, ხომ არ ვამბობ!

**— „სამანიშვილის დედინაცვალს“ დადგამდით ახლა?**

— არა. ძალიან კარგი სპექტაკლი იყო. მადლობა რობერტ სტურუას, ვისთან ერთადაც ჩვენს ახალგაზრდობაში დავდგით ეს სპექტაკლი. თავის დროისთვის კარგი იყო, ახლა — არა. ხანდახან ბედი რომ გაგიმართლებს და რაღაც რომ გამოგივა, დაანებე თავი, აღარ უნდა დაუბრუნდე!

**— ავქსენტი ცაგარელის „ძველი ვოდევილები“ რომ ახლაც კარგად აღიქმება?**

— მერე რა, მერე რა! კარგად აღიქმება ის, რაც კარგად არის ნათამაშები, იაფფასიანად ნათამაშებს კარგად ვერ მიიღებენ. ადამიანს ყოველთვის აქვს მოთხოვნილება სიხალისის, არაფერი არ არის იმაში ცუდი, რომ ადამიანი კომედიას ელტვის. მთელ მსოფლიოში კომედიას მეტი მაყურებელი ჰყავს, ალბათ. მერე რა?

**— ავტორების მდიდარი სპექტრით ხართ წარმოდგენილი თქვენს შემოქმედებაში: ნოდარ დუმბაძე, შექსპირი, ლეო ქიაჩელი, „სეილემელი ჯადოქრებიც“ დაგიდგამთ და „ანტიგონეც“, ოპერებიც — „დონ კარლოსი“, „მფრინავი ჰოლანდიელი“ და ასე შემდეგ; მათ შორის, — მილანის ლა სკალაში, მეტროპოლიტენ ოპერაში, პარიზში... უსასრულოდ შეიძლება გავაგრძელოთ...**

— არც ისეთი ფართო და მდიდარი სპექტრია. მე ყოველთვის ვცდილობ, დროზე მივხვდე, რა არ არის ჩემი გასაკეთებელი...

**— ნეტავი, ჩვენი პოლიტიკოსებიც ასე ფიქრობდნენ...**

— ბოლო დროს მოვკიდე ხელი ისეთ დრამატურგიას, რომელსაც ადრე არ შევხებივარ.

აი, მაგალითად, თბილისში, მარჯანიშვილის თეატრის მცირე სცენაზე ძალიან თავშეკავებულად გადის ირლანდიელი ავტორის „ბრმა მხედველი“. სრულიად გამორჩეულად თამაშობენ მსახიობები. სრულიად განსხვავებული დრამატურგიაა იმასთან შედარებით, რასაც ვართ მიჩვეული, ყოველ შემთხვევაში, — მე. სრულებით არ ჰგავს იმ პიესებს სტრუქტურითა და ესთეტიკით, რომლებიც ადრე დამიდგამს. მაგრამ ფაქტია, რომ ვინც მოდის სპექტაკლზე, სულგანაბული უყურებს და უსმენს. მთავარია, რომ არ გავუწყვიტო აზროვნების ის ჯაჭვი, რომელმაც ჩაითრია. რომ შეწყდეს, მტერსა და ავს! მერე რა, ნუ მოვა რვაასი და ათასი მაყურებელი. მცირე სცენაზე იმიტომ დავდგი, რომ ერთდროულად ცოტა მაყურებელმა ნახოს.

**— კამერულია?**

— დიახ. ხომ არის ისეთი ისტორიები, რომლებსაც გიამბობთ, როცა ორნი ვსხედვართ. მაგრამ მიტინგზე ვერ მოვყვები. ვერც გავაგონებ და არც აღიქმება. მე და თქვენ გვყოფნის იმის ტაქტი, სად რა მოვყვეთ. ასეა სცენაზეც. ყოველთვის ვცდილობ, ამოვხსნა ასეთი ავტორი, მე კი არ დავიმსგავსო, პირიქით, — მე დავემსგავსო.

**— სადღაც ამოვიკითხე, რომ თქვენი კრედოა მინიმალურით მაქსიმალურის გამოხატვა.**

— მე არ მინდა თავბრუ დაგახვიოთ იმით, რომ, არიქა, სცენაზე რაღაც საშინელება ხდება. მინდა, მინიმალური საშუალებით თქვენი ყურადღების კონცენტრაცია გამოვიწვიო. სცენაზე არაფერი არ მაქვს, რაც აუცილებელი არ არის იმის გარდა. არ მინდა, თვალი მოგჭრათ. მინდა, ჩაგითრიოთ აზროვნებაში. ამისთვის კი აუცილებელი, მაგრამ მინიმალური, საშუალებები უნდა ვიხმარო.

არსებობს სხვა მიდგომაც — „თვალი ჭამს და თვალი სვამსო“, რაც მე არ გამომადგება. აი, ბერები სენაკებში იყვნენ, მინიმალური ჰქონდათ ყველაფერი, მაგრამ სულიერების რა სიმაღლეებს სწვდებოდნენ!

მაგრამ ისიც არის, რომ, ვთქვათ, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში თუ შეხვალ, ირგვლივ იმდენი სიუჟეტია, რომ თვალს ვერ მოსწყვეტ.

**— წმინდა პეტრეს ტაძარი...**

— სადაც გნებავთ. მაგრამ უფრო თავშეკავებულობაა მართლმადიდებელ ტაძრებში, თუმცა აქაც ბევრი მოხატულობაა. გენიალურია ტაძრები, რომლებიც ვახსენეთ, ან გერმანული, თუნდაც კიოლნის ტაძარი. მაგრამ მე მაინც ჯვრის მონასტრის მოტრფიალე უფრო ვარ. მისი მინიმალიზმი მირჩევნია.

**— მაგრამ ან „პრინცესა ტურანდოტის“, ან „აიდას“ დადგმა (ოპერებიც დადგმული გაქვთ) როგორ წარმოგიდგენიათ მინიმალური საშუალებებით?**

— ამიტომაც არ ვდგამ, ჩემო ბატონო. **ოპერაში ჩემი მისვლა ვალერი გერგიევის ახირებაა. პეტერბურგში ჩემი დადგმული სპექტაკლები ნახა და შემომთავაზა პროკოფიევის „ომი და მშვიდობა“ ტოლსტოის მიხედვით. ვალერი, არ გამაგიჟო, ოპერა ჩემს ცხოვრებაში არ დამიდგამს და ამხელა ეპოპეას როგორ მთავაზობ-მეთქი?! მეორედ შემომთავაზა პროკოფიევის „მოთამაშე“ (ИГРОК) დოსტოევსკის მიხედვით.**

**— პრემიაც მიიღეთ.**

— მივიღეთ და დავდგით კიდეც ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერაში. უცებ მივხვდი, რომ ჩემია, მარტო დოსტოევსკის გამო არა. მუსიკაც ისეთია, პროკოფიევის.

**— სტრავინსკის „პეტრუშკას“ დადგამთ?**

— არა, ალბათ. არ ვიცი. არა, არა. არ არის ჩემი. აქ კი, პროკოფიევს რომ ვდგამდი, ისე ვმუშაობდი მომღერლებთან, როგორც დრამაში — მსახიობებთან. ბედად, კარგი მომღერლები შემხვდნენ, ნიჭიერი მსახიობები, ხოლო ხმა და მუსიკალობა ხომ ჰქონდათ და ჰქონდათ.

**— ორიოდ სიტყვა, თუ შეიძლება, ადამიანურ ურთიერთობებზე. მეგობრული ურთიერთობის პრობლემა არ დაგიდგათ სანკტ-პეტერბურგში?**

— ამდენი წელიწადი რომ მუშაობ ერთ ადგილზე, ცხადია, მეგობრებიც გაჩნდებიან.

**— აქაური მეგობრები?**

— აქაურ მეგობრებს რა მიმატოვებინებს! ისინი მთელი ჩემი ცხოვრებაა. მე ხელს მიწყობს, ჩემო ბატონო, ის, რომ მთლიანად წასულად არ მიმაჩნია თავი, თუნდაც იმიტომ, საშუალოდ წელიწადნახევარში ერთხელ თბილისში ვდგამ სპექტაკლს. სოხუმის თეატრის ქართულ დასში დავდგი ოდიშარიას „ზღვა, რომელიც შორია“ (სპეციალურად ამ თეატრისთვის დავაწერინეთ), ისე მიყვარდა ის სპექტაკლი... აღარ გადის, სამწუხაროდ. რაღაც აირია სოხუმის თეატრში...

იმ სპექტაკლშიც ერთნიშნად არაფერს არ ვწყვეტდი.

სანამ არ დავფიქრდებით, ჩვენ რაში ვართ დამნაშავე, ჭეშმარიტებამდე ვერ მივალთ. საკუთარ თავს ვეუბნები, თქვენ კი არა: ყველაზე ძნელი ცხოვრებაში არის საკუთარი შეცდომის პოვნა.

**— მახსენდება თქვენი ნათქვამი, რომ თვით ეს პროცესია ძალიან საინტერესო. ხომ არ ნიშნავს ეს თვითგვემას, ცნობილ самоедство-ს?**

— თვითგვემას — არა! არავითარ შემთხვევაში, ჩემო ბატონო! მე რომ ვიცოდე, სხვას რა უნდა მოვთხოვო, უნდა ვიცოდე ჩემი შეცდომა სად არის. ვინ მომცა უფლება, მოგთხოვოთ პასუხი, როცა ვერ გავრკვეულვარ, მე თვითონ რა დავაშავე?!

**— „А судьи кто?“**

— და როცა მოსამართლენი არ არიან, ვიზრუნოთ, რომ ჩვენვე ვიყოთ ჩვენი თავის მოსამართლენი. მე პირადად ეს პროფესიიდან მომდევს. უწინარეს ყოვლისა, უნდა გავიგო, რა ამოძრავებდა ყველა მოქმედ პირს და რა არის მათი შეცდომა. სხვანაირად რეპეტიციას ვერ ჩავატარებ, არათუ სპექტაკლს დავდგამ.

**— ბოლო შეკითხვა: უსასრულო, მოგეხსენებათ, არაფერია, და როგორ ესახება პეტერბურგის შემდგომი პერიოდის პერსპექტივა თემურ ჩხეიძეს?**

— რა ვიცი, რა და როდის მოხდება... ყველაზე საშინელი პერიოდი, რომლისაც ძალიან მეშინია, ისაა, როცა მსახიობები მე არ გამაგონებენ, მაგრამ ზურგს უკან იტყვიან: ამ ბებერთან რა შევა რეპეტიციაზეო. ეს იქნება ის სიკვდილი, რომლისაც ბიოლოგიურ სიკვდილზე უფრო მეშინია.

არ მინდა, აქამდე მივიდეს საქმე. ღმერთმა არ წამართვას იმის უნარი, რომ დროზე მივხვდე, როდის უნდა გავჩერდე.

* * *

**რა დროს გაჩერებაა, ბატონო თემურ! თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება, მთამსვლელების ენით რომ ვთქვათ, ტრავერსს ჰგავს, მწვერვალიდან მწვერვალს რომ იპყრობენ ბარში ჩაუსვლელად.**

**მწვერვალებს რა გამოლევს.**

**თქვენი დასაპყრობია!**

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე

**«ხანდახან ვფიქრობ, რომ შეიძლება ჩვენ ვართ ბოლო თაობა, რომელმაც სიტყვით მივიღეთ განათლება. ესენი გამოსახულებით იღებენ»**

**ლევან ღვინჯილიას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ უგულებელყოფილია, იგნორირებულია ბედი ქართული ენისა, მისი კონსტიტუციური სტატუსი, როგორც სახელმწიფო ენისა; მისი დაცვისა და გავრცელებისთვის მოწოდებული, ისედაც მწირი საკანონმდებლო ბაზა მთლად აბუჩადაა აგდებული როგორც ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, ასევე და კიდევ უფრო მეტად — ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მხრიდან.**

# რამდენიმე შეგონება ხელისუფლების მოტაშე ჟურნალისტებს

**ლევან ღვინჯილია უფლებადამცველია. ჩვენთან ყველას და ყველაფრის უფლებებს არღვევენ. ქართული ენის უფლებებსაც არღვევს ყველა და ყველგან, ამ უფლებებს კი უკვე ათწლეულებია ბატონი ლევანი იცავს ტელევიზიით გამოსვლებისას, საგაზეთო პუბლიკაციებით, საჯარო თუ პირისპირ შეხვედრებისას, მოკლედ ყველგან. ერთხანს ენის სახელმწიფო პალატასაც ხელმძღვანელობდა, რომელიც მისი თაოსნობით შეიქმნა. თუკი წინათ მსმენელ-გამგონი მაინც ჰყავდა, ახლა ბატონ ლევანს საზრუნავი მოემატა — სახელმწიფო მოხელეებსა და ჟურნალისტებს „დიდი ცილობა“ აქვთ ქართული ენის შერყვნის საქმეში. ლევან ღვინჯილიაც იბრძვის თავისი დაცვის ქვეშ მყოფის უფლებების აღსადგენად. თუმცა მშობლიური ენის მიმართ ზრუნვა მხოლოდ მისი კი არა, თითოეული ჩვენგანის საზრუნავია. ამიტომაც „საქართველო და მსოფლიო“ სიამოვნებით უთმობს საგაზეთო ფართობს ენის ომბუდსმენს და ამიერიდან კვირაში ერთხელ ერთად შევებრძოლებით ქართული ენის მოძულეებს. თქვენც გამოგვყევით!**





2011 წლის 10 იანვარს გაზეთ **„ქრონიკაში“** გამოქვეყნებულ წერილში გულწრფელად ვწუხდი იმის გამო, რომ **ჩვენი ენის დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმე ქვეყნის ხელისუფალთაგან მთლიანად იგნორირებულია ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, — უგულებელყოფილია**, ოღონდ ეს ქართული ზმნა, რომელშიც სიტყვა **„გული“** მონაწილეობს, ბოლო დროს იშვიათად გაისმის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში (შემოკლებით „მედიას“ რომ ვეძახით), მის ადგილს კი ლათინური ignoro-დან („არ ვიცი“) მომდინარე **იგნორირება** იკავებს; არადა, ამ უკანასკნელს საფუძვლად უდევს **„არცოდნა“** (ignoro), **თითქოს იმიტომ ვერ მიაქციე რაღაცას სათანადო ყურადღება, რომ „არ იცოდი“!** ლექსიკონებში იგი განმარტებულია როგორც **„უგულებელყოფა“** და მნიშვნელობით მასთანაა გათანაბრებული, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, უთუოდ დავინახავთ სხვაობას და თანაც — მნიშვნელოვანს: თითქოს **„უგულებელყოფა“** იმიტომ კი არ ხდება, რომ **„არ იცი“**, არამედ — იმიტომ, რომ **„გულთან არ მიიტანე“, „უგულოდ მოეკიდე“, „გულის თვალით ვერ (ან — არ!) შეხედე“, „უგულოდ მოექეცი“.** ამას კი სხვანაირად **„გულგრილობაც“** ჰქვია. აფსუს! რა ფასდაუდებელი განძის პატრონები ვართ და ჩვენ კი თვალი, გული და ყური (**„გულისყურიც“** გავიხსენოთ!) თითქოს არცა გვქონდეს, სადღაც სხვაგან ვიყურებით. დიახ! **საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ უგულებელყოფილია, იგნორირებულია ბედი ქართული ენისა, მისი კონსტიტუციური სტატუსი, როგორც სახელმწიფო ენისა; მისი დაცვისა და გავრცელებისთვის მოწოდებული, ისედაც მწირი საკანონმდებლო ბაზა მთლად აბუჩადაა აგდებული როგორც ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, ასევე და კიდევ უფრო მეტად — ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მხრიდან.** ამათ შორის კი „პირველობას“ **ჯერჯერობით არავის უთმობენ დედაქალაქის მერია და საკრებულო. ამ ფონზე კი, რა გასაკვირია, რომ ხელისუფლებისთვის გუნდრუკისმკმეველი ტელეარხები, განსაკუთრებით ის სამი კომპანია („ჩვენ რომ ვიცით!“) იჩენს ენობრივი პრობლემების მიმართ აღმაშფოთებელ უყურადღებობას.** ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ამის შესახებ ვწუხდი-მეთქი და თან კონკრეტული მაგალითიც მოვიშველიე. კერძოდ, ვუსაყვედურე ტელეარხების ხელმძღვანელებს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, როგორც კი 14 აპრილი მოახლოვდება, მოიწვევენ საგანგებო თათბირებს და დაავალებენ ჟურნალისტებს, „ჯეროვნად ასახონ“ დედაენის დღისადმი მიძღვნილი მოვლენები, სპეციალურ გადამღებ ჯგუფებს მიამაგრებენ ხელისუფლების შტოთა მეთაურებს, ეს უკანასკნელნი კი გულზე მჯიღს დაირტყამენ და მაღალფარდოვანი, ბანალური ტექსტებით შეგვახსენებენ 14 აპრილის ისტორიულ მნიშვნელობას, იქვე არც იმის დავიწყების საშუალებას მოგვცემენ, რომ **აუცილებელია ვისწავლოთ ინგლისური, რათა უკეთ მოვემსახუროთ საქართველოში ჩამოსულ ასი ათასობით** (მალე, ალბათ, — მილიონობით!) **ტურისტსა და მოგზაურს. 15 აპრილიდან კი ჩვენი დედაენა კვლავ დავიწყებას მიეცემა. იგი არც ხელისუფალს გაახსენდება და, შესაბამისად, — არც ჟურნალისტს!** დავაზუსტებ: ტელეჟურნალისტს! თორემ ბეჭდური მედია შეუდარებლად უფრო აქტიურია ენობრივი საკითხების გაშუქების თვალსაზრისით, მაგრამ იგი, მიზეზთა მრავალთა გამო, სათანადო ამინდს, სამწუხაროდ, ვერ ქმნის. და აი, **10 იანვრის „რუსთავი 2-ის“ დილის გადაცემაში პრესის მიმოხილვის დროს მოხდა „სასწაული“, რომლის მსგავსი უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში და, ალბათ, არც მანამდე, არ მომხდარა არც „რუსთავი 2-სა“ და „იმედზე“ და, მით უმეტეს, არაფერი მსგავსი არ გაჭაჭანებულა საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველ არხზე“ (ცხადია, არც — „მეორეზე“!)** საქმე ისაა, რომ რვასაათიანი ჩართვის დროს პრესის მიმომხილველმა ჟურნალისტმა, ბატონმა **ოთარ ქირიამ** თავისი გამოსვლა ასე დაამთავრა: **„ზემოთ ხმაური ვახსენე და შეუძლებელია, ჯერ ამ ფრაზას გავეშვათ, რამეთუ ასეთს უკვე მასშტაბურად აქვს ადგილი მწერალთა საზოგადოებაშიც. შეგახსენებთ: ვციტირდები გაზეთ „ქრონიკის“ გვერდებიდან, ამავე გადაცემაში ერთი საოცარი (ბრჭყალებში) სიახლე პირადად ჩემ შესახებ ვიპოვნე და, რაღა დავმალო, ერთობ დამაინტრიგა. თუ თქვენც დაგაინტერესათ, მომდევნო საათში შემოგვიერთდით“-ო** (ხაზი ყველგან ჩემია, — ლ.ღ.) — მიმართა ტელემაყურებლებს; თუმცა, მე მთლად ბოლომდე ვერ გავიგე, როგორ უნდა შეეტყო **ბატონ ქირიას**, ამ საკითხით ტელემაყურებელი მართლა დაინტერესდა თუ არა?! უფრო მოსალოდნელია, რომ ეს **ისე, ყასიდად თქვა**. თუმცა გადაცემის წამყვანები კი ნამდვილად წამოეგნენ **ბატონი ოთარის ინტრიგაზე: „ჩვენც დავინტრიგდით, ნამდვილად; იმედია, შენს საიდუმლოებას გაგვიმხელთ ერთი საათის შემდეგ, დაგელოდებით ამისთვის“,** — ბრძანა წამყვანმა ქალბატონმა, მას კვერი დაუკრა წამყვანმა ვაჟმაც და **ბატონი ოთარი** ერთი საათით დაგვემშვიდობა. სანამ პრესის მიმომხილველი თავისი **„საოცარ** (ბრჭყალებში) **სიახლეს“** გაგვაცნობდეს, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ჟურნალისტს რამდენიმე მოსაზრება გავუზიარო ჩემ მიერ უკვე დამოწმებულ ტექსტთან დაკავშირებით.

**„ციტატა“** გერმანული სიტყვაა (სადაც ლათინურიდან შესულა) და ასე განიმარტება: **„რაიმე ტექსტიდან უცვლელად, სიტყვა-სიტყვით მოყვანილი ადგილი“. „ციტატის მოყვანას“** კი სხვანაირად **„ციტირება“** ჰქვია, მაგრამ **„ვციტირდები“** — შეცდომაა! ასეთი ზმნური ფორმა უმართებულოა, ისევე, როგორც **ბატონი ქირიას** მიერ იმავე გამოსვლაში ნახმარი — **„ციტირებს“ („ციტირებს ვაჩეიშვილს დღევანდელი „კვირის პალიტრა“). შემდეგ: „ზემოთ ხმაური ვახსენეო“...** — ბრძანა ჟურნალისტმა; ეს სამი სიტყვა დაბეჭდილი რომ გვენახა, არანაირ შენიშვნას (მართებულობის თვალსაზრისით) არ გამოიწვევდა, მაგრამ ზეპირი მეტყველების დროს (სულ ერთია, პრესას მიმოიხილავენ თუ სხვა რამ ამბავს გვიყვებიან) **„ზემოთ“** და **„ქვემოთ“** — ადგილის ზმნიზედები (თანაც დროის აღმნიშვნელებად) არ უნდა ვიხმაროთ. **„ხმაური ვახსენე“** — საკმარისია! **სად ზემოთ?** სად **ქვემოთ?** ყოვლად გაუმართლებელია! პატივცემული ჟურნალისტი ერთ სიტყვას (**ხმაურს**) გულისხმობს და მას **„ფრაზად“** მოიხსენიებს. **„ფრაზა“** კი სხვა რამეა (**დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობაა**). კიდევ ერთხელ მოვიყვან ამ წინადადებას სრულად: **„ზემოთ ხმაური** ვახსენე და შეუძლებელია, ჯერ **ამ ფრაზას გავეშვათ**, რამეთუ ასეთს (**„ასეთს“** კი არა — **„ამას“!** ანუ **„ხმაურს“**; დააკვირდით კითხვას: **რას აქვს ადგილი**? — და არა — **როგორს?** — ლ.ღ.) **უკვე მასშტაბურად აქვს ადგილი მწერალთა საზოგადოებაშიც“**. ამავე წინადადებაში, პატივცემულ ჟურნალისტს რომ დავესესხო, **„ერთი საოცარი (ბრჭყალებში)“** ზმნა აღმოვაჩინე — **„გავეშვათ“ („შეუძლებელია ჯერ ამ ფრაზას გავეშვათ“ — ო. ქირია)**. ეს კი ნამდვილად მეტისმეტია! არ შეიძლება მშობლიურ ენას ასე უპასუხისმგებლოდ მოვეკიდოთ. გარეგნულად თითქოს ზმნური ფორმაა — **გავეშვათ ჩვენ მას,** მაგრამ შინაარსზეც ხომ უნდა დავფიქრდეთ? **„მოვეშვათ“** გამიგია, **„შევეშვათ“** გამიგია, მაგრამ — **„გავეშვათ“?** იმისი არ იყოს, **„ცხენბურთი“ გამიგია, „ფეხბურთიც“ გამიგია, მაგრამ ეს „მოტობურთი“ რა უბედურებააო,** რომ უკვირს **ელდარ შენგელაიას** ცნობილი ფილმის პერსონაჟს — ვაჟა ზაზაევიჩს, **თემურ ჩირგაძის** მიერ უბადლოდ განსახიერებულს! არადა, **„მოტობურთი“** ბევრად უფრო გასაგებია და, შეიძლება ითქვას, როგორც სიტყვა — მისაღებიც კი, რასაც **„გავეშვათ“**-ზე ნამდვილად ვერ ვიტყოდი. ურიგო არ იქნებოდა, ჩვენი ტელეჟურნალისტები, წამყვანები და მიმომხილველები სწორმეტყველებას მეტად თუ მიაპყრობდნენ გულისყურს. ბუნებრივია, ეს მარტო **ოთარ ქირიას** არ ეხება და ამიტომაც, იმედია, არ მიწყენს. ამასობაში კი დაპირებული დროც გავიდა და **„რუსთავი 2-ზე“** კვლავ პრესის მიმოხილვის ჯერი დადგა.

თუ გახსოვთ, წინა ჩართვის დროს ბოლო ტექსტი წამყვანმა ქალმა წარმოთქვა, ამჯერად კი ვაჟი ამბობს (მიმართავს **ოთარ ქირიას**): **„მაინტერესებს, რა დაიბეჭდა გაზეთ „ქრონიკაში“** შენს შესახებ (ქალი: **რას გერჩიან?), რა ინფორმაციას ავრცელებენ?“**

**ოთარ ქირია: „რაც შეეხება ამ წერილს, თუ „ქრონიკის“** ხსენებულ წერილს დავუჯერებთ, მე, სულ მცირე, მილიონერი ვყოფილვარ და, ამასთან ერთად, საერთაშორისო დონის ინვესტორი. მეორე გახლავთ **პრეტენზია, რომელსაც** ავ- ▶

**ილია ჭავჭავაძე: ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტობა ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს...**



# რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..

*გრიგოლ ორბელიანი*

ლევან ღვინჯილიას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ტორი თურმე დიდი ხანია **განიცდის**" (**პრეტენზიას**, ჩვეულებრივ, **გამოთქვამენ, გამოხატავენ,** მაგრამ არ **განიცდიან.** აქ ეს ზმნაც უადგილოდაა ნახმარი. — **ლ.ღ.**) და ბატონი **ქირია** იწყებს ბოლო წინადადების კითხვას ჩემი წერილიდან: **„ამის შემდეგ, მოდი და გაიკვირვე, „რუსთავი 2-ის"** დილის გადაცემებში პრესის მიმომხილველი, ჟურნალისტი — **ოთარ ქირია** რატომ უმალავს მაყურებელს **„ქრონიკის"** ამ პუბლიკაციებს"-ო, ჩივის ჟურნალისტი **ლევან ღვინჯილია** საავტორო წერილში (თითქოს ო. ქირიამ არ იცოდეს, რომ მე ჟურნალისტი არ ვარ, — **ლ.ღ.**)". ამ დროს ეკრანზე აჩვენებენ ერთ გვერდს გაზეთ „ქრონიკაში" დაბეჭდილი ჩემი წერილიდან და მიმომხილველი განაგრძობს: **„არამც და არამც, ბატონებო!** (გენაცვალეთ პათეტიკურ ინტონაციაში! — **ლ.ღ.**) **აქ გახლავთ გაზეთიც, აქვეა წერილიც** (გაზეთი თუ აქ „გვახლავს", ცხადია, წერილიც „აქვე" იქნება — **ლ.ღ.**) და აქვეა ორი უზუსტობაც (რომელ ორ უზუსტობაზეა ლაპარაკი, მიმომხილველს არ უთქვამს, — **ლ.ღ.**), **სულ ტყუილია, რაც ერთი გადახედვითაც იოლად შეიმჩნევა გაზეთ „ქრონიკის"** ხსენებულ წერილში". — აი, ეს გახლავთ მთელი კომენტარი სრულად. ახლა კი, მოდით, ვცადოთ გარკვევა, რა არის **„სულ ტყუილი"?..** მე ვწერდი, რომ ექვსი თვის განმავლობაში, რაც ამ მასალებს ვაქვეყნებ, არც ერთი ტელეარხის არც ერთ გადაცემაში (მათ შორის პრესის მიმოხილვებში) ენობრივ პრობლემებზე კრინტსაც არ ძრავენ-მეთქი, ესაა **„სულ ტყუილი"?** მაშინ ოპონენტმა საწინააღმდეგო მაგალითი უნდა მოიყვანოს, თორემ **„სულ ტყუილია"-ს ძახილი, არგუმენტი ვერ იქნება**, ეს ხომ ელემენტარულად მარტივი საკითხია? ან კიდევ: **რომელია ის ორი უზუსტობა?** ტელემაყურებელი ამას როგორ უნდა მიხვდეს, ან გაზეთის ორი გვერდის **„ერთი გადახედვითაც იოლად რომ შეიმჩნევა", ასეთი უზუსტობა რომელია?**

მე მგონია, მივხვდი, რისი თქმაც უნდა პატივცემულ **ოთარ ქირიას: ერთი თვალის გადავლებით მკითხველი შეამჩნევს ორ ფოტოს იმ ორი მაღაზიისა, რომელთა თანამშრომლებმა, გულთან მიიტანეს რა ქართული ენის სრული უგულებელყოფით გამოწვეული ჩემი უკმაყოფილება, არ დამიმალეს და მაღაზიების პატრონად ბატონი ოთარ ქირია** დამისახელეს. ინფორმაციის ეს წყარო რომ არა, აბა, მე როგორ შევძლებდი ეს სავაჭრო ობიექტები **„რუსთავი 2-ის"** თანამშრომელთან დამეკავშირებინა, როგორც იტყვიან ხოლმე ასეთ დროს: **სად პრესის მიმომხილველი ჟურნალისტი და სად ბავშვთა ტანსაცმლის (პირობითად) მაღაზიის აღმასრულებელი დირექტორი?** რაც შეეხება ბატონი **ოთარ ქირიას** ეჭვს, რომ მე იგი **„სულ მცირე მილიონერი და, ამასთან ერთად, საერთაშორისო დონის ინვესტორი"** მეგონა — ეს ნამდვილად თითიდან გამოწოვილი კომენტარია. დიახ! როგორც იმ დღეებში **ბატონ ოთარ ქირიასთან** ჩემი სატელეფონო საუბრის დროს გაირკვა, **ბატონი ოთარი,** როგორც თვითონ ბრძანებს, **არ არის ამ მაღაზიების მეპატრონე, არამედ მხოლოდ დაქირავებული მუშაკია, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ რანგის მუშაკი, რომ თითქმის ყველა თანამშრომელი „პატრონად" მას ასახელებს.** თუ ამ **„უზუსტობით"** ბატონი **ოთარის** საქმიან რეპუტაციას რაიმე ჩრდილი მიადგა, მე მზად ვარ, ამავე გაზეთში მას შესაბამისი ადგილი დავუთმო და ეს კიდევაც შევთავაზე, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა. როგორც ჩანს, **„ალია ჰოლდინგის" ყოფილ თანამშრომელს ძველ კოლეგებთან ურთიერთობის განახლება, თუნდაც ამ ფორმით, მაინცდამაინც არ ხიბლავს.** მთავარი მთელ ამ ამბავში კი მაინც ის არის, რომ (კვლავ ვიმეორებ) პრესის მიმომხილველმა **ოთარ ქირიამ,** არც ერთხელ არ აუწყა ტელემაყურებელს, რომ **გაზეთი „ქრონიკა",** ნახევარ წელიწადზე მეტი ხანია, რეგულარულად აქვეყნებს ენობრივ პრობლემებთან დაკავშირებულ მწვავე მასალებს, რაც გაზეთის მკითხველთა მოწონებას კი იმსახურებს, **მაგრამ პრესის ტელემიმომხილველთა ყურადღება ვერ იქნა და ვერ დაიმსახურა.**



## კარგი იქნება, თუ ჟურნალისტები სამაგიდო წიგნადაც გაიხდიან ჩვენი სასიქადულო ლინგვისტების მიერ შექმნილ ნაშრომებს, განსაკუთრებით კი – ლექსიკონებს, მათ შორის ორთოგრაფიულსა და სხვებსაც

რომ არა ის კრიტიკული წერილი, სადაც ბატონი **ოთარ ქირია** თავად იქნა მხილებული ქართული ენისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებაში (რაც ამ წერილშიც ახალი მაგალითებით შეივსო), იგი არც ამჯერად იტყოდა ამის შესახებ რამეს და მიზეზიც იქვეა მითითებული: **„როცა ქვეყნის ხელისუფლებას სახელმწიფო ენის ბედი არ ანაღვლებს, ასეთი მთავრობის მოტაშე (ბატონ ქირიას ეს სიტყვაც ემცხეთა!) ჟურნალისტები თავს რატომ შეიწუხებენ და საკუთარ „ბატონ-პატრონებს" ზედმეტ საზრუნავს რატომ გაუჩენენ? („ქრონიკა",** №2, 10.01.2011 წ.). აქვე მინდა მკითხველს შევახსენო, რომ სხვა დროსაც პირუთვნელად დამისახელებია იმ პირთა ვინაობა, რომლებიც უდიერად ეკიდებიან ჩვენს დედაენას; ამ თვალსაზრისით ჟურნალისტი **ოთარ ქირია** არც პირველია და, პირობას გაძლევთ, არც უკანასკნელი იქნება. ჩვენ კი, იქნებ, კიდევ ერთხელ მივუგდოთ ყური **დიდ ილიას: „ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტობა ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე... ბოროტების აღვიარება ნახევარი გასწორებაა".**

მე ზემოთ სწორმეტყველებისკენ სწრაფვა ვურჩიე ჟურნალისტებს და, მათ შორის, ბატონ **ოთარ ქირიასაც,** მაგრამ მარტო რჩევა, ეგებ, საკმარისი არ იყოს, ამიტომ კარგი იქნება, თუ **სამაგიდო წიგნადაც გაიხდიან ჩვენი სასიქადულო ლინგვისტების მიერ შექმნილ ნაშრომებს, განსაკუთრებით კი — ლექსიკონებს, მათ შორის ორთოგრაფიულსა** და სხვებსაც. საამისოდ კი ბატონ **ოთარ ქირიას** შორს წასვლა არ დასჭირდება, თუკი შევახსენებ მასაც და სხვებსაც, რომ ერთი წლის წინ გამომცემლობა **„მერიდიანმა"** დაბეჭდა **არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ ჭაბუკი ქირიას** მეტად საჭირო და სასარგებლო წიგნი — **„ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის საკითხები და ორთოგრაფიულ სირთულეთა ლექსიკონი",** რომლის რედაქტორებიც გახლავთ **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ავთანდილ არაბული** და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი — **ლევან ღვინჯილია**. სასურველია, ეს წიგნი, ისევე როგორც **ქართული ენის განმარტებითი** და **ორთოგრაფიული** (ასევე სხვა) ლექსიკონები, ჟურნალისტებმა ხშირად გადაფურცლონ.

ამ წერილის დასასრულ, მწარე ღიმილნარევი ტონალობით უნდა მოგახსენოთ, რომ ქართული სალიტერატურო ენის გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად **ჟურნალისტ ოთარ ქირიას** დოქტორ **ჭაბუკი ქირიას წიგნისკენ რომ ვახედებ, ცხადია, ისიც არ მავიწყდება, რომ არც ღვინჯილიებს** გვაქვს საქმე მთლად დალაგებულად (**თარგამაძეებისა** არ იყოს!): ამ დღეებში ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ზუგდიდში ბატონი იურა ღვინჯილია დიდად შეუწუხებია მეგრული ენის ბედს და მის დასაცავად არასამთავრობო ორგანიზაციაც კი შეუქმნია, რაც, **მეტი რომ არ ვთქვა, გზასაცდენილი კაცის ნამოქმედარი მგონია,** მაგრამ ეს იმდენად სერიოზული საკითხია, რომ ცალკე და საგანგებო განხილვას იმსახურებს. მანამდე კი **ღვინჯილიებსაც, ქირიებსაც** და სხვებსაც შეგახსენებთ: **„ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო — ყველა ჩვენი სამშობლოა!.."** დარწმუნებული ვარ, მკითხველი თავად დაასრულებს ჩემ მიერ საგანგებოდ მისთვის ხმამაღლა გასამეორებლად გამოტოვებულ ორ სიტყვას — **„საყვარელი საქართველო!"**






მოკლედ

## ცხინვალი ერიკ ფურნიეს განცხადებას გამოეხმაურა

**ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოში გასული საუკუნის 20-იანი წლების მოვლენების შესახებ საქართველოში საფრანგეთის ელჩის — ერიკ ფურნიეს განცხადებას გამოეხმაურა.** „ბოლოდროინდელ პუბლიკაციებს შორის აღსანიშნავია საქართველოში საფრანგეთის ელჩის — ერიკ ფურნიეს ინტერვიუ, სადაც მან ომის დაწყების პასუხისმგებლობა საქართველოს დააკისრა, რაც გაცილებით მნიშვნელოვანია. პირველად დიდი ხნის განმავლობაში, ასეთი მაღალი რანგის ევროპელი პოლიტიკოსი გასული საუკუნის 20-იან წლებში მენშევიკური საქართველოს მხრიდან ოსი ხალხის გენოციდს შეეხო", — ნათქვამია განცხადებაში.

## პუტინი საზიანო პირობებს არ დათანხმდება

**„რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას არ მიიღებს პირობებს, რაც ზიანს მიაყენებს მის სოფლის მეურნეობას.** ჩვენ არ დავთანხმდებით იმ პირობებს, რომლებსაც დღეს გვთავაზობენ. თუ ვხედავთ, რომ შესაძლოა, ზოგმა წინადადებამ ჩვენს სოფლის მეურნეობას ზიანი მიაყენოს, ასეთ წინადადებას არ მივიღებთ", — განაცხადა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა. მოლაპარაკებებზე რუსული დელეგაციის ხელმძღვანელის, მედვედკოვის განცხადებით, რუსეთის პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ გამკაცრდეს უცხო ქვეყნების წარმოების ხორცის შემოტანის შემოწმება რუსეთის ბაზარზე.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედების ყველაზე მწარე მაგალითია ქუთაისის მემორიალის აფეთქება, რომელსაც ადამიანების სიცოცხლეც კი შეეწირა; გააფთრებული ბრძოლა ყოველგვარ სიმბოლიკასთან, რაც დიდ სამამულო ომში ქართველების მონაწილეობასთან არის დაკავშირებული; ვეტერანების პირდაპირი თუ ირიბი შეურაცხყოფა... აბა, სხვა რა არის ჰიტლერისა და სტალინის, ფაშისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის გაიგივებაზე საუბარი?! ამით ვეტერანებს ეუბნებიან, რომ მათი ბრძოლა და თავგანწირვა არანაირ ღირებულებას არ ემსახურებოდა“**

# საზოგადოებრივი კონფერენცია «სიმართლე და სიცრუე 1941 წლის 22 ივნისის შესახებ»



**25 ივნისს სასტუმრო „BETSYS HOTEL“-ში დიდი სამამულო ომის დაწყების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა თემაზე „სიმართლე და სიცრუე 1941 წლის 22 ივნისის შესახებ“. ღონისძიება არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“, ევრაზიის ინსტიტუტისა და ომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანიზებით ჩატარდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სამამულო ომის ვეტერანები, ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, საზოგადო მოღვაწეები და ჟურნალისტები.**



როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელმა ტარიელ გაგნიძემ საქინფორმთან საუბრისას აღნიშნა, ღონისძიების მიზანია, საზოგადოებამ მიიღოს რეალური ინფორმაცია დიდი სამამულო ომის შესახებ.

ამჯერად კი კონფერენციაზე მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

— **ომისშემდგომი ვითარება ევროპაში; ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის როლი ჩეხოსლოვაკიის დანაწევრებაში; ჰიტლერის მიერ ევროპის დაპყრობა; სსრ კავშირის მცდელობა დასავლეთის ქვეყნების ანტიჰიტლერული კავშირის შექმნაში დაყოლიებაზე; დასავლეთის ქვეყნების როლი სსრ კავშირზე თავდასასხმელად ჰიტლერის წაქეზებაში; სსრ კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის შეთანხმების დადებითი როლი; სსრ კავშირის მზადყოფნა აგრესიის მოსაგერიებლად; ომის საწყის ეტაპზე წარუმატებლობის მიზეზები;**

– **საქართველოს მოსახლეობის რეაქცია ომის გამოცხადებაზე; ომში გაწვევა და მოხალისეთა მოძრაობა; მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი საზოგადოებაში;**

– **საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედი ჰიტლერის დაპყრობილი ტერიტორიების მოწყობის გეგმებში;**

– **დიდი სამამულო ომის მიზეზები და შედეგები თანამედროვე სახელმწიფოებრივ საინფორმაციო პოლიტიკაში;**

– **ომის ისტორიის ფალსიფიკაცია ანტიჰიტლერული კოალიციის წევრების – დასავლეთის ქვეყნების, სასარგებლოდ;**

– **საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების დანაშაულებრივი დამოკიდებულება ომისა და დაღუპული თანამემამულეების ხსოვნისადმი.**

ვეტერანთა რესპუბლიკური კავშირის თავმჯდომარე ელვერ კუპატაძემ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს ვეტერანების მიმართ არაერთგზის გამოხატული ყურადღების გამო და თავის გამოსვლაში ისაუბრა კონფერენციის მნიშვნელობაზე.

**„დიდი სამამულო ომის თემა აქტუალურია ყველა თაობისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალგაზრდებს ან უმალავენ, ან სრულიად დამახინჯებული სახით განუმარტავენ მეორე მსოფლიო ომის ისტორიულ მნიშვნელობას. ძველი აღმოსავლური სიბრძნეა – „შენი წარსული თუ არ იცი, მომავალს ვერ შექმნი“. ქართულ სინამდვილეში, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, სწორედ მსგავს ქმედებასთან გვაქვს საქმე. სწორედ ამაშია ჩვენი უბედურება, რომ ახალგაზრდებს უმალავენ საკუთარ წარსულს, რათა წაართვან მომავალი. ამ ღონისძიების მიზანია, ერთი მხრივ, ამ სამწუხარო თარიღის გახსენება, მეორე მხრივ, იმ ისტორიული პერიპეტიების ერთგვარი შეფასება, რაც ამ თარიღთანაა დაკავშირებული, მათ შორის, ამ პროცესების გავლენა საქართველოზე. მეორე მსოფლიო ომი საქართველოს ისტორიის ნაწილია და მსგავსი კონფერენციები პერიოდულად გაიმართება“,** — აღნიშნა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში **არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელმა, სამართალმცოდნე ტარიელ გაგნიძემ,** რომელმაც თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებას: **„ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედების ყველაზე მწარე მაგალითია ქუთაისის მემორიალის აფეთქება, რომელსაც ადამიანების სიცოცხლეც კი შეეწირა; გააფთრებული ბრძოლა ყოველგვარ სიმბოლიკასთან, რაც დიდ სამამულო ომში ქართველების მონაწილეობასთან არის დაკავშირებული; ვეტერანების პირდაპირი თუ ირიბი შეურაცხყოფა... აბა, სხვა რა არის ჰიტლერისა და სტალინის, ფაშისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის გაიგივებაზე საუბარი?! ამით ვეტერანებს ეუბნებიან, რომ მათი ბრძოლა და თავგანწირვა არანაირ ღირებულებას არ ემსახურებოდა.**

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები ფაშიზმს აკრიტიკებენ, უარყოფით მოვლენად აფასებენ, მათ ომის სიმბოლოები და სასაფლაოები არ წაუბილწავთ, მხოლოდ ნაცისტური ნიშნები მოაცილეს და ინახავენ, უვლიან როგორც ისტორიის ნაწილს“.

კონფერენციაზე, აგრეთვე, გამოვიდნენ:

**ელვერ კუპატაძე:** „დღევანდელი შეხვედრა მნიშვნელოვანია, რადგან ბოლო წლებში ამ მეტად აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით არანაირი კონფერენცია არ გამართულა. **მიზანმიმართულად ხდება დიდი სამამულო ომის მნიშვნელობის მიჩუმათება და დაკნინება.** ძალიან ბევრი რამ გვაქვს სათქმელი, მაგრამ ამჯერად მინდა, ყურადღება შევაჩერო იმაზე, იყო თუ არა ეს დიდი სამამულო ომი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში ჩვენი კვლევითი საქმიანობის დროს ნაშრომი არ გამოქვეყნდებოდა, თუ მასში ნახსენები იქნებოდა დიდი სამამულო ომი და არა მეორე მსოფლიო ომი. ვეტერანებს, რომლებიც ქუჩაში გამოდიოდნენ ომში მიღებული მედლებით, აბუჩად იგდებდნენ. მოგვიანებით, ჩვენდა საბედნიეროდ, ეს დამოკიდებულება შეიცვალა. მაგრამ დღეს მაინც არ ფასდება მათი დამსახურება ისე, როგორც ეკუთვნით“.

**ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორის — გულბაათ რცხილაძის** განცხადებით კი, დებატები იმის შესახებ, იყო თუ არა ეს დიდი სამამულო ომი, აბსურდია; მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობს, დააკნინოს მისი მნიშვნელობა, შენარჩუნებულ იქნეს აკადემიური სიმშვიდე. **„ხელისუფლება ძალიან ჭკვიანურად ცდილობს იმ ფასეულობების დემონტაჟს, რაც დაკავშირებულია დიდ სამამულო ომთან. ერთი მხრივ, სამთავრობო დონეზე პომპეზურად ულოცავენ ვეტერანებს გამარჯვების დღესასწაულს, მეორე მხრივ კი, აფეთქებენ დიდების მემორიალს. ასეთი ქმედებით ხელისუფლება ცდილობს, ეს იქცეს ერთი თაობის — ვეტერანების ზეიმად.**

რა თქმა უნდა, ეს, პირველ რიგში, ვეტერანების ზეიმია, მაგრამ ხალხი იბრძოდა მომავალი თაობებისთვის და ამიტომ ეს ყველა თაობისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს“.

**კონფერენციის მსვლელობისას მიიღეს და წაიკითხეს არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ერთ-ერთი აქტიური წევრის, საქართველოს ნაციონალურ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას დეპეშა. ალექსანდრე ჭაჭია მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს, აღნიშნა კონფერენციის მსვლელობისას განხილული თემების უდავო აქტუალობა და დიდი სამამულო ომის მონაწილეებს ჯანმრთელობა უსურვა.**

გამოსვლები გაგრძელდა.

**ვახტანგ ჯაფარიძე, ვეტერანი:** „ამ დღეებში წილად გვხვდა ბედნიერება და რამდენიმე ვეტერანმა მოვახერხეთ პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრა. მე პირდაპირ ვუთხარი, რომ ეს შეხვედრა უშედეგო იქნებოდა, რადგან ჩვენ ვეჯავრებით პრეზიდენტს. სხვა რა უნდა ვიფიქროთ ქუთაისის მემორიალის აფეთქების შემდეგ? **დავით ბაქრაძე დაგვპირდა, რომ შეიქმნებოდა კომისია, რომელიც შეეცდება, ვეტერანების მდგომარეობა ცოტაოდენ შეამსუბუქოს. თუმცა როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერ არ ვიცი. დიდი იმედი არც მაქვს.** მე ამ ხელისუფლების ხელში მომავალი თაობა მეცოდება, თორემ ჩვენ ძალიან მალე წავალთ და ჩვენც დავისვენებთ და ხელისუფლებაც დაისვენებს ჩვენგან“.

**შოთა ბუაძე, ვეტერანი, ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი:** „დიდი მადლობა „ისტორიულ მემკვიდრეობას“, რომლის დამსახურებაცაა, რომ გახლდით ტუაფსეს კონფერენციაზე, სადაც ყველა ქვეყანა საუბრობდა საკუთარი ქვეყნის დამსახურებაზე დიდ სამამულო ომში. არავის უხსენებია სტალინი. ალექსანდრე ჭაჭიამ დასვა ძალიან მარტივი შეკითხვა – „კი, მაგრამ, ამ ომს სარდალი არ ჰყავდა?“

ხდება ისტორიის გაუკულმართება, მაშინ, როცა ჯერ კიდევ შემოვრჩით იმ ომის მონაწილეები და თვითმხილველები. **ჩვენ ვიბრძოდით ჩვენი სამშობლოსთვის, ოღონდ ასეთი საქართველოსთვის არ გვიბრძოლია; საქართველოსთვის, რომელმაც ტერიტორიები დაკარგა და სადაც ხალხს აღარ დაედგომება. არ შეიძლება ვისაუბროთ დიდ სამამულო ომზე და არ ვახსენოთ სტალინი“.**



ამის შემდეგ ვეტერანებმა შესთავაზეს უმაღლესი მთავარსარდლის – იოსებ ბესარიონის ძე სტალინის სადღეგრძელო, რომელიც კონფერენციის ყველა მონაწილემ ფეხზე ადგომით შესვა.

შემდგომ ახალგაზრდა თაობის სახელით კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა **ზაალ ლაღოდაშვილი:** „ღვთის წყალობით, ჩვენს რეალობაში ჯერ კიდევ არიან ახალგაზრდები, რომლებიც ფიქრობენ ჩვენი ქვეყნის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. მე მახსოვს ბაბუაჩემის სიტყვები: „მე ვიბრძოდი ჩემი სამშობლოსთვის, ოჯახისთვის, შვილებისთვის“... მე იმ ახალგაზრდების სახელით, რომლებმაც შეინარჩუნეს საღი აზროვნება, მადლობას გიხდით თითოეულ თქვენგანს თქვენი დამსახურებისთვის. ხელისუფლების სირცხვილია, რომ ვეტერანები დღეს ასე დამცირებულად გრძნობენ თავს“.

**როლანდ ჯალაღონია, ყოველკვირეული გაზეთი „ილორის“ მთავარი რედაქტორი:** „მამაჩემი ომიდან აღარ დაბრუნებულა. დედაჩემი იღებდა ფულად დახმარებას, მაგრამ ამას მისთვის მატერიალურზე მეტად სულიერი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მისთვის მამაჩემის სიცოცხლეს ნიშნავდა. ასე იყო, ალბათ, ომის ყველა მონაწილის ოჯახში. ახლა კი ესეც მოუსპეს და საბოლოოდ ჩასცეს მახვილი გულში ქუთაისში მერაბ ბერძენიშვილის დიდების მემორიალის აფეთქებით“.

**ირაკლი თოდუა, ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი:** „არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ევროპას ჰიტლერის რეჟიმის მიმართ იმთავითვე კონფორმისტული დამოკიდებულება ჰქონდა. ღიად თუ ნახევრადფაშისტურ ზოგიერთ ევროპულ ხელისუფლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ისიც საკმარისია, რომ თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის დედაქალაქში ვერმახტის ჯარისკაცები ლამის მარშით შევიდნენ. **ომის დაწყებამდე საბჭოთა კავშირს ჰქონდა არაერთი მცდელობა, შეეჩერებინა ბერლინის ამბიციები, მაგრამ მაშინ ევროპული და ანგლოამერიკული საზოგადოება კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ანტიგერმანული კოალიციის შექმნას.** ▶

**ქართველი ხალხი, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხები, არ შეუშინდა უცხო დამპყრობთა არნახულად მრისხანე ძალას. ომის პირველივე დღეებიდან ათი ათასობით მოხალისემ მიაშურა ფრონტს საქართველოს ქალაქებიდან და სოფლებიდან. 3-მილიონიანმა საქართველომ 700 ათასი ჯარისკაცი გაგზავნა ომში. 350 ათასი ბრძოლის ველიდან აღარ დაბრუნებულა. ყველა შეგნებულ ქართველს ეამაყება, რომ დიდ სამამულო ომში უმაღლესი მთავარსარდალიცა და ჯარისკაციც, რომელმაც რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღმართა, პატარა საქართველოს შვილები იყვნენ.**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პოლონელებიც კი, რომლებიც ცნობილი არიან სენტიმენტალური წუწუნით რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტზე, ყოველთვის გვერდს უვლიან იმ გარემოებას, რომ ჩეხოსლოვაკიის მიტაცება მათ შიკლგრუბერთან ერთად განახორციელეს...

ასევე, ცნობილია, თუ რა ბედი ელოდა ევროპასა და მის მოსახლეობას, მესამე რაიხი საბჭოთა კავშირის სახით გადაულახავ წინააღმდეგობას რომ არ წასწყდომოდა და საკუთარი გეგმების რეალიზაცია მოეხერხებინა. ამ ფონზე **ევროპის ახირება, რომ ფაშიზმი და საბჭოთა კავშირი, რომელმაც ფაშიზმი დაამარცხა, თანაზომად ბოროტებად წარმოაჩინოს, მსუბუქად რომ ვთქვათ, უზნეობა და ისტორიული უმადურობაა, თუმცა ამ მოვლენას გაცილებით მძიმე მოტივაცია აქვს, ვიდრე, უბრალოდ, უმადურობა. საქმე გვაქვს არა მარტო კონკრეტული ისტორიული ფაქტების გაყალბებასთან, არამედ კონკრეტული ისტორიული პროცესის, ისტორიული წინაპირობების უტიფარ შეცვლასა და ფალსიფიკაციასთან.**

დღეს რიგი ევროპული სახელმწიფოების მმართველი წრეები შავის თეთრად წარმოჩენას, ზნეობრივ კოორდინატთა შეცვლას და ვითარების ისე დახატვას ცდილობენ, თითქოს ერთადერთი ნათელი წერტილი ზემოხსენებულ მოვლენებში იყვნენ „დასავლეთელი მოკავშირეები“, რომლებიც სინამდვილეში მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთვნენ ვერმახტთან ბრძოლაში, რაც საბჭოთა კავშირის გამარჯვება გარდაუვალი გახდა. ეს ზნეობისა და ისტორიული მეხსიერების დეფიციტის მაჩვენებელია, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თითქმის მთელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას ამ „რიგი ევროპული“ ქვეყნების ეკონომიკა, ინდუსტრია გერმანული სამხედრო მანქანის გაძლიერებაზე მუშაობდა და ხშირად ფიანდაზად ეგებოდა მიხაკისფერ ჭირს, ოღონდ კი თავი კომფორტულად ეგრძნო. ასეთი მეტამორფოზა გასაკვირი სულაც არ არის. გასაკვირი ისაა, თუ რატომ ერთვება ამ პროცესში ასე აქტიურად ქართული ოფიციოზი; რატომ ამტკიცებს ქართული „აგიტპროპი“, რომ 1941-45 წლების სამამულო ომი „ჩვენი ომი“ არ იყო, ხოლო ავღანეთში ომი, სადაც ახლო მომავალში კონტინგენტი უნდა გავზარდოთ, ჩვენი ომია... **რაც მთავარია, გაუგებარია, რატომ იხარჯება საქართველოს ბიუჯეტიდან მილიონები იმ აგიტაცია-პროპაგანდისათვის, რომლის მიზანი რეალური ისტორიული ფაქტების, ისტორიულ წინაპირობათა დამახინჯება და ფალსიფიკაციაა, მაშინ, როდესაც ამ თანხების მეათედითაც კი შესაძლებელი იქნებოდა იმ ვეტერანების, საქართველოს კონკრეტული მოქალაქეების სოციალური პრობლემების მოგვარება, ვინც მართალი საქმისათვის იბრძოლა და გაიმარჯვა!“**

**კონფერენციის შედეგების მიხედვით მონაწილეებმა მიიღეს დასკვნითი განცხადება.**

**საქინფორმი**

# საზოგადოებრივი კონფერენციის „სიმართლე და სიცრუე 1941 წლის 22 ივნისის შესახებ“ მონაწილეთა დასკვნითი განცხადება

**1941 წლის 22 ივნისი პოსტსაბჭოთა სივრცის ხალხთა ისტორიაში ჩვენი წინაპრების სიმამაცითა და გმირობით გამსჭვალული დიადი ტრაგიკული თარიღია. 70 წლის წინათ ჩვენი მამა-პაპათა მშვიდობიანი და აღმშენებლობითი ცხოვრება არნახულად სასტიკი ფაშისტური ურდოების ვერაგულმა შემოსევამ დაარღვია, რომლებიც ესწრაფოდნენ არა მარტო საბჭოთა კავშირის დანაწევრებასა და ოკუპაციას, არამედ მისი მოსახლე „არაარიელი“, „არასრულფასოვანი“ ხალხების დამონებასა და ფიზიკურად განადგურებას. ჩვენი წინაპრების გმირულ ბრძოლას დამპყრობთაგან სამშობლოს გასათავისუფლებლად, მომავალი თაობების სიცოცხლისა და თავისუფლებისთვის ბადალი არ მოეპოვება მსოფლიო ისტორიაში და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში მცხოვრები ყველა წესიერი ადამიანის კანონიერი სიამაყის საგანია.**

**ამავე დროს, ბოლო წლებში ჩვენ მოწმენი შევიქენით დიდი სამამულო ომის დასაწყისისა და მსვლელობის რეალური ისტორიული ფაქტების უტიფრად გაყალბების, დამახინჯებისა და ლაფში ამოსვრის მცდელობებისა. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებსა და მათ საზღვრებს მიღმა მოკალათებული გარკვეული ძალების ეს მცდელობანი მძლავრ საინფორმაციო-პროპაგანდისტულ კამპანიად გარდაიქმნა და მიმართულია იქით, რომ სსრკ გერმანიის ტოლფასოვან აგრესორად დაგვიხატოს, გაათანაბროს კომუნიზმი და ფაშიზმი, სტალინი და ჰიტლერი როგორც მსოფლიო ბატონობისათვის მებრძოლი ერთმანეთის ბადალი ორი დიქტატორი და ამით წარმოაჩინოს დასავლეთი, აშშ მსოფლიოს მხსნელ ერთადერთ „კეთილ ძალად“, რომელმაც ორივე ტირანს ბოლო მოუღო. ისტორიის ასეთი ინტერპრეტაცია მდაბალი სიცრუე, უსინდისო ცილისწამება და ჩვენი წინაპრების ხსოვნის შეურაცხყოფაა.**



კონფერენციის მონაწილენი აღვნიშნავთ, რომ ომისწინა ევროპაში ბატონობდა არა მარტო ჰიტლერული გერმანიის აგრესიული პოლიტიკა, არამედ წამყვანი ევროპული სახელმწიფოების წამქეზებლური პოლიტიკაც, რის გამოც ჰიტლერმა ჯერ ავსტრია დაიპყრო, შემდეგ კი პოლონეთის მონდომებული მონაწილეობით გაანადგურა ჩეხოსლოვაკია. საბჭოთა კავშირის დაჟინებულ და თანმიმდევრულ მცდელობებს ანტიჰიტლერული კოალიციის შესაქმნელად წინ ეღობებოდა ინგლისისა და საფრანგეთის ხელისუფლების დიპლომატიური ხრიკები და პოლონეთის კატეგორიული უარი. უნდა აღინიშნოს, რომ 1930-იანი წლების ბოლოს თითქმის მთელი ევროპა ფაშიზმით იყო დაავადებული და იმყოფებოდა ფაშისტური ან ნახევრად ფაშისტური რეჟიმების ქვეშ (გერმანია, იტალია, ესპანეთი, რუმინეთი, ხორვატია, სლოვაკეთი, ნორვეგია), მძლავრი ფაშისტური „მეხუთე კოლონები“ იყვნენ საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, დანიაში, ბულგარეთში, უნგრეთში. ამან ჰიტლერს საშუალება მისცა, მოკლე ხანში თითქმის უბრძოლველად დაეპყრო ეს ქვეყნები. 1941 წლის ივნისში ჩვენს მამა-პაპებს ბრძოლა მოუწიათ არა მარტო ფაშისტური გერმანიის არმიასთან, არამედ მთელი ევროპის კონსოლიდირებულ ადამიანურ რესურსთან და სამხედრო-სამრეწველო პოტენციალთან.

და მხოლოდ 1944 წელს, როცა ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, აშშ-მა და ინგლისმა გახსნეს მეორე ფრონტი და ჩაებნენ გერმანიასთან ომში.

**ქართველი ხალხი, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხები, არ შეუშინდა უცხო დამპყრობთა არნახულად მრისხანე ძალას. ომის პირველივე დღეებიდან ათი ათასობით მოხალისემ მიაშურა ფრონტს საქართველოს ქალაქებიდან და სოფლებიდან. 3-მილიონიანმა საქართველომ 700 ათასი ჯარისკაცი გაგზავნა ომში. 350 ათასი ბრძოლის ველიდან აღარ დაბრუნებულა. ყველა შეგნებულ ქართველს ეამაყება, რომ დიდ სამამულო ომში უმაღლესი მთავარსარდალიცა და ჯარისკაციც, რომელმაც რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღმართა, პატარა საქართველოს შვილები იყვნენ. დიდი სამამულო ომის მებრძოლების გმირობისა და მამაცობის მაგალითებზე აღიზარდა ქართველთა არაერთი თაობა. არ არსებობს ოჯახი, რომელიც დღემდე მადლიერებით არ იხსენებდეს მამა-პაპებს, რომლებმაც მტერს მშობლიური მიწა არ გაათელვინეს.**

და მით უფრო შეურაცხმყოფელია საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ ერის ღირსების დამამცირებელი, აგდებული დამოკიდებულება დიდ სამამულო ომში მებრძოლთა გმირობისა და დაღუპულთა ხსოვნის მიმართ. ბრძოლის ველზე დაცემულთა უკვდავსაყოფად აღმართული ძეგლების ნგრევა, ი. სტალინის ძეგლების ქურდულად გაქრობა, განვლილი ისტორიული პერიოდის მიღწევების ხელაღებით უარყოფა, ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებაში სსრ კავშირის გადამწყვეტი როლის მიჩქმალვა ჩვენი წარსულის განქიქებას ემსახურება, სახელს უტეხს უფროს თაობას, სპობს მემკვიდრეობითობას თაობათა შორის და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თვით ქართველი ერის გადარჩენა-შენარჩუნების საკითხს. ჩვენს ვეტერანებს ასეთი საქართველოსთ ვის არ უბრძოლიათ.

**მეორე მსოფლიო ომის საკითხებში საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობის საინფორმაციო პოლიტიკა ისტორიის ფალსიფიკაციის, მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადახედვის, საბჭოთა პერიოდის დისკრედიტაციის, ჩვენი წინა თაობების პატივისა და ღირსების დამცირების საერთაშორისო კამპანიის შემადგენელი ნაწილია.**

ჰოლივუდური ფილმებით, მოსყიდული ცრუისტორიკოსებისა და ყველა ჯურის სატელევიზიო მოღვაწის „აღმოჩენებით“ შეზავებული ომის ისტორიის დასავლური ვერსია, რომელიც ანგლოამერიკელებს „ფაშიზმისგან მსოფლიოს მხსნელებად“ წარმოაჩენს, ნებისმიერი განათლებული ადამიანის სამართლიან გულისწყრომას იწვევს, ვინაიდან გვახსოვს, რომ ყოველი ათი განადგურებული დივიზიიდან რვა გერმანელებმა სწორედ აღმოსავლეთის ფრონტზე დაკარგეს.

**კონფერენციის მონაწილენი კატეგორიულად ვგმობთ ისტორიული მოვლენების უპასუხისმგებლო და პროვოკაციულ ფალსიფიკაციას და მოვუწოდებთ ყველა წესიერ ადამიანს, პატრიოტებს, უერთგულონ წინაპართა ნათელ ხსოვნას, რომლებმაც სისხლისმღვრელ ომში დაიცვეს ჩვენი სიცოცხლე და მომავალი.**

*თბილისი,*
**25 ივნისი, 2011 წელი**

# დიდი სამამულო ომი: „სხვისი ომი“ თუ ხელისუფლების მორიგი ანტიქართული ისტერია

**22 ივნისს 70 წელი შესრულდა სამამულო ომის დაწყებიდან, იმ ომის დაწყებიდან, რომელსაც ასი ათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა. მიუხედავად ასეთი დიდი მსხვერპლისა, ეს იყო დიადი ომი პატრიოტული სულისკვეთებით, რომელმაც იხსნა მსოფლიო ფაშიზმის გამანადგურებელი ძალისგან.**

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში საქართველოს ხელისუფლება, მისი პროპაგანდისტი ისტორიკოსებისა თუ ექსპერტების მეშვეობით ცდილობს, დაამკვიდროს აზრი, თითქოს სამამულო ომი „სხვისი ომი“ იყო, ხოლო ქართველების მასში მონაწილეობა იძულებით ხასიათს ატარებდა.

ზოგიერთი ვაიისტორიკოსი იმასაც კი ამტკიცებს, ფაშისტურ გერმანიას საბჭოთა კავშირი რომ დაემარცხებინა და ოკუპაცია მოეხდინა, **საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ** გამოაცხადებდაო. ამას ამტკიცებენ იმ ცნობილი ფაქტის მიუხედავად, როცა ჰიტლერმა არ დაინდო თავისი მოკავშირე ქვეყნის მოქალაქეებიც კი. კერძოდ, როცა იტალიაში გერმანიამ გამოაცხადა საოკუპაციო რეჟიმი, აიკრძალა ყოველგვარი შეკრება, გაფიცვა, ხოლო მოსახლეობას იძულებით მიერეკებოდნენ გერმანიაში სამუშაოდ, ამწყვევდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში, ამგვარად ჰიტლერმა მოკავშირე ქვეყანა (იტალია) ცოცხალი ძალისა და სურსათის წყაროდ აქცია. ამ ფაქტიდან გამომდინარე, რთული წარმოსადგენი არ არის, თუ რა მოელოდა საქართველოს ფაშისტური აგრესიის შემდეგ.

**მაგრამ, როგორც ჩანს, „ნაცპროპაგანდისტები“ ფაშიზმისადმი ფარული რომანტიზმით არიან შეპყრობილნი და ისტორიის ფალსიფიკაციით თავიანთ ავადმყოფურ „მსოფლმხედველობას“ ავარჯიშებენ.**

თუმცა მათ ძალიან კარგად იციან, რომ, ჰიტლერის კონცეფციის მიხედვით, კაცობრიობა დაბალი და მაღალი რასებისგან შედგებოდა, რომელთაგან ერთნი ცივილიზაციის შემოქმედნი იყვნენ, მეორენი ამ კულტურის შემნახველნი, მესამენი კი — ამ ცივილიზაციის დამანგრეველნი. ყველაზე სიცოცხლისუნარიან რასად „არიულ რასას“, ანუ გერმანელებს, ყველაზე დამანგრეველად — ებრაელებს და სლავებს მიიჩნევდნენ. ამიტომ ფაშისტები გერმანიის ისტორიულ მისიას მსოფლიო ბატონობაში ხედავდნენ. ეს აზრი მოკლედ და კონკრეტულად ჩამოაყალიბა ჰიტლერმა თავის წიგნში „მაინ კამპფი“: „გერმანია ან იქნება მსოფლიოში გაბატონებული ძალა, ან საერთოდ არაფერი არ იქნება“.

„ნაცპროპაგანდისტებმა“, ასევე, მშვენივრად იციან, რომ ფაშისტური გერმანიის მიზანს აღმოსავლეთში „საარსებო გარემოს“ მოსაპოვებლად გამანადგურებელი ბრძოლის წარმოება და დაპყრობილ ტერიტორიებზე გერმანელების დასახლება წარმოადგენდა. ამავე სტრატეგიის მიხედვით, ფაშისტური გერმანიის მიერ დაპყრობილი ხალხები, მათი სამოქალაქო ელიტის განადგურების შემდეგ, უნდა დარჩენილიყვნენ გაუნათლებელი, მორჩილი, გამრჯე და ემუშავათ გერმანელთა კეთილდღეობისთვის.

ადოლფ ჰიტლერმა ერთ-ერთ გამოსვლაში საბჭოთა კავშირში შემავალი ერების მიმართაც მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება: „რუსების, უკრაინელების, ყირგიზების მიერ წერა-კითხვის დაუფლება საბოლოოდ ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი შეიძლება გახდეს. განათლება წარმოშობს ბევრ ისტორიაში გათვითცნობიერებულ ინტელექტუალს, გაუძლიერებს მათ ისტორიის შეგრძნებას და ხელს შეუწყობს პოლიტიკური იდეების განვითარებას, რაც შეუძლებელია ხელსაყრელი იყოს ჩვენი ინტერესებისთვის“.

სამამულო ომში დაღუპული ასიათასობით ქართველის შეურაცხყოფაა, როცა ხელისუფლება მათი თავდადების იგნორირებას ურცხვად ახდენს, რადგან ის ახალგაზრდა გოგობიჭები საკუთარი ნებით მიდიოდნენ სამამულო ომში და გმირულად იღუპებოდნენ იმისათვის, რომ მათი ოჯახის წევრები და სამშობლო — საქართველო გადაერჩინათ ფაშისტური აგრესიისგან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლებამ და მისმა პროპაგანდისტებმა შეწყვიტონ ისტორიის გადაწერა და ფალსიფიკაცია, პატივი სცენ ომში მონაწილე ქართველების სახელსა და ღირსებას, მათ თავდადებას და გმირობას.

**ზურაბ ჯამბურია**



ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთელი რიგი ომების შედეგად, 1815 წლისთვის შეერთებულმა შტატებმა კაბალური ხელშეკრულებები თავს მოახვია ჩრდილოაფრიკულ ქვეყნებს და თავისი ვაჭრებისთვის დიდი ფულადი შემოსავლების შემოდინება უზრუნველყო. მოგვიანებით აშშ შეეცადა, ნეაპოლიტანური სახელმწიფოსგან მიეღო სირაკუზი, როგორც საყრდენი ბაზა, მაგრამ უშედეგოდ.**

# ინტერვენციის

## ამერიკის შეერთებული შტატების ყველა სამხედრო დანაშაულის სრული სია

**სხვა ხალხების ექსპლუატაციის უფლების შესანარჩუნებლად ამერიკა რეგულარულად მიმართავს ძალადობის უკიდურეს ფორმებს, უწინარეს ყოვლისა კი, — ომებს.
დღეს გთავაზობთ ცნობილი შეიარაღებული ინტერვენციებისა და სხვა დანაშაულობათა სიას.
ამ ჩამონათვალს აბსოლუტური სისრულის პრეტენზია არ აქვს, მაგრამ უფრო სრული არ არსებობს.
მხოლოდ 1661-1774 წლებში აშშ-მა აფრიკიდან მილიონამდე მონა ჩამოიყვანა, ცხრა მილიონზე მეტი გზაში დაიღუპა.
მონებით მოვაჭრეთა შემოსავალი, XVIII საუკუნის შუა წლების ფასების მიხედვით, 2 მილიარდ დოლარზე — იმ დროისთვის ასტრონომიულ ოდენობაზე, ნაკლები არ იყო.**



### ამერიკელებმა 100 მილიონამდე ინდიელი დახოცეს, რაც უფლებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ ნამდვილ გენოციდზე

**1622 წელი.** ამერიკის ომები სწორედ ამ წელს ჯეიმსთაუნში ინდიელებზე თავდასხმით დაიწყო, რასაც ჯერ **1635-1636 წლებში** ახალ ინგლისში ალგოკინელ ინდიელებთან ომი მოჰყვა, შემდეგ — **1675-1676 წლების** ომი, რომელიც მასაჩუსეტში ქალაქების თითქმის ნახევრის განადგურებით დამთავრდა. ომები და დანაშაულობანი ინდიელების წინააღმდეგ **1900 წლამდე** გრძელდებოდა. **სულ ამერიკელებმა დახოცეს 100 მილიონამდე ინდიელი, რაც უფლებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ ნამდვილ გენოციდზე, რომელიც გაცილებით სჭარბობს მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერის მიერ ებრაელთა მასობრივ ამოწყვეტას (4-6 მილიონი მსხვერპლი).**

**1689-დან 1763 წლამდე** გაიმართა ოთხი მთავარი იმპერიული ომი ინგლისისა და მისი ჩრდილოეთ ამერიკული კოლონიების ჩართვით, აგრეთვე, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და ესპანეთის იმპერიების მონაწილეობით. **1641-დან 1759 წლამდე** მოხდა 40 ამბოხი და 18 შიდა კონფლიქტი ჩასახლებულთა შორის, მათგან ხუთი — აჯანყების დონის. **1776 წელს** დაიწყო ომი დამოუკიდებლობისთვის, რომელიც **1783 წელს** დამთავრდა. **მეორე ომმა 1812-1815 წლებში განამტკიცა დამოუკიდებლობა, 40 ომი ინდიელებთან 1622-დან 1900 წლამდე მილიონობით აკრი მიწების შემატებით დასრულდა.**

**1792 წელს** ამერიკელებმა ინდიელებს წაართვეს კენტუკი, **1796 წელს** — ტენესი.

მას შემდეგ, რაც **1797 წელს** აშშ-ის სამხედრო ხომალდი Delawar -ი თავს დაესხა სამოქალაქო გემ Croyable-ს, გაცივდა ურთიერთობა აშშ-სა და საფრანგეთს შორის; სამხედრო შეტაკებანი 1800 წლამდე გრძელდებოდა.

**1800 წელს** ვირჯინიაში აჯანყდნენ მონები გაბრიელ პროსერის მეთაურობით. ათას კაცამდე ჩამოახრჩვეს, მათ შორის — პროსერიც. მონებს კი არც ერთი ადამიანი არ მოუკლავთ.

**1803 წელს** ამერიკელებმა ინდიელებს წაართვეს ოჰაიო, ლუიზიანა. 1800 წელს ესპანეთმა საიდუმლო ხელშეკრულებით საფრანგეთს გადასცა 1763 წლამდე საფრანგეთის კოლონიადყოფილი ლუიზიანა. სამაგიეროდ, ესპანეთის მეფემ კარლოს IV-მ ნაპოლეონს ვალდებულება აკისრებინა, რომლის ძალით მისი სიძისთვის იტალიაში სამეფო უნდა გადაეცა. საფრანგეთის ჯარებმა ვერ მოასწრეს ლუიზიანის დაკავება, სადაც მათ მისვლამდე დაფუძნდნენ ამერიკელები.

**1805-1815 წლებში** ამერიკელებმა პირველი ომი გამართეს აფრიკაში, მის ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე. ამ დროისთვის ამერიკელმა ვაჭრებმა მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობა დაამყარეს ოსმანთა იმპერიასთან — 3 დოლარად ყიდულობდნენ ერთ ფუნტ ოპიუმს და ჩინეთში, ნავსადგურ კანტონში (გუანჯოუში) 7-10 დოლარად ჰყიდდნენ. დიდი ოდენობით ოპიუმს ასაღებდნენ ინდონეზიასა და ინდოეთში.

**მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში აშშ-მა თურქეთისგან ოსმანთა იმპერიაში ვაჭრობის ისეთივე უფლებები და პრივილეგიები მოიპოვეს, როგორც ევროპის ქვეყნებისგან — დიდი ბრიტანეთისგან, რუსეთისგან და საფრანგეთისგან. შემდგომში ამერიკა შეებრძოლა ბრიტანეთს ოპიუმის ბაზრებზე კონტროლის მოსაპოვებლად ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.**

მთელი რიგი ომების შედეგად, 1815 წლისთვის შეერთებულმა შტატებმა კაბალური ხელშეკრულებები თავს მოახვია ჩრდილოაფრიკულ ქვეყნებს და თავიანთი ვაჭრებისთვის დიდი ფულადი შემოსავლების შემოდინება უზრუნველჰყო. მოგვიანებით აშშ შეეცადა, ნეაპოლიტანური სახელმწიფოსგან მიეღო სირაკუზი, როგორც საყრდენი ბაზა, მაგრამ — უშედეგოდ.

1806 წელს ამერიკელები შეეცადნენ, შეჭრილიყვნენ რიოგრანდეში. მაგრამ ამერიკელთა მეთაური, კაპიტანი ზ. პაიკი ესპანელებმა დაიჭირეს, და ინტერვენცია ჩაიფუშა.

**1810 წელს** აშშ-ის პრეზიდენტის ბრძანებით, ლუიზიანის გუბერნატორი კლეირბონი შეიჭრა ესპანეთის კუთვნილ დასავლეთ ფლორიდაში. ესპანელებმა უბრძოლველად დათმეს ტერიტორია, რომელიც ამერიკის გამგებლობაში გადავიდა.

**1811 წელს** ჩარლზის (გვარები მონებს არ ჰქონდათ) წინამძღოლობით აჯანყდნენ მონები. 500 მონა ახალი ორლეანისკენ დაიძრა, გზადაგზა მონებს ათავისუფლებდნენ. ამერიკელების ჯარებმა ადგილზე გაანადგურეს ან ჩამოახრჩვეს აჯანყების თითქმის ყველა მონაწილე.

**1812-1814 წლებში** — ომი ინგლისთან. კანადაში შეჭრა. **„მოუთმენლად ველოდები არა მარტო ფლორიდის მიერთებას სამხრეთისთვის, არამედ კანადისაც (ზემო და ქვემო) ჩვენი სახელმწიფოს ჩრდილოეთისთვის“,** — განაცხადა წარმომადგენელთა პალატის ერთ-ერთმა წევრმა ფელიქს გრანდიმ. **„ქვეყნიერების შემქმნელმა ჩვენს სამხრეთ საზღვრად დააწესა მექსიკის ყურე, ჩრდილოეთით კი — მუდმივი სიცივის მხარე“,** — ბანს აძლევდა სენატორი გარპერი. მაგრამ მალე ინგლისის უდიდესი ფლოტის გამოჩენამ კანადის სანაპიროსთან აიძულა იანკები, აეკრათ გუდა-ნაბადი. **1814 წელს** ინგლისმა შეძლო ბევრი სამთავრობო შენობის განადგურება აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში.

**1812 წელს** აშშ-ის პრეზიდენტმა მედისონმა უბრძანა გენერალ ჯორჯ მეტიუსს, ხელთ ეგდო ესპანეთის ფლორიდის ნაწილი — კუნძული ამელია და ზოგიერთი სხვა ტერიტორია. მეტიუსმა დავალების შესრულებისას ისეთი არნახული დაუნდობლობა გამოავლინა, რომ შემდგომ პრეზიდენტი შეეცადა, ხელები დაებანა.

**1813 წელს** ამერიკის ჯარებმა უბრძოლველად ხელთ იგდეს ესპანეთის ყურე მობაილი, ესპანელი ჯარისკაცები ტყვედ ჩაბარდნენ. ამას გარდა, ამერიკელებმა მოახდინეს მარკიზის კუნძულების ოკუპირება. ოკუპაცია 1814 წლამდე გაგრძელდა.

**1814 წელს** — ამერიკელი გენერლის, ენდრიუ ჯეკსონის რეიდი ესპანეთის ფლორიდაში და პანსაკოლას ოკუპირება.

**1816 წელს** ამერიკელები თავს ესხმიან ფორტ ნიკოლს ესპანეთის ფლორიდაში. ფორტი ესპანელებს კი არ ეკუთვნოდა, არამედ გაქცეულ მონებსა და ინდიელ სემინოლებს, რომლებიც მთლიანად ამოწყვიტეს. ლაპარაკია 270 ადამიანზე.

**1817-1819 წელს** დაიწყეს მოლაპარაკება ესპანეთთან, რომელიც რიგი კოლონიების დაკარგვის შედეგად დასუსტებული იყო, აღმოსავლეთ ფლორიდის შეძენის საკითხზე. **1818 წლის 6 იანვარს გენერალმა ენდრიუ ჯეკსონმა, რომელსაც უზარმაზარი პლანტაციები გააჩნდა, პრეზიდენტ ჯ. მონროს გაუგზავნა პროექტი ფლორიდის ხელში ჩაგდების თაობაზე და დაჰპირდა, რომ ამ ოპერაციას 60 დღეში განახორციელებდა. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ამერიკელთა ჯარებმა გენერალ ჯეკსონის სარდლობით გადაკვეთეს აშშ-ის სამხრეთი საზღვარი და დაიკავეს ფლორიდა ისე, რომ არც მოლაპარაკების დამთავრებას დალოდებიან და არც თანხმობა არ მიუღიათ.**

ამერიკის ჯარების ფლორიდაში შეჭრა ახსნეს იმით, რომ იძულებული იყვნენ ინდიელ სემინოლთა ტომის წინააღმდეგ განეხორციელებინათ სადამსჯელო ღონისძიება, რადგან ისინი თავშესაფარს აძლევდნენ პლანტაციებიდან გაქცეულ ზანგ მონებს. ჭეშმარიტი მიზეზი კი სამხრეთ ამერიკელი პლანტატორების მიერ ფლორიდის ნოყიერი მიწების ხელში ჩაგდება იყო. ეს გამჟღავნდა 1819 წლის იანვარში, როცა კონგრესში ჯონსონის სამხედრო კომისიის მოხსენების გარშემო, რომელმაც ფლორიდაში საომარი მოქმედებები შეისწავლა, კამათი გაიმართა.

**1814 წელს** ორასი ამერიკელი, რომლებსაც დევიდ პოტრეტი მეთაურობდა, შეიჭრა პუეტრორიკოს ქალაქ ფაჯარდოში. საბაბი: ცოტა ხნის წინათ ვიღაცამ იქ შეურაცხყო ამერიკელი ოფიცრები. ქალაქის ხელისუფლება იძულებული გახდა, ოფიციალურად ბოდიში მოეხადა თავისი მოქალაქეების უზრდელური ქცევის გამო.

**1824 წელს** ამერიკელებმა დესანტი გადასხეს კუბაში, რომელიც მაშინ ესპანეთის კოლონია იყო.

**1831 წელი** — მონების აჯანყება ვირჯინიაში, მღვდელ ნეტ ტერნერის წინამძღოლობით. 80 მონამ დახოცა მონათმფლობელები და მათი ოჯახის წევრები (სულ 60 ადამიანი). აჯანყება ჩაახშეს. ამას გარდა, მონათმფლობელებმა გადაწყვიტეს „პრევენტული დარტყმის“ განხორციელება უფრო დიდი აჯანყების აცილების მიზნით — ახლო რაიონებში დახოცეს ასობით უდანაშაულო მონა.

**1833 წელს** — შეჭრა არგენტინაში, სადაც ამ დროს აჯანყება მიმდინარეობდა.

**1835 წელი** — მექსიკა. აშშ ისწრაფვის მექსიკის ტერიტორიის დაპყრობას, რომელიც შიდააშლილობის გამო დასუსტებული იყო, 20-იანი წლების დასაწყისიდან შეუდგა ტეხასის კოლონიზაციას, ინსპირირება მოახდინა ტეხასის კოლონისტების ამბოხის. შედეგად ამბოხებულებმა განაცხადეს ტეხასის მექსიკისგან გამოყოფის შესახებ და მისი „დამოუკიდებლობა“ გამოაცხადეს.

**1835 წელი** — შეჭრა პერუში, სადაც ამ დროს ხალხის დიდი მღელვარება იყო.

**1836 წელი** — კიდევ ერთი შეჭრა პერუში.

**1840 წელი** — ამერიკელების შეჭრა ფიჯიში, გაანადგურეს რამდენიმე სოფელი.

**1841 წელი** — ერთი ამერიკელის კუნძულ ▶

**საშინელ სასაკლაოს აფინანსებდა როტშილდების საერთაშორისო საბანკო სახლი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბრიტანეთის ბანკ „ბერინგ ბრაზერსთან“ და სხვა ფინანსურ სტრუქტურებთან. განსაკუთრებულ ცინიზმს ანიჭებდა ამ გენოციდს ის, რომ მას პარაგვაელი ხალხის დიქტატურის უღლისგან გათავისუფლებისა და ქვეყანაში დემოკრატიის აღდგენის ლოზუნგებით განახორციელებდნენ.**

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ანატომია

◀ დრამონდზე (მაშინ უპოლუ ერქვა) მკვლელობის შემდეგ ამერიკელებმა იქ უამრავი სოფელი მიწასთან გაასწორეს.

**1842 წელი** — უნიკალური შემთხვევა: ვინმე თ. ჯონსმა რატომღაც აიჩემა, რომ ამერიკა მექსიკასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება და თავისი ჯარით თავს დაესხა მონტერეის კალიფორნიაში. როცა გაარკვია, რომ ომი არ მიმდინარეობს, უკან დაიხია.

**1843 წელი** — ამერიკელები შეიჭრნენ ჩინეთში.

**1844 წელი** — კიდევ ერთი შეჭრა ჩინეთში, ანტიიმპერიალისტური აჯანყების ჩახშობა.

**1846 წელი** — მექსიკელები განაწყენებული იყვნენ ტეხასის დაკარგვით, რომლის რეზიდენტებმა გადაწყვიტეს, შეერთებოდნენ აშშ-ს 1845 წელს. კამათმა საზღვრების შესახებ და ფინანსურმა შეუთავსებლობამ გააძლიერა დაძაბულობა. **ბევრ ამერიკელს სჯეროდა, რომ მათ ქვეყანას განგების მიერ დაწერილი აქვს, ერთი ოკეანიდან მეორე ოკეანემდე იყოს გადაჭიმული — ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე. მაგრამ მექსიკელებს არ სურდათ შტატებისთვის ამ ტერიტორიის მიყიდვა.** აშშ-ის პრეზიდენტმა ჯეიმს პოლკმა 1846 წლის გაზაფხულზე ჯარები გააგზავნა ტეხასში. მომდევნო ორი წლის განმავლობაში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა მეხიკოში, ტეხასში, კალიფორნიასა და ახალ მექსიკაში. ამერიკის ჯარები უკეთ იყო აღჭურვილი, შეიარაღებული უახლესი იარაღით, სარდლები ეფექტიანად უძლვებოდნენ საარმიო შენაერთებს. მექსიკა დამარცხდა. 1847 წლის დასაწყისში კალიფორნიას აშშ მართავდა. სექტემბერში მეხიკო დაეცა. 1848 წლის 2 თებერვალს აშშ-მა და მექსიკამ ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას. ამ დოკუმენტის ძალით, მექსიკა დათანხმდა, 15 მილიონ დოლარად მიეყიდა ამერიკისთვის 500.000 კვადრატული მილი ტერიტორია.

**1846 წელი** — აგრესია ახალი გრანადის (კოლუმბია) წინააღმდეგ.

**1849 წელი** — ამერიკის ფლოტი უახლოვდება სმირნას, რათა აიძულოს ავსტრიის ხელისუფლება, გაათავისუფლოს დაკავებული ამერიკელი.

**1849 წელი** — ინდოჩინეთის საარტილერიო დაბომბვა.

**1851 წელი** — ამერიკის ჯარები გადასხდნენ კუნძულ იოჰანაზე, რათა დაესაჯათ ადგილობრივი ხელისუფლება ამერიკული გემის კაპიტნის დაპატიმრების გამო.

**1852 წელი** — ამერიკელების შეჭრა არგენტინაში სახალხო მღელვარების ჟამს.

**1852 წელი** — იაპონია. ანსეის ხელშეკრულებები — 1854-1858 წლებში აშშ-სა და სხვა სახელმწიფოების მიერ ანსეის წლებში დადებული უთანასწორო ხელშეკრულებები (ანსეი ოფიციალური სახელწოდებაა იმ წლების (1854-1860), როცა იაპონიაში იმპერატორი კომეი მეფობდა). ამ ხელშეკრულებების ძალით დასრულდა გარე სამყაროსგან იაპონიის იზოლაციის ორსაუკუნოვანი პერიოდი. 1852 წელს აშშ-ის მთავრობამ იაპონიაში გააგზავნა მ. პერის ესკადრა, რომელმაც იარაღის მუქარით 1854 წლის 31 მარტს მოახერხა დადებულიყო ამერიკა-იაპონიის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ამერიკის გემებს ნება დაერთო, შესულიყვნენ ჰაკოდატესა და სიმოდას ნავსადგურებში, ვაჭრობის უფლების გარეშე. 1854 წლის 14 ოქტომბერს ანალოგიური ხელშეკრულება გაფორმდა ინგლისთან, 1855 წლის 7 თებერვალს — რუსეთთან. 1856 წელს იაპონიაში ჩავიდა ამერიკის გენერალური კონსული ტ. ჰარისი, რომელმაც 1857 წლის ივნისში მუქარითა და შანტაჟით შეძლო ახალი, აშშ-სთვის უფრო მომგებიანი ხელშეკრულების დადება, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1858 წლის ივლისში, — იაპონიისთვის კაბალური ხელშეკრულების გაფორმება. ამერიკა-იაპონიის სავაჭრო ხელშეკრულების მსგავსი ხელშეკრულებები დაიდო რუსეთთან (1858 წლის 19 აგვისტოს), ინგლისთან (1858 წლის 26 აგვისტოს) და საფრანგეთთან (1858 წლის 9 ოქტომბერს). უცხოელებს მიეცათ ექსტერიტორიული და საკონსულო იურისდიქციის უფლება, იაპონიას წაერთვა საბაჟო ავტონომია და თავს მოახვიეს დაბალი გადასახადები შემოსატან საქონელზე.

**1853-1856 წლები** — ინგლის-ამერიკის შეჭრა ჩინეთში, სადაც საომარი შეტაკებებით შეძლეს ვაჭრობის მომგებიანი პირობების მოპოვება.

**1853 წელი** — შეჭრა არგენტინასა და ნიკარაგუაში სახალხო მღელვარების დროს.

**1853 წელი** — ამერიკის სამხედრო ხომალდი უახლოვდება იაპონიას, რათა აიძულოს იგი, გახსნას თავისი პორტები საერთაშორისო ვაჭრობისთვის.

**1854 წელი** — ამერიკელებმა გაანადგურეს ნიკარაგუის ქალაქი San juan del Norte (Greytowis), რითაც იძიეს შური ამერიკელების შეურაცხყოფისთვის.



**ამ გენოციდს განსაკუთრებულ ცინიზმს ანიჭებდა ის, რომ მას პარაგვაელი ხალხის დიქტატურის უღლისგან გათავისუფლებისა და ქვეყანაში დემოკრატიის აღდგენის ლოზუნგებით განახორციელებდნენ**

**1854 წელი** — აშშ შეეცადა, ხელთ ეგდო ჰავაის კუნძულები. პანამის ყელთან ვეფხვის კუნძულის ოკუპირება.

**1855 წელი** — ნიკარაგუაში შეიჭრა ამერიკელების რაზმი უ. უოკერის მეთაურობით. აშშ-ის მთავრობის იმედზე მყოფმა უოკერმა 1856 წელს თავი ნიკარაგუას პრეზიდენტად გამოაცხადა. **ამერიკელი ავანტიურისტი ცდილობდა, მიეერთებინა ცენტრალური ამერიკა აშშ-ისთვის და მისი მონათმფლობელობის ბაზად გადაქცევა სურდა ამერიკელი პლანტატორებისთვის. მაგრამ გვატემალის, სალვადორისა და ჰონდურასის გაერთიანებულმა ჯარებმა უოკერი ნიკარაგუიდან გააძევეს. მოგვიანებით იგი დაიჭირეს და ჰონდურასში დახვრიტეს.**

1855 წელი — ამერიკელების შეჭრა ფიჯისა და ურუგვაიში.

**1856 წელი** — შეჭრა პანამაში. პანამის ყელის უდიდესი მნიშვნელობის გამო ამერიკა და ინგლისი მის ხელში ჩაგდებას ცდილობდა, უარეს შემთხვევაში — საკუთარი კონტროლის დაწესებას. დიდი ბრიტანეთი, რომელიც კარიბის ზღვაში რამდენიმე კუნძულსა და სანაპირო ზოლის ნაწილს ფლობდა, ცდილობდა, შეენარჩუნებინა გავლენა ცენტრალურ ამერიკაში. 1846 წელს აშშ-მა გრანადას თავს მოახვია მეგობრობის, ვაჭრობისა და საზღვაო მიმოსვლის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ივალდებულა, შეენარჩუნებინა ახალი გრანადისთვის გარანტირებული სუვერენიტეტი პანამის ყელზე და, ამასთანავე, მიიღო მისნაირი უფლება ყელზე გამავალი ნებისმიერი გზის ექსპლუატაციისა, აგრეთვე, ტრანსპანამის ყელის რკინიგზის მშენებლობის კოცესია. ეს მშენებლობა დამთავრდა 1855 წელს, რამაც ხელი შეუწყო ამერიკელების გავლენის გაძლიერებას პანამის ყელზე. 1846 წლის ხელშეკრულების გამოყენებით, აშშ სისტემატურად ერეოდა ახალი გრანადის საშინაო საქმეებში, რაც ხშირად შეიარაღებული ინტერვენციის სახით ხორციელდებოდა (1856, 1860 და სხვა წლებში). 1850 და 1901 წლებში დადებული აშშ-ინგლისის ხელშეკრულებებმა კიდევ უფრო გააძლიერა აშშ პოზიციები ახალ გრანადაში.

**1857 წელი** — ორი შეჭრა ნიკარაგუაში.

**1858 წელი** — ინტერვენცია ფიჯის წინააღმდეგ — ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია ორი ამერიკელის მკვლელობის გამო.

**1858 წელი** — შეჭრა ურუგვაიში.

**1859 წელი** — იაპონურ ნავსადგურ ტაკუზე თავდასხმა.

**1859 წელი** — შეჭრა ანგოლაში სახალხო მღელვარების დროს.

**1860 წელი** — შეჭრა პანამაში.

**1861-1865 წლები** — სამოქალაქო ომი. მისისიპი, ფლორიდა, ალაბამა, ჯორჯია, ლუიზიანა, ტეხასი, ვირჯინია, ტენესი და ჩრდილოეთ კაროლინა გამოეყო სხვა შტატებს და გამოაცხადეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. ჩრდილოეთს შეყავს ჯარები ვითომდა მონების გასათავისუფლებლად. ნამდვილი მიზეზი იყო ინგლისთან ვაჭრობის პირობების გამო წარმოქმნილი დაპირისპირება.

**1862 წელი** — ყველა ებრაელის განდევნა ტენესიდან მათი ქონების კონფისკაციით.

**1863 წელი** — სადამსჯელო ექსპედიცია სიმონოსეკიში (იაპონია), სადაც „შეურაცხყვეს ამერიკული დროშა“.

**1864 წელი** — სამხედრო ექსპედიცია იაპონიაში, ვაჭრობის მომგებიანი პირობების მოსაპოვებლად.

**1865 წელი** — პარაგვაი. აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვათა შეუზღუდავი დახმარებით ურუგვაი შეიჭრა პარაგვაიში და ამოწყვიტა ამ მდიდარი ქვეყნის მოსახლეობის 85 პროცენტი. მას შემდეგ პარაგვაი წელში ველარ გაიმართა. **საშინელ სასაკლაოს აფინანსებდა როტშილდების საერთაშორისო საბანკო სახლი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბრიტანეთის ბანკ „ბერინგ ბრაზერსთან“ და სხვა ფინანსურ სტრუქტურებთან, სადაც ტრადიციულად წამყვან როლს თამაშობდნენ როტშილდების თანატომელები. ამ გენოციდს განსაკუთრებულ ცინიზმს ანიჭებდა ის, რომ მას პარაგვაელი ხალხის დიქტატურის უღლისგან გათავისუფლებისა და ქვეყანაში დემოკრატიის აღდგენის ლოზუნგებით განახორციელებდნენ.** ქვეყანამ ტერიტორიის ნახევარი დაკარგა, სისხლისგან დაიცალა და ინგლისისა და ამერიკის საცოდავ ნახევრადკოლონიად იქცა. დღეს იგი ცნობილია მსოფლიოში უმდაბლესი ცხოვრების დონით, ნარკომაფიის პარპაშით, უზარმაზარი საგარეო ვალებით, პოლიციური ტერორით, ჩინოვნიკების კორუმპირებულობით. **გლეხებს წაართვეს მიწები და ერთ მუჭა მემამულეებს მიართვეს, რომლებიც ოკუპანტებს ფეხდაფეხ მოჰყვნენ. მოგვიანებით მათ შექმნეს პარტია „კოლორადო“, რომელიც დღემდე მართავს ქვეყანას დოლარის და ძია სემის ინტერესების შესაბამისად. ზეიმობს დემოკრატია...**

**1865 წელი** — ჯარების შეყვანა პანამაში სახელმწიფო გადატრიალების დროს.

**1866 წელი** — არაპროვოცირებული თავდასხმა მექსიკაზე.

**1866 წელი** — სადამსჯელო ექსპედიცია ჩინეთში ამერიკის კონსულზე თავდასხმის გამო.

**1867 წელი** — სადამსჯელო ექსპედიცია ჩინეთში რამდენიმე ამერიკელი მეზღვაურის მოკვლის საპასუხოდ.

**1867 წელი** — მიდვეის კუნძულებზე თავდასხმა.

**1868 წელი** — სამოქალაქო ომის დროს მრავალგზისი შეჭრა იაპონიაში.

**1868 წელი** — ურუგვაისა და კოლუმბიაში შეჭრა.

**1874 წელი** — ჯარების შეყვანა ჩინეთსა და ჰავაის კუნძულებზე.

**1874 წელი** — მექსიკაში შეჭრა.

**1878 წელი** — თავდასხმა სამოას კუნძულებზე.

**1882 წელი** — ჯარების შეყვანა ეგვიპტეში.

**1888 წელი** — თავდასხმა კორეაზე.

**1889 წელი** — სადამსჯელო ექსპედიცია ჰავაის კუნძულებზე.

**1890 წელი** — ამერიკის ჯარების შეყვანა ჰაიტიში.

**1890 წელი** — არგენტინა. ჯარები შეჰყავთ ბუენოს აირესის ინტერესების დასაცავად.

**1891 წელი** — ჩილე. ამერიკის ჯარების შეტაკება აჯანყებულებთან.

**1891 წელი** — ჰაიტი. შავკანიანი მუშების აჯანყების ჩახშობა კუნძულ ნავასაზე, რომელიც, ამერიკელთა განცხადებით, აშშ-ის საკუთრება იყო.

**1893 წელი** — ჰავაიში ჯარების შეყვანა, შეჭრა ჩინეთში.

**1894 წელი** — ნიკარაგუა. ერთ კვირაში ჯარები ხელთ იგდებენ ბლიუფილდზს.

**1894-1896 წლები** — შეჭრა კორეაში.

**1894-1895 წლები** — ჩინეთი. ამერიკის ჯარები მონაწილეობენ სინო-იაპონიის ომში.

**1895 წელი** — პანამა. ამერიკის ჯარები შეიჭრნენ კოლუმბიის პროვინციაში.

**1896 წელი** — ნიკარაგუა. აშშ ჯარები შეიჭრებიან კორინტოში.

**1898 წელი** — ამერიკა-ესპანეთის ომი. ამერიკელები ხელთ იგდებენ ესპანეთის კუთვნილ ფილიპინებს, დაიხოცა 600 ათასი ფილიპინელი. **ამერიკის პრეზიდენტმა ვილიამ მაკ-კინლიმ განაცხადა, რომ ღმერთმა უბრძანა, ხელთ ეგდო ფილიპინის კუნძულები, რათა გაექრისტიანებინა ისინი და შეეტანა იქ ცივილიზაცია. მაკ-კინლიმ თქვა, რომ ელაპარაკა ღმერთს, როცა შუაღამით თეთრი სახლის ერთ-ერთ დერეფანში მიდიოდა.**

ამავე პერიოდში ამერიკელებმა ესპანეთს წაართვეს კუბა. კუბაში მყარდება აშშ-ის პროტექტორატი. ამავე წელს ესპანეთს ართმევენ პუეტრორიკოსა და გუამს.

**1898 წელი** — ამერიკის ჯარები შეიჭრნენ ნიკარაგუის ნავსადგურ სან ხუან დელ სურში.

**1898 წელი** — ჰავაის კუნძულებს იპყრობს ამერიკის ჯარები.

**1899 წელი** — აშშ-ფილიპინის ომი.

**1899 წელი** — ნიკარაგუა. ამერიკის ჯარები შეიჭრა ბლიუფილზის ნავსადგურში.





**საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალის OKO-PLANET.SU-ს მიხედვით**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰიტლერისა და მის მომხრეთა იდეები ღრმად ყოფილა ფესვგადგმული თვითკმაყოფილ ევროპაში. ბეჭდურ გამოცემებში, რადიო და ტელეარხებზე ატრიალებენ ყალბ დოკუმენტებს, რომლებიც 70-ზე მეტი წლის წინათ შეთითხნეს რიბენტროპისა და გებელსის უწყებებში. ამ სიყალბეებს ემატება უცხოელი და ისტორიის შინნახადი რევიზიონისტების უნიჭობა და ავადმყოფური ფანტაზიები, რომლებიც, ეტყობა, ყოველ დილით ჰიტლერის „მაინ კამფზე“ ლოცულობენ და ოკეანისგაღმელი დამკვეთებისა და ინვესტორების დღეგრძელად ყოფნას შეჰღაღადებენ.**

# სიცრუის ფასი და ევროპული ორპირობა

„არავინ ისე არ არის დაბრმავებული, როგორც ის, ვისაც არ სურს, დაინახოს“
*ინგლისური ანდაზა*

## ნაწილი I. ნაციზმის აჩრდილი კვლავ დაეხეტება ევროპაში

**2011 წლის 22 ივნისს 70 წელიწადი შესრულდა დიდი სამამულო ომის დაწყებიდან.**

**70 წელიწადი — ცოტაა თუ ბევრი? ჯერ კიდევ ცოცხლობენ იმ მოვლენათა მომსწრენი და მონაწილენი. მაგრამ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე უკვე აღარ არის სსრკ, ხოლო გაერთიანებული გერმანია კვლავ წარმოგვიდგა ევროპის წამყვანი ქვეყნის რანგში.**

ჰიტლერის მიერ დასავლეთ ევროპის დაპყრობიდან შვიდი ათეული წლის შემდეგ, ევროპარლამენტმა (თითქოს არ იყოო ფაშისტური ოკუპაცია, უმძიმესი დანაკარგები, ფეხქვეშ გათელილი ეროვნული სუვერენიტეტი) წინადადებით მიმართა ევროკავშირის ქვეყნებს — 23 აგვისტო აღენიშნათ, როგორც „სტალინიზმისა და ნაციზმის მსხვერპლთა ხსოვნის ევროპული დღე“, რითაც ტოლობის ნიშანი დასვა სსრ კავშირისა და მესამე რაიხის ხელმძღვანელთა მოქმედებას შორის მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობის პროცესში.

თითქოს არ იყო ნიუნბერგის პროცესი, რომელმაც განაჩენი გამოუტანა ფაშისტურ კაცთმოძულეობას.

**ჰიტლერისა და მის მომხრეთა იდეები ღრმად ყოფილა ფესვგადგმული თვითკმაყოფილ ევროპაში. ბეჭდურ გამოცემებში, რადიო და ტელეარხებზე ატრიალებენ ყალბ დოკუმენტებს, რომლებიც 70-ზე მეტი წლის წინათ შეთითხნეს რიბენტროპისა და გებელსის უწყებებში.** ამ სიყალბეებს ემატება უცხოელი და ისტორიის შინნახადი რევიზიონისტების უნიჭობა და ავადმყოფური ფანტაზიები, რომლებიც, ეტყობა, ყოველ დილით ჰიტლერის „მაინ კამფზე“ ლოცულობენ და ოკეანისგაღმელი დამკვეთებისა და ინვესტორების დღეგრძელად ყოფნას შეჰღაღადებენ.

**ორიოდე წლის წინათ ნამდვილი იდეოლოგიური ბრძოლა გაიმართა ავადსახსენებელი „მოლოტოვ-რიბენტროპის“ პაქტის, მისი „საიდუმლო“ დანართებისა და იოსებ სტალინის „ბრალეულობის“ შესახებ „მსოფლიო სისხლიანი სასაკლაოს“ მოწყობის თაობაზე.**

ისტორიული მივიწყებულობიდან გამოათრიეს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, რომელიც ამ უწყებამ 1941 წლის 21 ივნისს გამოუგზავნა საბჭოთა მთავრობას, რომელშიც სიყალბეში გაწაფული გებელსისა და გიმლერის უწყებების „ანალიტიკოსები“ ფიურერის კარნახით ცდილობდნენ ადოლფ ჰიტლერის „პრევენტული“ მოქმედების გამართლებას: **„ბოლშევიკური მოსკოვი აპირებს, ზურგში დაარტყას ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიას, რომელიც იბრძვის თავისი არსებობისთვის. გერმანია არ აპირებს თავისი აღმოსავლეთი საზღვრების წინააღმდეგ მიმართულ ამ მუქარას არ უპასუხოს და ხელფეხშეკრული იყოს. ამიტომ უბრძანა ფიურერმა გერმანიის ვერმახტს, მოიგერიოს ეს საშიშროება მის განკარგულებაში არსებული ყველა შესაძლებლობით“.**

ამ „ყველა არსებული შესაძლებლობით საშიშროების მოგერიებას“ საბოლოო ჯამში შეეწირა 26,6 მილიონი საბჭოთა ადამიანი — არა მხოლოდ წითელი არმიის მებრძოლები, არამედ უბრალო მოქალაქენი: ქალები, კაცები, მოხუცები, ბავშვები.

სენსაციების მოყვარული ცრუისტორიკოსები, საბჭოთა ხელმძღვანელობის დადანაშაულების სურვილით ატაცებულები, შეგნებულად ივიწყებენ, რომ არა ვინმე სხვა, არამედ **მომავალი „ყველა გერმანელის ფიურერი“ თავის წიგნში წერდა იმ ბრძოლის შესახებ, რომელსაც სლავი, ებრაელი და სხვა მეორეხარისხოვანი ერების წინააღმდეგ აწარმოებდა, არიელთა კანონიერი „უფლების“ თაობაზე, ჰქონდეთ სასიცოცხლო სივრცე აღმოსავლეთით და უფრო მეტიც — იყვნენ მსოფლიოს ბატონ-პატრონები. ეს და ბევრი სხვა უბედურება არაადამიანური ფორმებით განახორციელეს გერმანელებმა ჰიტლერის მმართველობის 12 წლის განმავლობაში.**

„ბარბაროსას“ გეგმის შემუშავების შესახებ ბრძანება ჰიტლერმა ჯერ კიდევ 1940 წლის ივლისში გასცა, საბოლოოდ კი დეკემბერში დაამტკიცა. იდეოლოგიურ საფარად და მსოფლიო საზოგადოებრიობის დეზინფორმაციის მიზნით, ჰიტლერმა გამოსცა სპეციალური დირექტივა, შეიმუშავა სპეციალური სადეზინფორმაციო ოპერაცია, რომელიც გერმანული პედანტურობით განახორციელა გებელსის, გიმლერისა და რიბენტროპის უწყებებმა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინა პერიოდში. განახორციელეს შესაშური პროფესიონალიზმით, იმდენად წარმატებულად, რომ დღევანდელი „სიმართლის მძებნელები“ სიყალბეთა ამ დახვავებას ჭეშმარიტებად აღიქვამენ. ამიტომ **უპრიანი იქნება, გავიხსენოთ, რას ლაპარაკობდა ნიუნბერგის პროცესზე რაიხის პროპაგანდის მინისტრის, დოქტორ გებელსის მარჯვენა ხელი ჰანს ფრიჩე. თავის ჩვენებებში მან განაცხადა, რომ „დაიწყო ფართო ანტისაბჭოთა პროპაგანდისტული კამპანია, რათა დაერწმუნებინათ საზოგადოებრიობა, ეს ომი გერმანიის კი არა, საბჭოთა კავშირის ბრალია... არავითარი საფუძველი იმისა, რომ დაგვედანაშაულებინა საბჭოთა კავშირი გერმანიაზე თავდასხმის მზადებაში, ჩვენ არ გაგვაჩნდა“.**

გამოდის, რომ გამარჯვების 66 წლისთავზეც კი ნაციზმთან ომი დამთავრებული არ არის. შეიცვალა მხოლოდ ომის ფორმები: დღეს მიმდინარეობს ბრძოლა არა ტერიტორიების დასაპყრობად, არამედ იმ ადამიანების შეგნების შესარყვნელად, ვინც ამ ტერიტორიებზე ცხოვრობს. **„სტალინიზმისა და ნაციზმის მსხვერპლთა დღის“ შესახებ წინადადებაც უნდა განვიხილოთ იმ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის ჭრილში, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, და როგორც ამ შემოთავაზების ინიციატორები ამბობენ, მიმართულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის „დეტოტალიზაციისკენ“.**



თუ ინგლისი განადგურდება, მე ვეღარ დავრაზმავ გერმანელ ხალხს რუსეთის წინააღმდეგ. მაშასადამე, ჯერ რუსეთი უნდა განადგურდეს.
*ადოლფ ჰიტლერი,*
1941 წლის თებერვალი



აღმოსავლეთის წინააღმდეგ ომში ჩვენი ბრალი ასპროცენტიანია. ეს იყო ვერაგული და არაპროვოცირებული აგრესია.
*ჰანს ფრიჩე,*
III რაიხის რადიოპროპაგანდის ხელმძღვანელი

## სამხედრო ტყვეები ნაცისტურ გერმანიასა და საბჭოთა კავშირში

**ტერმინი „ტყვეები“ საერთაშორისო სამართალში ახსნილია როგორც „ძალადობრივი, ნებაყოფლობითი ან გარკვეული პირობებით ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის — ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელთა გადასვლა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს, მისი შეიარაღებული ძალების, სხვა ძალოვანი სტრუქტურებისა და სპეციალური ორგანოების ხელში, რასაც თანსდევს „თავისუფალის“ სამართლებრივი სტატუსის „ტყვეთი“ შეცვლა“. ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც ჩაფიქრებული აქვს ომის დაწყება, წინასწარ ფიქრობს მომავალ სამხედრო ტყვეებზე, ქმნის ერთგვარ სამართლებრივ და მატერიალურ ბაზას საომარ მოქმედებათა მონაწილეების ამგვარი კატეგორიის ადამიანებისთვის.**

ასე იყო გერმანიაშიც. **მომავალი სამხედრო ტყვეებისთვის გამიზნული ბანაკების აღდგენა ნაცისტურ გერმანიაში 1939 წელს დაიწყეს, პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ბანაკების დახურვიდან 17 წლის შემდეგ.**

გერმანულ-ფაშისტურმა ხელმძღვანელობამ, რომელსაც ჩაფიქრებული ჰქონდა ტოტალური ომის გაჩაღება მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად, შექმნა სხვადასხვა ტიპის ბანაკების ფართო ქსელი სამხედრო ტყვეების მოსათავსებლად. ამ ქსელში შედიოდა: შესაკრები პუნქტები (ბანაკები), გადაგზავნის ბანაკები, მუდმივი (სტაციონარული) ბანაკები ჯარისკაცებისა და სერჟანტებისთვის, და ოფიცრებისთვის; ცალკე ბანაკები მფრინავებისა და მეზღვაურებისთვის, ძირითადი მუშათა ბანაკები, მცირე მუშათა ბანაკები. საბჭოთა ტერიტორიაზე შეღწევის კვალზე გადაგზავნის ბანაკები ტრანსფორმირდებოდა მუდმივ ბანაკებად. ამასთან, თითოეული ბანაკი ჯარისკაცებისა და სერჟანტებისთვის მას დაქვემდებარებული მუშათა ძირითადი ბანაკების ქსელის ბაზა ხდებოდა.

პირველი მსოფლიო ომისგან განსხვავებით, XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს სამხედრო ტყვეთა ბანაკების აღდგენის პროცესში ნაცისტები ფართოდ იყენებდნენ ხუთწლიან გამოცდილებას, რომელიც მათ შეიძინეს „რეჟიმის მტრების“ გასათავისებელი საკონცენტრაცო ბანაკების მშენებლობის პროცესში. და ეს მაშინ, როცა გერმანია მიერთებული იყო ჰააგის (1907 წელი) და ჟენევის (1929 წელი) კონვენციებს, რომელთა მიხედვით **სამხედრო ტყვეების ბანაკები განიხილებოდა როგორც საომარ ოპერაციებში მათი შემდგომი მონაწილეობის აღკვეთის ადგილები, ხოლო სამხედრო ტყვეობა, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დანაშაულად არ ითვლებოდა. არასრული მონაცემებით, ოკუპირებულ ქვეყნებში გერმანიას სხვადასხვა ტიპის 22 ათასი ბანაკი ჰქონდა.**

პასუხისმგებლობა ბანაკებში არსებულ მდგომარეობაზე, მათ შენახვასა და სამხედრო ტყვეების გამოყენებაზე ფაშისტური გერმანიის შეიარაღებულ ძალებში განაწილებული იყო ვერმახტის უმაღლეს მთავარსარდლობასა და სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობას შორის.

იმაზე, თუ რა ბედს უქადდნენ ამ ბანაკებში გამომწყვდეულ სამხედრო ტყვეებს ჰიტლერი და მისი დამქაშები, შეიძლება ვიმსჯელოთ მრავალრიცხოვანი დირექტივით, ბრძანებით, ინსტრუქციით და სახელმძღვანელო მითითებით, რომლებიც უხვად გაიცემოდა როგორც საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე, ისე ომის დაწყების შემდეგ.

ამ თვალსაზრისით, **უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა ჰიტლერის 1941 წლის 13 მაისის დირექტივა და მისი დამატება, რომელიც 1941 წლის 6 ივნისს გამოსცა და ცნობილია „კომისრების შესახებ ბრძანების“ სახელით, კეიტელის, გიმლერის დირექტივები, ბრძანებები და** ▶

საკონცენტრაციო ბანაკში



**1944 წლის 1 მაისისთვის დახოცილი საბჭოთა ტყვეების რაოდენობამ 3 მილიონ 291 ათას 157-ს მიაღწია. მათგან ბანაკებში მოკვდა 1 მილიონ 981 ათასი კაცი, დახვრეტილია და გაქცევის მცდელობის დროს მოკლულია 1 მილიონ 30 ათას 157 კაცი, დაიღუპა „გზაში“ — 280 ათასი კაცი. გერმანელების მონაცემებით, ფაშისტურ ტყვეობაში აღმოჩნდა 5,7 მილიონი საბჭოთა ადამიანი, მათგან დაიღუპა 3,3 მილიონზე მეტი, ანუ 58 პროცენტი.**


## ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


**◀ ინსტრუქციები, და, განსაკუთრებით, ვერმახტის განკარგულება „ყველა სამხედრო ბანაკში საბჭოთა სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ“** (1941 წლის 8 სექტემბერი).

არც ერთ გერმანელ სამხედროს ილუზიები რომ არ შექმნოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მომავალი ომის მიზნებზე, ამოცანებსა და მეთოდებზე, **ჰიტლერმა ჯერ კიდევ 1941 წლის 30 მარტს ვერმახტის უმაღლესი ოფიცრების წინაშე რაიხსკანცელარიაში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ჯარისკაცულ ამხანაგობაზე. კომუნისტი არასოდეს იყო და არ იქნება ჩვენი ამხანაგი. ლაპარაკია გამანადგურებელ ბრძოლაზე. ჩვენ იმისთვის კი არ ვომობთ, რომ მტერი შევინარჩუნოთ“.** მოგვიანებით, **ფაშისტური რაიხის ხელმძღვანელებთან თათბირზე, რომელიც 1941 წლის 16 ივლისს გაიმართა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომზე რომ ლაპარაკობდა, ჰიტლერმა აღნიშნა: „გიგანტური სივრცე, ბუნებრივია, რაც შეიძლება მალე უნდა დავამშვიდოთ. ყველაზე უკეთ ამის მიღწევას შევძლებთ, ყველას დახვრეტით, ვინც თუნდაც ალმაცერად შეგვხედავს“.**

ვერხმატის უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსმა გენერალ-ფელდმარშალმა კეიტელმა, სამხედრო დაზვერვის უფროსის, ადმირალ კანარისის მოხსენებითი ბარათი 1941 წლის სექტემბერში რომ წაიკითხა, სადაც ლაპარაკი იყო საბჭოთა სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობაზე და ნათქვამი იყო, რომ **„უიარაღო ან დაჭრილი ტყვეების მკვლელობა ეწინააღმდეგება სამხედრო კონცეფციას; ამასთან, ომში ჩართული ნებისმიერი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, იცოდეს, რომ ტყვედჩავარდნილი მათი ჯარისკაცები დაცული იქნებიან სასტიკი მოპყრობისაგან“**, წააწერა: **„მოსაზრება შეესაბამება ჯარისკაცურ გაგებას რაინდული ომის შესახებ. აქ კი ლაპარაკია მსოფლმხედველობის განადგურებაზე, ამიტომ ვიწონებ ამ (ე.ი. სადამსჯელო) ღონისძიებებს და ვიცავ მათ“.**

როცა კითხულობ „ბრძანებას კომისრების შესახებ“, აშკარა ხდება, რომ გერმანია მზად იყო, ამოეწყვიტა იმ ქვეყნის არმიის გარკვეული ჯგუფი, რომელთანაც დადებული ჰქონდა თავდაუსხმელობის პაქტი!

დირექტივიდან: **„პოლიტიკური კომისრების მიმართ მოპყრობის შესახებ“.**

**„ბოლშევიზმთან ბრძოლაში მტრის მიერ ჰუმანურობის ან საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვის იმედი არ უნდა გვქონდეს! ჩვენი ტყვეების მიმართ განსაკუთრებულად არაადამიანურ მოპყრობასა და სისასტიკეს უნდა ველოდოთ ყველა ჯურის კომისრებისგან, წინააღმდეგობის ამ ნამდვილი მატარებლებისგან.**

**ჯარებმა უნდა შეიგნონ:**

**1. ამჟამინდელ ომში ამ ელემენტების დანდობა და მათ მიმართ საერთაშორისო წესების დაცვა უადგილოა. ისინი ჩვენი უსაფრთხოებისა და ჩვენ მიერ ხელში ჩაგდებული მხარეების მოსახლეობის სწრაფი გათავისუფლებისთვის საშიშროებას წარმოადგენენ.**

**2. პოლიტიკური კომისრები ომის წარმოების ბარბაროსული მეთოდების ინიციატორები არიან. ამიტომ მათ წინააღმდეგ დაუყოვნებლივ და დაუნდობლად უნდა ვიმოქმედოთ. თუ ისინი შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაგვიწევენ, დაუყოვნებლივ უნდა გავანადგუროთ იარაღის ძალით...“**

გავიხსენოთ, რომ კაციჭამიური დოკუმენტები ხელმოწერილია სსრ კავშირზე თავდასხმამდე! თუ როგორ სრულდებოდა ეს ბრძანება, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ვერმახტის რიგითის, რუდი მახკის ჩვენებიდან: **„კაპიტანმა ფინკელბერგმა ომამდე ორი დღით ადრე ჩვენს ასეულში წაიკითხა მოხსენება წითელი არმიის შესახებ... მან თქვა, რომ ტყვედ არავის აყვანა საჭირო არ არის — ზედმეტი მჭამელები არიან და საერთოდ ეს არის რასა, რომლის ამოწყვეტა პროგრესია. კომისრები, რომელთა ამოცნობა შეიძლება სახელოზე დაკერებული ვარსკვლავით, ადამიანის სახის მქონე ნამდვილი ეშმაკები არიან და უნდა განადგურდნენ, უყოყმანოდ უნდა დაიხვრიტონ. ამ ბრძანების შეუსრულებლობა საკუთარი სიცოცხლის ფასი დაგვიჯდება“.**

„ბრძანება კომისრების შესახებ“ იმ ბრძანებების მთელი სერიის ნაწილია, რომლებიც აწესრიგებს ვერმახტის ქცევას აღმოსავლეთში, და განაცალკევებს ჯარების კომპეტენციის სფეროს საიდუმლო პოლიციისა და უშიშროების სამსახურის (CD) კომპეტენციის სფეროებისგან.

რაიხის მტრების განადგურება გეიდრიხის საბრძოლო ბრძანებების მიხედვით ეკისრებოდა CD-ის ჯარებს, მაგრამ კეიტელის (ვერმახტი) და ბრაუხიჩის (სახმელეთო ჯარები) ქვეშევრდომებსაც სრული უფლება ეძლეოდათ, მონაწილეობა მიეღოთ დახვრეტებში. რაიხსფიურერ გიმლერის №8 და №9 ბრძანებები სამხედრო ტყვეებისთვის წითელი არმიის პოლიტშემადგენლობისა და ებრაელი სამხედრო მოსამსახურეებისთვის წინასწარ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი იყო.




მსხვერპლი და ჯალათი

## ადოლფ ჰიტლერი: გიგანტური სივრცე, ბუნებრივია, რაც შეიძლება მალე უნდა დავამშვიდოთ. ყველაზე უკეთ ამის მიღწევას შევძლებთ ყველას დახვრეტით, ვინც თუნდაც ალმაცერად შეგვხედავს

### ნაწილი II. „ისინი ჩვენი ამხანაგები არ არიან...“

**შეგახსენებთ, რომ ეს განაცხადა ჰიტლერმა კომუნისტებზე საუბრისას თავის სიტყვაში, რომელიც 1941 წლის 30 მარტს წარმოთქვა აღმოსავლეთის ფრონტის სარდლებისა და შტაბების უფროსების წინაშე გამოსვლის დროს.**

„ბოლშევიზმი ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის შეურიგებელი მტერია. გერმანელი ჯარისკაცის წინაშე პირველად დგას მოწინააღმდეგე, რომელიც არა მარტო ჯარისკაცური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც აღზრდილია ბოლშევიზმის სულისკვეთებით, ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მას სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი. იგი წარმართავს ამ ბრძოლას ნებისმიერი საშუალებით: საბოტაჟით, ძირგამომთხრელი პროპაგანდისტ, ცეცხლის წაკიდებით, მკვლელობით. ამიტომაა, რომ ბოლშევიკების ჯარისკაცმა დაკარგა უფლება, მოეპყრან მას ჟენევის კონვენციის თანახმად, როგორც ჭეშმარიტ ჯარისკაცს.

...საბჭოთა ჯარისკაცი გარეგნულად რაგინდ უწყინარი ჩანდეს, ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს, რათა შური იძიოს ყოველივე გერმანულზე. გასათვალისწინებელია, რომ სამხედრო ტყვეებმა მიიღეს შესაბამისი მითითებები ტყვედ ყოფნის პერიოდში მოქცევის შესახებ. მათ მიმართ გვმართებს უაღრესი სიფხიზლის, უდიდესი სიფრთხილისა და უმწვავესი უნდობლობის გამოჩენა.

**დაცვის ნაწილებს ეძლევა შემდეგი ძირითადი მითითებები: დაუნდობელი დასჯა პროტესტისა და დაუმორჩილებლობის უმცირესი ნიშნების გამოვლენის დროს. წინააღმდეგობის ჩასახშობად დაუნდობლად იარაღის გამოყენება. სამხედრო ტყვეებს, რომლებიც გაიქცევიან, გაუფრთხილებლად უნდა ესროლო მიზანში მოხვედრის მტკიცე სურვილით“.**

**ვერმახტის 257-ე დივიზიის შტაბის სპეციალურ დირექტივაში ნათქვამია, რომ სამხედრო ტყვეებმა უნდა იცოდნენ, რომ „დაკითხვის დაწყებისთანავე მათ სცემენ...“ საგულდაგულო დაკითხვა ნიშნავს „რეზინის ხელკეტით ან მათრახით ოცდახუთამდე დარტყმას“. პირები, რომლებიც ასე მკაცრად დაიკითხნენ, „ლიკვიდირებულ უნდა იქნან... უნდა დაიმარხონ ისე, რომ ნათესავებმა ვერ იპოვონ მათი საფლავები და არ ამოთხარონ მათი გვამები“.**

ასეთი ბრძანებები და ინსტრუქციები ასობითაა. ისინი თავმოყრილია და გამოქვეყნებულია მსოფლიოს მრავალ ენაზე გამოცემულ წიგნებსა და კრებულებში. საილუსტრაციოდ იმისა, თუ რას ნიშნავდა ამ ბრძანებებისა და ინსტრუქციების პედანტური შესრულება, გთავაზობთ მხოლოდ ერთ მაგალითს.

ქვედა საქსონიაში საბჭოთა ტყვეების მისალებად გამოყოფილი იყო ვერმახტის უმსხვილესი პოლიგონის ტერიტორია ცნობილ ლიუნებურგის ვერან, ჭაობიან ველზე ელბისა და ბერგენის შუამდინარეთში. აქ გამართეს სამი ბანაკი — ვიტცენდორფის, ბერგენ-ბელზენისა და ერბკესი.

1941 წლის ნოემბრის ბოლოს აქ ჩამოიყვანეს რამდენიმე ათასი საბჭოთა სამხედრო ტყვე. ბანაკი მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება დარქმეოდა ამ ადგილს. როცა 1941 წლის ივლისში აქ ჩამოაყენეს პირველი ეშელონები ტყვე წითელარმიელებით, ტერიტორია შემოღობილი იყო მავთულხლართით და ბარაკის სახსენებელიც არსად იყო. სამივე ბანაკი გათვალისწინებული იყო 30 ათასი წითელარმიელისთვის. მაგრამ იმავე წლის გვიან შემოდგომაზე **მარტო ერთ — ბერგენ-ბელზენის ბანაკში მოთავსებული იყო 20 ათასი კაცი. მხოლოდ ზამთრის პირზე დართეს ნება, გაეთხარათ მიწურები, რომელთა ძირზე წყალი დგებოდა. ტყვეებს ეძლეოდათ ერთი პური ათ კაცზე ერთ დღე-ღამეში სამყოფად. მაგრამ ამ ნორმასაც არ არიგებდნენ ყოველდღიურად,** ხოლო პური რაღაც ერზაცი იყო, რაზეც მიგვითითებს გერმანიის მომარაგების მინისტრის 1941 წლის 24 ნოემბრის თათბირის ოქმის ამონაწერი. საკითხი ეხება წითელი არმიის მეომრებისა და საბჭოთა სამოქალაქო პირების საკვებით მომარაგების საკითხს: **„რუსებისთვის სპეციალური პურის მომზადების ცდებმა დაგვანახა, რომ ყველაზე მომგებიანია 50 პროცენტი მსხვილად დაფქვილი ჭვავის, 20 პროცენტი შაქრის ჭარხლის ნარჩენების, 20 პროცენტი ცელულოზური ფქვილისა და 10 პროცენტი ჩალის ან ფოთლების ფქვილის ნაზავი. ჩვეულებრივ, საკვებად გამოუყენებელი ცხოველების ხორცი ვერ დააკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებას. ამიტომ რუსების კვება უნდა უზრუნველვყოთ ცხენისა და უხარისხო ხორცით“.**

ჰიტლერული გერმანიის პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ ათი ათასობით მამაკაცს, რომლებსაც ელემენტარული საარსებო პირობები არ ჰქონდათ, სიკვდილი წინასწარ დაუგეგმა. ერთი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ მეორე ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ ამგვარი მოპყრობის შედეგმაც არ დააყოვნა: **მავთულხლართით შემოღობილ ზონაში მთელი ბალახი და ხეების ქერქი ტყვეებმა შეჭამეს, ხოლო გუბეებიდან წყლის სმამ** (სხვა საშუალება არ ჰქონდათ) **დიზენტერიის ეპიდემია გამოიწვია, შემდეგ — ტიფი.**

ქვემო საქსონიის პოლიტიკური განათლების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 1941 წლის ზამთრის პირისთვის ბერგენ-ბელზენის ტყვეთა ბანაკში მოთავსებული 20 ათასი წითელარმიელიდან 1942 წლის თებერვლისთვის 18 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა. ერბკეს ბანაკში — 12 ათასი, ვიტცენდორფში — 14 ათასი. დეკემბრის განმავლობაში ყოველდღიურად 200-დან 400-მდე ტყვე ჯარისკაცი იღუპებოდა. 1942 წლის მარტში, როცა აქ მოთავსებული ტყვეები თითქმის მთლიანად ამოწყდნენ, ერბკე და ვიტცენდორფის ბანაკები გააუქმეს. ვერმახტის სტატისტიკით, 1942 წლის 1 მაისისთვის რუსებისთვის განკუთვნილ ბერგენ-ბელზენის ბანაკში დარჩენილი იყო მხოლოდ 2097 ტყვე წითელარმიელი!

შედარებისთვის: ამ ბანაკების არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე (1939-1945 წლები) დაიხოცნენ სხვა ქვეყნების სამხედრო ტყვეები: ბრიტანელი — 28 კაცი, ამერიკელი — 28 კაცი, ფრანგი — 133 კაცი, სერბი — 82 კაცი, ბელგიელი — 35 კაცი, იტალიელი — 561 კაცი, პოლონელი — 26 კაცი, თითო-თითო — კანადელი და დანიელი, ერთი კაცი — სამხრეთ აფრიკიდანაც კი. **შემაძრწუნებელია საბჭოთა სამხედრო ტყვეების გერმანელთა ბანაკებში მოკვდინების მასშტაბები!**

ფიზიკურ გაჭირვებას მორალურიც ემატებოდა: საბჭოთა ტყვეთა ბანაკებში რეგულარულად ჩადიოდნენ ესესის წარმომადგენლები „პარტიული მოღვაწეების, მნიშვნელოვანი პიროვნებების, ინტელიგენტების, ებრაელებისა და აზიელების გამოსარჩევად“. 1941 წლის მხოლოდ შემოდგომაზე ასე „გამოარჩიეს“ და სიკვდილის ბანაკ ზაქსენჰაუზენში გააგზავნეს ან ადგილზე დახვრიტეს, მინიმუმ, 1500 სამხედრო ტყვე ბერგენ-ბელზენის, ერბკესა და ვიტცენდორფის ბანაკებში. 1942 წლის შემოდგომაზე 450 სამხედრო ტყვე ერბკეს ბანაკიდან მოწამლეს ესეს-ის საკონცენტრაციო ბანაკ ნოიგამის დროებით გაზის კამერაში.

**1942 წლის გაზაფხულისთვის 3,4 მილიონი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურიდან, აგრეთვე, სამოქალაქო პირიდან, რომლებიც გერმანელთა ტყვეობაში აღმოჩნდნენ, შიმშილისგან, სიცივისგან, ეპიდემიებისგან დაიღუპა, დაიხვრიტა ან დაახრჩეს გაზის კამერებში ორ მილიონამდე ადამიანი. ტყვეების სამმართველოს მონაცემებით, 1944 წლის 1 მაისისთვის დახოცილი საბჭოთა ტყვეების რაოდენობამ 3 მილიონ 291 ათას 157-ს მიაღწია. მათგან ბანაკებში მოკვდა 1 მილიონ 981 ათასი კაცი, დახვრეტილია და გაქცევის მცდელობის დროს მოკლულია 1 მილიონ 30 ათას 157 კაცი, დაიღუპა „გზაში“ — 280 ათასი კაცი.**

**გერმანელების მონაცემებით, ფაშისტურ ტყვეობაში აღმოჩნდა 5,7 მილიონი საბჭოთა ადამიანი, მათგან დაიღუპა 3,3 მილიონზე მეტი, ანუ 58 პროცენტი.**

ამრიგად, რა დანაკარგებიც განიცადეს მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნებმა, ცნობილია, რაგინდ შეეცადონ ფალსიფიკატორები მათ შეცვლას. მაგრამ სწორედ სიყალბითა და ციფრების მანიპულაციებით ცდილობენ ისტორიის გამყალბებლები მედროვეთა ხომალდების აფრების ავსებას მათთვის დაკვეთილი ზურგის ქარით.

**გაგრძელება იქნება**

**იური მატვიენკო,**
**თადარიგის პოლკოვნიკი**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპაში ნახშირწყალბადების სტრატეგიული მიმწოდებლის — ლიბიის მოამარ კადაფისგან „გათავისუფლების“ პროცესი, მსუბუქად რომ ვთქვათ, დასრულებისგან ჯერ შორსაა. ლიბიის ლიდერმა თავი გამოიჩინა როგორც ძლიერმა მეომარმა და სადამის ბედის გაზიარებას, როგორც ჩანს, არ აპირებს.**

# ახალი მსოფლიო წესრიგი ნავთობგაზის სარჩულით

**ირანსა და ბაჰრეინს შორის მორიგი დაპირისპირება თავისი მნიშვნელობით გასცდა რეგიონის საზღვრებს. მაისის ბოლოს მანამაში შემაშფოთებელი ინფორმაცია გაისმა — ირანის „სამხრეთ პარსის“ საბადოდან მოპოვებული ბუნებრივი გაზის წყალქვეშა მილსადენით შესყიდვის გარიგება გაიყინა, რისი მიზეზიც, ბაჰრეინის საგარეო საქმეთა მინისტრის — შეიხ ხალიდ ბენ ახმედ ბენ მუჰამედ ალ-ხალიფას თქმით, თეირანის დაუმთავრებელი პროვოკაციული განცხადებები გახდა.**



ჰაერში დარჩა გეოპოლიტიკური მნიშვნელობის დიდი შეთანხმება. 2008 წელს ხელი მოეწერა წინასწარ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ბაჰრეინს ირანისგან 25 წლით ადრე უნდა შეესყიდა 1 მილიარდი კუბური მეტრი ირანული გაზი. სანაცვლოდ მანამამ აიღო ვალდებულება, „სამხრეთ პარსში“ დიდი ინვესტიციები განეხორციელებინა. 2009 წელს თეირანში მოულოდნელად განაცხადეს, რომ ბაჰრეინი ირანის სუვერენიტეტში ექცევა. გასაგებია, რომ ყველა კონტაქტი მომენტალურად გაწყდა, თანამშრომლობა შეჩერდა. ამის შემდეგ ირანში გონს მოეგნენ, ბოდიში მოიხადეს და მოლაპარაკებებიც განაახლეს.

ახლანდელ სკანდალს კი, შესაძლოა, ძალზე შორს მიმავალი შედეგები მოჰყვეს, ისეთივე შორს მიმავალი, როგორიც ფესვები აქვს.

ერთი ციცქნა კუნძულოვანი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაც სულ რაღაც 750 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, ორ ასწლეულს ითვლის, ახლა კი მდიდრულადაც ცხოვრობს თავისი ბუნებრივი სიუხვის ხარჯზე. ალ-ხალიფას სამეფო ოჯახი სუნიტური ისლამის მიმდევარია, მისი ყოველი ოთხი ქვეშევრდომიდან სამი შიიტია. ამრიგად, ხელისუფლება რელიგიური უმცირესობის ხელთაა. **უკანასკნელი 30 წლის მანძილზე შიიტებსა და სუნიტებს შორის დაუსრულებელი დაპირისპირებაა. მაგრამ, „არაბული გაზაფხულის“ ფონზე გამწვავებულ ბაჰრეინის სუნიტური უმცირესობისა და შიიტური უმრავლესობის დაპირისპირებაში უცვლელად მონაწილეობენ რეგიონალური ზესახელმწიფოები: საუდის არაბეთი სუნიტებს უჭერს მხარს, ირანი კი — შიიტებს. მაგრამ არსებობს მესამე გარე ძალაც — ამერიკის შეერთებული შტატები.**

ბაჰრეინის სამეფოს ტერიტორიაზე განთავსებულია სპარსეთის ყურეში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მე-5 ფლოტის უმნიშვნელოვანესი სამხედრო-საზღვაო ბაზა.

2011 წლის თებერვალში „არაბული გაზაფხულის“ ყლორტები ბაჰრეინსაც მისწვდა. შიიტებმა ქუჩებსა და მოედნებზე თამამად დაიწყეს უკმაყოფილების გამოხატვა სოციალური და რელიგიური უთანასწორობის გამო. როგორც ჩანს, მონარქი და მისი გარემოცვა შეშინდა, ისევე, როგორც საუდიტების დინასტია. მანამას მხსნელად ელ-რიადი მოევლინა და ქუჩის გამოსვლების ჩასახშობად თავისი ჯარის შეზღუდული კონტინგენტი გაგზავნა. პასუხად თეირანი დაიმუქრა, რომ თავის ერთმორწმუნეებს დაეხმარებოდა და პირველად გაჩნდა საუდის არაბეთსა და ირანს შორის ღია შეიარაღებული დაპირისპირების სერიოზული საფრთხე, მაგრამ ამჯერად ყველაფერმა გართულების გარეშე ჩაიარა.

**რეგიონში სიმშვიდის მტერია ქუვეითიც, რომელსაც ერთდროულად აქვს პრეტენზიები როგორც ირანის, ასევე ერაყის მიმართაც. ქუვეითი კიდევ ერთი ნავთობსაბადოა, რომელიც ირანულ მხარეს საკუთარ ტერიტორიაზე ჯაშუშურ მუშაობაში ადანაშაულებს და რომელმაც უკვე გამოისტუმრა ირანელი დიპლომატები. ბაღდადისგან ის 1990 წელს, სადამ ჰუსეინის მმართველობისას, შეჭრის რეპარაციას მოითხოვს.**

აქ, ალბათ, უნდა გავიხსენოთ ის მიზეზები, რომლებმაც სადამს ოდესღაც ერაყის შემადგენლობაში შემავალი ქუვეითის ხელში ჩაგდებისკენ უბიძგა. ქუვეითის ხელისუფლებამ ერაყის ლიდერს იმ კრედიტების დაბრუნება მოსთხოვა, რომლებიც ბაღდადს ყველა სუნიტის საერთო მტრის — ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოუყვეს. იყო რა დარწმუნებული, რომ შიიტების წინააღმდეგ ყველა სუნიტის ინტერესების დასაცავად იბრძოდა, ჰუსეინი თავს მოვალედ არ თვლიდა, ნასესხები ფული დაებრუნებინა. მით უფრო, რომ საუდის არაბეთი, მისი ირანთან ომის მეორე კრედიტორი, მას ამ ფულის დაბრუნებას არ სთხოვდა. ქუვეითი კი დაჟინებით მოითხოვდა არა მხოლოდ ვალის, არამედ პროცენტების გადახდასაც. ის დღესაც უყენებს იმავე პრეტენზიებსა და მოთხოვნებს ამერიკელების მიერ ოკუპირებულ ერაყს.

**ამერიკული გეგმის მიხედვით, რეგიონის რუკის «დიდი ახლო აღმოსავლეთის» რუკად გადახაზვის საქმე მოიკოჭლებს**

**ქუვეითის ქმედებამ ნელნელა მიიღო დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობა, რომელსაც შეუძლია ან დაეხმაროს რეგიონის „პერეფორმირებით“ დაკავებულ გარე ძალებს, ან პირიქით, საქმე ჩაუშალოს მათ.** უკანასკნელ პერიოდში ქუვეითმა დაატყვევა ირანის სამოქალაქო თვითმფრინავები და ფაქტობრივად გაანადგურა ნაციონალური ავიაკომპანია; საბრძოლო სიმძლავრის მიხედვით მიზერული თავისი გემები ბაჰრეინის სანაპიროებისკენ გაგზავნა, რათა სოლიდარობა გამოეხატა საუდის არაბეთის მიმართ, რომელიც ადგილობრივი შიიტების ამბოხებათა ჩასახშობად თავის ჯარებს გზავნიდა; აქტიურად ლობირებს საუდის არაბეთსა და არაბეთის გაერთიანებულ ემირატებთან ერთად ნავთობის ფასების დაკლებას, რაც ამ შემთხვევაში ბარიკადის ერთ მხარეს მდგარი ერაყისა და ირანის ინტერესებს უპირისპირდება.




**2011 წლის მაისიდან აგვისტომდე, საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს ექსპერტების გათვლით, ნავთობზე მოთხოვნილება მნიშვნელოვნად გაიზრდება.**

ერ-რიადი, რომელმაც 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ვაშინგტონთან შერყეული ურთიერთობების აღდგენა მოახერხა, ახლა იმის დემონსტრირებას ცდილობს, რომ სამეფო ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის გულისგულად რჩება და დღის წესრიგის კარნახის უფლება აქვს. საუდის სახლი დაინტერესებულია, მონარქიის ურყეობა ეჭვქვეშ არავინ დააყენოს და უარყოფს წინასწარმეტყველებას, რომ „არაბული გაზაფხული“ მალე რეგიონის სხვა ქვეყნებისკენ აიღებს გეზს.

ცნობილია, რომ საუდის არაბეთს შეუძლია თავს უფლება მისცეს, გაზარდოს ნავთობის დღიური მოპოვება და, ასევე, ამის შედეგად ფასიც დააგდოს. ეკონომიკური სანქციების პირობებში მცხოვრები ირანი თავს ამის უფლებას ვერ მისცემს, ის თავის ბიუჯეტს დიდწილად შავი ოქროს ექსპორტის ხარჯზე გეგმავს.

ამ ყველაფრის გამო ერ-რიადისა და თეირანის საწყისი პოზიციები პირდაპირ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

**ევროპაში ნახშირწყალბადების სტრატეგიული მიმწოდებლის — ლიბიის მოამარ კადაფისგან „გათავისუფლების“ პროცესი, მსუბუქად რომ ვთქვათ, დასრულებისგან ჯერ შორსაა. ლიბიის ლიდერმა თავი გამოიჩინა როგორც ძლიერმა მეომარმა და სადამის ბედის გაზიარებას, როგორც ჩანს, არ აპირებს. ამერიკული გეგმის მიხედვით, რეგიონის რუკის „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ რუკად გადახაზვის საქმე მოიკოჭლებს.**

კადაფის წინააღმდეგობა გლობალური ისტებლიშმენტის გეგმებს ურევს და გაცილებით მიმზიდველს ხდის სათადარიგო გეგმას, რომლის მიხედვითაც ლიბიას მეამბოხეების ხელთ ჩავარდნილი აღმოსავლეთი ტერიტორიები უნდა ჩამოეჭრას და კოსოვოს მსგავს პროტექტორატად იქცეს.

**უკანასკნელ წლებში ლიბიური ნავთობის 80% ევროპასა და აშშ-ზე მოდიოდა. თუმცა იქვე იყვნენ ჩინური „China National Petroleum Corporation“-ი და რუსული „ტატნავთობი“. ყველაზე დასავლეთ ბანაკშიც ურთიერთობები შორსაა იდილიურისგან.**

ვიღაცას თავის ყოფილ კოლონიაში პრივილეგირებული პოზიციების მქონე იტალიური „ენი“ უშლიდა (კომპანიის აქციების მესამედის მფლობელი სახელმწიფოა). ძნელია იმაში დაეჭვება, რომ დასავლური ზესახელმწიფოების მასშტაბური ოპერაცია ჯამახირიის წინააღმდეგ მისი ნახშირწყალბადოვანი რესურსების კონტროლს დაქვემდებარების სურვილითაა განპირობებული, მეორე მიზეზი წამყვან პოზიციებზე თავიანთი ენერგეტიკული კომპანიების წამოწევა და სხვა ყველას უკან გადაყრაა.

**არის კიდევ ერთი ვერსია: ვაშინგტონმა სხვაზე უკეთ გათვალა როგორც ყველა სვლა, ასევე პარტიის შედეგიც** (ამერიკული დაზვერვის შეფმა განაცხადა, რომ დასავლეთი კადაფის ვერაფერს დააკლებს) **და ახლა ცდილობს არა იმდენად სამხედრო გამარჯვების მოპოვებას, რამდენადაც „მართვადი ქაოსის“ შენარჩუნების მთელი პერიოდის განმავლობაში ევროპელთათვის რესურსებთან წვდომის დაბლოკვას.**

...დღევანდელ მსოფლიოში (ხშირად დაფარული ფორმით) ნავთობისა და გაზის ომები მძვინვარებს. გართულებების ხარისხის მიხედვით ისინი იმ რელიგიურ ომებს უტოლდება, რომლებიც შუა საუკუნეების საფრანგეთს ტანჯავდა და რომელთა დროსაც კათოლიკები და ჰუგენოტები ყელს სჭრიდნენ ერთმანეთს. ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში „არაბული გაზაფხულის“ შიდა სოციალურ-ეკონომიკური ფესვები ცხადად ჩანს. საკმარისია ისიც, რომ ეგვიპტის მოსახლეობის ნახევარი დღეში 2 დოლარად ცხოვრობს. ხანდახან დამშეული მოსახლეობის ბუნტი სულაც არ ემთხვევა შესაფერის დროს და საფრთხეს უქმნის ენერგორესურსების მთავარი შთანთქმელების ინტერესებს. სწორედ ამ დროს ჩნდება „ჟანდარმული კავალერია“. ამის შესახებ მიანიშნებს „Cambridge Energy Research Associates“-ის ხელმძღვანელი და ფუნდამენტური ნაშრომის — „ნადავლის“ ავტორი დანიელ ერგინიც. **„ყოველ დღე ზღვებისა და ოკეანის მიღმა ტანკერებით 40 მილიონი ბარელი ნავთობი გადააქვთ. 2020 წლისთვის ეს ციფრი, შესაძლოა, 67 მილიონ ბარელამდე გაიზარდოს. იმ დროისთვის აშშ მის მიერ მოხმარებული მთელი ნავთობის 70%-ის იმპორტს განახორციელებს (დღეს ეს წილი 58%-ს შეადგენს, 1973 წელს კი 33%-ს არ აღემატებოდა). ამგვარ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ჩინეთიც,“** — წერს იგი.

ერგინის განმარტებით, ნედლეულის უწყვეტ მიწოდებას შეიძლება ხელი შეუშალოს იმან, რომ არსებობს რამდენიმე „ვიწრო ყელი“, როგორიცაა სპარსეთის ყურეში შემავალი ორმუზის სრუტე ან სუეცის არხი, რომელიც წითელ ზღვას ხმელთაშუასთან აკავშირებს; ბოსფორის სრუტე, რომელიც რუსეთიდან და კასპიის აუზიდან ნავთობის მიწოდების მთავარი არხია; მალაკის სრუტე, რომლითაც იაპონიისა და სამხრეთ კორეისთვის განკუთვნილი მთელი ნავთობის 80% მოძრაობს. ექსპერტის დასკვნით, მილსადენებისა და ამ ვიწრო გასასვლელების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სწრაფი რეაგირების მრავალმხრივი ძალების შექმნა გახდება საჭირო.

**მსოფლიომ იცის არაერთი შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო კოალიციები „სწრაფი რეაგირების მრავალმხრივი ძალების“ სახით მოქმედებენ და სტრატეგიულ პერსპექტივებზე არიან ორიენტირებულნი, „მასების ამბოხებები“ კი ინტერვენციისთვის საფუძველს ქმნის, ამიტომ მათი პროვოცირება გარედან ნავთობნარევი სარჩულის ინტერესების გავლენით ხორციელდება...**

FONDSK.RU



**დღეს ამერიკა სამხედრო საჭიროებებისთვის უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული ოდესმე დაუხარჯავს. აშშ-ის წილად მოდის მთელი მსოფლიოს სამხედრო ასიგნირებების თითქმის ნახევარი. რეალურ გათვლებში აშშ-ის დანახარჯები „თავდაცვაზე“ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გაორმაგდა.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკა მეექვსე ომისთვის ემზადება

**როგორც მისმა ერთ-ერთმა თანაშემწემ განაცხადა, ჯორჯ ბუშ-უმცროსი ძალზე შორს იყო „ეგრეთ წოდებული რეალისტებისგან“. იმ პერიოდში თეთრი სახლის თანამშრომელთაგან ერთ-ერთს პუბლიცისტ რონ ზიუსკინდთან საუბრისას წამოსცდა: „ჩვენი ქმედებებით საკუთარ რეალობას ვქმნით“.**

**როგორც ჩანს, სენატორი — რესპუბლიკელი ლინდსი გრემი, რომელიც დღეს სირიასთან ომის მომხრეა, თეთრი სახლის იმ თანამშრომლის მსგავსად, თავს მიწიერი რეალობისგან თავისუფალ „ისტორიის შემოქმედად“ მიიჩნევს.**

ამ დროს აშშ უკვე გაკოტრებულია. წელს სახელმწიფო დანახარჯებმა რეკორდულ თანხას — 3,8 ტრილიონ დოლარს მიაღწია და ამ თანხის 40% ვალია. საერთო ჯამში **სახელმწიფო ვალი უკვე 14 ტრილიონ დოლარს აჭარბებს და უახლოესი 10 წლის განმავლობაში ის, შესაძლოა, გაორმაგდეს, თუ ვაშინგტონი სერიოზულად არ დაკავდება ქვეყნის ეკონომიკით.**

მაგრამ, როგორც მოსალოდნელია, წინ ახალი ხარჯები გველის: „Fannie Mae“ და „Freddie Mac“ კვლავაც წამგებიანია, დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია ყველა ახალ ბანკს ხურავს, კორპორაციის ვალდებულებები საპენსიო დაზღვევასთან დაკავშირებით კი განუხრელად იზრდება.

უფრო მეტიც, სოციალური და სამედიცინო პროგრამების დანახარჯების რეალისტური შეფასება აჩვენებს, რომ ამ სფეროებში დაფინანსების დეფიციტი 100 ტრილიონ დოლარს აჭარბებს. მაგრამ ყველაფერი, რაც სენატორმა გრემმა და მისმა კოლეგებმა მოახერხეს, მიმდინარე წლისთვის ბიუჯეტის სახარჯო ნაწილის 1%-ით შემცირება იყო და თვით ამგვარი „ეკონომიაც“ საკმაოდ საეჭვო გზებით მოახერხეს.

**დღეს ამერიკა სამხედრო საჭიროებებისთვის უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული ოდესმე დაუხარჯავს.**

აშშ-ის წილად მოდის მთელი მსოფლიოს სამხედრო ასიგნირებების თითქმის ნახევარი. რეალურ გათვლებში აშშ-ის დანახარჯები „თავდაცვაზე“ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გაორმაგდა. რატომაა ეს ხარჯი ესოდენ დიდი? იმიტომ, რომ პენტაგონის ფუნქციის დიდ ნაწილს თავდაცვასთან საერთოც კი არაფერი აქვს, ყოველ შემთხვევაში — ამერიკის თავდაცვასთან. შედეგად, ჩვენმა სამხედრო ვალდებულებებმა მთელს მსოფლიოში უპრეცენდენტო მასშტაბებს მიაღწია. **ვაშინგტონი ფინანსური შეთანხმებების შესაბამისად განაგრძობს აღორძინებული და ძლიერი მოკავშირეების — სამხრეთ კორეის, იაპონიის, კანადის, ევროპის დაცვას. ყოველ მათგანს მშვენივრად შეუძლია, საკუთარი ძალებით დაიცვას თავიცა და რეგიონიც, მაგრამ ეს არავის აინტერესებს. არაოფიციალურად აშშ-ის დაცვის ქვეშ მყოფთა სიაში შედის ტაივანიც. სენატორ ჯონ მაკეინს რომ არჩევნებში გაემარჯვა, სიას საქართველოც შეემატებოდა.**

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მეორე სავიზიტო ბარათი ხიშტის დახმარებით წარმოებული „სოციალური ინჟინერიაა“. ამჟამად აშშ-ის შეიარაღებული ძალები მონაწილეობენ სამ, ოთხ ან ხუთ (დათვლის მეთოდიკის მიხედვით) საომარ კონფლიქტში. ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაცია ანტიამბოხებულში გადაიზარდა. გარდა ამისა, **ამ ქვეყანაში ვაშინგტონი დასავლური ტიპის ლიბერალური საზოგადოების აშენებას ცდილობს და ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება ან ამის წინაპირობები იქ საერთოდ არ მოიძებნება.** თუნდაც ჩაითვალოს, რომ ბოლო დროს იქ სიტუაციას გაუმჯობესება დაეტყო, დღეს ამერიკა ამ მიზნის იქამდე გავრცობაზე, რაც ათი წლის წინათ ავღანეთში შეჭრისას იყო ნაგულისხმევი, უარს ამბობს.

გარდა ამისა, ობამას ადმინისტრაცია ერაყიდან ჯარების გაყვანას არ აპირებს, მერე რა, რომ იქ არჩევნები ჩატარდა, ეროვნული შეიარაღებული ძალები შეიქმნა და ამბოხება ჩახშობილია. **ქვეყანაში სამხედროების დატოვებით აშშ კიდევ ერთ სუსტ „დაცვის ქვეშ მყოფს“ იძენს. ამერიკელ ჯარისკაცებს, შესაძლოა, შიდა კონფლიქტებში ჩარევა მოუხდეთ, ოღონდ გაურკვეველია — ვის მხარეს. ამ დროს ბაღდადში ხელისუფლება განუხრელად მიიწევს ავტორიტარიზმისკენ.**

ამის შემდგომ მოდის აშშ-ის სამხედრო ოპერაციების მასშტაბების ზრდა პაკისტანსა და იემენში, რაც, ძირითადად, უპილოტო საფრენი აპარატებიდან სარაკეტო დაბომბვებამდე დადის.



მართალია, მათი სამიზნე ის ტერორისტები არიან, რომლებიც აშშ-ისთვის საფრთხეს წარმოადგენენ, პაკისტანში იმ ჯიხადისტებზეც ნადირობენ, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვიან. მაგრამ **ამერიკული რაკეტებისგან მხოლოდ ბოევიკები კი არა, აბსოლუტურად უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქეებიც იხოცებიან. შედეგად ადგილობრივ მოსახლეობაში აშშ-ის მიმართ მტრული განწყობა მატულობს, ტერორისტთა რიგები კი მხოლოდ ივსება და არაერთი მათგანი მზადაა, ახლავე დახოცოს ამერიკელები თუნდაც ამერიკის მიწაზე.**

და ბოლოს, **ლიბიაში მიმდინარე ოპერაცია ჰუმანიტარული ინტერვენციისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის შერწყმაა. თავიდან ის სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის მიზნით დაიწყო და მერე რა, რომ არნახული ხოცვა-ჟლეტის რაიმე ნიშანი არსად, მათ შორის არც ბენღაზში, არავის უნახავს.**

უფრო მეტიც, მოამარ კადაფის მეომრებს არც ერთ იმ ქალაქში, რომელიც თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს, მასობრივი მკვლელობები არ განუხორციელებიათ, პრესის მიერ ესოდენ ხშირად ციტირებული მისი კოლორიტული განცხადებები კი, მოსახლეობას კი არა, ამბოხებულ მეომრებს ეხება. ახლა ობამას ადმინისტრაცია და ევროპის ხელმძღვანელობა, რომლებიც პირზე დუჟმომდგარნი უარყოფდნენ თავის დროზე, რომ მათი მიზანი ლიბიაში რეჟიმის შეცვლა იყო, გაიძახიან, რომ კადაფი უნდა შეიცვალოს.

**საომარი მოქმედებების სამი თვის თავზე აშშ-მა და ნატომ პირველადი ამოცანაც კი ვერ შეასრულეს. უფრო მეტიც, ლიბიაში სამოქალაქო ომის გაჭიანურების ხელისშეწყობით ისინი ნაწილობრივ პასუხისმგებელნი არიან მის მსხვერპლზე, რაც, სხვადასხვა მონაცემებით, უკვე აღწევს 10-15 ათასს.** მოკავშირეებს არც მეორე ამოცანის შესრულების მხრივ აქვთ საქმე კარგად: კადაფი ძველებურად სავსეა ბრძოლის გაგრძელების ჟინით. გარდა ამისა, კადაფი რომც დამარცხდეს, ეს კონფლიქტის დასასრული არ იქნება. ლიბიის ოპოზიცია მრავალსახოვანი ალიანსია, რომელიც შედგება დემოკრატებისგან, კადაფის მოღალატეებისგან, რადიკალი ისლამისტებისგან და რეჟიმისადმი მტრულად განწყობილი თემებისგან. ვინ გაიმარჯვებს ხელისუფლებისთვის ბრძოლის პრაქტიკულად გარდაუვალ მეორე რაუნდში, წინასწარ აბსოლუტურად არაპროგნოზირებადი საკითხია. უფრო მეტიც, ამ შეტაკებაში ვაშინგტონი განზე დგომას რ აპირებს, მით უფრო, თუ წარმატება „არასასურველი“ ძალების მხარეს იქნება.

სენატორი გრემი, რომელიც ორი წლის წინათ სიამოვნებით სეირნობდა ტრიპოლში და კადაფისთან ერთად მისი რეჟიმისთვის ამერიკული სამხედრო დახმარების გაწევის ვარიანტებს განიხილავდა, დღეს დაუღალავად იქნევს ხმალს და აშშ-ისა და ნატოსგან საბრძოლო მოქმედებების ესკალაციას მოითხოვს. ამ დროს მისთვის ლიბია მომავალი სამხედრო აქციების რეპეტიციაა. გადაცემა „ქვეყანასთან დიალოგის“ ეთერში მან განაცხადა: **„თუ კადაფისგან ლიბიელი ხალხის დაცვის გადაწყვეტილება გამართლებულია, ამაში კი ეჭვი არ მეპარება, ჩნდება კითხვა, ხომ არ დადგა დრო, მსგავსი რამ სირიაშიც გავაკეთოთ?“.**

ამის შემდეგ გრემმა, რომელიც შეიარაღებულ ძალთა კომიტეტის სენატორთაგან ერთ-ერთია, განმარტა: **„შესაძლოა, ეს მომენტი ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ის ძალზე ახლოა. ასადის ქმედებები კადაფის ქმედებებისგან უკვე აღარ განსხვავდება... აუცილებელია ყველა ვარიანტის, მათ შორის ლიბიის მსგავსი აქციის განხილვაც“.**

უკვე წარმოებული ხუთი ომი არ გვყოფნიდა და მეექვსელა გვაკლდა!

ახლა უნდა გამოვიცნოთ, რატომ სურს სენატორს ისე ჩაგვითრიოს კიდევ ერთ კონფლიქტში, რომ აშშ-ს ნაციონალურ ინტერესებთან მიახლოებული რაიმე მიზნებიც კი არ არსებობდეს. შესაძლოა, მას უბრალოდ საპარლამენტო რუტინა მოსწყინდა და მოწია სიგარეტი, რომელშიც თამბაქო არ იყო? ან იქნებ საზოგადოებისგან რაიმე სულიერი სენი დამალა და ამჯერად წამლის დალევა დაავიწყდა? ხომ შეიძლება, უბრალოდ სულელი იყოს?

არა, სენატორი ნარკოტიკებისადმი მიდრეკილებაში შემჩნეული არ არის, ფსიქიური დაავადებებით არ იტანჯება და ვერც სულელს უწოდებ. **სხვა ამერიკელი პოლიტიკოსების მსგავსად, გრემიც დარწმუნებულია, რომ აშშ სამყაროს ცენტრია და ჩვენ შეგვიძლია ვაკეთოთ ყველაფერი, რაც მოგვინდება. როგორც პრეზიდენტი ბუშ-უმცროსი, სენატორი ფიქრობს — რეალობა მას არ ეხება.**

რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია, ზიანი მივაყენოთ სირიის ჯარს. მაგრამ მხოლოდ დაბომბვები ამისთვის არ კმარა ან ის ლიბიასთან შედარებით გაცილებით მასშტაბური და დამანგრეველი უნდა იყოს. მაგრამ კითხვა კითხვად რჩება: **რა იქნება შემდეგ? დავუშვათ, ასადი მოკლეს ან ჩამოაგდეს. მერე ვის დარჩება ხელისუფლება? ვინ დაიცავს სირიის რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს? ვინ ააშენებს იქ ლიბერალურ დემოკრატიას? ვინ დაარეგულირებს კონფესიურ დაპირისპირებებს შიიტებს, სუნიტებსა და ალავიტებს შორის? ვინ აღკვეთს გაუთვალისწინებელ, მაგრამ გარდაუვალ შედეგებს, როდესაც ჩვენ კიდევ ერთ ქვეყანას ავაფეთქებთ?**

თუ ჩვენ ამ საკითხებს არააქტუალურად მივიჩნევთ, მაშინ მხოლოდ სირიაზე შეჩერება არ შეიძლება. ასეთსავე ყურადღებას უდავოდ იმსახურებს ირანიცა და სუდანიც, ბაჰრეინსა და მით უფრო საუდის არაბეთს, სადაც რეპრესიული, ლამის ტოტალიტარული რეჟიმი მართავს ქვეყანას, სარაკეტო შოკური თერაპია ნამდვილად არ აწყენდა. ამავე სიას დავუმატოთ ჩრდილოეთ კორეა და ბირმა. კიდევ არის ერთი ღირსეული კანდიდატი — ზიმბაბვე. მას მთელ სამხრეთ აფრიკაში ყველაზე ტირანული რეჟიმი მართავს. ჩვენს ნახევარსფეროსაც გადავხედოთ — აგერ კუბა და აგერ ვენესუელა. რაც შეეხება ევრაზიას, ბელარუსსა და ყველა ცენტრალურაზიურ ქვეყანას, უპილოტო საფრენი აპარატებიდან რამდენიმე დარტყმა მაინც უნდა ერგოთ. **როგორც ჩანს, გამართლებულია ომი ჩინეთის წინააღმდეგაც, თავდასხმის ობიექტად შეიძლება მოვიაზროთ რუსეთიც, თუნდაც იქ ხელისუფლება დემონსტრანტების წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას არ აპირებდეს. ერთი სიტყვით, ვაშინგტონს საქმე არ შემოაკლდება.**

ამ მავნებელ ადამიანებს ახსოვთ, რომ ვაშინგტონი უკვე გაკოტრებულია, ამერიკის რამდენიმე შტატი კი, მათ შორის კალიფორნიაც, ფინანსური მდგომარეობის მხრივ საბერძნეთს უტოლდება. მათ ახსოვთ, რომ აშშ-ს სამხედრო ვალდებულებების ტვირთი აწევს იმ ქვეყნების მიმართ, რომელთაც მშვენივრად შეუძლია ჩვენი დახმარების გარეშეც დაიცვან თავი.

მათ იციან, რომ სოციალური ინჟინერია იოლი საქმე არაა ამერიკაში, სადაც რელიგიური, ეთნიკური, ისტორიული და კულტურული ფაქტორები გაცილებით უკეთ ესმით. მათ არ ავიწყდებათ, რომ ნებისმიერი ომი არაპროგნოზირებადია, რომ ერაყში „მსუბუქი გასეირნება“ 4400 ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლედ და ამ ქვეყნის 200 ათასი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლედ ღირდა, რომ ავღანეთის კონფლიქტი, უკვე ათი წელია, გრძელდება და ჩვენ მიერ იქ დაყენებული მთავრობა კვლავაც არაკომპეტენტური, არაპოპულარული და კორუმპირებულია.

**ამერიკას არაფერში სჭირდება მთელი პლანეტის გადაკეთება, ამისთვის ძალებიც არ ეყოფა.**

დროა, თავი დავანებოთ ამ უიმედო საქმეს. თავის დროზე „ეგრეთ წოდებული რეალისტები“ ერაყში ომის წინააღმდეგ გამოვიდნენ და მართლები აღმოჩნდნენ. ახლაც მართლები არიან, როდესაც ახალი სამხედრო ავანტიურების წინააღმდეგ გამოდიან. სამწუხაროდ, **ჯერჯერობით ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტი უაზრო ომების შედეგებზე იმაზე მეტს არ ფიქრობს, ვიდრე მისი წინამორბედი ფიქრობდა.**

**„THE NATIONAL INTEREST“**

ტერორიზმი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად იმისა, რომ ბენ ლადენის სახე დაზიანებული იყო, სპეციალისტებმა 95%-იანი მსგავსება დაადგინეს. იმისათვის, რომ რაიმე ეჭვი არ დარჩენილიყო, ჩატარდა მეორე, გაცილებით უფრო ზუსტი, შემოწმება — დნმ-ის ანალიზი. ამ ანალიზისას სიზუსტე 99,9%-ს უტოლდება. პროცენტის ერთი მეასედი უცნობი რჩება, რადგან ხელისუფლებას არ ჰქონდა ბენ ლადენის დნმ-ის ნიმუში, რომელსაც ახალ ნიმუშთან შეადარებდა. სამაგიეროდ, შესაძლებელი იყო გარდაცვლილის დნმ-ის ბენ ლადენის უახლოესი ნათესავების დნმ-თან შედარება.**

# ბენ ლადენის ლიკვიდაცია

„დისქოვერის" ფილმის სიუჟეტი რეალურ მოვლენებს ეფუძნება და მასში ამერიკაში ყველაზე ძებნილი ტერორისტის — უსამა ბენ ლადენის შეპყრობის ისტორიაა მოთხრობილი. ეს ეროვნული უშიშროების სამსახურის უმნიშვნელოვანესი დავალება იყო უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. მასში აშშ-ის ყველაზე კარგად ნავარჯიშები ჯარისკაცები — საზღვაო ქვეითთა სპეცდანიშნულების რაზმის წევრები მონაწილეობდნენ და, პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ მისიის ჩავარდნის უფლება არავის ჰქონდა. ფილმში აღწერილია, თუ როგორ მიმდინარეობდა „ალ ქაიდას" ლიდერის განადგურების ოპერაცია. ეს იყო დავალება, რომელიც ისტორიაში დარჩება.







## უსამას ერთი ტყვია მკერდის არეში მოხვდა, მეორე — თავში

დასასრული. დასაწყისი იხ. №21-22

**ჯიმ მიკლაშევსკი, „NBC news"-ი:**

**— ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მაშინვე ესროლა უსამას ცოლს; მეორემ თითქმის იმავე წამს ორჯერ ესროლა თავად უსამას. მას ერთი ტყვია მკერდის არეში მოხვდა, მეორე — თავში.**

მსოფლიოში ყველაზე ძებნილი ტერორისტი მკვდარი დაეცა. იქვე ახლოს იდო მისი საყვარელი კალაშნიკოვი და პისტოლეტი.

**ჯიმ მიკლაშევსკი:**

**— მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციის მთავარი მიზანი ბენ ლადენის განადგურება ან მისი ცოცხლად აყვანა იყო, შედეგი წინასწარვე იცოდნენ.**

ჯარისკაცები შენობის შიგნით დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში იმყოფებოდნენ. ოპერაციის დასრულებამდე კი ჯერ კიდევ რჩებოდა სამუშაო. მნიშვნელოვანი საკითხი მოკლულის ვინაობის დადასტურება იყო. ბენ ლადენის სხეული ტომარაში მოათავსეს და შენობიდან გაიტანეს. სწორედ ამ დროს გადაიღეს ფოტოსურათი. ბენ ლადენის ცოლთაგან ერთ-ერთმა იგი ამოიცნო და დაადასტურა, რომ მოკლული ნამდვილად უსამა იყო.

ბენ ლადენი სიმაღლეში მეტრი და 94 სანტიმეტრი უნდა ყოფილიყო. მისი სიმაღლის გასაზომად ცხედრის გვერდით დაწვა ერთ-ერთი ჯარისკაცი, რომლის სიმაღლეც 1,82 მეტრი იყო. სიმაღლის გაზომვის სხვა საშუალება არ იყო — ჯგუფს საამისოდ თან რაიმე ხელსაწყო არ აღმოაჩნდა.

ბენ ლადენის სიმაღლე მოსალოდნელ 1,94 მეტრზე მეტი აღმოჩნდა. ჯგუფის წევრთაგან ერთ-ერთმა რადიოს საშუალებით გაგზავნა მოხსენება: „უფლისა და ქვეყნის სახელით, ჯერონიმო, ჯერონიმო, ჯერონიმო". თავის მხრივ, ცსს-ს მეთაურმა თეთრ სახლში გაგზავნა მოხსენება: „ჯერონიმო ოპერაციის მსვლელობისას მოკლულ იქნა".

**ჯონ ბრენანი, ნაციონალური უშიშროების მრჩეველი:**

**— როდესაც გავიგეთ სახელი ჯერონიმო და ის, რომ იგი მოკლულია, მივხვდით, რომ ბენ ლადენის დრო დასრულდა. მაგრამ ჩვენ უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ ეს მოკლული ნამდვილად უსამა ბენ ლადენი იყო.**

სადაზვერვო ჯგუფი სახლში შევიდა და ყოველგვარი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოგროვება დაიწყო. აგროვებდნენ კომპიუტერებს, რვეულებსა და პირად ნივთებს. ბენ ლადენის სხეული გადაიტანეს ერთ-ერთ თვითმფრინავში, რომელიც ეკიპაჟის ნაწილის წასაყვანად იცდიდა.

ვერტმფრენი, რომელმაც ოპერაციის დასაწყისშივე განიცადა კატასტროფა, დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი საშუალებებით აავსეს და მას შემდეგ, რაც დანარჩენები აფრინდნენ, ააფეთქეს.

**დენ გორი, ლექსინგტონის ინსტიტუტი:**

**— მას შემდეგ, რაც ვერტმფრენებმა უსაფრთხო დაშორებას მიაღწიეს, ნაავარიევი ვერტმფრენი ააფეთქეს.**

აფეთქებით აშშ-ის ვერტმფრენთა მშენებლობის საიდუმლოებები გაუმჟღავნებელი დარჩებოდა.

**დენ გორი:**

**— აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერტმფრენის კუდი მნიშვნელოვან მანძილზე მოისროლა. მათ სურდათ, ვერტმფრენის რაც შეიძლება ბევრი დეტალი აეფეთქებინათ.**

დამრტყმელი ჯგუფი მიწაზე 38 წუთის განმავლობაში დარჩა. ამის შემდეგ მათ თან წაიღეს სავარაუდო ბენ ლადენის ცხედარი. შენობაში დარჩა ათზე მეტი ქალი და ბავშვი და ოთხი ცხედარი.

ვერტმფრენის აფეთქებამ პაკისტანის ხელისუფლების ყურადღება მიიქცია.

**ტიმ ბრაუნი, global security.org:**

**— აფეთქების შემდეგ პაკისტანის ხელისუფლებამ ოპერაციის ზონაში თავისი თვითმფრინავები გაგზავნა.**

**მაიკლ დურანტი, ბლექჰოუკის მფრინავი:**

**— პაკისტანის არმია ცეცხლს არ გახსნის, თუ შეიტყობს, რომ მის წინაშე აშშ-ის ვერტმფრენებია, მაგრამ საფრთხე ყოველთვის არსებობს. როდესაც ეს საფრთხე თავიდან იქნა აცილებული, შვება ვიგრძენით.**

თეთრი სახლის ოპერატიულ ცენტრში კი პრეზიდენტმა წარმოთქვა სიტყვები, რომელთაც ყველა დიდხანს ელოდა: ჩვენ იგი ავიყვანეთ!

ამის შემდეგ მეცნიერულად უნდა დადასტურებულიყო, რომ ეს ნამდვილად უსამა ბენ ლადენის გვამია.

გამოყენებულ იქნა ორი მეთოდი. პირველი მეთოდი სახის ამოცნობა იყო.

**ჯონ კერაკუ, ცსს-ს ოპერაციების დირექტორი:**

**— სახის ამოცნობის სპეციალური პროგრამა ხშირად გამოიყენება ცსს-ს მიერ „ალ ქაიდას" წევრების მოსაძებნად. ვფიქრობ, რომ ბენ ლადენის ფოტო ცსს-ს შტაბ-ბინაში და თეთრ სახლში პიროვნების ვინაობის დასადგენად გაიგზავნა.**

**ტომ ვალენტინი, საზღვაო ქვეითთა სპეცრაზმის ოფიცერი:**

**— ეს პროგრამული უზრუნველყოფა სახეზე წერტილებს აანალიზებს. თვალების ირგვლივ, ცხვირსა და ნიკაპზე არსებული წერტილების ანალიზი საშუალებას იძლევა, დადგინდეს, არის თუ არა ადამიანი ნამდვილად ის, ვინც ჰგონიათ.**

მიუხედავად იმისა, რომ ბენ ლადენის სახე დაზიანებული იყო, სპეციალისტებმა 95%-იანი მსგავსება დაადგინეს. იმისათვის, რომ რაიმე ეჭვი არ დარჩენილიყო, ჩატარდა მეორე, გაცილებით უფრო ზუსტი, შემოწმება — დნმ-ის ანალიზი.

**პროფესორი ლარი კობილინსკი, ჯონ ჯეის კოლეჯი:**

**— აუცილებელი იყო იმ აღჭურვილობათა გამოყენება, რომლებიც სწრაფად მოგვცემდა შედეგს. ცხადია, ანალიზის ხარისხი იმდენად მაღალი არაა, რამდენადაც რთული აღჭურვილობის გამოყენებისას, მაგრამ, სამაგიეროდ, შედეგები სულ რამდენიმე საათში ხდება ცნობილი. პრეზიდენტი არ განაცხადებდა ბენ ლადენის განადგურების შესახებ, თუ ამაში აბსოლუტურად არ იქნებოდა დარწმუნებული.**

ამ ანალიზისას სიზუსტე 99,9%-ს უტოლდება. პროცენტის ერთი მეასედი უცნობი რჩება, რადგან ხელისუფლებას არ ჰქონდა ბენ ლადენის დნმ-ის ნიმუში, რომელსაც ახალ ნიმუშთან შეადარებდა. სამაგიეროდ, შესაძლებელი იყო გარდაცვლილის დნმ-ის ბენ ლადენის უახლოესი ნათესავების დნმ-თან შედარება.

კვირას, 1 მაისს, 23 საათსა და 35 წუთზე, პრეზიდენტი ობამა ახალი ცნობით წარსდგა:

**— ამერიკის, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნების მოქალაქეებს სიამაყით გაცნობებთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელა წარმატებული ოპერაცია უსამა ბენ ლადენის — „ალ ქაიდას" ლიდერის გასანადგურებლად.**

როდესაც მრავალი ამერიკელი ამ ფაქტის გამო ხარობდა, მისიის დამასრულებელი ეტაპი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა.

საზღვაო ქეითებმა ბენ ლადენის სხეული არაბეთის ზღვის ჩრდილოეთით წაიღეს და მისი მოკვლიდან 12 საათის შემდეგ ისლამის ყველა წესის დაცვით დაკრძალეს. მისი სხეული გემიდან ზღვაში ჩაუშვეს.

**მაიკლ შიჰენი, ტერორიზმის ექსპერტი:**

**— ჩვენ ის ზღვაში დავმარხეთ, რაც მშვენიერი გადაწყვეტილება იყო. არ არსებობს საზღვრები, არ არსებობს გარკვეული ადგილი ან ქვეყანა, სადაც მისი ცხედარია და სადაც მუდმივად შეიკრიბებოდნენ ჯიჰადისტები.**

**დენ გორი:**

**— ის რომ ხმელეთზე დაგვემარხა, ამით დამატებით სირთულეებს შევქმნიდით.**

მისიის წარმატებულობა მხოლოდ იმაში არ ▶

**ბარაკ ობამა, აშშ-ის პრეზიდენტი:**

**ამერიკის, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნების მოქალაქეებს სიამაყით გაცნობებთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელა წარმატებული ოპერაცია უსამა ბენ ლადენის — «ალ ქაიდას» ლიდერის გასანადგურებლად**



ოპერაციიდან ოთხი დღის შემდეგ პრეზიდენტი ობამა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის ადგილს ეწვია და იქ დაღუპულთა ნათესავებს შეხვდა. იგი სიტყვით არ გამოსულა, მხოლოდ პატივი მიაგო იმ ათასობით ადამიანის ხსოვნას, რომლებიც ნიუ იორკსა და მთელ მსოფლიოში ბენ ლადენის ტერორისტული აქტების შედეგად დაიხოცნენ.



ტერორიზმი

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაუხმაურებელი დეტალები



## «ალ ქაიდას» ლიდერის მხრიდან მასშტაბური წინააღმდეგობის გაწევის შესახებ ინფორმაცია გადაჭარბებული იყო

◀ გამოიხატება, რომ ბენ ლადენი განადგურდა, დაზვერვამ მიიღო ფასდაუდებელი ინფორმაცია ოპერაციის ადგილიდან წამოღებული 10 მყარი დისკის, 5 კომპიუტერისა და 100-ზე მეტი ელექტრომატარებლისგან — დისკისა და მეხსიერების ბარათისგან. აშშ-ის ხელისუფლება ირწმუნება, რომ ამ ყველაფრიდან ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მიღებული.

**ჯონ კერაკუ, ცსს-ს ოპერაციების დირექტორი:**

**— ეს შეიძლება 2001 წლის ტერორისტული აქტების შემდეგ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციად იქცეს დაზვერვისთვის. უმნიშვნელოვანესი ის ინფორმაციაა, რომელიც აიმან ალ-ზავაჰირის ადგილმდებარეობას მიანიშნებს. იგი „ალ ქაიდაში" ნომერ მეორე ტერორისტია.**

აშშ-ის ხელისუფლება ირწმუნება, რომ ელექტრომატარებლებზე შენახული ზოგიერთი ინფორმაციის ნახვის შემდეგ მათ „ალ ქაიდას" რამდენიმე პოტენციური გეგმის შესახებ შეიტყვეს. ერთ-ერთი ამგვარი გეგმა აშშ-ში რკინიგზის აფეთქება იყო. ცსს-ს ასევე ხელთ აქვს დიდი რაოდენობით სასარგებლო ვიდეომასალა.

7 მაისს ხელისუფლებამ უჩვენა ვიდეოს ხუთი ფრაგმენტი. მათგან ზოგიერთი ადრეც იყო ტრანსლირებული. მათ შორის არის პროპაგანდისტული ხასიათის ჩანაწერები და იმის ჩანაწერი, თუ როგორ უყურებს ბენ ლადენი ტელეეთერით საკუთარ გამოსვლას. ყველა ჩანაწერი გადაიცა გახმოვანების გარეშე. მათზე ასევე განთავსებულია ინფორმაცია, რომელიც დაზვერვისთვის უდიდეს ინტერესის საგანს წარმოადგენს.

**ერიკ ონილი, გამოძიების ფედერალური ბიურო:**

**— თუ ვისაუბრებთ იმის შესახებ, რა მოცულობის ინფორმაცია ინახება ერთ მყარ დისკზე, ვიტყოდი, რომ ერთი მყარი დისკიც საკმარისია იმისათვის, რომ მთელი „ალ ქაიდა" განადგურდეს.**

**ჯონ კერაკუ:**

**— ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია „ალ ქაიდას" სტრუქტურის შესახებ, რაც ყოველთვის გვაინტერესებდა და რაზეც არანაირი მონაცემი არ გაგვაჩნდა. განსაკუთრებულ ინტერესს ამ ორგანიზაციის დაფინანსება იწვევდა.**

**ტომ ვალენტინი, საზღვაო ქვეითთა სპეცრაზმის ოფიცერი:**

**— არ ვიცი, რა ინფორმაცია ინახება ამ დისკებზე, მაგრამ მომდევნო წლებში „ალ ქაიდასთან" ბრძოლის საქმეში ამას გაცილებით მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე თავად ბენ ლადენის განადგურებაა.**

ბენ ლადენის განადგურების მისია შეასრულეს ელიტური სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა, რომელთა სახელებსაც ვერასდროს გავიგებთ. მათ მხარს უჭერდა წამყვანი ტექნიკოსებისა და მზვერავების ჯგუფი, ასევე, აშშ-ის ხელისუფლება და მისი მოკავშირეები.

**ბარი მაკაფრეი, აშშ-ის არმიის გენერალი:**

**— მან ათასობით უდანაშაულო ადამიანი მოკლა. მე ვთვლი, რომ ბენ ლადენის ლიკვიდაცია აუცილებელი და გამართლებული ნაბიჯი იყო. ვთვლი, რომ მისი განადგურება მთელი კაცობრიობის სიხარულია.**

პრეზიდენტი და მისი მრჩევლები ზეიმობდნენ.

**ჯონ ბრენანი, ნაციონალური უშიშროების მრჩეველი:**

**— როდესაც სროლა ატყდა, ბენ ლადენმა ქალი აიფარა, რათა მისით დაეცვა თავი ტყვიებისგან.**

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ „ალ ქაიდას" ლიდერის მხრიდან მასშტაბური წინააღმდეგობის გაწევის შესახებ ინფორმაცია გადაჭარბებული იყო.

**ჯიმ მიკლაშევსკი:**

**— ეს აგიჟებდა მსგავს შემთხვევებზე მომუშავე რეპორტიორებს. თეთრი სახლი ირწმუნებოდა, რომ ადგილი ჰქონდა ხანგრძლივ ორმხრივ სროლას. ეს არაბუნებრივად ჟღერდა და თეთრ სახლშიც ყველამ მშვენივრად იცოდა ამის შესახებ.**

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ შენობაში ერთადერთი ადამიანი იყო შეიარაღებული, გაჩნდა კითხვა, თუ რატომ არ აიყვანეს ბენ ლადენი ცოცხლად.

**დენ გორი:**

**— გეგმის მიხედვით, ეს ადამიანი ცოცხლად უნდა აეყვანათ, თუ თავიდანვე აწევდა ხელებს და დანებდებოდა. თუ ბენ ლადენი გამოიქცეოდა ყვირილით: „გნებდებით", მას ცოცხლად აიყვანდნენ, მაგრამ, ვინაიდან ასე არ მოიქცა, ჯარისკაცებს ყველანაირი უფლება ჰქონდათ, დაუყოვნებლივ გაეხსნათ ცეცხლი.**

**მაიკლ ისიკოფი, „NBC news"-ი:**

**— არ ვთვლი, რომ მათ სურდათ, ბენ ლადენი ცოცხლად შეეპყროთ. რომ დაეპატიმრებინათ, მერე რა უნდა ექნათ? სად უნდა წაეყვანათ? როგორ გაესამართლებინათ? მისი საქმე რამდენიმე წელს გაიწელებოდა. გაცილებით ადვილი იყო მისი სხეულის ზღვისთვის მიბარება, ბენ ლადენისგან კვალიც რომ აღარ დარჩენილიყო.**

„ალ ქაიდამ" ინტერნეტში გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ მათი ორგანიზაციის ლიდერი მოკლულია და დაიმუქრა, რომ მალე ამერიკაში ახალი ტერორისტული აქტები მოხდება. მათი თქმით, ამერიკელების სიხარული მალე მწუხარებად შეიცვლება.

**ჯიმ მიკლაშევსკი:**

**— არ ვთვლი, რომ უახლოეს მომავალში „ალ ქაიდა" რაიმე ტერორისტულ აქტს ჩაატარებს. ახლა ისინი იმალებიან. მათ ხომ წარმოდგენა არ აქვთ, რა ინფორმაციაა იმ მატარებლებზე, რომლებიც ჩვენმა ჯარისკაცებმა წამოიღეს.**

**დენ გორი:**

**— ძალიან კარგია, რომ მუსლიმანური სამყაროდან, არაბული საზოგადოებიდან არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია ბენ ლადენის განადგურებას. ეს იმის დადასტურებაა, რომ „ალ ქაიდა" სუსტდება, მას არაფერი გამოუვა, ვერ მოახერხებს შუა აღმოსავლეთში ხელისუფლების ჩამოგდებას და მით უფრო ვერაფერს დააკლებს აშშ-ის ხელისუფლებას. ვფიქრობ, რომ ტუნისში, ეგვიპტეში, სირიაში, ლიბიაში მომხდარი რევოლუციები იმაზე მიანიშნებს, რომ უსამა ბენ ლადენმა დაკარგა ავტორიტეტი.**

**ჯონ კერაკუ:**

**— ადამიანებს არ სურდათ, რომ ისინი უსამა ბენ ლადენს ან მის მაგვარ ადამიანს ემართა. მათ თავისუფლება უნდათ და მიაღწიეს კიდეც ბენ ლადენის დახმარების გარეშე.**



## საზღვაო ქვეითებმა ბენ ლადენის სხეული არაბეთის ზღვის ჩრდილოეთით ნაწილს და მისი მოკვლიდან 12 საათის შემდეგ ისლამის ყველა წესის დაცვით დაკრძალეს. მისი სხეული გემიდან ზღვაში ჩაუშვეს



ოპერაციიდან ოთხი დღის შემდეგ პრეზიდენტი ობამა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის ადგილს ეწვია და იქ დაღუპულთა ნათესავებს შეხვდა. იგი სიტყვით არ გამოსულა, მხოლოდ პატივი მიაგო იმ ათასობით ადამიანის ხსოვნას, რომლებიც ნიუ იორკსა და მთელ მსოფლიოში ბენ ლადენის ტერორისტული აქტების შედეგად დაიხოცნენ.

ოპერაციაში მონაწილე სპეცსამსახურის აგენტების ვინაობა უცნობი რჩება. მაშინაც კი, როდესაც პრეზიდენტი ობამა კენტუკის შტატში, პორტ კემბელში, სპეციალური დანიშნულების ჯარის მეათე საავიაციო დივიზიის განლაგების ადგილს ეწვია, შეხვედრა კამერების გარეშე ჩატარდა. ბენ ლადენის გამანადგურებელი ჯგუფის წევრების სახელები პრეზიდენტისთვისაც კი უცნობი დარჩა.

ამ ადამიანებმა ერთ ღამეში ისტორიის მსვლელობა შეცვალეს.

**ტიმ ბრაუნი, global security.org-ი:**

**— ვფიქრობ, რომ ეს ოპერაცია აშშ-ის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად იქცევა. ტექნიკური სირთულის, მასში მონაწილე ადამიანების რაოდენობის გათვალისწინებით, არ მგონია, რომელიმე სხვა ქვეყანას მსგავს დავალებასთან გამკლავება მოეხერხებინა.**

**ჯიმ მიკლაშევსკი:**

**— ოპერაციამ იდეალურად ჩაიარა, თვით ერთი ვერტმფრენის კატასტროფის გათვალისწინებითაც კი.**

ბენ ლადენი განადგურებულია, ტერორიზმთან ომი კი გრძელდება. თავის დასაცავად მომავალშიც მოგვიწევს გარჯა.



## ბენ ლადენის გამანადგურებელი ჯგუფის წევრების სახელები პრეზიდენტისთვისაც კი უცნობი დარჩა

მემკვიდრეობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰაჯი-მურატის ცხოვრება მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის ამავე სახელწოდების ნაწარმოებით. ჰაჯი-მურატის ცხოვრების უკანასკნელმა ეტაპმა კავკასიაში სამხედრო სამსახურში მყოფი ახალგაზრდა მწერლის ახლოს გაიარა. ნაწარმოების ერთ-ერთ ვარიანტში ტოლსტოი წერდა: „იმ ხალხისთვის, ვინც კავკასიაში შამილთან ჩვენი ომის დროს არ ყოფილა, ძნელია, წარმოიდგინოს ის მნიშვნელობა, რომელიც მაშინ ჰაჯი-მურატს ჰქონდა მთელი კავკასიის თვალში“.**

# ჰაჯი-მურატი და მეფისნაცვალი

**შამილის მიერ დაწინაურებულთა შორის ბევრი ნათელი პიროვნება იყო. 1851 წელს, თორმეტი წლის განმავლობაში მოპოვებული წარმატებების შემდეგ, რუსების მხარეს გადავიდა იმამ შამილის ერთ-ერთი საუკეთესო ნაიბი — ჰაჯი-მურატი. მან შამილისაგან ბრძანება მიიღო, საუკეთესო მიურიდების ჯგუფთან ერთად (დაახლოებით 600 კაცი) კაიტახსა და ტაბახარანში წასულიყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიურიდიზმის სწავლებისა და დერბენტის შემოგარენზე თავდასასხმელად რაზმის ორგანიზებისთვის. შამილის ჩანაფიქრით, ამ ექსპედიციის წარმატებას შეეძლო კიურინის, აკუშისა და კაზიკუმიხის სახანოებში რუსების წინააღმდეგ აჯანყება გამოეწვია.**

მ. ს. ვორონცოვი



ჰაჯი-მურატი



ჰაჯი-მურატი შეიჭრა კაიტახსა და ტაბასარანში, ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენი რაზმის წინააღმდეგ ააბუნტა, მაგრამ წარმატების შენარჩუნება ჰაჯი-მურატმა ვერ მოახერხა. საომარ სიტუაციებს გადაჩვეულ მოსახლეობას წინააღმდეგობა უკიდურეს ზომებამდე არ მიუყვანია. რუსებთან ორ ბრძოლაში დამარცხებული ჰაჯი-მურატი, დაკარგა რა გზაში ბევრი მეომარი და ცხენი, მთებში გაიქცა.

შამილმა ჰაჯი-მურატი სილაჩრეში დაადანაშაულა და ავარის ნაიბის თანამდებობა ჩამოართვა. რამდენიმე თვის შემდეგ ჰაჯი-მურატმა გადაწყვიტა, რუსებთან გაქცეულიყო.

ნოემბრის მეორე ნახევარში მან შეატყობინა ციხესიმაგრე ვოზდვიჟენში, რომ სურს, ჩაბარდეს, თუკი სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ. ვოზდვიჟენში არსებული ეგერთა პოლკის უფროსმა, პოლკოვნიკმა, თავადმა ს. მ. ვორონცოვმა (მეფისნაცვლის ვაჟმა) წაიყვანა რამდენიმე ასეული ციხესიმაგრიდან და ტყის გადაკვეთაზე შეხვდა კავკასიის ომების ცნობილ გმირს, შემდეგ კი იგი ციხესიმაგრე გროზნოში გაგზავნა, იქიდან კი — თბილისში.

**ჰაჯი-მურატი თბილისში 1851 წლის 8 დეკემბერს ჩავიდა. მეორე დღეს მან გაიცნო მ. ს. ვორონცოვი. დაახლოებით ცხრა დღის განმავლობაში ისინი ჰაჯი-მურატის მომავალ ცხოვრებასა და მისი ოჯახის ბედზე საუბრობდნენ, რომელიც შამილის ხელში იყო დარჩენილი. ძვირფას ადამიანებზე ვერაფერს რომ ვერ იგებდა, ჰაჯი-მურატმა ძილი და მოსვენება დაკარგა, თითქმის არაფერს ჭამდა, გამუდმებით ლოცულობდა და ხანდახან რამდენიმე კაზაკის თანხლებით ჯირითობდა.**

ის ყოველდღე მოდიოდა ვორონცოვთან, რათა გაეგო, ხომ არაფერი შეუტყვია მისი ოჯახის შესახებ. ამასთან, სთხოვდა მეფისნაცვალს მისი ოჯახის წევრების შამილისაგან გამოხსნას, თუნდაც ყველა ტყვე გაეცვალა მათში (გარკვეული ოდენობის თანხის დამატებით). ჰაჯი-მურატი გულმხურვალედ ევედრებოდა მეფისნაცვალს:

**„გადაარჩინეთ ჩემი ოჯახი და შემდეგ უფლება მომეცით, გემსახუროთ (უფრო მეტად ლეკების ხაზზე) და, თუკი ერთ თვეში დიდ სამსახურს ვერ გაგიწევთ, დამსაჯეთ, როგორც გენებოთ“.**

**ვორონცოვი თვლიდა, რომ ჰაჯი-მურატის ოჯახი რუსებთან უნდა ყოფილიყო, ამიტომ გადაწყვიტა, ყველაფერი ეღონა — ჩვენს საზღვრებში არსებული ტყვეები შეეკრიბა, რადგან უფლება არ ჰქონდა, მთიელის ოჯახის გამოსასყიდად მას ფულით დახმარებოდა.**

**ვორონცოვს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. ერთის მხრივ, მას არ შეეძლო, აბსოლუტური ნდობა გამოეცხადებინა ჰაჯი-მურატისთვის; მისი დაპატიმრება კი რუსებისადმი თანაგრძნობით განმსჭვალული მოსახლეობის ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევდა.**

**„სამსახურსა და ასეთ აბურდულ საქმეებში, ძნელია, რომ არ თქვა, შეუძლებელიაო და იარო ერთი სწორი გზით, არ გარისკო, რომ არ შეგეშალოს და არ აიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა. რაკი გზა სწორად გეჩვენება, უნდა გაუყვე მას, რაც იქნება, იქნება“**, — წერდა ვორონცოვი ერთ თავის წერილში, რომელიც 1851 წლის 20 დეკემბერს მისწერა ა. ი. ჩერნიშევს.

მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი ყველაფერს აკეთებდა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რათა გაეთავისუფლებინა ჰაჯი-მურატის ოჯახი. ვორონცოვს იგი შამილის საუკეთესო მებრძოლად მიაჩნდა, ადამიანად, რომელმაც არ იცის შიში, ამავე დროს არის ბუნებით ცბიერი და კარგად იცნობს მთელს დაღესტანს.

ერთ-ერთი თანამედროვე, ვინც კარგად იცნობდა ჰაჯი-მურატს, მასზე ამბობდა:

**„რომ თქვა, ის იყო ყოჩაღი და უშიშარი ყველაზე გაბედულებს შორის, — ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერი თქვა მის დასახასიათებლად: ჰაჯი-მურატის უშიშრობა გასაოცარი იყო თვით კავკასიაშიც კი. მაგრამ მისი გამორჩეულობა მხოლოდ ეს არ იყო. ის გახლდათ კავალერიის არაჩვეულებრივი ბელადი, მიხვედრილი, ბრძოლაში წინდახედული და უკანდახევისას მოუხელთებელი“.**

თანამედროვეები თვლიდნენ, რომ ჰაჯი-მურატს ნებისმიერი ევროპული ქვეყნის არმიაში შეეძლო მაღალი წოდების მიღება.

1852 წელს ჰაჯი-მურატი რამდენიმე ამხანაგთან ერთად რუსებისგან გაიქცა. რამდენიმე საათში ის ყარაბახის, ნუხინის მილიციისა და ლეკთა ალყაში მოექცა.

**„ჰაჯი-მურატი გარდაიცვალა თავზეხელაღებულ ვაჟკაცად, ისეთად, როგორადაც ცხოვრობდა; ალყაში მოქცეულმა მიატოვა რა ცხენები, რომელიღაც ორმოში ამხანაგებთან ერთად დაიმალა, ხელებით თხრიდა მიწას და გინებით პასუხობდა დანებების მოთხოვნას; როცა მას თვალწინ ორი ამხანაგი მოუკლეს, იგი, ოთხი ტყვიით დაჭრილი, მისუსტებული და სისხლისაგან ლამის დაცლილი, გაბედულად ეტაკა მოწინააღმდეგეს და სწორედ მაშინ იყო, რომ მოკლეს“,** — წერდა მ. ს. ვორონცოვი წერილში, რომელიც 1852 წლის 25 აპრილს პეტერბურგში გაგზავნა.

**ჰაჯი-მურატის ცხოვრება მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის ამავე სახელწოდების ნაწარმოებით. ჰაჯი-მურატის ცხოვრების უკანასკნელმა ეტაპმა კავკასიაში სამხედრო სამსახურში მყოფი ახალგაზრდა მწერლის ახლოს გაიარა. ნაწარმოების ერთ-ერთ ვარიანტში ტოლსტოი წერდა: „იმ ხალხისთვის, ვინც კავკასიაში შამილთან ჩვენი ომის დროს არ ყოფილა, ძნელია, წარმოიდგინოს ის მნიშვნელობა, რომელიც მაშინ ჰაჯი-მურატს ჰქონდა მთელი კავკასიის თვალში“.**

ტოლსტოისთვის ჰაჯი-მურატის პიროვნება სიმბოლოა თავზეხელაღებული მთიელი ხალხისა.

ვორონცოვის შემდეგ მხარეში ბევრი რამ შეიცვალა. გრაფი ვ. ა. სოლოგუბი, რომელიც კავკასიაში უდიდესი თავადის — მიხეილ ნიკოლოზის ძის მეფისნაცვლობის დროს იმყოფებოდა, აღნიშნავდა, რომ ამ წლებში იქ უკვე აღარ იყო ის სულიერება, ის უბრალოება, ის ნათელი აღმოსავლური კოლორიტი, რაც — ვორონცოვის დროს.

რა პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ კავკასიამ შემოქმედებითი ადამიანებისთვის დაკარგა თავისი რომანტიკულობა და მიმზიდველობა, რაც მას ვორონცოვის დროს ჰქონდა.

თავადი ა. ი. ბარიატინსკი თამამად შეიძლება მოვიხსენიოთ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის მასწავლებლად. 1845 წელს მთავარსარდალმა მაღალი შეფასება მისცა ალექსანდრე ივანეს ძის დამსახურებას, რომელიც გამორჩეული იყო ანდიის სისხლიან ექსპედიციაში: **„ჩვენი იარაღის წარმატების ძირითად დამნაშავეთა შორის ერთ-ერთია პოლკოვნიკი, თავადი ბარიატინსკი. იგი მე სამართლიანად მიმაჩნია წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენის ღირსად. ის წინ მიდიოდა ყველაზე მამაცთა შორის და იძლეოდა ვაჟკაცობისა და გმირობის მაგალითს იმ საქმეში, რომელიც კავკასიის მატიანეში ყოველთვის იქნება სახელოვანი“.**

ა.ი. ბარიატინსკი კავკასიაში მოხვდა ერთი შემთხვევის შემდეგ, რომელიც XIX საუკუნის ანეგდოტთა კრებულში შევიდა. პეტერბურგის მაღალი საზოგადოების ჩორნაია რეჩკაზე სადღესასწაულო ლხინის დროს მოკაზმული ნავების ფლოტილიას შეეჯახა პატარა ნავი კუბოთი. უცებ, შეცბუნებული საზოგადოების ყვირილზე ნავი მკვეთრად დაიხარა და კუბო წყალში ჩაცურდა. ატყდა პანიკა. ჩაშლილი დღესასწაულისათვის ხუმრობის ავტორებმა სერიოზული სასჯელი მიიღეს: თავადი ს. ვ. ტრებეცკოი კავკასიაში რიგითად გაიგზავნა; თავადი ა. ი. ბარიატინსკი რამდენიმე თვით დააპატიმრეს, შემდეგ კი მასაც კავკასიაში, მთიელებთან ახლოს უკრეს თავი.

1856 წელს თავადი ა. ი. ბარიატინსკი კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდალი ხდება. ითვალისწინებდა რა აღმოსავლეთის სპეციფიკას, ბარიატინსკიმ თავისი რეზიდენცია თბილისში ერთგვარ აღმოსავლურ სტილში გადააკეთა. ე. წ. პირად ოთახებში განსაკუთრებით ახლობელი ადამიანები, სამეგობრო (სამსახურებრივი და ეროვნული ნიშნით განსხვავების გარეშე) დაიშვებოდნენ. ქალაქში თავადი ფეხით არასდროს დადიოდა: თეატრიდან გამოსვლის დროსაც, სულ რაღაც 40 მეტრ მანძილზე გადასაადგილებლად, იძახებდნენ ბადრაგს.

**1859 წლის 22 აგვისტოს თავადმა ბარიატინსკიმ იმპერატორს შეატყობინა: „კასპიის ზღვიდან საქართველოს სამხედრო გზამდე კავკასია თქვენი ძალაუფლების ქვეშაა. ორმოცდარვა ქვემეხი, ყველა ციხესიმაგრე და მოწინააღმდეგის გამაგრება თქვენს ხელთაა“.**

27 აგვისტოს პოლკოვნიკმა ტრამპოვსკიმ პეტერბურგში წაიყვანა ჩეჩნეთისა და დაღესტნის იმამი.

მთელი გზა შამილს ეგონა, რომ ციმბირში მიჰყავდათ და კომპასს აკვირდებოდა.

დილით, 15 რიცხვში, შამილი წარდგა რუსეთის ხელმწიფის წინაშე.

**„მოხარული ვარ, — უთხრა იმპერატორმა, — როგორც იქნა, რუსეთში ხარ. დასანანია, რომ ეს ადრე არ მოხდა! ცხადია, ჩამოსვლას არ ინანებ. მე შენ მოგაწყობ და ერთად მეგობრულად ვიცხოვრებთ!“**

ამასთან, ხელმწიფე მოეხვია შამილს და გადაკოცნა.

მიღების შემდეგ შამილი ჩვენებაზე წაიყვანეს. მას განსაკუთრებით მოეწონა დრაგუნთა, ულანთა და ჰუსართა ჯირითი.

16 რიცხვში იმპერატორი ხარკოვში ჩავიდა. მას გაჰყვა შამილი. ის ცხენებით სეირნობდა, აღფრთოვანებული იყო ქალაქით, ცირკმა გააოცა, ფიქრობდა, რომ საცირკო ჩვენება — ეს ჯადოქრობაა.

საღამოს მაღალი საზოგადოების ბალი გაიმართა. **„როცა ის ბალზე წაიყვანეს და ბრწყინვალე კოსტუმებში გამოწყობილი ქალები დაინახა, ელდანაკრავივით რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ლოცვა დაიწყო. ის, ასევე, გაოცებული იყო განათებითა და დარბაზის სისუფთავით.**

**„კავკასიის ლომს“ უკან ბრბო დაჰყვებოდა“.**

როცა მეფე გაემგზავრა, შამილმა მემამულეთა წარმომადგენელს უთხრა: **„ყველაფერმა, რაც მე აქ ვნახე, ძალიან აღმაფრთოვანა, განსაკუთრებით კი იმან, თუ როგორ უყვართ თავიანთი ხელმწიფე!“**

იმყოფებოდა რა მოსკოვში, შამილი შეხვდა ა. პ. ერმოლოვს, დაათვალიერა კრემლის სასახლე და სხვა ღირსშესანიშნაობები; თეატრში დაესწრო ბალეტს „ნაიადა“.

26 სექტემბერს შამილი სანკტ-პეტერბურგში ჩავიდა. მისი ჩასვლიდან მეოთხე დღეს დაათვალიერებინეს ისაკიევსკის ტაძარი. იქედან გამოსულმა გულზე ხელი მიიდო და ქრისტიანული სიწმინდეებისადმი მოკრძალების ნიშნად თავი დახარა.

შამილმა დაათვალიერა საჯარო ბიბლიოთეკა და „კუნსტკამერა“. სამხედრო-ტოპოგრაფიულ დეპოში მას კავკასიის რელიეფური მოდელი უჩვენეს. შამილი იტალიურ ოპერაშიც წაიყვანეს, ბალეტებზე „კატარინა“ და „პერი“. ის იყო, ასევე, ალექსანდროვის ფოტოგრაფიაში, სადაც ფოტოც გადაუღეს.

შამილი არ იყო ისეთი ფანატიკოსი, როგორადაც ის ზოგიერთებს წარმოუდგენიათ, რის დამამტკიცებლად მისი რელიგიური თავშეკავებულობა გამოდგება. მან უფლება მისცა მთებში გაქცეულ რასკოლნიკებს, აეშენებინათ ახალი საგუშაგოები, დაეცვათ უძველესი ტაძრები და თავისუფლად მოეხდინათ შიგ ღვთისმსახურება.

**„დარწმუნებული იყო, რომ ის რელიგიაა ჭეშმარიტი, რომელსაც შეუძლია, ადამიანი მთელი თავისი არსებით მიიზიდოს“.**

რუსეთში შამილმა ყველა გააოცა თავისი კომუნიკაბელურობით, არაჩვეულებრივი ტაქტით. დაღესტნის მრისხანე მბრძანებელი ყველას აოცებდა თავისი არისტოკრატულობითა და ყურადღებიანობით.

გუნიბიდან პეტერბურგამდე შამილის მოგზაურობისას საზოგადოების ყურადღება ამ ბრწყინვალე პიროვნებისკენ იყო მიპყრობილი.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ეს წარმომადგენელი ისეთ ისტორიულ ფიგურებს განეკუთვნება, რომელნიც გულგრილს ვერ ტოვებენ მხატვრებს, პოეტებს, მწერლებს, კომპოზიტორებს.

შამილის ისტორია აღელვებდა უცხოელ მხატვრებსაც, რომლებიც ქმნიდნენ იმამის პორტრეტებს მხოლოდ წარმოსახვით.

შამილის რუსეთში ჩამოსვლის ადგილად თავდაპირველად დანიშნული იყო კალუგა. 10 ოქტომბერს შამილი ჩამოვიდა ქალაქში და მოუთმენლად ელოდა ოჯახთან შეხვედრას. იმამმა აქ მიიღო ყველა სტუმარი და შემოიარა კალუგის უფროსები, მაგრამ დროთა განმავლობაში სალამოების უმრავლესობას შინ მარტოობაში ატარებდა. დღითიდღე მას უფრო და უფრო ენატრებოდა თავისი ოჯახი. ბოლოს და ბოლოს დადგა დღე შამილის ნათესავებთან შეხვედრისა. მისი ოჯახი კალუგაში ჩამოსვლისას 22 სულისგან შედგებოდა, მათ შორის იყვნენ მოსამსახურეებიც. მალე შამილი ოჯახთან ერთად კიევში გადასახლდა, ხოლო 1870 წელს მას უფლება მიეცა, მექაში გამგზავრებულიყო.

**კავკასიის გმირმა სურვილი შეისრულა: მოინახულა მუჰამედის საფლავი და 1871 წლის 4 თებერვალს სიცოცხლე წმინდა ქალაქში დაასრულა. შამილი დასაფლავებულია მედინაში.**

**„ჟამი ხსნისა“, ნაწილი მეექვსე**

**ვეძვობთ, „სახალხო კრების“ ლიდერებს მხოლოდ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ჩამოშორება სურდათ და არა ჭეშმარიტად სახალხო, სიღრმისეული რევოლუცია, რომელიც სოციალური თანასწორობისა და ადამიანთა სოციალური დაცვის აღდგენისთვის იღვაწებდა.**

## ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სახალხო კრების» გაკვეთილები

**„საქართველო და მსოფლიოს“ 1-7 ივნისის ნომერში სათაურით „საქართველო ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინში“ გამოქვეყნდა მეტად საინტერესო ანალიტიკური წერილი. მადლობა ეთქმის წერილის ავტორს, ბატონ ირაკლი უბილავას, რომელიც მეცნიერულ ანალიზს უკეთებს საქართველოში შექმნილ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას. „ოპოზიციის პოლიტიკური სიკვდილის შემდეგ დღევანდელი პოლიტიკური რეალობა ისეთია, — წერს ავტორი, — რომ ხელისუფლებას, „ნაციონალურ მოძრაობას“ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, ფაქტობრივად, კონკურენტი აღარ ეყოლება“. ბატონი ირაკლის ეს დასკვნა მართებულია.**

**მაისის საპროტესტო აქციაზე საზოგადოებრივ მაუწყებელთან**



ჩვენ, ამ სტრიქონების ავტორები, ძირითადად ვეთანხმებით წერილის ბოლოს მის მიერ გაკეთებულ ხაზგასმას იმის თაობაზე, რომ **„სახალხო კრებამ“ „ქართულ პარტიასთან“ ერთად, ყველანაირი რესურსი ამოწურა და მას ქართულ პოლიტიკაში მომავალი არ აქვს“.** შეიძლება მკითხველს ეს მკაცრ განაჩენად მოეჩვენოს, ხოლო „სახალხო კრებისა“ და „ქართული პარტიის“ ხელმძღვანელობა განაწყენდეს კიდეც, მაგრამ ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალონ და ავტორისეული დასკვნა ყურად იღონ. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ ყველაფერი დაკარგული მაინც არ არის.

სავსებით ვიზიარებთ ბატონი ირაკლის დასკვნას, რომ საქართველოში ახლახან ჩამოყალიბებული პოლიტიკური ამინდი **„გზას უხსნის ახალი პოლიტიკური სუბიექტის გამოჩენას ქართულ პოლიტიკაში“.**

მიუხედავად დამარცხებისა, „სახალხო კრების“ ძალისხმევას გასული წლის 29 სექტემბრიდან დღემდე (ა.წ. 26 მაისის ტრაგედიის ჩათვლით) უკვალოდ არ ჩაუვლია.

**ჩვენ ვთვლით, რომ „სახალხო კრებამ“ ისტორიული მისია შეასრულა — ყველას და ყველაფერს, მათ შორის საკუთარ თავსაც, ლუსტრაცია გაუკეთა; გვიჩვენა ვინ ვინ არის;**

**საშუალება მოგვცა საგნებსა და მოვლენებს ნამდვილი სახელები დავარქვათ, რა თქმა უნდა, თუ ვინმე სინამდვილის გაყალბებას არ შეეცდება.**

ჯერ **ერთი** — „სახალხო კრებამ“ გამოამზეურა მთელი ოპოზიციური სპექტრი, ამხილა მათი უსუსურობა; ფარდა ახადა ოპოზიციის იმ ნაწილსაც, ხელისუფლებას რომ ეკეკლუცება და ხალხის წინაშე ფარისევლობს.

**მეორე** — „სახალხო კრებამ“ გამოამზეურა ქართველ პოლიტიკოსთა, და არა მარტო პოლიტიკოსთა, ისეთი მარადიული სენი, როგორიცაა მეტისმეტად მოჭარბებული ამბიცია, პირველკაცობის წყურვილი. „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ბატონმა გუბაზ სანიკიძემ „სახალხო კრების“ 25 ნოემბრის თავყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას მოძრაობის მისამართით პირველკაცობის სურვილი გააჟღერა; ჩვენ, ამ სტრიქონების ავტორები, იქ ვიდექით და ამას ვისმენდით. ასევე პრეტენზიული იყო ე. კიწმარიშვილის რიხიანი გამოსვლაც მაისის ცნობილ დღეებში.

**მესამე** — „სახალხო კრების“ ძალისხმევის შედეგად, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას „დემოკრატიის შუქურის“ ყალბი და ფარისევლური ნიღაბი აშკარად ჩამოეხსნა, ფართო საზოგადოების წინაშე გაშიშვლდა და, ბატონი ირაკლი უბილავას გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, **„ამერიკული კოლონიზატორული პოლიტიკის მალეგიმიტირებელ მარიონეტთა ჯგუფის სახით წარმოჩინდა“.**

**მეოთხე** — ინტელექტუალებმა სამართლიანად შენიშნეს, რომ „სახალხო კრების“ ბოლო დღეებში აშკარად გამოიკვეთა აშშ-ს დიქტატი, რაც მისი ელჩის განცხადებაში გაჟღერდა კიდეც. თვალნათლივ დავინახეთ, რომ სააკაშვილი ერთგულად ემსახურება ამერიკულ პოლიტიკას და ძია სემს მისი თავიდან მოშორება არა და არ სურს; 26 მაისის დარბევაზე, ხალხის სიცოცხლის ხელყოფაზე მან თვალები დახუჭა. სწორედ ამიტომ ადვილი არ იქნება სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორება.

**მეხუთე** — რაც მთავარია, „სახალხო კრების“ პრაქტიკამ გამოამზეურა მისი სერიოზული ნაკლოვანებები — შეზღუდულობა და შებორკილობა, არათანმიმდევრულობა და, რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს, თვით ხალხისადმი შიშიც კი გააჟღერა. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ როგორც თბილისში, ისე რეგიონებში ერთსა და იმავე ორატორებს უხმობდნენ, ხოლო ადგილობრივებს უფრთხობდნენ; მათი მისამართით რაღაც შეუცნობელ შიშს იჩენდნენ — ვაი თუ სახალხო გამოსვლამ შორს შეტოპოს და სააკაშვილთან ერთად ჩვენც მოგვისრულოსო. **ვეჭვობთ, „სახალხო კრების“ ლიდერებს მხოლოდ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ჩამოშორება სურდათ და არა ჭეშმარიტად სახალხო, სიღრმისეული რევოლუცია, რომელიც სოციალური თანასწორობისა და ადამიანთა სოციალური დაცვის აღდგენისთვის იღვაწებდა.**

მაშ, „სახალხო კრების“ ლიდერებმა რატომ არ წარუდგინეს ხალხს მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი პროგრამა საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით? რატომ ვერ მისცეს ხალხს მწვავე სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული სამოქმედო გეზი, რომელიც უმუშევრებს, ღარიბ-ღატაკებს სახლებიდან ქუჩებში გამოიყვანდა? რატომ არ დაგმეს ნატო-საქართველოს გეოსივრცისათვის შეუთავსებადი ეს ბოროტება? რატომ არ განუმარტეს ხალხს, რომ ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების გასაღები მხოლოდ რუსეთთან კეთილმეზობლობაშია? რატომ არ ამხილეს სააკაშვილის მიერ წამოწყებული ანტირუსული ისტერიკა, აღვირახსნილი ცივი ომი, რომელიც მხოლოდ საქართველოს აზიანებს? რატომ არ დაგმეს სააკაშვილის ანტიეროვნული, ანტისტალინური ბინძური კამპანია? რატომ არ დაიცვეს დიდი სამამულო ომის ქართველ მონაწილეთა პატივი და ღირსება? ნეობოლშევიზმის ძახილით სააკაშვილს ვერაფერი დააკლეს, მაგრამ უფროსი და საშუალო თაობის ადამიანები დიდად რომ გაალიზიანეს, ამას ვერ მიხვდნენ? გაეკეთებიათ ეს ყოველივე და „სახალხო კრება“ პარლამენტის შენობასთან 5-ჯერ მეტ ადამიანს მიიზიდავდა. რას გვეტყვიან მისი ლიდერები?

ჩვენ, ამ სტრიქონების ავტორებს, ხშირად გვისურვია: კარგი იქნებოდა, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე 2007 წლის 7 ნოემბერს გადამდგარიყო, ხელისუფალთა მიერ მოწყობილი რბევისადმი პროტესტის ნიშნად. დღეს იგი ქართველი ხალხის უპირველესი ეროვნული გმირი ქალი იქნებოდა, უაღრესად პოპულარული და ნდობით აღჭურვილი. დასანანია, რომ, მიხეილ ჯავახიშვილის ყბაჩას არ იყოს, მანაც დაიგვიანა და ისტორიული შანსი დაკარგა. მართალია, ქალბატონმა ნინომ შეცდომები აღიარა, მაგრამ უკვე გვიანია. ხალხს ახსოვს, ორიოდე დღის შემდეგ, 2007 წლის 9 ნომებერს, როგორ გაამართლა ქალბატონმა ნინომ მთავრობის მიერ მოწყობილი რბევა: **„აბა, როგორ შეეძლო მთავრობას, ასე არ მოქცეულიყოო“.** ამის გამო დღეს მას ნიშნის მოგებით პასუხობენ: **„26 მაისის სამთავრობო აქციაც გაამართლეთ, ქალბატონო ნინო, ამას თქვენეული ლოგიკა მოითხოვს“.**

სიმართლე უნდა ვაღიაროთ: 21-26 მაისის მძიმე დღეებში ქალბატონებს — ნინოს და ნონას თავი არ დაუზოგავთ; მეტიც, ქალბატონმა ნინომ ბევრ ვაიოპოზიციონერ ლიდერ მამაკაცს მათრახიც გვარიანად გადაუჭირა, როცა მათი მისამართით განაცხადა: **„შარვლები რომ აცვიათ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ვაჟკაცები არიანო“.** მისი ეს ფრთიანი ფრაზა, გვჯერა, დავიწყებას არ მიეცემა.

„სახალხო კრების“ მარცხი არ იყო შემთხვევითი; იგი მთელმა რიგმა მიზეზებისა განაპირობა. მის ლიდერებს უნდა სცოდნოდა — ხელისუფლების შესაცვლელად მარტო სურვილი როდი კმარა. აუცილებელია სახეზე იყოს გამარჯვებისათვის ესოდენ საჭირო ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების სრული სიმწიფე, რასაც პოლიტიკოსები **რევოლუციურ სიტუაციას** უწოდებენ. ასეთ დროს ხელისუფლებაც და ხალხის ფართო მასაც კრიზისულ მდგომარეობაშია. ხელისუფლებასა და მასთან ერთად ზედა ფენას ამოწურული აქვს ქვეყნის მართვისა და ხალხის ხელში დაჭერის ყველა ხერხი და საშუალება, იგი ჩიხშია მომწყვდეული. თავის მხრივ, მილიონობით ქვედა ფენებს აღარ სურთ ცხოვრების ძველებურად გაგრძელება, მოთმინების ფიალა აევსოთ და მზად არიან, მოიპოვონ ახალი ცხოვრება. ამ მიზნის მისაღწევად კი **ხალხს სათავეში უნდა ედგეს ბოლომდე რევოლუციური, ჭეშმარიტად სახალხო პარტია ან პარტიათა კოალიცია, ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს შეცნობილი ხალხის სუნთქვა და ტკივილები.**

იყო კი ხელსაყრელი პირობები ა. წ. მაისში სააკაშვილის ხელისუფლების შესაცვლელად? ანალიტიკოსი მკითხველი, რა თქმა უნდა, გვეტყვის — არა.

სააკაშვილის ხელისუფლებამ სხვადასხვა ხერხების მომარჯვებით, იდეოლოგიური ზემოქმედებით, საჯარო მოხელეების, პოლიციის, ჯარის და ა.შ. მაღალი ხელფასებით უზრუნველყოფის საფუძველზე ჩამოაყალიბა ხელისუფლების მხარდამჭერი საკმაოდ მომძლავრებული რესურსები თუ ბერკეტები და დღეს ნამდვილად არ იმყოფება კრიზისულ სიტუაციაში, ზოგიერთებს რომ ჰგონიათ. რაც შეეხება მრავალრიცხოვან ქვედა ფენას, მათი დიდი ნაწილი დათრგუნული, დაბეჩავებული და გამოთაყვანებულიც კია; მეორე ნაწილი შიშის ტყვეობაშია; ნაწილს კიდევ, ყოველდღიური არსებობისთვის ლუკმაპურის მოსაპოვებლად თავგადაკლულს, ბრძოლისთვის არც დრო აქვს, არც საშუალება; უმუშევართა არმიის დიდ ნაწილს დრო ლოთობა-ნარკომანობაში გაჰყავს, ბრძოლისა და პროტესტისთვის აღარ სცხელა. მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს შენარჩუნებული საბრძოლო სულისკვეთება, არ სურს, დღევანდელ ცხოვრებას შეეგუოს.

ძალზე მრავლისმთქმელი სიმბოლიკაა ბატონ ირაკლი უბილავას ანალიტიკურ სტატიაში ჩახატული ცარიელი სავარძელი. იგი ჭეშმარიტად სახალხო ლიდერს ელოდება, რომელიც ამ სავარძელში ადგილს დამსახურებულად დაიკავებს.

**გივი გურეშიძე,**
**ნუგზარ ავალიანი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პოლიტოლოგები**
**ქუთაისი,**
**16 ივნისი, 2011 წ.**




# გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთვრამეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## 38 წელი აწეული ხელით...

**ამარ ბარტი ინდოელი ასკეტია. მიმდევრები მას წმინდანად მიიჩნევენ, რადგან მარჯვენა შივას შესწირა. ამარმა 38 წლის წინათ ზემოთ ასწია მარჯვენა ხელი და მთელი ამ დროის განმავლობაში ამ პოზიციას ინარჩუნებს.** როგორც თავად „წმინდანი“ ამბობს, თითქმის 40 წელია, რაც გადაწყვეტილება მიიღო, რომ ცოლ-შვილი მიეტოვებინა და ინდოეთში გამგზავრებულიყო, რათა ღმერთ შივასთვის ემსახურა. წლების მანძილზე ხელზე შეწყდა სისხლის მიმოქცევა, ხელის თითები სრულად პარალიზებული შეიქნა და შეეზარდა ხელის მტევანს, ძვლები ჩალპა, ფრჩხილებმა კი სრული დეფორმირება განიცადა.



# ყველაზე გახმაურებული გაუხსნელი დანაშაულები



## დენ კუპერი და თვითმფრინავის გატაცება

**ეს ისტორია 1971 წლის 24 ნოემბერს მოხდა. სხვებისგან არაფრით განსხვავებული დენ კუპერი სიეტლისაკენ მფრინავი ლაინერის — ბოინგ-727-ის ბორტზე ავიდა. აფრენიდან ცოტა ხნის შემდეგ კუპერმა გამოაცხადა, რომ მას ბომბი ჰქონდა თან. დამნაშავე ვინმეს მოკვლით არ იმუქრებოდა, ის მხოლოდ 4 პარაშუტს და 200 ათას დოლარს ითხოვდა. მოთხოვნის შესრულების შემდეგ კუპერმა მფრინავს უბრძანა, უფრო მაღლა აეყვანა თვითმფრინავი, თვითონ კი პარაშუტით გადმოხტა.**

ამის შემდეგ დენ კუპერი არავის უნახავს, სამაგიეროდ „ლოს-ანჟელეს თაიმსში“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც კუპერი იტყობინებოდა, რომ მას მხოლოდ 14 თვის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, ფული კი იმისათვის სჭირდებოდა, რომ უკანასკნელი დღეები სიღარიბეში არ გაეტარებინა.

4 თვის შემდეგ ვინმე რიჩარდ მაკკოიმ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული და განაცხადა, რომ სწორედ ის იყო დენ კუპერი. პოლიციამ დაადგინა, რომ იგი 1971 წლის 24 ნოემბერს სხვაგან იმყოფებოდა და დენ კუპერი ვერ იქნებოდა. ერთადერთი ხელმოსაჭიდი, რაც გამოძიების ფედერალურ ბიუროს ჰქონდა, ეს იყო მისი ანაბეჭდები და ფოტორობოტი. 9 წლის შემდეგ მდინარე კოლუმბიასთან 9 ათასი დოლარი იპოვეს და მაშინვე გაჩნდა კითხვა, გადარჩა კი საერთოდ კუპერი თვითმფრინავიდან გადმოხტომის შემდეგ? ნაპოვნი კუპიურების ნომრები ემთხვეოდა იმ ნომრებს, რომლებიც დამნაშავისთვის მიცემულ ფულზე იყო გამოსახული.




## შავი ორქიდეა

**ელიზაბეტ შორტი საქმროს სიკვდილის შემდეგ საცხოვრებლად ლოს-ანჟელესში გადავიდა. ლამაზი გოგონა სავსე იყო ამბიციებით და ჰოლივუდზე ოცნებობდა. იგი ერთ-ერთი ფილმის კასტინგზე მივიდა და დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა.**

1974 წლის 9 იანვარს რობერტ მანლიმ იგი წაიყვანა ბალტიმორის სასტუმროში, საიდანაც ელიზაბეტი უკვალოდ გაქრა. მისი დასახიჩრებული სხეული მხოლოდ 15 იანვარს იპოვეს. ელიზაბეტის პირი ყურებამდე იყო ჩაჭრილი. საქმის ძიებისას უამრავი ეჭვმიტანილი დაიკითხა, მათ შორის ის 60 ადამიანიც, რომლებმაც საკუთარი სურვილით აღიარეს დანაშაული.

დანაშაულმა დიდი რეზონანსი გამოიწვია, რადგან ელიზაბეტს მუქი შავი თმა ჰქონდა, მის საქმეს „შავი ორქიდეა“ დაარქვეს. ყველაფერი საიდუმლოებით იყო მოცული. პირველ ეჭვმიტანილად, რა თქმა უნდა, იქცა მანლი, რომელმაც ბოლოს ნახა გოგონა. შემდეგ უკვე ეჭვი მიიტანეს მარკ ჰანსენზე — ღამის კლუბისა და იმ სახლის პატრონზე, რომელშიც ელიზაბეტი ცხოვრობდა. მკვლელობაში ეჭვმიტანილები იყვნენ ვუდი გატრი, ორსონ უელსი და ბაგსი სიგალი. დამნაშავედ მიიჩნევდნენ, ასევე, დოქტორ უოლტერ ბეილისაც, რომლის შვილიც იცნობდა ელიზაბეტის დას. საბოლოოდ ამ დანაშაულისთვის ვერავინ დასაჯეს.

## იაპონური მრავალმილიონიანი ძარცვა



**დანაშაული მოხდა 1958 წლის 10 დეკემბერს, როდესაც ბანკ „Nihon Shintaku Ginko“-ს ოთხ თანამშრომელს მანქანით 300 მილიონი იენი გადაჰქონდა. ავტომანქანა გააჩერა პოლიციელმა, რომელმაც თქვა, რომ შეტყობინება მიიღო, თითქოს მანქანაში ბომბი იყო და ბანკის თანამშრომლებს აუცილებლად უნდა დაეტოვებინათ მანქანა. ასეც მოიქცნენ.**

პოლიციელმა დაიწყო მანქანის შემოწმება, უცებ კვამლი გაჩნდა და შეშინებული ხალხი აქეთ-იქით დაიფანტა. პოლიციის ფორმაში გადაცმული მძარცველი კი თვითონ დაჯდა საჭესთან და მიიმალა. საქმეში ასამდე სამხილი იყო, მათ შორის მძარცველის მოტოციკლიც. დაიკითხა ათასამდე ეჭვმიტანილი. საბოლოოდ კი პოლიციამ იპოვა ბოროტმოქმედის 19 წლის შვილი, რომელმაც მაშინვე თავი მოიკლა. სხვა დანაშაულისთვის დააპატიმრეს თვითმკვლელის მეგობარი, რომელსაც თან ჰქონდა დიდი რაოდენობით ფული. მართალია, მან ფულის წარმომავლობა ვერ ახსნა, მაგრამ, ვინაიდან მას ძარცვასთან საერთო არაფერი ჰქონია, ამ დანაშაულის გამო მისთვის ბრალი არავის წაუყენებია.



## გარდნერის მუზეუმის ძარცვა

**იზაბელა სტიუარტ გარდნერმა 1903 წელს მუზეუმი გახსნა. ეს მუზეუმი ცნობილი გახდა თანამედროვე და კლასიკური ფერწერული ნიმუშებით. მაგრამ სახელი ამ მუზეუმს იმ ძარცვამ გაუთქვა, რომელიც 1990 წლის 18 მარტს მოხდა.**

მძარცველები შენობაში პოლიციის ფორმაში გადაცმულები შევიდნენ. მათ მოიპარეს 200 მილიონი დოლარის ღირებულების 13 ფერწერული ტილო, მათ შორის — რემბრანტისა და ვერმეერის ნახატები. იმის მიუხედავად, რომ დამნაშავეები ვერ დაიჭირეს, 2005 წელს გაჩნდა ინფორმაცია, რომ ძარცვაში მაფია იყო ჩარეული. იგივე ვერსია გამოძიების ფედერალურ ბიუროს 1999 წელსაც ჰქონდა და სწორედ მაშინ დააკავეს შეიარაღებული ყაჩაღობის დაგეგმისთვის კარმელო მორინო და დევიდ ტერნერი. დაკავების დროს გაჩნდა ვარაუდი, რომ ისინი მონაწილეობდნენ გარდნერის მუზეუმის ძარცვაში.

სურათები მაფიის დახმარებით არალეგალურად გაიყიდა ევროპაში. მართალია, ტერნერი ყველაფერს უარყოფდა, მერლინომ მიანიშნა, რომ ყველა მოპარული შედევრის ადგილსამყოფელი იცოდა.

## მკვლელი ზოდიაქო



**ეს საიდუმლოებით მოცული მკვლელობები 1968-1969 წლებში ხდებოდა. ზოდიაქო მკვლელს მიაწერენ 37 მკვლელობას, თუმცა დეტექტივებს დამადასტურებელი საბუთები მხოლოდ 5 მკვლელობაზე ჰქონდათ. ჩადენილი ორი დანაშაულის შემდეგ მკვლელმა ლოს-ანჟელესის გაზეთში გაგზავნა 3 წერილი, რომელთაგან თითეული დაშიფრული კოდით იყო დაწერილი. პოლიციამ სამივე წერილის გაშიფვრა შეძლო, თუმცა იქ ხელჩასაჭიდი ვერაფერი ნახეს. ამასთან, სამივე წერილი თითქმის ერთნაირი იყო.**

მორიგი მკვლელობების შემდეგ გაზეთში კვლავ მიდიოდა დაშიფრული წერილები, თუმცა მათი გაშიფვრა ველარ მოხერხდა. პოლიცია ფიქრობს, რომ მკვლელობები 1969 წელს შეწყდა, თუმცა დაშიფრული წერილები 70-იანი წლების ბოლომდე იგზავნებოდა.

დამნაშავედ თვლიდნენ არტურ ლეი ალანს, მოძალადეს, რომელიც დაიჭირეს სისხლიანი დანით, თავისივე ავტომობილში ჩადენილი ერთ-ერთი მკვლელობის დღეს. ალენს და ზოდიაქოს უყვარდათ ერთი და იგივე მოთხრობა „ყველაზე საშიში თამაში“, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ მიხვდა ერთი მონადირე, რომ მას ადამიანებზე ნადირობა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

ალენის სახლის ჩხრეკის 3 ორდერი გამოწერეს, თუმცა ბრალის წაყენება მაინც ვერ შეძლეს.



## ჯონბენეტ რამსის მკვლელობა

**6 წლის გოგონა ბევრი საბავშვო სილამაზის კონკურსის გამარჯვებული იყო. ჯონბენეტი კოლორადოს შტატის ქალაქ ბოულდერში ცხოვრობდა. 1996 წლის 26 დეკემბერს გოგონას დედამ აღმოაჩინა წერილი, რომელშიც ჯონბენეტის სანაცვლოდ გამოსასყიდს — არც მეტი, არც ნაკლები, 118 ათას დოლარს სთხოვდნენ.**

გამტაცებლის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, მშობლებმა ეს ამბავი პოლიციას შეატყობინეს. სახლის 8-საათიანი დათვალიერების შემდეგ, სარდაფში ჯენბენეტის გვამი იპოვეს. მას სხეულზე დაზიანებები არ აღინიშნებოდა. წერილი კი დაწერილი იყო ფურცელზე, რომელიც გარდაცვლილის ოჯახს ეკუთვნოდა. საინტერესოა ისიც, რომ თანხა ზუსტად ემთხვეოდა გარდაცვლილის მამის მიერ ბოლოს გამოწერილი ჩეკის თანხას. ამიტომ განიხილავდნენ ვერსიას, რომ დედა ჩარეული იყო ამ ბავშვის მკვლელობაში. თუმცა ბოლოს გამომძიებლები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბავშვის მკვლელობაში ოჯახის არც ერთ წევრს არ მიუძღოდა ბრალი, რადგან სარდაფში აღმოაჩინეს ნაფეხურები, რომლებიც არც ერთ მათგანს არ ეკუთვნოდა.

ასევე იპოვეს თოკი, რომლითაც მკვლელი სახლიდან გავიდა და მისი დეენემის ნიმუშიც ჩაიგდეს ხელთ. ამით საბოლოოდ გამოირიცხა ოჯახის წევრების ბრალეულობა. 2006 წელს ტაილანდში დააკავეს ვინმე ჯონ მარკ კარი, რომელმაც აღიარა, რომ სწორედ ის იყო ჯონბენეტთან მისი სიკვდილს დროს, თუმცა სახლში აღმოჩენილი დეენემი არ დაემთხვა მისას და ამიტომ მას ბრალდება ვერ წაუყენეს.



**მაროკოს პარლამენტი** მდებარეობს მაროკოს დედაქალაქ რაბატში. არის ორპალატიანი და შედგება ასამბლეის წარმომადგენლებისგან და ასამბლეის მრჩეველებისგან.



**უგანდის პარლამენტი** მოიცავს 215 საარჩევნო ოლქის წარმომადგენელს. ასევე პარლამენტში არის უგანდის სახალხო ძალების ათი წარმომადგენელი, ახალგაზრდების ხუთი წარმომადგენელი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხუთი წარმომადგენელი და მუშაკების ხუთი წარმომადგენელი.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პარლამენტის ყველაზე უსახური შენობები



**ისლანდიის პარლამენტი** მდებარეობს დედაქალაქ რეიკიავიკში. არის ერთპალატიანი და 63 წევრისგან შედგება.



**ვიეტნამის პარლამენტი** ერთპალატიანია და მასში 493 წევრია. პარლამენტი არის უმაღლესი ორგანო ვიეტნამის ხელისუფლებაში.



**ერიტრეის ნაციონალური ასამბლეა** შედგება 104 წევრისგან. ასამბლეის პრეზიდენტია ისაიას აფევერკი.



**პაკისტანის პარლამენტი,** ოფიციალურად ცნობილია როგორც Mejlis-e-Shoora. ის ორპალატიანია და არის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო პაკისტანში. პარლამენტი შედგება სენატისა და ეროვნული ასამბლეისგან.



**პარაგვაის პარლამენტი** ორპალატიანია. შედგება სენატისგან და დეპუტატებისგან. ის მდებარეობს პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში.



**სომალის პარლამენტი** 550 წევრს აერთიანებს. ის შედგება კლანებისგან, ისლამისტური ოპოზიციის წარმომადგენლებისგან, მოქალაქეთა ჯგუფებისგან და სომალური დიასპორისგან.

# პარლამენტის საუკეთესო შენობები



**იტალიის პარლამენტი** კანონმდებლობით ორპალატიანია და მასში 946 პარლამენტარია. დეპუტატთა პალატაში არის 630 წევრი, სენატორთა პალატაში კი — 316. შენობა იტალიის დედაქალაქ რომში მდებარეობს.



**ავსტრალიის პარლამენტი** ცნობილია როგორც თანამეგობრობის პარლამენტი და ფედერალური პარლამენტი. ის ორპალატიანია და სამი კომპონენტისგან შედგება: დედოფლებისგან, სენატისგან და წარმომადგენელთა პალატისგან. შენობა ავსტრალიის დედაქალაქ კანბერაში მდებარეობს.



**არგენტინის კონგრესი** ორპალატიანია. შედგება 72 სენატორისგან და 257 დეპუტატისგან. მდებარეობს არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში.



**ბუნდესტაგი** არის ფედერალური საკანონმდებლო ორგანო გერმანიაში. ის კანონმდებლობით ორპალატიანია. ბუნდესტაგი, როგორც საკანონმდებლო ორგანო, მოქმედებს 1949 წლიდან და რაიხსტაგის მემკვიდრედ ითვლება.



**უნგრეთის პარლამენტი** ევროპის ერთ-ერთი უძველესი შენობაა, ასევე ითვლება უნგრეთის ღირსშესანიშნავ ადგილად და არის ტურისტთათვის მიმზიდველი სანახაობა. უნგრეთში ის ყველაზე დიდი შენობაა.



**კანადის პარლამენტი** არის ფედერალური საკანონმდებლო ორგანო, მდებარეობს დედაქალაქ ოტავაში. პარლამენტს ხელმძღვანელობს კანადის პრემიერ-მინისტრი. მასში 308 დეპუტატია.



**ბრაზილიის ეროვნული კონგრესი** არის მთავარი საკანონმდებლო ორგანო ბრაზილიაში. რეგიონული საკანონმდებლო ორგანოებისგან განსხვავებით, კონგრესი ორპალატიანია, შედგება ფედერაციული სენატისგან და დეპუტატთა პალატისგან.



**აშშ-ს კონგრესი** კანონმდებლობით ორპალატიანია. შედგება სენატისა და წარმომადგენელთა პალატისგან. კონგრესის შენობა დედაქალაქ ვაშინგტონში მდებარეობს.



**ინგლისის პარლამენტი** კანონმდებლობით ორპალატიანია. შედგება ლორდთა პალატისა და დეპუტატებისგან. დაარსდა 1241 წლის 14 დეკემბერს (მაშინ შედგებოდა მხოლოდ ლორდებისგან). ის მდებარეობს ინგლისის დედაქალაქ ლონდონში.

# «მატრიცა 2», «რუსთავი 2», «მიშა 2» და, სანამ შეგჭამთ, დაიჭირეთ ნიანგი პინცეტით

**„ქართული ოპოზიცია ანტიმიშას წარმოადგენს, ხალხს კი გაუმჯობესებული მიშა სურს,“ — ამის შესახებ თბილისის მერმა გიგი უგულავამ ლატვიაში ვიზიტისას ადგილობრივ გაზეთ „ტელეგრაფისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა,“ — იტყობინებოდა ინტერპრესნიუსი. ამ სკანდალური პოლიტიკური მეტაფორის გაშიფვრაზე მთელი კვირა ვიფიქრე, ვიფიქრე და იმავე აზრზე დავრჩი, რაიც პირველსავე დღეს იყო ცხადი.**



## ანუ რა ქვა უდევს გიგი უგულავას უბეში?

**„თავლაფის დასხმასა და ომს შორის, ჩვენ თავლაფის დასხმა ავირჩიეთ. ომს შემდგომ მივიღებთ“, — განაცხადა უინსტონ ჩერჩილმა მეორე მსოფლიო ომის კვირაძალს.**

**შევარდნაძესა და სააკაშვილს შორის ჩვენ სააკაშვილი ვარჩიეთ, მივიღებთ უგულავას მომავალში?**

ასე იქნება თუ არა, ახლა რას გაიგებ, მაგრამ იმას, რომ ოპოზიცია საქართველოში უძალოა, დიდი განსჯა და გაგება არ სჭირდება: ვიღაცისთვის სასაცილოა, სხვისთვის — არასიმპათიური და მიუღებელი, ერთი ნაწილისთვის, შეიძლება, სასიამოვნოცაა და სულში ჩასაძვრენიც; ისეთებიც იქნებიან, — აბა, სხვა ვინო?

ჰყავთ ფანატებიც — როგორც ოპოზიციას, ასევე ხელისუფლებას.

**უგულავა ვინაა?**

**უგულავა მერია, რომელმაც ერთი კვირის წინათ სიტყვაკაზმული ჩახლართულობით ოპოზიციური მეტაფორა შემოგვთავაზა, რაღაც დაქადნების მსგავსი — თქვენ თუ ვერა, ახლა — მეო!**

კიდეც ამიტომ თქვა ზარატუსტრამ: **ეს პოლიტგამოხდომა წინასაპრეზიდენტო მარათონის პირველი ეტაპის დასაწყისი ხომ არ არისო?**

მაგრამ რატომ მაინც და მაინც ლატვიიდან აიღო სტარტი ამ კამპანიამ, რომელიც არ ვიცი, თავლაფდასხმა იქნება ჩვენი თუ საკუთარ ხალხთან ახალი ომის დასაწყისის მომასწავებელი?

იმიტომ ხომ არა, რომ, შებრუნებული დურბინდის ეფექტის წყალობით, ბალტიისპირეთის შორეთიდან ჩვენი პრობლემები ისეთი პატარა ჩანს, შეგიძლია პინცეტით ნიანგი დაიჭირო?

ან, ეგებ, იმიტომ, რომ **ხელისუფლებას განზრახული აქვს, მოაწყოს „კარის გადატრიალება“, ანუ „რევოლუცია“ ზემოდან — გორბაჩოვის „პერესტროიკის“ ახალი ვარიანტი?**

ასეა თუ ისე, **დრო დადგა, გამოეცალო პოლიტაქტივობას და თავის თავზე მიაგდო ნაცბოლების გუნდი, რომელიც ნებისმიერ ოპოზიციაზე უფრო მადიანად და ეფექტიანად გამოღრღნის საკუთარ ძვალსა და რბილს.**

მაგრამ გიგი უგულავა თავისაზე დგას:

**„ადამიანებს აუცილებლად უნდათ იმ კურსის გაგრძელება, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა აიღო — მიშამ, როგორც მას უწოდებენ“.**

მიშას უწოდებენო, — საქმის კურსში ჩააყენა პატივცემულმა გიგიმ (ასე უწოდებენ) ლატვიელი კორესპონდენტი და, უნდოდა თუ არა, დაუპირისპირდა, ერთის მხრივ, იმას, ვისაც „მიშას უწოდებენ“, მეორე მხრივ, — ხალხს.

სააკაშვილმა ახლახან საკუთარი პირით აღიარა, რომ მას უწოდებენ „მეფე შადრევან პირველს“.

ისე თქვა, თითქოს უხაროდა კიდეც.

**მეო,** — ბრძანა მან, — **სულაც არ მწყინს, რომ შადრევან პირველს მიწოდებენ.**

შადრევან პირველი ურჩევნია კალიგულას და ჩინგიზ ყაენს, რომელიც მან ჩინგიზხანად მონათლა.

**მიშას მეძახიანო, არ უთქვამს. გიგი ამბობს და კიდევ — გარემოს დაცვის მინისტრი გოგა (ასე უწოდებენ) ხაჩიძე, რომელიც უშურველად უმატებს ეპითეტს „მაგარია“, და ნაცბოლების ხასიათზე მოსაყვანად სიმღერასაც ატრიალებს ტელევიზიითა და რადიოთი: „მიშა მა-გარია!“**

ამ ორშაბათის პრესაში კი განაცხადა, როცა მიშა არ იქნება, ყველა დარწმუნდება, რომ მიშა ძალიან მაგარი იყოო.

**რა ხდება, პატივცემულებო? მიშას არყოფნას გვაჩვევთ? იქით გიგი გაუმჯობესებულ მიშაზე ალაპარაკდა, აქეთ გოგა — მიშა რომ არ იქნებაო.**

**ხარება და გოგია ხომ არ შეიპარნენ რუსეთის აგენტებად საქართველოს დემოკრატიულ მთავრობაში?**

ხოლო იმის გასაგებად, ხალხი რას უწოდებს პატივცემულ მიხეილს და როგორი სიტყვებით ამკობს, საზოგადოებრივი აზრის არც ფართომასშტაბიანი შესწავლაა საჭირო, არც „ენბიაის“ დაქირავება: გამოკითხვის გარეშეც გაიგონებთ ნებისმიერ „მარშრუტკაში“ ან გაძვირებული ხორცის დახლებთან.

**„მეფე მზეს“ — ლუდოვიკო XIV-ს, რომელიც აცხადებდა, რომ სახელმწიფო ვარო, იმ ლუდოვიკოსაც არ წამოსცდენია ხალხი მე ვარო. გიგი (როგორც უწოდებენ) — ამბობს! ოღონდ საკუთარი ჰელიოცენტრულობა პარტიის სხვა ლიდერებზეც აქვს გულმოწყალედ განაწილებული — ცოტ-ცოტაობით: „ჩვენთვის — ჩემთვის, მიხეილ სააკაშვილისა და პარტიის სხვა ლიდერებისთვის — მნიშვნელოვანი ის კი არ არის, სად ვიქნებით 2013-2014 წლებში, არამედ ის, სად იქნება სახელმწიფო“.**

სადაც თქვენ იქნებით!

ან — არ იქნებით.

თუ იქნება სახელმწიფო საერთოდ.

გარბის აზრი, მიჩიქჩიკებს და მიჰკივის სააკაშვილის მატარებელი, რომელიც ერთ დროს მუშთაიდის პარკში წრეზე ტრიალებდა და დგას ახლა გაყინული ძეგლივით, ჯერჯერობით რომ არ დაუნგრევიათ როგორც ტოტალიტარიზმის გადმონაშთი. ამიტომ გვთავაზობს უგულავა რაციონალიზატორულ პროექტს — **„გაუმჯობესებული მიშა“.**

რაციონალიზაცია, ნაციონალიზაცია, კოლონიზაცია, კანალიზაცია, რომელიც ამ დღეების ღვარცოფებმა დააზიანა. ყროლი დაეცა ქვეყანას.

მიშას გაუმჯობესებული ვარიანტი რაღა უნდა იყოს?!

**მიშა ორი?!**

**ერთის ნაცვლად ორი საცალფეხო ხიდი მტკვარზე, რომელიც ორჯერ 70 მილიონი დაგვიჯდება?!**

**ერთის ნაცვლად ორი სტალინის ძეგლის დანგრევა გორში — ერთი კიდევ დგას სტალინის სახლ-მუზეუმის ეზოში?!**

**ორ დედაქალაქსაც ნიშნავს უთუოდ, 20 პროცენტი დაკარგული ტერიტორიების გაორმაგებასაც, საარსებო კალათის ორჯერ გაძვირებასაც და ა.შ.**

ანუ, სააკაშვილის საყვარელ „ავტოშედარების“ მეთოდს თუ გამოვიყენებთ, უგულავა გვთავაზობს „ზაპოროჟეცი-1“-დან (ავტომანქანიდან, რომელიც სიარულს სწავლობდა), „ზაპოროჟეც-2“-ზე გადასვლას, ანუ ავტომოდელზე, რომელმაც სიარული ვერ ისწავლა და ვერც საქათმედ გამოადგა მოწინავე კოლმეურნეებს.

**„ადამიანებს აუცილებლად უნდათ იმ კურსის გაგრძელება, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა აიღო“?!**

**„მიშა 2“, „მატრიცა 2“, „რუსთავი 2“ და — ორჯერ ორი ხუთია! შემოხაზეთ 5 და მიიღებთ გიგი უგულავას, რომელიც ცოტნე დადიანის თავგანწირვით გვთავაზობს საკუთარ თავს „მიშა 2“-ის სახით. „თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვა“ გინდა მერიაში, გინდა უფრო ზემოთ — ავლაბარში.**

გიგი თავმდაბალია და მორცხვად აცხადებს, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მის შანსებზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან ვის წამოაყენებს „გაუმჯობესებული“ მიშას პონტში „ნაციონალური მოძრაობა“ თავის კანდიდატად, დღეს მხოლოდ „სხვადასხვა სპეკულაციების“ საგანია.

სპეკულაციები რუსეთთან ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით მოიკითხეთ!

**„მიხეილ სააკაშვილს არაერთხელ უთქვამს,** — „აბამს“ „ტელეგრაფის“ კორესპონდენტს თბილისის მერი, — **რომ მზადაა რუსეთთან მოლაპარაკება სუფთა ფურცლიდან დაიწყოს. სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან მხოლოდ ასეთი ფრაზა გვესმის: „ჩვენ ვისაუბრებთ ქართველ ხალხთან და არა მთავრობასთან“.**

ასაუბრეთ, ვინ გიშლით?!

პატივცემული მერი ამ შეკითხვის პასუხად ისეთი არნახული ცინიზმის თეთრ აფრებს აუშვებს, რომ იმ „მკვდარ სულებსაც“ გაეცინებათ, რომლებმაც ყველა არჩევნები ამათ მოაგებინეს: **„...ქართველი ხალხი ირჩევს საკუთარ მთავრობას“** (?!).

„გაუმჯობესებული მიშა“, ეტყობა, იმასაც ნიშნავს, რომ ზუსტად შეასრულო მიღებული ინსტრუქცია და ბალტიისპირელებს უნამუსოდ განუცხადო — 26 მაისის ბართლომეს ღამე იყო რეაქცია მომიტინგეთა „მოქმედებებზე“, რომლებმაც „ძალადობრივი ხასიათი შეიძინა“, თავს დაესხნენ 3000 სპეცრაზმელს, „ზონდერებს“ და მათზე მიტმასნილ გასაუმჯობესებელი მიშას ოპრიჩნიკებს, ანუ „მოხდა ის, რაც მოხდა“ (უგულავას სიტყვებია).

**ქართული ოპოზიცია ანტიმიშააო. ანტიმიშინი, ანტიკრისინი თუ „სტრიხნინი“, მნიშვნელობა არა აქვს, რას დაარქმევენ. მთავარია, რომ მშვიდობისმყოფელები არიან — არჩევნების გზით.**

**უინსტონ ჩერჩილმა ასეთებზე თქვა: „მშვიდობისმყოფელი ისაა, ვინც ნიანგს კვებავს იმ იმედით, რომ რეპტილია მას ბოლოს შეჭამს“.**

**შეგვჭამეს „მანდატიანმა კროკოდილებმა“ არჩევნებამდე!**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** ვარაუდს წინ რა უდგას, მაგრამ ვინ იცის, რა ქვა და **რისთვის უდევს გიგი უგულავას უბეში — ნიანგის ჩასაქოლად თუ საკუთარი პიედესტალის საძირკველში ჩასადებად?! „ეგერ, ე, მთელი გუნდი მოდის, დიდი ქვები უკავიათ ორივე ხელში და უბეებში ცალკე აქვთ კიდევ... უკავიათო? საქმე ისაა, რა ხელს უკავია და რა გუნებაზეა ის კაცი, ვიღაცას უკავია! რა გუნებაზეა და იმფერი კაცისხორცმოშიებული ბრბო სადმე თუ უნახავს ძეხორციელ ვინმეს, არ ვიცი მე“**

**(ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“).**

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა მწუხარებით თანაუგრძნობს და უსამძიმრებს მერაბ ჩანჩალაშვილს დედის, ღირსეული ქალბატონის

**სიმა ჩანჩალაშვილის**

გარდაცვალების გამო.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე მწუხარებით თანაუგრძნობს მერაბ ჩანჩალაშვილს დედის, ღირსეული ქალბატონის

**სიმა ჩანჩალაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ნუგზარ ფოფხაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი გულითადად უსამძიმრებენ მეგობარსა და კოლეგას მერაბ ჩანჩალაშვილს დედის, ღირსეული ქალბატონის

**სიმა ჩანჩალაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ნუგზარ ფოფხაძე და არმაზ სანებლიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი მეგობარი და კოლეგა, ცნობილი ტელერეჟისორი და შესანიშნავი ადამიანი

**ზენონ კაცია**

და გულითადად უსამძიმრებენ მისი ოჯახის ყველა წევრს.

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net